კულტურულ-საისტორიო ძიებანი

Культурно-исторические разыскания

Cultural-Historical Researches

Тбилисский государственный университет
им. Иванэ Джавахишвили

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

КУЛЬТУРНО-ИСТОРИЧЕСКИЕ РАЗЫСКАНИЯ

CULTURAL-HISTORICAL RESEARCHES

Тбилиси 2010 Tbilisi

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

კულტურულ-საისტორიო ძიებანი

თბილისის
უნივერსიტეტის
გამომცემლობა

რედაქტორი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
თსუ ასოც. პროფესორი
მარიკა მშვილდაძე

რეცენზენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
თსუ ასოც. პროფესორი
ნანა ტონია

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
თსუ ასოც. პროფესორი
დიმიტრი შველიძე

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010

ISBN 978-9941-13-169-1

გურამ ლორთქიფანიძე

სამეცნიერო მოღვაწეობის 50 წელი

სამეცნიერო კრებული ეძღვნება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის გურამ ლორთქიფანიძის სამეცნიერო მოღვაწეობის 50 წლისთავს.

მეგობრები და მოწაფეები

Научный сборник посвящается 50-и летию научной деятельности члена-корреспондента Академии наук Грузии Гурама Лорткипанидзе.

Друзья и ученики

The collected scientific papers are dedicated to the 50-th anniversry of scientific activity of a correspondent-member of the Academy of Sciences of Georgia Guram Lortkipanidze.

Friends and pupils



სარჩევი
CONTENTS

გურამ ლორთქიფანიძე (რისმაგ გორდეზიანი) 13

პროფ. გურამ ლორთქიფანიძის სამეცნიერო ნაშრომების ბიბლიოგრაფია 15
Bibliography of Prof. Guram Lortkipanidze's works 15

ლერი ჯიბლაძე
კოლხეთის დაბლობის შუაბრინჯაოს ხანის ზოგიერთი არქეოლოგიური არტეფაქტის ინტერპრეტაციისათვის 23
Leri Jibladze
Towards the Interpretation of Some Middle Bronze Age Archeological Artefacts from Colchis Lowland 26

ირინე ტატიშვილი
ერთი ხეთური ფორმულის ინტერპრეტაციისთვის 28
Irine Tatishvili
To the Interpretation of a Hittite Formula 30

ზვიად კვიციანი, ლერი ჯიბლაძე
კოლხეთის მთისა და ბარის ურთიერთობის საკითხები ბრინჯაოს ხანაში (ზოგადი მიმოხილვა სვანეთის მასალების მიხედვით) 32
Zviad Kvitsiani, Leri Jibladze
The Issues of Relationship between the Colchis Mountains and Lowlands in the Bronze Age (General Review according to Svaneti Materials) 34

ლევან გორდეზიანი
ტაო-კლარჯეთი ურარტულ ტექსტებში 36
Levan Gordeziani
Tao-Klarjeti in Urartian Texts 45

რევაზ პაპუაშვილი
ანთროპომორფული გამოსახულებები ცაიშიდან 46
Revaz Papuashvili
Anthropomorphic Sculptures from Tsaishi 52

ზვიად კვიციანი
სვანთა (ქართველთა) ჩრდილოეთ კავკასიაში განსახლების ერთი საკითხისათვის 59

Zviad Kvitsiani
Towards the issue of Settlement of Svans (Georgians) in North Caucasus . 63

მარიკა მშვილდაძე
ქრისტიანული ცივილიზაციის დამკვიდრება – ანტიკური ცივილიზაციის განვითარების ლოგიკური დასასრული 66

Marika Mshvildadze
The Establishment of Christian Civilization – Logical End to the Development of Antique Civilization 73

გურამ გრიგოლია
საგვიჩიოს ნამოსახლარი 75

Guram Grigolia
Sagvichio Settlement 79

დავით ლომიტაშვილი, ანა თვარაძე
ციხეგოჯი ძვ.წ. I ათასწლეულში (განვითარების I და II ფაზა) 82

David Lomitashvili, Ana Tvaradze
Tsikhe-Goji in the 1st Millennium BC (1st and 2nd phases of development) . . 87

შოთა მამულაძე
ახალი მასალები საბეჭდავების ფუნქციონალური დანიშნულების ზოგიერთი საკითხის დაზუსტებისათვის 91

Shota Mamuladze
New Materials to Clarify some Aspects of the Functional Purpose of Printers 99

Гела Гамкрелидзе
ОБОРОНИТЕЛЬНОЕ СООРУЖЕНИЕ IV В ДО Н.Э. ИЗ С. МТИСДЗИРИ В КОНТЕКСТЕ СВЕДЕНИЙ КСЕНОФОНТА И ВИТРУВИЯ 107

Gela Gamkrelidze
The Fortifying Building in Mtisdziri during the 4th c. BC in the Context of Evidence by Xenophon and Vitruvius 117

მაიკლ ვიკერსი, ამირან კახიძე, ირინე ვარშალომიძე
კოლხური თეთრის ახალი ნომინალები ფიჭვნარიდან (ჰემიტეტრატემორიონები) 124

Michael Vickers, Amiran Kakhidze, Irine Varshalomidze
New Face-Values of Colchian Tetri from Pichvnari (Hemitetratemorions) 127

გურამ ყიფიანი
არდამის ქართლში ლაშქრობა და მოღვაწეობა 134

Guram Kipiani
Military and Building Activities of Ardam in Kartli 140

თემურ თოდუა
ალექსანდრე მაკედონელი და პოლისები
(იმპერიისა და პოლისის ურთიერთობისათვის) 156

Temur Todua
Alexander the Great and the Poleis
(Towards the Interrelations of the Empire and the Polis) 162

დავით ყოლბაია
მესიანიზმის იდეა, ძველი აღმოსავლეთი და საქართველო 164

David Kolbaia
The Idea of Messianizm, the Ancient East and Georgia 169

ალექსანდრე ნონეშვილი
სამხრეთ კავკასიაში დისლოცირებული რომაული ლეგიონების
შენაერთების შესახებ 170

Dr. Aleksander Noneshvili
About the Units of Roman Legions Deployed in South Caucasia 173

Жорес Хачатрян, Амина Канецян
НОВОНАЙДЕННЫЕ МОЗАИКИ ИЗ ОБЩЕСТВЕННОЙ БАНИ ДРЕВНЕЙ СТОЛИЦЫ
АРМЕНИИ АРТАШАТ 177

Zhores Khachatryan, Amina Kanetsyan
Newly Found Mosaics from the Public Baths of Ancient Capital
of Armenia Artashat 181

დავით ლომიტაშვილი, ნიკოლოზ მურღულია
კვაუთის ციხის კომპლექსი 187

David Lomitashvili, Nikoloz Murghulia
Kvauti Castle 192

მალხაზ დათუკიშვილი, ნოდარ ბახტაძე
ოქროს მამაწმინდის ეკლესიის არქეოლოგიური კვლევა
2009 წელს 196

Malkhaz Datukishvili, Nodar Bakhtadze
Archaeological Research of Okros Mamatsminda (Golden Saint Father)
Church in 2009 207

ვალერი სილოგავა
ქვაბისმანის წარწერა უწვერული ყრმის და დედალი სახედრის
მონასტერში არშეშვების შესახებ (X–XI სს.) 214

Valeri Silogava
Kvabismani Inscription on Forbidding a Beardless Youth and a She-Donkey
to Enter the Monastery (10th -11th cc.) 226

ნანა გელაშვილი
სამხედრო-ფეოდალური მმართველობის – შიოგუნატის
ფორმირება იაპონიაში 229
Nana Gelashvili
Formation of the Military-Feudal Authority – Shogunate – in Japan 235

მანანა რუსიეშვილი, ქეთევან ლორთქიფანიძე, ნათელა მოსიაშვილი
ფერი და მისი მნიშვნელობა ქართულ, ინგლისურ და თურქულ
ენებსა და კულტურებში 237
Manana Rusieshvili, Ketevan Lortkipanidze, Natela Mosiashvili
Colour and its Meaning in the Georgian, English and Turkish
Languages and Cultures 240

ვახტანგ გურული, ომარ თუშურაშვილი
დიდი განსაცდელის დასაწყისი (საქართველოს სამოციქულო
მართლმადიდებელი ეკლესია 1923-1925 წლებში). 242
Vakhtang Guruli, Omar Tushurashvili
The Beginning of the Great Ordeal
(Georgian Apostolic Ortodox Church in 1923-1925) 252

თინა აბულაშვილი, დიმიტრი ახვლედიანი, ვახტანგ გურული
საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში 1934 და 1941 წლებში
მოწყობილი არქეოლოგიური გამოფენები. 253
Tina Abulashvili, Dimitri Akhvlediani, Vakhtang Guruli
Archaeological Exhibitions at the State Museum of Georgia
in 1934 and 1941 258

მერაბ კალანდაძე
„ანალების" სკოლა ისტორიულ ლიტერატურაში 270
Merab Kalandadze
The Annales School in Historical Literature 273

ვახტანგ ლიჩელი
საქართველოს არქეოლოგიის მენეჯმენტის საკითხები 275
Vakhtang Licheli
Problems of Archaeology Management in Georgia 281

გურამ ლორთქიფანიძე

ქართველ არქეოლოგთა შორის გურამ ლორთქიფანიძეს გამორჩეული ადგილი უჭირავს. მრავალი წლის ნაყოფიერმა და წარმატებულმა მუშაობამ, მიუხედავად იმისა, რომ მას არასოდეს უცდია თავისი საქმიანობის სისტემატური და ფართო საჯარო პროპაგანდა ეწარმოებინა, მას დამსახურებული სახელი და პატივისცემა მოუხვეჭა საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ. მისი სამეცნიერო მოღვაწეობა გამოირჩევა კონიუნქტურული მოტივებისაგან თავისუფალი რეალისტური მიდგომით საკვლევი საკითხებისადმი და გაბედული კონცეპტუალური დებულებების წამოყენებით. სწორედ ამიტომ მისი კვლევის შედეგები ყოველთვის სანდოა და მეტწილად დამაჯერებელი. არ არის გასაკვირი, რომ ანტიკური საქართველოს ისტორიითა და კულტურით დაინტერესებულ მეცნიერთა ნაშრომებში იგი ერთ-ერთი ყველაზე ხშირად ციტირებული ქართველი მკვლევარია.

სამეცნიერო მოღვაწეობის 50 წელი ადამიანის ცხოვრებაში ის ეტაპია, როდესაც უპრიანია თვალი გადაავლო განვლილ გზას და დასახო ის ამოცანები, რომელთა მიღწევის შესაძლებლობებს ჯერ კიდევ გრძნობ საკუთარ თავში. უდიდესი ჯილდო არის იმის შეგრძნება, რომ შენ სიყვარულით სარგებლობ შენს მოსწავლეებსა და კოლეგებში; რომ მათ აქვთ სურვილი, პატივი მოგაგონ, დააფასონ შენი ღვაწლი და ამაგი, რის ნათელ გამოვლინებასაც წინამდებარე საიუბილეო კრებული წარმოადგენს.

გურამ ლორთქიფანიძე 1938 წლის 14 სექტემბერს დაიბადა ბათუმში. მისი ოჯახის დედაქალაქში გადმოსვლის გამო მან თბილისის 68-ე საჯარო სკოლა დაამთავრა. მიუხედავად იმისა, რომ საშუალო განათლება ქართულ ენაზე მიიღო, იგი იმდენად კარგად ფლობდა რუსულს, რომ სწავლა მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში განაგრძო. იმხანად საბჭოთა კავშირის მთავარ უნივერსიტეტში სწავლა ახალგაზრდისათვის, ერთი მხრივ, საშურ სტიმულად, ხოლო, მეორე მხრივ, დიდ პასუხისმგებლობად ითვლებოდა. მაშინ სტუდენტად სსრკ ფარგლებს გარეთ გასვლა პრაქტიკულად გამორიცხული იყო. მგუ მიიჩნეოდა ახალგაზრდისათვის საკუთარი შესაძლებლობების, რესპუბლიკისა და საკუთარი ერის წარმოჩენის ერთ-ერთ უმთავრეს ასპარეზად. გურამ ლორთქიფანიძეს აშკარად გაუმართლა, რადგან მან სტუდენტური წლები ისეთი ცნობილი მეცნიერების ხელმძღვანელობით გაატარა, როგორებიც იყვნენ ვლადიმერ ბლავატსკი და არტემი არციხოვსკი. მისი წარმატებები, როგორც ჩანს, იმდენად თვალსაჩინო გახდა, რომ მოსკოვში მყოფი ცნობილი მეცნიერი, ქართველოლოგი დევიდ ლანგი მას, ჯერ კიდევ სტუდენტს, როგორც საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეს, თავის წიგნს ამგვარი წარწერით უძღვნის: „დიდად პატივცემულ და საყვარელ მეგობარს გურამ ლორთქიფანიძეს ავტორისაგან, 16,VIII,60, მოსკოვი". 1961 წელს იგი საქართველოში ბრუნდება. მუშაობას იწყებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში, როგორც ახალგაზრდა არქეოლოგის კვალიფიკაციის მქონე ახალგაზრდა მეცნიერ-თანამშრომელი. 1965 წელს იგი ვ. ბლავ-



გურამ ლორთქიფანიძე დევიდ ლანგთან ერთად

ატსკის ხელმძღვანელობით იცავს საკანდიდატო დისერტაციას „კოლხიდა ძვ. წ. II-I საუკუნეებში", რომელიც მონოგრაფიის სახით რუსულ ენაზე 1970 წელს გამოქვეყნდა აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილის რედაქტორობით. 1965 წელსვე გურამ ლორთქიფანიძეს ირჩევენ ისტორიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომლად, რაც ახალგაზრდა მეცნიერის აღიარებაზე მიუთითებს. არქეოლოგიური მასალის დეტალური შესწავლის საფუძველზე კოლხიდის ისტორიის აღდგენის უაღრესად ნარმატებულ ცდას წარმოადგენს მისი სადოქტორო დისერტაცია: „ძველი კოლხიდა ძვ. წ. VI-II საუკუნეებში", რომლის დაცვა შედგა 1977 წელს. ნაშრომი რუსულ ენაზე გამოქვეყნდა 1978 წელს. სადოქტორო დისერტაციის დაცვისთანავე გურამ ლორთქიფანიძის ცხოვრება მჭიდროდ უკავშირდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. მას, როგორც ცნობილ მეცნიერს, უნივერსიტეტში პროფესორის თანამდებობაზე ირჩევენ. რამდენადაც უკვე 1974 წლიდან იგი ბიჭვინთის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი იყო, უნივერსიტეტის სტუდენტობასა და ახალგაზრდა მეცნიერ-თანამშრომლებს შესაძლებლობა მიეცათ რეგულარულად მიეღოთ მონანილეობა ამ უაღრესად საინტერესო და პრესტიჟულ არქეოლოგიურ გათხრებში. გურამ ლორთქიფანიძემ ამ ექსპედიციის ხელმძღვანელობა აკადემიკოს ანდრია აფაქიძისაგან გადაიბარა. გამოჩენილი არქეოლოგის საქმის გაგრძელება მას დიდ პასუხისმგებლობას აკისრებდა. პირადად მე ვიყავი მონმე იმ ენთუზიაზმისა, რითაც თავის მეუღლესთან, არქეოლოგ ნინო კილურაძესთან, ერთად, მან ბიჭვინთის ექსპედიციას ჭეშმარიტად ინტერნაციონალური მასშტაბები შესძინა. აქ ხშირად ჩამოდიოდნენ არქეოლოგიის სპეციალობის სტუდენტები და მათი ხელმძღვანელები საზღვარგარეთიდან, უპირველეს ყოვლისა, იენის უნივერსიტეტიდან, რაც უცხოელ და ქართველ სპეციალისტთა შორის ურთიერთთანამშრომლობას უყრიდა საფუძველს. ამ ექსპედიციის ხელმძღვანელი გურამ ლორთქიფანიძე ოფიციალურად 2000 წლამდე იყო, თუმცა პოლიტიკურმა მოვლენებმა ქართველ არქეოლოგთა ბიჭვინთაში მუშაობა გარკვეული პერიოდიდან შეუძლებელი გახადა. ბიჭვინთის არქეოლოგიური გათხრების შედეგები გურამ ლორთქიფანიძემ შესანიშნავად განაზოგადა 1991 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში, რომელიც, როგორც

კვლევის სიღრმითა და დასკვნების დამაჯერებლობით, ასევე გაფორმების კულტურით, ჭეშმარიტად სამაგიდო წიგნს წარმოადგენს.

თვალსაჩინოა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისი პედაგოგიური, სამეცნიერო და ორგანიზატორული მუშაობის მასშტაბები. მისი ინიციატივით დაფუძნდა ისტორიის ფაკულტეტზე კულტურის ისტორიისა და თეორიის კათედრა, რომელსაც იგი 1985–2005 წლებში ხელმძღვანელობდა. ამით, ფაქტობრივად, საქართველოში საფუძველი ჩაეყარა ისტორიული კულტუროლოგიის კვლევას. მან შეძლო შედარებით მოკლე დროში მოემზადებინა და ასპარეზზე გამოეყვანა ამ სფეროში ახალგაზრდა სპეციალისტთა მთელი თაობა, რომელთან თანამშრომლობით შექმნა ორი მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო: ქართული კულტურის ისტორია (1997) და კულტუროლოგია (2003). მისმა მონაფეებმა წარმატებით დაიცვეს საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. მისი ღვაწლის აღიარების გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ გურამ ლორთქიფანიძის არჩევა იუდაიკის პედაგოგთა საერთაშორისო ასოციაციის – „სეფერ" – აკადემიური საბჭოს წევრად, თსუ ისრაელის ცენტრის ხელმძღვანელად; თოთხმეტი წლის განმავლობაში (1990–2004) იგი იყო თსუ-ში უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ფაკულტეტის დეკანი. შეუნელებელი ინტერესით სარგებლობს მისი სალექციო კურსები: ბიბლიური არქეოლოგია, კულტურა–ისტორიის შესწავლის ობიექტი.

ნებისმიერი მკვლევრის ნაშრომთა შესწავლისას, რასაკვირველია, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება მისი სამეცნიერო მოღვაწეობის შედეგების მნიშვნელობისკენ უნდა მივმართოთ. უბრალო სტატისტიკური მონაცემებიც – 12 მონოგრაფია და სახელმძღვანელო, 110-მდე სამეცნიერო სტატია საკმაოდ შთამბეჭდავია, მაგრამ გაცილებით ბევრზე მეტყველებს ის მხარდაჭერა, რომელიც გურამ ლორთქიფანიძის თეორიებმა თუ ჰიპოთეზებმა პოვეს და რომლებიც წარედგინებოდა მაღალ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებს ლონდონში, ბერლინში, პრაღაში, პეტერბურგში, მოსკოვსა თუ საქართველოს სამეცნიერო ცენტრებში.

გურამ ლორთქიფანიძის მეცნიერული კვლევის რამდენიმე ძირითადი მიმართულება შეიძლება გამოიყოს: ა) ანტიკური კოლხეთის არქეოლოგია, ისტორია და კულტურა. მისი არგუმენტაცია ძირითადად იქითკენაა მიმართული, რომ კოლხეთში, მიუხედავად იმისა, რა ტიპისა თუ დონის გაერთიანება არსებობდა აქ მანამდე, ძვ. წ. VI საუკუნიდან ახალი კოლხური სამეფოს არსებობა უნდა ვივარაუდოთ. მასში სამეფო ძალაუფლების მძლავრი ინსტიტუტი და საზოგადოების სოციალური დიფერენციაციის გამოკვეთილი ნიშნები უნდა დასტურდებოდეს. შესაბამისად, ანტიკური კოლხეთი წარმოგვიდგება ძველაღმოსავლური მონარქიის ტიპის სახელმწიფოდ. ბ) კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაციის ხასიათი. გ. ლორთქიფანიძე ემიჯნება არქეოლოგთა ერთი ნაწილის მოსაზრებას და მიიჩნევს, რომ დიოსკურიასი, ფასისი, გიენოსი და ზოგიერთი სხვა დასახლება აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში პოლისური ტიპის მნიშვნელოვან ცენტრებად წარმოგვიდგებოდნენ. მათში

განმსაზღვრელი ელემენტის როლი არა ადგილობრივ ელემენტს, არამედ ბერძენ კოლონისტებს ეკავათ. გ) ცალკეულ ანტიკურ ცენტრებთან დაკავშირებული პრობლემატიკა. გ. ლორთქიფანიძეს ტრადიციულისგან განსხვავებული თვალსაზრისი აქვს გამოთქმული ვანის ნაქალაქარის სტატუსის მიმართ. მისი აზრით, ელინისტური ეპოქის ვანი იყო არა ინო-ლევკოთეას სატაძრო ქალაქი, არამედ კოლხეთის სამეფოს ერთ-ერთი სკეპტუხიის ცენტრი. ძალზე მნიშვნელოვანია გ. ლორთქიფანიძის მიერ ბიჭვინთის ანუ ანტიკური წყაროების პიტიუნტის არქეოლოგიური მასალისა და ამ დასახლებასთან დაკავშირებული წყაროების სკულპულოზური შესწავლის შედეგად მიღებული დასკვნები დიდი პიტიუნტის საქალაქო თემის კუთვნილი ტერიტორიის საზღვრების, თავად ძველი კოლხეთის პოლიტიკურ და ეთნიკურ საზღვრად მდინარე კორაქსის მიჩნევის, პიტიუნტ ტოპონიმის წარმომავლობის, პიტიუნტის ნაგებობების არქიტექტონიკისა და ფუნქციის, დასახლების ადგილობრივ, მეზობელ და დაშორებულ რეგიონებთან კავშირის და სხვა მრავალი ასპექტის შესახებ. გურამ ყიფიანის თანაავტორობით 2009 წელს გამოცემულ მის წიგნში ქალაქ Saravkh-ს ლოკალიზაციისათვის განხილულია პტოლემაიოსთან მოხსენიებული შიდა კოლხეთის დასახლების – სარაკესა და თანამედროვე საირხის ურთიერთმიმართების საკითხი. ავტორი სარაკეს ურბანულ ცენტრად მიიჩნევს, რომლის არისტოკრატიის ნეკროპოლისი უნდა ყოფილიყო საირხე. დ) ნუმიზმატიკა. მრავალი სტატია და მონოგრაფია: ფულადი მიმოქცევა ცენტრალურ კოლხეთში ძვ. წ. V-I სს. (1983), კოლხური თეთრი – კულტუროლოგიური ასპექტები (2005), ნარკვევები ქართული ნუმიზმატიკის ისტორიიდან (2007) ეძღვნება ძველ საქართველოში ფულისა და ფულადი მიმოქცევის კარდინალურ საკითხებს, რასაც, წმინდა ნუმიზმატიკური ინტერესის გარდა, საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფო გაერთიანებების ისტორიის კვლევისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

სწორედ მეცნიერული დამსახურების გათვალისწინებით აირჩიეს გურამ ლორთქიფანიძე 2009 წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემის წევრ-კორესპონდენტად.

გურამ ლორთქიფანიძე შესანიშნავი მეუღლე, მამა და ბაბუაა. მას აშკარად გაუმართლა ცხოვრებაში, რადგან მეუღლედ კოლეგა, ცნობილი არქეოლოგი, ნინო კილურაძე ჰყავს; მისი ქალიშვილი ქეთევანი წარმატებული ორიენტალისტია. უფროსი შვილიშვილი, თამაზი, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტია, ხოლო უმცროსი, გურამი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის მაგისტრია.

მის გულისხმიერ მეგობრობას მრავალი ჩვენგანი გრძნობს ყოველდღიურად. გურამ ლორთქიფანიძისაგან ჩვენი საზოგადოება ახალ შრომებსა და არქეოლოგიურ აღმოჩენებს ელის ქართული მეცნიერების საკეთილდღეოდ, მისი მოსწავლეებისა და კოლეგების სასიხარულოდ.

რისმაგ გორდეზიანი

პროფ. გურამ ლორთქიფანიძის სამეცნიერო ნაშრომების ბიბლიოგრაფია:
Bibliography of Prof. Guram Lortkipanidze's works:

1. К названию города Диоскурна-Себастополис. Археологический сборник. МГУ. М., 1961.
2. კოლხეთის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, ახალგაზრდა მეცნიერთა XIII კონფერენცია, ისტორიის ინსტიტუტი, თბ., 1962.
3. ქ. დიოსკურიის მონეტების მოტივების შესახებ, „საბჭოთა ხელოვნება", 12, 1962.
4. ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის I უბნის გათხრებისა და სადაზვერვო სამუშაოების ანგარიში, 1961 წელი, კრებ.: „საქართველოში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგები", თბ., 1962.
5. ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1962 წ. სადაზვერვო თხრილსა და I უბანზე ჩატარებული მუშაობის ანგარიში, კრებ.: „საქართველოში 1962 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგები", თბ., 1963.
6. Кувшинные погребения Закавказья. Сборник научных трудов студентов-археологов. М., 1963.
7. ანტიკური ხანის საწონები ვანიდან, ახალგაზრდა მეცნ. მუშაკთა XIV კონფერენცია, თბ., 1964.
8. ლეგენდარული კოლხეთის უძველესი ქალაქი. ჟურნ.: „ცისკარი", 4, 1964.
9. Некоторые вопросы истории Колхиды II-I вв. до н.э., ჟურნ.: „მაცნე", №2, თბ., 1965.
10. 10. О колхидской весовой системе. Сб.: Культура античного мира. «Наука», М., 1966.
11. კოლხეთი ძვ.წ. II-I სს., საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 1966 (ხელნაწერის უფლებით).
12. 12. Животноводство и промыслы в античной Колхиде. Жур.: «Советская археология». №1, 1967.
13. ანტიკური მონეტები ვანის ნაქალაქარიდან, ჟურნ.: „ცისკარი", 8, 1967 (დ. კაპანაძესთან თანაავტორობით).
14. ძვ.წ. V ს. კოლხეთის ისტორიიდან /ჰეროდოტეს ცნობების მიხედვით/, ისტორიის ინსტიტუტის ახალგ. მეცნიერთა და ასპირანტთა კონფერენცია, თბ., 1967.
15. დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის 1966 წლის მუშაობის ძირითადი შედეგები, ისტ. ინსტიტუტის XVI სამეცნ. სესია, მიძღვნილი 1966 წლის საველე-არქეოლოგიური ძიებებისადმი, 1967.
16. Некоторые вопросы религии и культуры античной Колхиды. კრებ.: „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები", თბ., 1967.
17. დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის 1968 წლის მუშაობის ანგარიში, ისტ. ინსტიტუტის XVIII სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1968 წ. საკ. არქეოლოგიური კვლევა-ძიებისადმი, თბ., 1969.

18. Археологические исследования в Дапнари. Археологические открытия в СССР. М.. 1969.
19. Наконечник тарана из Ванского городища. Жур.: «Советская археология». № 4. М.. 1969.
20. Археологические исследования в Дапнари. Археологические открытия в СССР. М.. 1969.
21. К истории античной Колхиды. Тб., 1970 (რეზიუმე ინგლ. ენაზე).
22. Итоги изучения Дапнарского селища. Археологические открытия СССР. М., 1972.
23. დაფნარში 1971 წ. ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები; კრებ.: „არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1971წ.“, თბ., 1972.
24. დასავლეთ საქართველოს საძიებო ექსპედიციის მუშაობის ძირითადი შედეგები, კრებ.: „მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიაში“, ტ.V, 1972 (გ. გრიგოლიასთან და სხვ. თანაავტორობით).
25. ვანის ნაქალაქარის I უბანზე 1961-1963 წწ. ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები, კრებ.: „ვანი“ I, თბ., 1972.
26. ვანის ნაქალაქარის და კოლხეთის სამხედრო ხელოვნების ზოგიერთი საკითხი, კრებ.: „ვანის ექსპედიციის 25 წელი“, თბ., 1973.
27. კოლხური რკინის საბრძოლო და სამეურნეო იარაღის ქიმიურ-ტექნიკური გამოკვლევების შედეგები, კრებ.: „საისტორიო მოამბე“, ტ. VI, თბ., 1973.
28. დასავლეთ საქართველოს ანტიკური ხანის ძეგლთა შესწავლის ისტორიიდან, ჟურნ.: „ცისკარი“, 5, თბ., 1974.
29. კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები 1973 წ., კრებ.: „არქეოლოგიური კვლევა-ძიებანი საქართველოში 1973წ.“ თბ., 1974.
30. ვანის არქეოლოგიური მუშაობის ძირითადი შედეგები 1973 წ., კრებ.: „არქეოლოგიური კვლევა-ძიებანი საქართველოში 1973 წ.“, თბ., 1974.
31. კოლხური პითოსი, კრებ.: „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები“, ტ. VI, თბ., 1974 (ნ. ვაშაკიძესთან თანაავტორობით).
32. ძველი კოლხეთი ძვ.წ. VI-II სს., სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ, 1975 (ხელნაწერის უფლებით).
33. საბრძოლო და სამეურნეო იარაღი ვანის ნაქალაქარიდან, კრებ.: „ვანი“ II, თბ., 1976.
34. 1970-1971 წწ-ში ვანში ჩატარებული საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, კრებ.: „ვანი“ II, 1976.
35. Алтари Ванского городища. Сб.: «Культура античного мира», М., 1977.
36. Домонетные формы денег в Колхиде. Нумизматический сборник. Тб., 1977.
37. მონეტები ვანიდან; კრ. „ვანი“ III; თბ., 1977 (გ. დუნდუასთან თანაავტორობით).
38. ბიჭვინთის ნაქალაქარი, კრებ.: „ძეგლის მეგობარი“, 46, თბ., 1977.
39. ივ. ჯავახიშვილის ბიბლიოგრაფიის უცნობი ფურცლები, თსუ შრომები, ისტ. სერია, 184, თბ., 1977.
40. Фортификационные сооружения Ванского городища. თსუ შრომები, არქეოლოგიის სერია 188, თბ., 1977.

41. Раскопки в Пицунде (1977 г.) Археологические открытия в СССР. М., 1978.
42. კოლხეთის სამხედრო ხელოვნების ისტორიიდან, თსუ შრომები, ისტორიის სერია, 205, თბ., 1979.
43. Дапнарское селище и могильник. К проблеме сельских поселений Колхиды. Жур.: «Краткие сообщения Института археологии», №151, М., 1977.
44. Колхида в VI-II вв. до н.э. Тб., 1978 (რეზიუმე ინგლ. ენაზე).
45. О характере колхо-греческих взаимоотношений в VI-IV вв. до н.э. Проблемы греческой колонизации Северного и Восточного Причерноморья. Тб., 1979.
46. Античные монеты из Вани. Проблемы античной культуры. Ереван, 1979.
47. პიტიუნტის არქეოლოგიური გათხრები, კრებ.: „საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1975 წ.", თბ., 1979.
48. Hellenistic Coins from the site of Vani, in Colchis (Western Georgia). The Numismatic Chronicle. London, vol.139, 1979 (გ. დუნდუასთან თანაავტორობით).
49. Pitiunt-Bitchwinta in der Spatantice. Georgica Jena, 1980 (გ. დუნდუასთან თანაავტორობით).
50. ბიჭვინთის ნაქალაქარის XXII თხრილის შესწავლის შედეგები, კრებ.: „არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1978 წ.", თბ., 1981.
51. Греко-колхские взаимоотношения в VI-IV вв. до н.э. Вестник древней истории, №2, 1982.
52. ანტიკური ხანის ქართული კულტურის ისტორია /იდეოლოგია, რწმენა-წარმოდგენები/, შ. მესხიას ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 1983.
53. Денежное обращение Центральной Колхиды. Тб., 1983 (გ. დუნდუასთან თანაავტორობით).
54. გათხრები ბიჭვინთის სატაძრო კომპლექსის ტერიტორიაზე; კრ. „არქეოლოგიური აღმოჩენები აფხაზეთში", თბ., 1983.
55. Исследования Пицундского городища. Археологические открытия в СССР за 1984 г. М., 1985.
56. Грузия и Митридат VI. Причерноморье в эллинистическую эпоху. Тб., 1985.
57. Раскопки Пицундского некрополя. Археологические открытия СССР.
58. Некоторые вопросы истории античной культуры Грузии. Сб.: «Проблемы античной культуры». М., 1986.
59. Pitius und „Pontos Limes" XIV ლიმეს კონგრესის მასალები, carinuntum, 1986.
60. Клейма XV легиона из Пицундского городища. Вестник древней истории. М., 1987, №2 (თ. თოდუასთან თანაავტორობით).
61. დვრიტა; ჟურნ.: „სკოლა და ცხოვრება", 1, თბ., 1988.
62. Раннехристианская стела из Пицундского городища. Вестник древней истории, №3. М., 1990.
63. Recent work at Pitius (Pitsunda-Bichvinta) Roman Frontier Studies. Univ. of Exeter, 1991.
64. საბრძოლო ეტლის მოდელი გოხებიდან, არქეოლოგიური კრებული, I, თსუ, 1991.
65. ბიჭვინთის ნაქალაქარი, მონოგრაფია, თბ., 1991 (რეზიუმე ინგლ. და რუს. ენებზე).

66. Pitiunt und "Pontos Limes". Preprint. არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, თბ., 1991.
67. Forschungen und Pitious (Pitsunda-Bitschwinta) Prinzipat und Kultur im 1 und 2 Jahrhundert. Bon. 1995.
68. რომაული ლეგიონის ტვიფრიანი აგური ს. მოედნიდან (გურია), კრებ.: „ქართული კულტურის ისტორიის საკითხები„ I, თბ., 1995 (თ. თოდუასთან თანაავტორობით).
69. Скифское изваяние из Восточной Грузии. Историко-археологический альманах. I. М., 1995 (თ. დაშევსაკაიასთან თანაავტორობით).
70. Археологические раскопки в Пицунде. Полевые археологические исследования в 1987 г., Тб., 1995.
71. Das numismatiche Material von Pitiunt; Goergica, №18, 1995, pp.32-38. tafel 3-7 (გ. დუნდუასთან თანაავტორობით).
72. Деталь балисты из Пицундского голодища. акад. მიხაილოვისადმი მიძღვნილი სამუშაო შრომების კრებული, Studia in donorenm G. Mihailov София.1995 (თ. თოდუასთან თანაავტორობით).
73. ჭავჭავაძე და ქართული კულტურის ისტორიის საკითხები, კრებ.: „კულტურის ისტორიის საკითხები" II, თბ., 1996.
74. ქართული კულტურის ისტორია, სახელმძღვანელო, თსუ, 1997 (ნ. ჩიქოვანთან თანაავტორობით).
75. Археологические раскопки в Пицунде. Археологические исследования. Тб., 1998.
76. Проблемы войны и мира в античной Грузии VI-IV вв. до н. э. Caucasica 2, Тб.. 1998.
77. ქართული კულტურის ფენომენისათვის XIX ს. პირველ ნახევარში, კრებ.: „ჩვენ ქართველნი", თბ., 1998.
78. საისტორიო მეცნიერებები, თსუ. 1918-1988 წწ., მეცნიერება და ტექნიკა, 4-6, თბ., 1998.
79. Die Kampfwagen des alten Georgien: Caucasica 3: თბ., 1999 (გ. ყიფიანთან თანაავტორობით).
80. ბალისტი ბიჭვინთის ნაქალაქარიდან, III, საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები, თბ., 1999, გვ. 37-42.
81. Боевые колесницы Грузии. Российская археология, 1999, №4 (გ. ყიფიანთან თანაავტორობით).
82. ქართულ-ბერძნული ეკონომიკური კონტაქტები ძვ.წ. V-IV სს. ფიჭვნარის მასალების მიხედვით, თ. ყაუხჩიშვილისადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 1999.
83. ახალი ფურცლები საქართველო-პოლონეთის ურთიერთობაში, კრებ.: „კულტურის ისტორიის საკითხები", VI, თბ., 1999.
84. ადრექრისტიანული ბაზილიკები ბიჭვინთის X ს. კათედრალის ეზოში, კრებ.: „კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები" IX, თბ., 2000.
85. ჭოროხის აუზი – კოლხური კულტურის უძველესი კერა, რეცენზია ა. კახიძის, შ. მუმლაძის გამოკვლევაზე, კრებ.: „კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები", X., თბ., 2001.
86. სტუმართმოყვარე ფასისელები, კრებ.: „მნემე", თბ., 2000.

87. Coins from Vani (Surium). Phasis, v. 2-3. Tbilisi, 2000.
88. ისიდას სიმბოლოებიანი მონეტები ძველი ვანიდან, გ. ჟორდანიასადმი მიძღვნილი სამეცნიერო შრომების კრებული, თბ., 2001.
89. გონიო-აფსაროსის კასტელის 2 კოშკის გათხრების ძირითადი შედეგები, გონიო-აფსაროსი, III, ბათუმი, 2002 (ს. ნონეშვილთან თანაავტორობით).
90. პტოლემაიოსის „გეოგრაფიის სახელმძღვანელო" და კოლხეთის ქალაქების ლოკალიზაციის პრობლემები, ჯ. რუხაძისადმი მიძღვნილი სამეცნიერო შრომების კრებული „ოჩხარი", თბ., 2002.
91. ფასისის თვითმმართველობის ისტორიიდან, ქართული დიპლომატია – წელიწდეული, 8, თბ., 2002.
92. იუდაიზმი – ებრაული კულტურის საფუძველი, კრებ.: „კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები", XII, თბ., 2002 (კრებული, მიძღვნილი კოტე წერეთლისადმი).
93. კულტუროლოგია, თბ., 2003 (თანაავტორი და რედაქტორი).
94. Numismatic Materials from Bichvinta-Pitiunt. თბილისისა და კორნელის უნივერსიტეტის ერთობლივი ჟურნალი Bulletin of the AGIBAS. თბ., 2003 (გ. დუნდუასთან თანაავტორობით).
95. ნინასიტყვაობა ნ. თომაძის წიგნისათვის – „იცხაკ დავითი და ჯვრის მონასტრის სიძველეები", თბ., 2003.
96. აჰმედ აჭარი და ხიმშიაშვილების გვარის ისტორია, თბ., 2004, გვ. 5-84 (ქეთევან ლორთქიფანიძესთან თანაავტორობით).
97. Монеты Диоскуриады из городища Беляус (Крым), კავკასიურ-აღმოსავლური კრებული, XI, თბ., 2004 (ო. დაშევსკაიასთან თანაავტორობით).
98. ავრელიოს აქოლისი რომის მოქალაქე, კრებ.: „ქრისტიანობის ოცი საუკუნე საქართველოში", თბ., 2004.
99. Аврелий Ахол–Квазипрозелит?!. Сб.: «Археология, этнология, фольклористика Кавказа». Тб., 2004.
100. სსრკ – რუსეთის იმპერიის მემკვიდრე, კრებ.: „კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები", XX, თბ., 2004.
101. ბიჭვინთა – პიტიუნტი ახ.წ. I-II სს., პროფ. კ. კუციასადმი მიძღვნილი სამეცნიერო შრომების კრებული „ახლო აღმოსავლეთი და საქართველო", IV, თბ., 2004.
102. კოლხური თეთრი – კულტუროლოგიური ასპექტები, თბ., 2005 /ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე/ (გ. გერაძესთან თანაავტორობით).
103. რუსეთის V არქეოლოგიური ყრილობა და ქართული ნუმიზმატიკის პრობლემები, კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, XXII, თბ., 2005.
104. ქართული კულტურა ანტიკურ ხანაში, „საქართველოს ისტორია", I ტომი, თსუ, 2006, რედაქტორი აკად. რ. მეტრეველი.
105. Sinop Amphorae and Trapezunt Coins from Pitiunt, kerb.: "Production and Trade of Amphorae in the Black Sea." International Round Table Conference. Batumi-Trabzon, 2006.
106. Проблемы археологии на страницах журнала «Кавказская старина». «Археология Кавказа», I. Тб., 2006.
107. დასკვნა მ. ხიდაშელის სადოქტორო დისერტაციაზე, კავკასიურ-აღმოსავლური კრებული, XII, თბ., 2006.

108. V археологический съезд в Тифлисе и проблемы истории евреев на Кавказе. კრებ.: „კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები", XXIII, თბ., 2007.
109. ნარკვევები ქართული ნუმიზმატიკის ისტორიიდან, თბ., 2007 (გ. გერაძესთან თანაავტორობით).
110. ცედაკა – ცედაკას-ს ინსტიტუტი ებრაულ კულტურაში, აკად. მ. ლორთქიფანიძის იუბილესადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 2007.
111. ებრაელები საქართველოში (დოკუმენტების ნუსხა), კრებ.: „კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები", XXIV, თბ., 2008 (ზ. ჟვანიასთან თანაავტორობით).
112. სვანეთი – ანტიკური ხანის საქართველოს ზარაფხანა (ზ. კვიციანთან და გ. გერაძესთან თანაავტორობით), თბ., 2008 (ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე).
113. სვანეთის 2007 წლის კულტურულ-ისტორიული ექსპედიციის შედეგები, თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის სამეცნიერო ექსპედიციები I, თბილისი, 2008 (ზ. კვიციანთან თანაავტორობით).
114. სვანურ-კელტური პარალელები, კრებ.: „სვანეთი" III, თბ., 2008 (ზ. კვიციანთან თანაავტორობით).
115. ქალაქ „სარაკეს" ლოკალიზაციისათვის, თბილისი, გამომცემლობა „არტანუჯი", 2009 (გ. ყიფიანთან თანაავტორობით).
116. აფხაზები ქართული ლიტერატურის ზოგიერთ წყაროში. სამეცნიერო კონფერენცია – „სიყვარული გზად და ხიდად", ბათუმი, 2008 (ვ. შამილაძესთან თანაავტორობით).
117. Sinopian Amphorae and Trapezuntine coins from Pityus. Varia Anatolia XXI, De Boccard Editum, Paris, 2009.
118. სვანური ოქრო (სვანური ოქროს პრობლემისათვის ანტიკურ ხანაში) კრ. საქართველო და მსოფლიო, ბათუმის შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ბათუმი, 2009 (ზ. კვიციანთან თანაავტორობით).
119. მიხეილ ბარათაევი და მისი სალონური ალბომი, კრებ.: „კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები", XXV, თბ., 2009 (ინგლისური რეზიუმეთი).
120. Fortress Building "Korogly" in the eastern part of Georgia. კრებ.: Plot of Gorogly and the oriental Literature. Dasoguz, 2009.
121. დანიელ ხანანაშვილის ბიბლიოგრაფიული მემკვიდრეობა, ჟურ.: „ებრაული სამყარო", გამომცემლობა „ჰილელ-თბილისი", 5, 2009.
122. „მოქცევაი ქართლისაი" და მცხეთის გალუთი გვიანანტიკურ ხანაში, სამეცნიერო კრებული „ისტორიანი", მიძღვნილი აკად. როინ მეტრეველის 70 წლისთავისადმი, თბ., 2009 (გურამ ყიფიანთან თანაავტორობით, რეზიუმე ინგლისურ ენაზე).

ლერი ჯიბლაძე

კოლხეთის დაბლობის შუაბრინჯაოს ხანის ზოგიერთი არქეოლოგიური არტეფაქტის ინტერპრეტაციისათვის

წინამდებარე სტატიაში ყურადღება გვინდა გავამახვილოთ რამდენიმე არქეოლოგიურ არტეფაქტზე, რომელიც სხვადასხვა დროსაა გამოვლენილი ანაკლია II-ზე (ზუგდიდის რაიონი) და გაგიდაში (გალის რაიონი). მართალია ეს მასალა გამოქვეყნდა, მაგრამ მათ შესახებ არსებულმა მწირე მონაცემებმა გვიბიძგა სტატიის მომზადება. ზოგიერთი ნივთის აღმოჩენიდან გარკვეულმა დრომ განვლო და დაგროვდა შესადარებელი ახალი მასალა. ყოველივე ეს კი შესაძლებლობას იძლევა დავაზუსტოთ ზოგიერთი არტეფაქტის ფუნქციონალური დანიშნულება, გავავლოთ ახლო პარალელები სხვა არქეოლოგიურ კულტურაში ცნობილ ამგვარ ნივთებთან და ა.შ.

ანაკლია II-ზე შუაბრინჯაოს ხანის ფენაში იხსენიებენ ბრინჯაოს ნივთს [14,35], რომელიც მთლიან კომპოზიციურ სისტემაში ჯვრის ფორმას იმეორებს. მისი აღწერილობა და შესადარებელი მასალა ადრე არ იყო ცნობილი. იგი ბრტყელი ფირფიტაა (სიგრძე 9 სმ, სიგანე 7 სმ), რომლის ცალ მხარეს ზედაპირზე მწყობრად დატანილია ხუთი ნაჭდევი. ერთი ფრთის (მკლავის) დაბოლოება გარეთაა გადმოკეცილი, რომელიც ქმნის ერთგვარ ცდუნებას ამ ნივთის მინიატურულ საკიდად მიჩნევაზე (ტაბ. I_5)

საქართველოს ტერიტორიაზე ტიპოლოგიურად განსხვავებული ჯვრისებური ფორმის საკიდები გვხვდება ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულს საჩხერეში – ქორეთის სამაროვანზე [9, 180, სურ. 36_1] და გვიანბრინჯაოს ხანაში თლიას სამაროვნის ძვ.წ. XII-X სს-ების სამარხეულ კომპლექსებში [16,167, სურ. 112_{13}]. ანაკლია II-ის ჯვრისებური ფორმის მინიატურული საკიდი ტიპოლოგიურად ახლოს დგას ყულევის ნამოსახლარის (ხობის რ-ნი) ძვ. წ. I ათასწლეულის საწყისი პერიოდის მეორე კულტურულ ფენაში გამოვლენილ ამ რიგის ბრინჯაოს ნივთთან [6, ტაბ. 91_{15}]. სინქრონულობის თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულითა და ძვ.წ. II ათასწლეულის საწყისი პერიოდით დათარიღებული უსტამიშკის (დაღესტანი) ყორღანში მიკვლეული ბრინჯაოს ჯვრისებური ფორმის საკიდები [14,305].

ასევე საყურადღებოა ანაკლია II-ის №1 სათავსოს იატაკზე აღმოჩენილი ძვლის ბიპირამიდისებური ისრისპირი (საერთო სიგრძე 12,5 სმ) [15,23] (ტაბ. I_6). აქვს წვეროსკენ თანდათანობით შევიწროებული პირი, დაშვებული მხრები და მრგვალგანიკვეთიანი ყუნწი (დმ – 1,2 სმ).

კოლხეთის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლებზე შედარებით პატარა ზომის ძვლის ისრისპირი იშვიათად გვხვდება ნოსირი მესამეზე [I ფენა, 2,103, ტაბ. $46_{17,30}$]. ასევე აღსანიშნავია ჩიხორის ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარიდან მომდინარე ყუნწიანი ძვლის ისრისპირი, რომელსაც შიდა ქართლის ძეგლებიდან თვლიან მოხვედრილად [4,110]. ანაკლია II-ის ძვლის ბიპირამიდისებური ისრისპირის ახლო პარალელები ცნობილია მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების II და III საფეხურზე [5, 66-67]. მოგვიანებით ამ ნივთს ვხვდებით ბედენური კულტურის საფეხურის ძეგლებზეც [5, 66-67][1]. ცალკეული დეტალების მიხედვით შესამჩნევია მსგავსება ბერიკლდეების, ციხია გორასა და წნორის 2 ყორღანში აღმოჩენილ ძვლის ისრისპირებთან [3, 93-94, ტაბ. XII, XXXIII, LLXXVIII: 8,29, ტაბ. $X_{2,4}$; 12,41, ტაბ. XLII]. მათ შორის განსხვავება ვლინდება ზომებში (ანაკლია II-ის ძვლის ისრისპირი უფრო პატარაა).

სხვა მონაცემებთან ერთად შესაძლოა ეს ფაქტი მიუთითებდეს გარკვეულ ეტაპზე (ძვ.წ. III ათასწლეულის დასასრული, ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისი) ბედენური და პროტოკოლხური კულტურების სინქრონიზაციაზე.

სოფ. გაგიდის[2] სამაროვნიდან მომდინარე შემთხვევით აღმოჩენილ ბრინჯაოს მრავალრიცხოვან ინვენტარს არაერთი სტატია მიეძღვნა [არსებულ ლიტერატურაზე იხ. 11, 74-82, ტაბ. I, II, III]. ამ მონაცემებს ნაწილობრივ ავსებს ახლახან გამოქვეყნებული ნაშრომი, სადაც აფხაზეთის ძეგლებიდან მომდინარე მასალებთან ერთად შეტანილია ამ ძეგლის ბრინჯაოს არტეფაქტები [1,54-57]. მათგან გვინდა ვისაუბროთ ბრინჯაოს თოხზე და საფხეკებზე, რომლებიც, ამ კოლექციაში შემავალ სხვა არტეფაქტებთან ერთად, ძალზე მწირედ არის გაშუქებული[3]. თუმცა ჩვენთვის გასაგებია, რომ ეს ნაშრომი არის საცნობარო (ალბომური) ხასიათის და მიზნად არ ისახავდა მათ ტიპოლოგიურ დახასიათებას, ზომებს და სხვა მონაცემებს.

ბრინჯაოს თოხს აქვს დაახლოებით 10-11 სმ სიგრძე (მასშტაბის მიხედვით). ყველაზე განიერი ადგილის სიფართე 8 სმ-ს აღწევს; ახასიათებს ჰორიზონტალური მხრები, მრგვალი სატარე ხვრელი (დმ – 2,5 სმ), რომელიც

[1] ძვლის ისრისპირები გვხვდება სამთავროს სამაროვნის ძვ.წ. XI–X სს-ების კომპლექსებში [15, 23]. ანაკლია II-ის ძვლის ისრისპირის შორეულ პარალელებს ხედავენ მდ. პოს ხეობაში (ჩრდილოეთ იტალია) გავრცელებულ ტერამარას კულტურის ძეგლზე კასტიონის ნამოსახლარზე. აქ რქის პირამიდისებური ისრისპირები ვრცელდება 2000-1000 წწ. [15,23].

[2] სოფ. გაგიდის სამაროვანი მდებარეობს გალის რაიონის ზღვისპირა ზოლში სოფ. ფიჩორის ნამოსახლარიდან ჩრდილო-დასავლეთით 2 კმ მანძილზე, ადგილი ნაჭკადუში [1,54; 11,157]. როგორც ჩანს, ის ადგილი, სადაც სავარაუდოდ სამაროვანი მდებარეობს, ზღვას აქვს მიტაცებული და ყოველი ღელვის დროს სანაპირო ზოლში არქეოლოგიური მასალები ირიყება [11,157]; გაგიდის მასალების ნაწილი დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, ნაწილი კი – ქუთაისსა და ზუგდიდში, ასევე კერძო კოლექციებში [1,56]. მასალების გარკვეული ნაწილი უგზო-უკვლოდ არის გაბნეული.

[3] გაგიდის ბრინჯაოს თოხისა და საფხეკების გრაფიკული ჩანახატები შესრულებულია მოხსენიებული ნაშრომის ფოტოებზე დაყრდნობით [1,55-56]

დასმულია თოხის ზედა ნაწილის ცენტრში. აქვს ფართო, თითქმის თანაბარი ზომის ტანი, რომელიც მომრგვალებული განიერი პირისკენ თანდათანობით ვიწროვდება. შიდა ნაწილზე, ურეკის განძში შემავალი თოხების მსგავსად, მასაც სიგრძეზე ვერტიკალურად დაუყვება რელიეფური ზოლი. კოლხეთის დაბლობზე იდენტური ბრინჯაოს თოხის ჩამოსასხმელი ყალიბის ფორმა ცნობილია ანაკლია II-ის შუაბრინჯაოს ხანის ნამოსახლარიდან [15,30, ტაბ. $VII_{12,13}$]. ახლო პარალელები შეინიშნება ფიჩორისა და ურეკის განძში შემავალ ბრინჯაოს თოხებთან (ტანის შიდა ნაწილზე ვერტიკალურად დატანილი რელიეფური ზოლებით, მსგავსება მოყვანილობის მიხედვით და ა შ.) [7,10, ტაბ. $I_{7,8}$. 10, ტაბ. $XCV_{21,25}$]. ყველა ეს სამინათმოქმედო იარაღი ბრინჯაოს თოხების ერთ ჯგუფში შედის, რომელიც პროტოკოლხურ ხანაში (ადრებრინჯაოს დასასრული, შუაბრინჯაოს პერიოდი, დაახლოებით ძვ.წ. XXII-XVI სს-ები) გავრცელებული იყო კოლხეთის დაბლობის მთელ ზღვისპირა ზოლში. მათ შორის მცირე განსხვავება ვლინდება ფორმის მიხედვით; ასევე ისინი უნდა დაიყოს მიწის პირველად (ურეკისა და ფიჩორის მონაზვინ ფენაში მიკვლეული ნაწვეტებულპირიანი სამკუთხა ფორმის თოხები) და მეორად (ანაკლია II-ის, ფიჩორის VII-VIII ფენისა და გაგიდის შედარებით პირფართო თოხები) დასამუშავებელ იარაღებად.

ვფიქრობთ, გაგიდის ბრინჯაოს თოხი უნდა მიეკუთვნოს ამ რიგის იარაღების მეორე ვარიანტს [10,65, ტაბ. $XCVI_{3,4}$]. გაგიდის კოლექციიდან ძალზე საყურადღებოა ბრინჯაოს სამი ბრტყელი საფხეკი, რომელთა სიგრძე (მასშტაბის მიხედვით) აღწევს 12, 12,5 სმ-ს (ტაბ. I_{1-3}) [1,55] ბრინჯაოს იარაღს გააჩნია გვერდითი შვერილებიანი თავი (ყუა). იგი ტანიდან ასიმეტრიული მოყვანილობის პირისაკენ თანდათანობით ფართოვდება.

კოლხეთში ამ ტიპის იარაღი იშვიათობას წარმოადგენს. იგი ცნობილია მხოლოდ ურეკის შუაბრინჯაოს ხანის განძიდან [7,10, ტაბ. I].

ამრიგად, როგორც ვხედავთ, გაგიდის კოლექციაში წარმოდგენილია მეტად საყურადღებო შემთხვევითი მონაპოვარი ბრინჯაოს მასალა, რომელიც, სხვა მონაცემებთან ერთად, კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ მდ. ენგურის და გაგიდისწყლის ქვემო წელი წარმოადგენდა პროტოკოლხური და ძველი კოლხური კულტურების ფორმირების ერთ-ერთ წამყვან ცენტრს. სამწუხაროა, რომ ამ უნიკალურ ძეგლზე დღეს არსებული პოლიტიკური ვითარების გამო სტაციონარული არქეოლოგიური გათხრებით ხელი არ მიგვიწვდება. ამის გამო იძულებული ვხდებით ვარაუდების დონეზე შემოვიფარგლოთ. ფიქრობენ, რომ გაგიდის მასალები უნდა მომდინარეობდეს კოლექტიური სამარხებიდან, სადაც მიცვალებულები მეორადი დაკრძალვის რიტუალით იყო დაკრძალული [1,56].

Leri Jibladze

Towards the Interpretation of Some Middle Bronze Age Archeological Artefacts from Colchis Lowland

Summary

This article includes some additional data on bronze and bone articles discovered in the old settlement of Anaklia II and in Gagidi sepulchre. The bronze item found in the Middle Bronze Age layer of Anaklia II site is, presumably, a cross-shaped miniature pendant. A pyramid-shaped bone arrowhead discovered in Anaklia II, which finds close parallels with similar items spread in Bedenic culture (Eastern Georgia), also deserves special attention. A bronze hoe and scrapers randomly found in north-west Colchis in Gagidi sepulchre (Gali region), which are analogous to Pichora, Anaklia II and Ureki treasure artefacts, are of interest as well.


ლიტერატურა – REFERENCES

1. ბარამიძე მ., აფხაზეთი, ტ. II, თბ., 2009.
2. გოგაძე ელ., კოლხეთის ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ნამოსახლართა კულტურა, თბ., 1982.
3. მახარაძე ზ., ციხის გორას მტკვარ-არაქსული ნამოსახლარი, თბ., 1994.
4. ორჯონიკიძე ალ., ქვის ისრისპირები საქართველოში, ძიებანი 13-14, თბ., 2004.
5. ორჯონიკიძე ალ., მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების ძირითადი საფეხურები აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 2004.
6. პაპუაშვილი რ., ყულევი, ხელნაწერი, თბ., 2007.
7. ქორიძე დ., კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965.
8. ჯალაბაძე მ., ბედენის კულტურა შიდა ქართლში (ბერიკლდეების ნამოსახლარი), საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი, თბ., 1998.
9. ჯაფარიძე ოთ., ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბ., 1961.
10. ჯიბლაძე ლ., კოლხეთის დაბლობის ძვ.წ. III-II ათასწლეულების ნამოსახლარები, თბ., 2007.
11. ჯიბლაძე ლ., პაპუაშვილი რ., ხვისტანი რ., შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანის სანყისი პერიოდის უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენა გალის რაიონის სოფ. გაგიდაში, ძიებანი, 13-14, თბ., 2004.
12. Делабришвили Ш., Курганы Алазанской долины. Тб.. 1979.
13. Марковин В. И.. Северо-восточный Кавказ в эпоху бронзы. Археология эпохи бронзы Кавказа и Средней Азии. Ранняя и средняя бронза Кавказа. М., 1994.
14. Микеладзе Т.. Мусхелишвили Д.. Хахуташвили Д.. Итоги полевых исследований Колхидской археологической экспедиции. Полевые археологические исследования в 1977 г. Тб., 1980.
15. Микеладзе Т., К археологии Колхиды (эпоха средней и поздней бронзы-раннего железа). Тб.. 1990.
16. Техов Б.. Центральный Кавказ в XVI-X вв. М., 1977.

ტაბულის აღწერილობა

1-3. ბრინჯაოს სამი ბრტყელი საფხეკი გაგიდის კოლექციიდან.
4. ბრინჯაოს თოხები.
5. ჯვრის ფორმის ბრინჯაოს ნივთი.
6. ძვლის ბიპირამიდისებური ისრისპირი ანაკლია II-დან.

ტაბულა



ირინე ჭაჭიშვილი

ერთი ხეთური ფორმულის ინტერპრეტაციისთვის

ხეთური ზმნის – eku-/aku- („დალევა“) მნიშვნელობის დადგენა უკავშირდება იმ ისტორიულ ფრაზას (nu NINDA-an czzatteni iter-ma ekutteni“ – პურს შეჭამთ, ხოლო წყალს დალევთ“), რომლის მეშვეობითაც საბოლოოდ გაიშიფრა ხეთური ენა და დაიწყო მისი შესწავლა.

იმის მიუხედავად, რომ თავად ზმნის მნიშვნელობა გარკვეულია, მეცნიერთა შორის დიდი ხანია დავის საგანს წარმოადგენს ხეთური რელიგიური შინაარსის ტექსტებიდან ცნობილი სარიტუალო ფორმულა, რომელშიც ზმნა eku-ს ახლავს ამა თუ იმ ღვთაების სახელი ან საკულტო ობიექტი აკუზატივში (სახელი შეიძლება მოსდევდეს ზმნას ან წინ უძღოდეს მას)[1]. მაგალითად მოვიყვან შემდეგ ფრაზას: DHuwaššannan ekuzi. სიტყვასიტყვით მას ასე ვთარგმნით: „ის სვამს ღვთაება ხუვასანას“. ღვთაების სახელი ხეთურ ფრაზაში აკუზატივის (პირდაპირი ობიექტის) ბრუნვაშია მოცემული. აღსანიშნავია, რომ მსგავს სარიტუალო ფორმულებში ზმნასთან „დალევა“ ღვთაების სახელი გვხვდება დატივშიც, ირიბი ობიექტის ბრუნვაში. სადავოა როგორც ამ ფორმულების ურთიერთმიმართება, ასევე მათი შინაარსი.

ვინც ამ ფორმულებს ერთმანეთისაგან ფუნქციურად განასხვავებს, ცხადია, მათ განსხვავებულადაც თარგმნის. ჯერ კიდევ ბ. ჰროზნიმ მიაქცია ყურადღება ფორმულას, რომელშიც ზმნასთან – eku- ღვთაების სახელი აკუზატივში დგას და ზმნა თარგმნა როგორც „დალევინება“, „დასალევად მიცემა“ [10,85 n.2].[2] მეცნიერთა ნაწილი კი იმავე კონსტრუქციაში მოცემულ eku-ში „ზიარების“ აღმნიშვნელ ზმნას ხედავს [7,40].[3]

ფორმულა, რომელშიც eku- ირიბ ობიექტთან (=ღვთაების სახელი მიცემით ბრუნვაში) გვხვდება, ჩვეულებრივ, ითარგმნება როგორც „დალევა ღვთაებისთვის, ღვთაების სადიდებლად“.[4]

პირველად ი. ფუშველმა გამოთქვა მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ეკუ- + ღვთაების სახელი აკუზატივში იდენტურია ფორმულისა, რომელშიც სახელი დატივში დგას და, შესაბამისად, უნა გავიგოთ როგორც „დალევა ღვთაების პატივსაცემად, სადიდებლად“. გარდამავალი ზმნა პირდაპირი ობიექტით მას მოაგონებს ინგლისურ ზმნას – „to toast“. ფუშველის მოსაზრე-

---

[1] კონტექსტების ყველაზე სრული მიმოხილვისთვის იხ. [12; 8,29-33; 17,261-268].

[2] იხ. აგრეთვე [6.210 n. 2: 16.132].
შდრ. [2,63-64].

[4] იხ. [18,283-289]. იქვე მითითებულია ბიბლიოგრაფია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ბა, დამატებითი მასალის მოშველიებით, განამტკიცა ო.კარუბამ. მან აჩვენა ამ ორი კონსტრუქციის იდენტურობა და გამორიცხა თარგმანი „დალევინება“.[1]

ამის მიუხედავად, დისკუსია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ დამთავრებულა და დღემდე გრძელდება. ფუჰველისა და კარუბას მიმდევრებს შორის შეიძლება დავასახელოთ: ჰ. აიხნერი,[2] კ. მელჩერტი,[3] ი. კლინგერი[4] და სხვ.

მეცნიერთა ნაწილი არ იზიარებს ამ ფორმულების იგივეობას[5] ან ცნობს იგივეობას, მაგრამ განსხვავებულ ინტერპრეტაციას გვთავაზობს. მაგალითად, ა. კამენჰუბერის თანახმად, ორივე შემთხვევაში (ე.ი. eku- + ღვთაების სახელი აკუზატივში ან დატივში) იგულისხმება მსხვერპლშესხურება [11,143-155]. იგი თვლის, რომ აღნიშნული სარიტუალო ფორმულით გადმოცემული მოქმედება, ზოგადად მსხვერპლშესხურებისგან განსხვავებით, თავდაპირველად, ე.ი. ხათური წარმოშობის საკულტო ტექსტებში, მხოლოდ მეფის ან მეფედედოფლის მიერ სრულდებოდა, მოგვიანო ხანის ტექსტებში კი წარმოადგენს კონტამინაციის შედეგს. საკითხი დღემდე საკამათოა.[6]

მე ვიზიარებ ზემოთ აღნიშნული სინტაქსური სტრუქტურების (eku- + ღვთაების სახელი აკუზატივში ან დატივში) ექვივალენტურობას და ინტერპრეტაციას – „დალევა ღვთაებისათვის, ღვთაების სადიდებლად“. რამდენიმე წლის წინ გამოქვეყნებულ ნაშრომში ჩემი კვლევის საგანს წარმოადგენდა „ღვთაების დალევა“, როგორც ერთ-ერთი სტრუქტურული ელემენტი რიტუალისა, ამ სარიტუალო აქტის შემსრულებლები, მოქმედებები, რომლებიც რიტუალურ დალევას წინ უძღოდა ან უშუალოდ მოსდევდა და ა.შ [1,92 შმდ]. დღეს ამ საკითხისადმი მიბრუნება განაპირობა მისი სხვა კუთხით, სახელდობრ, ხეთურ-ხათურ-ქართველურ ენობრივ პარალელთა შუქზე განხილვის სურვილმა.

შესაძლოა, რომ ჩვენთვის საინტერესო ფორმულით აღნიშნული რიტუალური მოქმედება, მრავალი კულტისა და მათთან დაკავშირებული რიტუალის მსგავსად, ხეთებმა ხათებისაგან შეითვისეს.[7] იქნებ, ფორმულის სხვადასხვა

---

[1] იხ. [4,40-41].

[2] იხ. [5,66].

[3] იხ. [15.245 ff.]. კ. მელჩერტის აზრით, რიტუალურ გამოთქმაში – „ღვთაების დალევა“ არსებითად ირიბი ობიექტი, დამატებითი სინტაქსური ტრანსფორმაციის შედეგად, ფორმალურად პირდაპირ ობიექტად იქცევა. აკუზატივიანი კონსტრუქცია მხოლოდ და მხოლოდ სინტაქსური ვარიანტია სტრუქტურისა ღვთაების სახელით დატივში. ის ხედავს მსგავს სტრუქტურებს ხეთურ სარიტუალო კონტექსტებში და ძალიან ფრთხილად გამოთქვამს ვარაუდს ხეთურში დადასტურებული ამ ფენომენის ნინარეინდოევროპული წარმოშობის შესახებ.

[4] იხ. [14,733 ff.].

[5] იხ. მაგ., [18,288].

[6] "Auch die erschöpfend behandelte, aber innerhalb des hethitischen Sprachgefühls bislang nicht einhellig geklärte Phrase "GN ... aku- / eku-" – ასე ახასიათებს ო. სოისალი [19.358] ჩვენთვის საინტერესო ფრაზის შესწავლის მდგომარეობას.

[7] ხათურ-ხეთურ სადღესასწაულო რიტუალებში „ღვთაების დალევის“ კონტექსტებზე მითითებებისთვის იხ. [12,134-170; 12,208-232].

სინტაქსური ვარიანტების არსებობის ახსნა სწორედ მის ხათურ წარმოშობაშია საძებნი?[1]

ინდოევროპულ ხეთურში გარდამავალი ზმნის პირდაპირი ობიექტის ბრუნვა აკუზატივია. რაც შეეხება ხათურს, აქ მეცნიერთა აზრები იყოფა. ზოგი მას ერგატიულ ენად მიიჩნევს,[2] ზოგიც მის ერგატიულობას ეჭქვეშ აყენებს იმ საფუძველზე, რომ გარდამავალ და გარდაუვალ ზმნათა სუბიექტი თითქოს არ განირჩევა არც ბრუნვის ნიშნის და არც ზმნის პირის ნიშნის დონეზე.[3] მაგრამ ეს ხომ სწორედ ისაა, რაც ქართულში: გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებში არ განსხვავდება სუბიექტური პირის ნიშნები. სუბიექტი ერგატივში (მოთხრობით ბრუნვაში) მხოლოდ გარდამავალი ზმნის ნამყო სრულ ფორმასთან გვხვდება. ასეთ შემთხვევაში პირდაპირი ობიექტი სახელობით ბრუნვაშია. დროთა უმეტესობაში ორივე ჯგუფის ზმნის სუბიექტი სახელობითშია, ხოლო პირდაპირი ობიექტი – მიცემითში, რომელიც ამავდროულად ირიბი ობიექტის ბრუნვაცაა.

ხათურში, ცოდნის დღევანდელ დონეზე, რიგ შემთხვევაში, ობიექტის ბრუნვის ნიშნად შეიძლება გავიგოთ š-ი. მკვლევართა შორის სადავოა, რომელ ბრუნვას შეესაბამება იგი – დატივს თუ აკუზატივს [9,138]. შესაძლოა, ინდოევროპელი ხეთებისთვისაც არ იყო ადვილი ხათურ სინტაქსურ კონსტრუქციებში გარკვევა და მათ გადმოსაცემად ორი სხვადასხვა ვარიანტის გაჩენაც – ობიექტით დატივში და ობიექტით აკუზატივში – ამით შეიძლება აიხსნას.

აღსანიშნავია, რომ „ღვთაების (სადიდებლად) დალევა“ ქართველურ სამყაროს მხოლოდ სინტაქსური კონსტრუქციით არ უკავშირდება. ხეთური სარიტუალო ტექსტების იმ პასაჟებს, სადაც „ღვთაებათა დალევაა“ აღწერილი, ჩემი აზრით, საკმაოდ ჰგავს სვანური სადღესასწაულო ნადიმები, რომლის დროსაც აუცილებლად უნდა შესმულიყო იმ ღვთაების სადიდებელი სადღეგრძელო, რომლის სახელზეც იმართებოდა დღესასწაული.[4]

Irine Tatishvili

To the Interpretation of a Hittite Formula

Summary

Despite painstaking investigation, the debate over the meaning of the Hittite ritual formula "DN (in acc. or in dat.) + aku-/ eku-" continues. I share the view that both structures with the name of a divinity in accusative or in dative mean "drink to (the

[1] შდრ. [19,357].
უახლესი ნაშრომებიდან იხ. მაგ., [2,10 ff.]; იხ. იქვე ამ თემაზე დისკუსიის მიმოხილვა.

[3] იხ. მაგ., [9,137 ff.]: შდრ. [13,36 ff.]
დეტალური აღწერილობისთვის იხ. [3:72 слл.].

honor of) the divinity X". In the article I suggest that parallel evidence from the Georgian language could help us to explain the existence of different syntactic structures in the Hittite with the Hattic origin of this phrase.

ლიტერატურა – REFERENCES

1. ტატიშვილი ი., ქ. სამუხას იშთარის საშემოდგომო სადღესასწაულო რიტუალი, კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული IX, თბ., 1998, გვ. 89-101.
2. Ардзинба В.. Ритуалы и мифы древней Анатолии. М., 1980.
3. Бардавелидзе В., Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен. Тб..2 1957.
4. Carruba O., Beschwörungsritual für die Göttin Wisurijanza (Studien zu den Boğazköy-Texten Heft 2). Wiesbaden, 1967.
5. Eichner H., Indogermanische Chronik 24a. Anatolisch. Die Sprache 24. 1978. 61-70.
6. Friedrich J., Aus verschiedenen Keilschriftsprachen. 1-2. Orientalia NS 9. 1940. 205-218.
7. Friedrich J., Hethitisches Wörterbuch. Heidelberg. 1952.
8. Friedrich J., Kammenhuber A.. HethitischesWörterbuch. Zweite, völlig neuarbeitete Auflage auf der Grundlage der edierten hethitischen Texte. Bd. II: E, Lief. 9-10. Heidelberg, 1988, 29-33.
9. Girbal Ch., Beiträge zur Grammatik des Hattischen. Frankfurt. M. 1986.
10. Hrozný B., Die Sprache der Hethiter. Leipzig. 1917.
11. Kammenhuber A.. Heth. hassus 2-e ekuzi "der könig trinkt zwei". Studi micenei ed egeo-anatoloci XIV. 1974. 143-155.
12. Kammenhuber A.,_Archi A., Materialien zu einem hethitischen Thesaurus. Lief. 3-7. Nr. 5: eku-/ aku-. Heidelberg. VI + 371. 1975-6.
13. Klinger J., Hattisch und Sprachverwandtschaft. Hethitica XII (BCILL 78). 1994. 23-40.
14. Klinger J.. Untersuchungen zur Rekonstruktion der hattischen Kultschicht (Studien zu den Boğazköy-Texten 37). Wiesbaden. 1996.
15. Melchert H.C., "God-drinking." A Syntactic Transformation in Hittite. Journal of Indo-european Studies 3-4. 1981. 246-254.
16. Otten H.. Hethitische Totenrituale1958. Berlin. 1958.
17. Puhvel J., Hittite Etymological Dictionary. Vol. 2: E. I. Berlin/New York/ Amsterdam, 1984, 261-268.
18. Rosenkranz B.. Kultisches Trinken und Essen bei den Hethitern. Festschrift H. Otten. Wiesbaden, 1973, 283-289.
19. Soysal O., Recenzia wignze: Schuster H.S., Die Hattisch-Hethitischen Bilinguen. II. Textbearbeitungen Teil 2 und 3. Leiden – Boston – Köln. 2002. in: Bibliotheca Orientalis LXI No 3-4, 2004, 355-378.
20. Taracha P.. Neues zu Sprache und Kultur der Hattier. OLZ 93. Heft 1, 9-18. 1998.

ზვიად კვიციანი, ლერი ჯიბლაძე

კოლხეთის მთისა და ბარის ურთიერთობის საკითხები ბრინჯაოს ხანაში (ზოგადი მიმოხილვა სვანეთის მასალების მიხედვით)

კოლხეთის მთისა და ბარის ურთიერთობის გარკვევა ბრინჯაოს ხანაში საკმაოდ პრობლემური ხასიათისაა. ამ დროს ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება გეოგრაფიულ ფაქტორს. მაღალმთიან ზოლში მდებარეობა, შედარებით მკაცრი კლიმატური პირობები, ძნელად მისადგომ ადგილებში ცხოვრება განაპირობებდა მთიანი სვანეთისა და კოლხეთის ბარის მოსახლეობის ერთგვარ გამიჯვნასა და კარჩაკეტილობას. ბუნებრივია, ეს ფაქტორი ხელს შეუშლიდა ამ რეგიონების მოსახლეობას, უკეთ გაცნობოდა ერთმანეთის კულტურულ მიღწევებს, გარკვეული კონტაქტები ჰქონოდა ურთიერთშორის, აეთვისებინა კერამიკული და მეტალურგიული წარმოების მიღწევები და გაეზიარებინა გამოცდილებები. ამის გამო რამდენადმე განსხვავებული უნდა ყოფილიყო მათი მსოფლმხედველობა, რელიგიური წარმოდგენები, ეკონომიკური დონე და ყოფა-ცხოვრება. ყოველივე ეს ალბათ განაპირობებდა მთის ბარისაგან ერთგვარ გათიშვას და ბრინჯაოს ხანის კულტურების შიდა განვითარებაში ლოკალური კერების ჩამოყალიბებას. ამ საკითხების მეტ-ნაკლებად გარკვევაში გარკვეული სიცხადის შეტანა შეუძლია იმის დადგენას, თუ როდის ხდება კოლხეთის მთისა და ბარის სამოსახლოდ ათვისება (ვგულისხმობთ ბრინჯაოს ხანას); რომელ პერიოდში იწყება ამ რეგიონებს შორის შესაძლო კონტაქტები; როდის ძლიერდება, ან, პირიქით, სუსტდება (შესაძლოა სულაც არ შეინიშნება მათ შორის შეხების წერტილები), მთიან სვანეთსა და კოლხეთის ბარს შორის ურთიერთობა და ა.შ.

ვარაუდობენ, რომ ძვ. წ III ათასწლეულის დასასრულს დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზოლში სახლდება სვანურენოვანი ქართველური მოსახლეობის ნაკადი [4,72], რომლის კვალი შეიმჩნევა როგორც ტოპონიმებით, ასევე არქეოლოგიური მონაცემებით [3,51; 4,9-20; 6,341; 8,120]. ფიქრობენ, რომ ნეოლითის ხანიდან მოყოლებული, სვანურენოვანი ქართველური მოსახლეობა მუდმივად ცხოვრობს მთაში. ყურადსაღებია, რომ ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარები სვანეთში საერთოდ არ არის მიკვლეული. სავარაუდოა, რომ აღნიშნული ეპოქის დასახლებები მთიან სვანეთში არსებობდა, მაგრამ დღემდე სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ იქნა გამოვლენილი.[1]

---

[1] ამ მხარის არქეოლოგიური ძეგლების გამოვლენისა და შესწავლის მიზნით დიდი სამუშაოები გასწია არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სვანეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, რომელსაც წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი შ. ჩართოლანი. ყოველივე ამან მეცნიერული ასახვა პოვა ავტორის მიერ

მათ არსებობას უნდა ადასტურებდეს თუნდაც აქ აღმოჩენილი ადრე- და შუაბრინჯაოს ხანის მრავალრიცხოვანი სპილენძისა და ბრინჯაოს ინვენტარი, რომლის ჩამომსხმელი უნდა ყოფილიყო ამავე ეპოქის ნამოსახლარებზე მცხოვრები მოსახლეობა. ადრეული პერიოდით უნდა განისაზღვროს (ადრებრინჯაოს დასასრული, შუაბრინჯაოს ხანა) ბოგრეშის სამაროვნის სამარხი, რომლის ინვენტარი ახლო პარალელებს პოულობს როგორც ჩრდილო კავკასიურ, ასევე კოლხეთის დაბლობის მასალებთან [7,139].[1] ამ სამარხის აღმოჩენას იმითაც აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომ კოლხეთში იშვიათი გამონაკლისის გარდა (საჩხერე, გაგიდა, ბრილის ადრეული სამარხები, დოლმენები) დღემდე არ იყო მიკვლეული ადრე- და შუაბრინჯაოს ხანის სამაროვნები და ცალკეული სამარხები.

ამ მხარეში გამოვლენილი სხვადასხვა ტიპის ყუადაქანებული, ყუამილიანი ცულები, ბრტყელი ცულები, შუბისპირები და სხვა ინვენტარი ახლო კონტაქტებს ავლენს კოლხეთის დაბლობის ამ რიგის მასალებთან, ასევე ჩრდილო კავკასიურ, აღმოსავლეთ საქართველოს (ადრებრინჯაოს ხანა), კოლხეთის მთლიანი და მთისწინა ზოლის (აფხაზეთი, ზემო რაჭა, ზემო იმერეთი – საჩხერე და ა.შ.) ლითონის ინვენტართან [10,23-37; სურ. 6,1-10, სურ. 7,12-21; 7,42-45; 65-74; სურ. 5,6,7], გვიანბრინჯაო, ადრერკინის ხანაში მთლიან სვანეთში გავრცელებულია კოლხური კულტურის ლითონის ნამყვანი ელემენტები, რომელიც კოლხეთის მთისწინა ზოლში (რაჭა, ლეჩხუმი, აფხაზეთი) და ბარშიც არის ნარმოდგენილი. სხვადასხვა ტიპის ბრინჯაოს კოლხური ცულები [11,80-84, სურ. 8,9, ტაბ. XIX, XX, XXI], ბრტყელი ცულები [11,94-98, ტაბ. XXVI], წაწვეტებულპირიანი ბრინჯაოს თოხები, ბრინჯაოს ნამგლები და ა.შ. ზოგიერთი არტეფაქტის არსებობა, რომელიც ბარისთვის არ არის დამახასიათებელი, უნდა აიხსნას კოლხეთის მთიანი მხარის ლოკალური თავისებურებებით. ჩვენი ცოდნა სვანეთის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარებისა და სამაროვნების არსებობაზე ძალზე მწირია. სამწუხაროდ, ამ კატეგორიის ძეგლები (ნამოსახლარები – სოფ. იფარში – „ლასილა-ლაროლარ“, „ლასილა-სგიმულდ“; სოფ. კალაში – „სკარეშის გორა“; მესტიაში – „ზურულდ“; ქართვანის სამაროვანი) [10, 30-33] სტაციონარული არქეოლოგიური გათხრებით არ ყოფილა შესწავლილი.

გვიანბრინჯაოს ხანის მასალა სვანეთში მცირეა აღმოჩენილი, ისიც სკარეშის შემთხვევითი გათხრების დროს. ამ თიხის ნაწარმს ახლო პარალელებს უძებნიან კოლხეთის ბარის კერამიკასთან [ნაოხვამუ, ჭალადიდის, ზურგა 7,18-19; 11,108].

ვფიქრობთ, კოლხეთის მთასა და ბარს შორის კონტაქტები კარგად ვლინდება ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოების პირველადი და მეორადი

გამოქვეყნებულ მონოგრაფიასა და სტატიებში [მათ შესახებ დანერილებით იხ. 7,12]; ასევე სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ნევრების მიერ ერთობლივად გამოქვეყნებულ საველე ანგარიშებში.

[1] სვანეთიდან ცნობილი სამაროვნების (ბოგრეში, ქართვანი) და კოლხეთის დაბლობის ამ კატეგორიის ძეგლების ურთიერთობა უკანასკნელ პერიოდში გამოქვეყნებულ ნაშრომში განიხილეს [5,16-20].

ცენტრების ურთიერთობით. ამ მხრივ საყურადღებოა ზემო სვანეთში ადგილ ზაარგაშის მღვიმეში შესწავლილი სპილენძის უძველესი გამონამუშევრებიანი მარტივი და რთული კონსტრუქციის მქონე მაღაროები [11,125-128]. მონაპოვარი მასალები მეტყველებენ, რომ აქ ხდებოდა სპილენძის პირველადი გადამუშავება, შემდეგ კი ნედლეულის მიწოდება ბარში გამართულ ლითონჩამომსხმელ სახელოსნოებზე. როგორც მონაპოვარი მასალები ადასტურებენ, კოლხეთის დაბლობზე ლითონჩამომსხმელი სახელოსნოები გამართული იყო უშუალოდ ნამოსახლარებზე, სადაც მიმდინარეობდა ბრინჯაოს ნედლეულის მეორადი გადამუშავება, საბრძოლო თუ სამეურნეო დანიშნულების ნივთების ჩამოსხმა. ამდენად, ისინი შეგვიძლია განვიხილოთ როგორც ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოების მეორადი ცენტრები. დასაშვებია, რომ ზემო სვანეთის სპილენძის უძველესი გამონამუშევრებიანი მაღაროებიდან (ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოების პირველადი ცენტრი) ნედლეულით მარაგდებოდა მდინარე ენგურის ქვემო წელის ნამოსახლარებზე არსებული ლითონჩამომსხმელი სახელოსნოები (ფიჩორის ცენტრალური ბორცვი, ანაკლია I, ანაკლია II და ა. შ.). ბრინჯაოს ნედლეულით მომარაგების დროს ყველაზე უფრო ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო შედარებით ახლოს მდებარე, ტრანსპორტირებისათვის იოლად მისაწვდომი საბადოები.

ამ ორივე საწარმოო ცენტრს შორის მთავარი დამაკავშირებელი არტერია უნდა ყოფილიყო მდინარე ენგურის ხეობა [8,10-11]. ამდენად, ზემო სვანეთიდან მდინარე ენგურის ხეობით სავსებით რეალურად გვეჩვენება მისი ქვემო წელის ნამოსახლარების მომარაგება სპილენძის ნედლეულით. შესაძლოა, ეს პროცესი იწყებოდეს ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულიდან, ანდა ძვ.წ. II ათასწლეულის საწყისი პერიოდიდან.

Zviad Kvitsiani, Leri Jibladze

The Issues of Relationship between the Colchis Mountains and Lowlands in the Bronze Age

(General Review according to Svaneti Materials)

Summary

In the Bronze Age, Svaneti was mainly known for its bronze inventory discovered incidentally. Numerous metallic objects belonging to different periods of Bronze Age discovered in Svaneti (randomly found copper and bronze axes, spearheads as well as separate objects from Bogresha and Kartvani) find close parallels with analogous artefacts found in the Colchis lowlands.

Close contacts between the Colchis mountains and lowlands are especially well-revealed in the relationships between the primary and secondary centres of bronze production.

ლიტერატურა – REFERENCES

1. ბარამიძე მ., აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ძვ. წ. II-I ათასწლეულის პირველ ნახევარში (ძირითადი პრობლემები). სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 1998.
2. ინანიშვილი გ., ჩართოლანი შ., მაისურაძე ბ., გობეჯიშვილი გ., მუჯირი თ., საქართველოს უძველესი სამთამადნო ძეგლები, ძიებანი, 2, თბ., 1998.
3. ლორთქიფანიძე ოთ., არგონავტიკა და ძველი კოლხეთი, თბ., 1986.
4. მიქელაძე თ., ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ., 1974.
5. პაპუაშვილი რ., სვანეთის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვნები კოლხეთის დაბლობის ანალოგიურ ძეგლებთან მიმართებაში, სვანეთი III „ინტერდისციპლინარული" სამეცნიერო კრებული, თბ., 2008.
6. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970.
7. ჩართოლანი შ., ძველი სვანეთი, თბ., 1996.
8. ჯიბლაძე ლ., კოლხეთის დაბლობის ძვ. წ. III-II ათასწლეულების ნამოსახლარები, თბ., 2007.
9. ჯიბლაძე ლ., ბრინჯაოს მეტალურგიული ნარმოების ცენტრები კოლხეთის დაბლობზე (ზოგადი მიმოხილვა ნამოსახლარების მასალების მიხედვით), კრებული ამირანი, XIV-XV, თბ., 2006.
10. Кореневский С., Втульчатые топоры оружие ближнего боя эпохи средней бронзы. Северный Кавказ и Средняя Азия в древности и средневековье. М., 1981.
11. Чартолани Ш., Калдани А.. Основные итоги разведывательной археологической экспедиции Сванети. ПАИ 1975. Тб.. 1979.
12. Чартолани Ш.. К истории нагорья Западной Грузии до классовой эпохи. Тб.. 1989.

ლევან გორდეზიანი

ტაო-კლარჯეთი ურარტულ ტექსტებში

ურარტული ტექსტების დიაუხი საკმაოდ ძლიერი პოლიტიკური ერთეულია, რომელსაც ურარტუს მეფეები მენუა და არგიშთი I ებრძოდნენ ძვ.წ. VIII საუკუნის პირველ ნახევარში. დიაუხის მიახლოებით ლოკალიზაციაში გვეხმარება როგორც მასთან ბრძოლაში მიღწეულ გამარჯვებათა აღსანიშნავი ნარნერების აღმოჩენის ადგილები (იაზილიტაში – ერზერუმის მახლობლად, ზივინი – ერზერუმსა და ყარსს შორის, ხანაკი – დღევანდელი ქართულ-თურქული საზღვრის მახლობლად), ასევე თავად სახელწოდება, რომლის დაკავშირება ქართულ ტაოსთან (ბერძნ. tavoci) ეჭვს არ იწვევს. სავარაუდოა, რომ ასურული ტექსტების დაიაენი იმავე პოლიტიკურ გაერთიანებას აღნიშნავდა [12,424; 14,26; 16,55; 8,503]. გამოთქმულია მოსაზრება, აგრეთვე, ასურული დაიაენისა და ხეთური აცი-ხაიასას იდენტურობის შესახებ [9,209 შმდ.; 7,13; 6,39]. თუ ეს იდენტიფიკაციები სწორია, ურარტუს ბოლო მოუღია საკმაოდ მდგრადი სახელმწიფო წარმონაქმნისათვის, რომელიც, სულ ცოტა, ძვ.წ. XIV საუკუნიდან არსებობდა და ქართულ ტაოს ტერიტორიას, სავარაუდოდ, ასევე ქართველურ ეთნიკურ ელემენტსაც მოიცავდა.

ტიგლათფალასარ I-ის (ძვ.წ. 1115-1077 წწ.) ანალების მიხედვით დაიაენი ასურეთის ჩრდილოეთით მდებარე ნაირის ქვეყნებს შორის წამყვან ძალად გვევლინება. მოგვიანებით, სალმანასარ III-ის (ძვ.წ. 858-824 წწ.) ძირითადი მეტოქე ჩრდილოეთში უკვე ურარტუს მეფე არამუა, ხოლო დაიაენის მეფე ასია, სავარაუდოდ, ურარტუსგან შევიწროვებული, ცდილობს სალმანასართან კარგ ურთიერთობათა დამყარებას [10,250; 6,25]. სარდური I ასურულენოვან წარნერებში თავის თავს ნაირის მეფედ მოიხსენიებს, რითიც ნაირის ქვეყნებზე ბატონობის ერთგვარ პრეტენზიას აცხადებს. შესაძლოა დაიაენ-დიაუხისა და ურარტუს დაპირისპირების კონტექსტში იყოს დასანახი ლუშას, ქათარზას და უიტერუხის ტომების თარეში არაქსის ზემოწელის მარჯვენა ნაპირზე ძვ.წ. IX ს. მიწურულს [3,85-86].[1]

ამის შემდეგ საბრძოლო მოქმედებები უკვე დიაუხის მიწაზე გადადის.

განვიხილოთ ტექსტები, რომლებშიც დიაუხის წინააღმდეგ ურარტელთა ლაშქრობებია აღწერილი:

---

[1] იხ. აგრეთვე ქვემოთ.

მენუას (ძვ.წ. 810-785/80) წარწერები

CTU A 5-3 (УКН 36, КУКН 53, წარწერა კლდეზე დღევანდელ იაზილიტაშში)[1]

ღვთაება ხალდი გაემართა სალაშქროდ თავისი იარაღით დიაუეხის, ძლიერი ქვეყნის (ან: თარაიუს ქვეყნის [13,190][2]) წინააღმდეგ. ღვთაება ხალდი ძლიერია, ხალდის იარაღი ძლიერია. ღვთაება ხალდის ძლიერებით გაემართა (სალაშქროდ) მენუა იშფუინის ძე; წინ უძღოდა (მას) ღვთაება ხალდი. მენუა ამბობს: დავიპყარი დიაუხის ქვეყანა, ქალაქი შაშილუ,[3] სამეფო ქალაქი ბრ-ძოლით დავიპყარი, ქვეყანა გადავწვი, ციხესიმაგრეები (დავანგრიე). მივედი შეშეთის ქვეყნამდე[4] ქალაქ ზუა(მდე),[5] ქალაქი უტუხაი[6]... მენუა ამბობს: უტუ-ფურში, მეფე დიაუეხისა, მოვიდა ჩემ წინაშე, მომეხვია ფეხებზე, ძირს დაემხო; მე (მას) მოწყალედ მოვექეცი, შევინყალე იგი ხარკის (გადახდის) პირობით,[7] მომცა მან ოქრო (და) ვერცხლი, მომცა ხარკი. ის ტყვეები (?), (რომლებიც) და-ბრუნდნენ (მასთან), დამიბრუნა მან მთლიანად. მენუა ამბობს: ...[8] 2 მეფე მე იქიდან მოვაცილე: ბალთულხის ქვეყნის[9] (მეფე) (და) ქალაქ ხალდირიულხის ქვეყნის[10] (მეფე). გამაგრებული ციტადელები, (რომლებიც კი იყო იმ) ქვეყა-ნაში, მე იქიდან მოვგლიჯე. მენუა ამბობს: ვინც ამ წარწერას მოსპობს, ვინც მას გასტეხს, ვინც ვინმეს ამას გააკეთებინებს, სხვა ვინც იტყვის: „მე გავაკე-თე (ყველაფერი ეს)", დაე მოსპონ ღვთაება ხალდიმ, ამინდის ღვთაებამ, მზის

---

[1] ძირითადად მივსდევ გ. მელიქიშვილის თარგმანს [4,272].

[2] KUR tar-a-i-ú-e-di შეიძლება ორივენაირად ითარგმნოს. თარ(ა)იუ(ნი)ს ქვეყანა დი-აუხზე ლაშქრობის კონტექსტში სხვა ტექსტებშიც გვხვდება (იხ. ქვემოთ). იგი დიაუხის მახლობლად მდებარეობდა ან, სულაც, მის შემადგენლობაში შედიოდა. ნ. არუტუნიანი მის სახელს სომხურ დარუინქს უკავშირებს [8:524], ხოლო შ. ასათიანი – ქართულ თორს [1,14].

[3] შესაძლოა, შეესაბამებოდეს ქართულ სახელწოდებას „სასირო" [6,36]. ლოკალი-ზაციასთან დაკავშირებით იხ. ქვემოთ.

[4] ნ. არუტუნიანის აზრით, უნდა ნავიკითხოთ „შეშეს მთა", რომელიც მოიხსენიება ტიგლათფალასარ I-ის ანალებშიც. ეს მთა დიაოხის ქვეყანაში ან მის მახლობლად მდება-რეობდა [8,79]. გ. მელიქიშვილი ამ ქვეყნის სახელს უკავშირებს შავშეთს [11,205].

[5] შეიძლება დაუკავშირდეს თანამედროვე უხტა/ ოხდას, რომელიც ოლთუ/ ოლთი-სის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს [8,529].

[6] ნ. არუტუნიანის აზრით, თანამედროვე ზივინი მდებარეობს ერზერუმის ჩრდი-ლო-აღმოსავლეთით [8,79]. სახელწოდება შეიძლება დაუკავშირდეს სხვადასხვა ქართულ სიტყვასა თუ სახელს.

[7] 'a-al-du-bi ... me-ši-ni pi-i – ამ გამოთქმას გ. მელიქიშვილი თარგმნის: „შევინყალე/ დავინდე ... ხარკის გადახდის პირობით"; შესაძლოა აგრეთვე ითარგმნოს: „მოვათავსე ხარ-კის ქვეშ", „დავხარკე". ჩემი აზრით, რიგ შემთხვევაში ორივე თარგმანი თანასწორუფლები-ანია, ზოგან კი მელიქიშვილისეული ვარიანტი ლოგიკურად უპირატესადაც მიმაჩნია.

[8] სტრ. 19-23 გაბმულად ვერ ითარგმნება, მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული სი-ტყვის მნიშვნელობა ჩვენთვის ნაცნობია. აქ, როგორც ჩანს, ლაპარაკია დიაუხის მეფის მიერ ურარტელთათვის ცხენებისა და დამხმარე რაზმების მინოდების შესახებ.

[9] ბალთუ/ ბალთულხი – დიაუხის შემადგენლობაში შემავალი ტომი, რომელიც, ნ. არუტუნიანის აზრით, ევფრატის სათავესა და ჭოროხის შუაწელს შორის სახლობდა [8,500].

[10] ხალდირი/ხალდირიულხი – დიაუხის შემადგენლობაში შემავალი ტომი, რომე-ლიც, ნ. არუტუნიანის აზრით, ჩილდირის ტბის მიდამოში სახლობდა [8,507].

ღვთაებამ, (ყველა) ღმერთმა იგი მზის ქვეშ, ნურც გზა გარეთ (ექნება), ნურც ღმერთი, ნურც ხალხი სადმე წაიყვანს/ შეიფარებს.[1]

CTU A 5-4 (= УКН 37. КУКН 54. ზივინი, წარწერა ქვის ფილაზე, მისი ორი ფრაგმენტი ინახება საქართველოს მუზეუმში).

მენუა ამბობს: დავიპყარი ქალაქი შაშილუ, აღვუმართე ეს წარწერა ხალდის, ჩემს ბატონს.

ხალდის ძალით მენუა იშფუინის ძე, მეფე ძლიერი, მეფე დიდი, მეფე ბიანილის (ქვეყნისა), მმართველი ტუშფა ქალაქისა.

მენუა ამბობს: ვინც ამ წარწერას მოსპობს, ვინც დაამტვრევს, ვინც დამალავს, დაე მოსპონ ხალდიმ, ამინდის ღვთაებამ, მზის ღვთაებამ, ყველა ღმერთმა იგი მზისქვეშეთში, ნურც გზა გარეთ (ექნება), ნურც ღმერთი, ნურც ხალხი სადმე წაიყვანს/ შეიფარებს.

არგიშთი I მენუას ძის (ძვ.წ. 785/80-756 წწ.) მატიანიდან[2]

CTU A 8-1 (lato destro = УКН 128 A 1. КУКН 174 A 1)

ღვთაება ხალდი გაემართა (სალაშქროდ) თავისი იარაღით. სძლია მან უტუფურშის, დიაუხის ქვეყნის (მეფეს), სძლია მან აბნულუანის (?) ქვეყანას, დაამხო ისინი არგიშთის წინაშე. ღვთაება ხალდი ძლიერია, ხალდის იარაღი ძლიერია.

ღვთაება ხალდის სიდიადით გაემართა (სალაშქროდ) არგიშთი მენუას ძე, არგიშთი ამბობს: დიაუხის (ქვეყანა) კვლავ (?) აჯანყდა; მეომრები მე შევკრიბე (და) გავემართე დიაუხის წინააღმდეგ. გამოცხადდა (?) ჩემ წინაშე ომით...

არგიშთი ამბობს: შევეჯერე (?) მე ღვთაება ხალდის, მეუფეს, ღვთაება თეიშებას, ღვთაება შივინის, ბიაინილის ქვეყნის (ყველა) ღმერთს (იმის შესახებ, რაც მე მსურდა (?) მომემოქმედა) მეუფის სიდიადით...

CTU A 8-2 Vo (= УКН 128 B 1. КУКН 174 B 1)

...მოვედი (?) ბიას[3] ქვეყნამდე... ხუშანის[4] ქვეყნა[მდე]. გავემართე მე (სალაშქროდ) დიდის (ან: ულდინის [8,186; 13,330]) ქვეყნის წინააღმდეგ, ქალაქ ზუას წინააღმდეგ; ქალაქი ზუა, დიაუხის (ქვეყნის) სამეფო ქალაქი, მე გადავნევი. წარწერა დავდგი ქალაქ ზუაში. წავედი მე ქვეყნის კარით[5] აშკალაშის ქვეყნის წინააღმდეგ. 105 ციხესიმაგრე მე დავანგრიე, 453 ქალაქი (კი) დავწვი. სამი ქვეყანა მე იქიდან მოვგლიჯე, (მათი) მოსახლეობა ჩემს ქვეყანას მივუმატე: ქვეყანა კადა, ქვეყანა აშკალაში, ქალაქ შაშილუეს ქვეყანა. 15181 ყრმა,

---

[1] კრულვის ფორმულის თარგმანისათვის იხ. [3,89, 116 შმდ.].
ძირითადად მივყვები გ. მელიქიშვილის ქართულ თარგმანს [4,273-284].
ქვეყანა დიაუხის მეზობლად. ლოკალიზაციისათვის იხ. [12,423; 8,501]; შდრ. ქართული „ბანა" [1,12].

[4] ქვეყანა დიაუხისა და კულხას მეზობლად, კოლხეთის სამხრეთ-დასავლეთით [12,429]; 8,508). შდრ. ქართული „ხოში, ხოშაქი" [1,12].

[5] „ქვეყანა ნაბცი" [8,186], „ქვეყანა KA". [13,330]. შესაძლოა, შეესაბამებოდეს ქართულ ტაოსკარს [5,9].

2734 მამაკაცი, 10604 დედაკაცი, 4426 ცხენი, 10478 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 73770 სული წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი (მე წავიყვანე). 4 მეფე მე დავასაჭურისე – შაშქის, არდარაქიხის, ბალთულხის (და) კაბილუხის მეფეები; (ჩემი) ოლქის მმართველები მე ადგილზე (=იქ) დავსვი. დიაუხის მეფე მე დავიმორჩილე, შევიწყალე (იგი) ხარკის (გადახდის) პირობით. (აი) რანაირი ხარკი მისცა არგიშთის დიაუხიელმა: 41 მინა სუფთა (?) ოქრო, 37 მინა ვერცხლი... ათი ათასი მინა სპილენძი, 1000 საჯდომი ცხენი (ან აქლემი [16,332]) 300 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ათი ათასი სული წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი. (აი) როგორი ხარკი... დიაუხიზე მე დავდე, რათა მას (ეს ხარკი) ეძლია ყოველწლიურად... მინა სუფთა (?) ოქრო, 10.000 მინა სპილენძი... ხარები, 100 ძროხა, 500 ცხვარი, 300 საჯდომი ცხენი...

ღვთაება ხალდი გაემართა (სალაშქროდ) თავისი იარაღით, სძლია მან ეთიუნის[1] ქვეყანას, დაამხო (იგი) არგიშთის წინაშე. ღვთაება ხალდი ძლიერია, ხალდის იარაღი (?) ძლიერია, ღვთაება ხალდის სიძლიერით გაემართა (სალაშქროდ) არგიშთი მენუას ძე. ნინ უძღოდა (?) (მას) ღვთაება ხალდი. არგიშთი ამბობს: ის მეფენი, (რომელნიც) დიაუხიელ (მეფის) საშველად მოვიდნენ – მე (მათი) განადგურება აღვასრულე. (ამ) წელს დავიპყარი მე ლუშას[2] ქვეყანა, ქათარზას[3] ქვეყანა, ერიახის[4] ქვეყანა, გულუთახის[5] ქვეყანა, დავიპყარი უიტერუხის[6] ქვეყანა. მივედი (?) აფუნის[7] ქვეყნამდე. ლუშას ქვეყნის მეფე მე დავასაჭურისე (?) (ხოლო) იგას[8] ქვეყნის (მეფე) – დავიმორჩილე, დავტოვე თავის ადგილზე, ხარკი (მეფე) არგიშთის მან მისცა...

CTU A 8-3 (= УКН 127. КУКН 173): I 2-16

... არგიშთი ამბობს: შევვედრე(?) მე ღვთაება ხალდის, მეუფეს, ღვთაება თეიშებას, ღვთაება შივინის (იმის შესახებ), რაც მე მეუფის სიდიადით მსურდა (?) (მომემოქმედა). იმავე წელს მე კვლავ(?) შევკრიბე მეომრები (და) გავემართე (სალაშქროდ) დიაუეხის (ქვეყნის) წინააღმდეგ. დიაუეხის მეფე მეფედ

---

[1] ეთიუ(ნი/ხი) სამხრეთ კავკასიის ტომთა დიდი გაერთიანება, ან კრებითი სახელი. მოიცავდა დღეევანდელი სომხეთის ტერიტორიის დიდ ნაწილს.

[2] გ.მელიქიშვილის აზრით, ლუშა-ლოსა შეიძლება ლაზების სახელწოდებას ეხმიანებოდეს [11,113].

[3] ქათარზას მეცნიერები აიგივებენ ბერძნულ Katarzhnhv-სთან, ქართულ კლარჯეთთან, სომხურ კგარჯკთან [11,113, 210; 14,48; 16,40; 8,512].

[4] ქვეყანა თანამედროვე გიუმრის მახლობლად [12,425; 8,504].

[5] ქვეყანა სამხრეთ კავკასიაში. ტექსტებში მასთან ერთად მოხსენიებული პუნქტების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, გ. მელიქიშვილი მას არარატის ველზე ათავსებს [12,427], ნ. არუტუნიანი კი არაქსის ზემოწელის მარცხენა ნაპირზე [8,506].

[6] სახელწოდება შეიძლება უკავშირდებოდეს ქართულ ოძრხეს და ანტიკური წყაროების ბიძერებს [11,113,210], შესაძლოა, იგივე ტომს/ქვეყანას აღნიშნავდეს ტიგლათფალასარის ანალების ფაითერუ [2,28].

[7] აფუნი/აბუნი – ქვეყანა სამხრეთ კავკასიაში. არგიშთისა და სარდურის ლაშქრობების მარშრუტების მისეული გაგების შესაბამისად, ნ. არუტუნიანი ათავსებს მას აირარატის პროვინციაში არაქსის სათავესთან, აბეგეანქის სამხრეთით [8,493]. იხ. აგრეთვე [2,32].

[8] იგა/იგანი/იგანიეხი ქვეყანა ჩილდირის ტბის მახლობლად [12,430; 8,509]. შეიძლება უკავშირდებოდეს ანტიკური წყაროების „ჰენიოხებს“ [11,93].

დავსვი. დავიპყარი შერიაზის ქვეყანა, ქალაქები დავწვი, ციხესიმაგრეები დავანგრიე; მივედი (?) ქალაქ ფუთემდე ... მარცხნივ – ქვეყანა ბიანი, ქვეყანა ხუშანი, მარჯვნივ შევიწყალე მე თარიუნის ქვეყანა. გავემართე (სალაშქროდ) ზაბახაეს[1] ქვეყნის წინააღმდეგ, დავიპყარი მე ქვეყანა ზაბახაე, მივედი (?) ქალაქ უზინაბითარნამდე, სირიმუთარას ქვეყნამდე, მთიან ქვეყნამდე. მარჯვნივ იგანის ქვეყნის ქალაქი მაკალთუნი მე შევიწყალე. გავემართე ერიახის ქვეყანაზე, ნავედი (სალაშქროდ) აფუნის ქვეყნის წინააღმდეგ, დავიპყარი ქალაქი ურიეუნი, უიტერუხის (ტომის) სამეფო ქალაქი. 19255 ყრმა, 10140 მეომარი ცოცხლად, 23280 დედაკაცი, სულ 52675 ადამიანი (ამ) წელს, ერთნი გავულიტე, სხვები ცოცხალი წავიყვანე. 1104 ცხენი გავდენე მე, (აგრეთვე) 35015 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ასიათას... ერთიათას 829 სული წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი. არგიშთი ამბობს: ღვთაება ხალდისათვის ეს საქმენი მე ერთი წლის განმავლობაში აღვასრულე.

CTU A 8-7 (= КУКН 174 С. ხანაკი, წარწერა ქვაზე)

ხალდი გაემართა (სალაშქროდ) თავისი იარაღით, დაამარცხა თარიუნის ქვეყანა, (ქვეყანა) ... დასცა არგიშთის წინაშე. ხალდი ძლევამოსილია, ხალდის იარაღი ძლევამოსილია. გაემართა (სალაშქროდ) არგიშთი მენუას ძე, წინ წაუძღვა მას ხალდი.

არგიშთი ამბობს: დავიპყარი (მე) თარიუნელთა (ქვეყანა), წავედი ამ გზაზე და მივაღწიე ხუშას (ქვეყანას), ბიას (ქვეყანას), მივედი აშკალაშის ქვეყანაში. ხალდის ბრძანებით არგიშთი ამბობს: დიაუხის მეფე მაშინვე (?) მოვიდა ჩემთან (ქალაქ) ახურიანის ოლქში. ლაშქარი უკუვაგდე, (ქალაქი) კა... გავანადგურე, ასეთი ნადავლი მოვიპოვე იქ: 72 ათას 80 ყრმა, 7 ათასი ..., 11 ათასი ... ზოგი დავხოცე, ზოგი ცოცხლად წამოვიყვანე, 6 ციხე დავანგრიე, 50 ქალაქი დავწვი.

არგიშთი მენუას ძე, მეფე ძლიერი, მეფე ბიანილის ქვეყნისა, მმართველი ტუშფა-ქალაქისა.

ვინც ამ წარწერას მოსპობს, დაე გაანადგურონ ის (ღვთაება) ხალდიმ, (ღვთაება) კუერამ მზისქვეშეთში, ნურც გზა გარეთ (ექნება)...

მენუას ტექსტები ძალზე მნიშვნელოვანია დიაუხის ლოკალიზაციისათვის. მათ აღმოჩენის ადგილებს (იაზილიტაშსა და ზივინს) ზოგი მკვლევარი დიაუხის სამეფო ქალაქებს, შაშილუსა და ზუას უკავშირებს. ერთი მხრივ, ზივინისა და ზუას სახელების მსგავსება, მეორე მხრივ, ზივინში შაშილუს დაპყრობის აღსანიშნავად დადგმული სტელის არსებობა, თითქოს უჭერს მხარს აქ დიაუხის ერთ-ერთი სატახტო ქალაქის ლოკალიზაციას, მაგრამ უფრო სარწმუნოდ მიმაჩნია მოსაზრება, რომ ეს წარწერები ურარტუდან დიაუხისკენ მიმავალ გზაზე განთავსდა [16,55]. ჩემი აზრით, გ. ქავთარაძე გეთავაზობს

[1] ქვეყანა ჩილდირის ტბის მახლობლად, სავარაუდოა, ქართული ჯავახეთი [12,446; 8,530].

აღნიშნული ქალაქების საკმაოდ დამაჯერებელ, სხვადასხვა წერილობითი და არქეოლოგიური წყაროს მონაცემებზე დაფუძნებულ ლოკალიზაციას თორთომის ხეობაში [6,33]. შაშილუს (სასიროს) ბრძოლით აღების შემდეგ მენუა ჩრდილოეთისკენ მიიწევს, ქალაქ ზუასა და შეშეთ-შავშეთის მიმართულებით.

ამის შემდეგ დიაუხის მეფე უტუფურში აღიარებს მენუას გამარჯვებას, ეახლება მას და ხარკის გადახდასა და გარკვეულ ვალდებულებებს კისრულობს.

ტყვეთა შემთხვევაში, როგორც ჩანს, ლაპარაკი უნდა იყოს ურარტუდან გაქცეულ ტყვეებზე, რომელთაც ტაოსთვის ჰქონდათ თავი შეფარებული. ამ ტიპის ხალხის დაბრუნებას (ან დაბრუნების ვალდებულებას) ხშირად ვხვდებით ძველაღმოსავლურ ტექსტებში. ტყვეთა დაბრუნება და დამხმარე ძალის მიწოდება, რაზეც შემდგომ პასაჟში უნდა იყოს ლაპარაკი, მოგვაგონებს ხეთური ხელშეკრულებების იმ ნაწილს, სადაც დიდი მეფის მიმართ „მოკავშირის“ თუ ვასალის ვალდებულებებია ასახული.

მთლიანობაში ეს ტექსტი, მიუხედავად ზმნებისა „დავიპყარი“, „გადავნვი“, „დავანგრიე“ – რაც ურარტულ ტექსტებში მტრის დაწიოკების სტანდარტულ აღწერას წარმოადგენს, ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ მენუამ აიძულა დიაუხი, მისი „მოკავშირე“ გამხდარიყო. მენუას ვაჟი და მემკვიდრე არგიშთი კი უკვე ნამდვილად იპყრობს დიაუხს და მისი ლაშქრობის (თუ ლაშქრობების) შედეგად, ეს უკანასკნელი, როგორც ჩანს, არსებობას წყვეტს.

აქვე უნდა შევეხოთ ურარტული ლაშქრობების დათარიღებას. იქიდან გამომდინარე, რომ მენუაც და არგიშთიც დიაუხის ერთ მეფეს, უტუფურშის ებრძოდნენ, მ. სალვინი ასკვნის, რომ ეს ლაშქრობები მენუას მმართველობის ბოლოსა და არგიშთის მმართველობის დასაწყისში მოეწყო [16,55,59]. მაგრამ, რატომ არ შეეძლო ემეფა უტუფურშის, იმავე მენუასა და არგიშთის მსგავსად, ათწლეულების მანძილზე? არგიშთის ერთი ლაშქრობის დათარიღება მისი მეფობის მეორე წლით, თითქოს, არ უნდა იყოს სადავო. ეს ლაშქრობა უნდა იყოს ასახული ტექსტებში CTU A 8-2 Vo. CTU A 8-3 I. CTU A 8-7. ტექსტი CTU A 8-1 lato destro. მ. სალვინის აზრით, იგივე ლაშქრობას მოიხსენიებს, ხოლო გ. მელიქიშვილი ამ ამბებს არგიშთის მეფობის XIX წელს მიაწერს [12,244,255]. მართალია, ამ ფრაგმენტში ლაშქრობის დეტალები არაა შემორჩენილი, რაც შეუძლებელს ხდის მის შედარებას პირველ ლაშქრობასთან, მაგრამ, ჩემი აზრით, მეორე ლაშქრობის დაშვებას აქვს თავისი ლოგიკა. პირველი ლაშქრობის შედეგად არგიშთი, მართალია, მძიმე დარტყმას აყენებს დიაუხს, ართმევს მას ტერიტორიის ნაწილს, მაგრამ არ სპობს სახელმწიფოს, დიაუხის მეფეს მეფედვე ტოვებს და მას ხარკს უწესებს. არგიშთის შემდეგ კი დიაუხი აღარ ჩანს ურარტულ ტექსტებში, მის ადგილს სარდური II-სთან (756-730) ერთგვარად თითქოს კულხა იკავებს. შესაბამისად, ბუნებრივი იქნებოდა გვეფიქრა, რომ მომდევნო წლებში არგიშთის კვლავ მოუხდა ბრძოლა უტუფურშისთან, რის შედეგადაც ამ უკანასკნელმა ტახტიც დაკარგა და ქვეყანაც. დიაუხის მნიშვნელოვანი ნაწილი ურარტუმ დაიპყრო, ხოლო ჩრდილოეთი ნაწილი კოლხეთის ხელში აღმოჩნდა.

არგიშთის მეფობის მეორე წლის ლაშქრობის აღწერილობები (CTU A 8-2 Vo. CTU A 8-3 I. CTU A 8-7) გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის მის მარშრუტზე და, შესაბამისად, სამხრეთ ამიერკავკასიის გეოგრაფიაზეც.

დიაუხსა და ურარტუს შორის ან დიაუხის სამხრეთ ნაწილში ჩანს შერიაზის ქვეყანა. დიაუხის სამხრეთ ნაწილში უნდა ყოფილიყო აგრეთვე კადა, შაშილუ, აშკალაში, რომლებიც არგიშთიმ დიაუხს მოგლიჯა და თავის ქვეყანას შეუერთა (ან იქიდან მოსახლეობა გარეკა თავის ქვეყანაში), ასევე შაშქი, არდარაქიხი, ბალთულხი და კაბილუხი, რომლებსაც არგიშთიმ ოლქის მმართველები დაუნიშნა.

მართალია, სამივე ტექსტში ლაშქრობის აღწერილობის დასაწყისშივე მოიხსენიებიან ბია(ნი) და ხუშა(ნი), მაგრამ, როგორც ჩანს, ისინი ზემოთ ნახსენებ პუნქტებთან შედარებით უფრო ჩრდილოეთით იყვნენ განლაგებული. არგიშთიმ მხოლოდ დალაშქრა ეს პუნქტები, თავის ქვეყნისთვის არ შეუერთებია, ხუშა(ნი) სარდური II-ის დროსაც ჩანს კულხასთან ერთად ურარტუს მოწინააღმდეგედ.

ყველაზე ვრცელ აღწერილობაში (CTU A 8-2 Vo) დიაუხის დაპყრობილ თუ შენყალებულ ოლქებთან ერთად ჩამოთვლილნი არიან დიაუხის მოკავშირეები, რომლებსაც არგიშთი გაუსწორდა ამ ლაშქრობის დროს: ლუშა, ქათარზა, ერიახი, გულუთახი, უიტერუხი, აფუნი, იგა(ნიეხი).

სხვა ტექსტში (CTU A 8-3 I) თითქოს ლაშქრობის მარშრუტიც ჩანს: შერიაზის ქვეყანა, ქალაქი ფუთე, მარცხნივ – ქვეყანა ბიანი, ქვეყანა ხუშანი, მარჯვნივ – თარიუნის ქვეყანა; ზაბახაე, ქალაქი უზინაბითარნა, სირიმუთარას მთიანი ქვეყნა, მარჯვნივ იგანის ქვეყანა, ერიახის ქვეყანა, აფუნის ქვეყანა, ქალაქი ურიეიუნი, უიტერუხის სამეფო ქალაქი.

მარშრუტის ძირითადი ნაწილის რეკონსტრუქცია რთული არაა – თორთომის ხეობით არგიშთი ჩრდილოეთისაკენ მიიწევს, შემდეგ კი აღმოსავლეთით უხვევს იგას (ჩილდირის ტბის მახლობლად) და ერიახის (დღევანდელი გიუმრის მიდამოებში) მიმართულებით. ეს გზა სრულიად ლოგიკურია რელიეფის გათვალისწინებით.

დიაუხის მოკავშირეთაგან ყურადღებას იპყრობენ ტომები/ქვეყნები: ლუშა, ქათარზა, უიტერუხი, რომლებიც, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ქართულ სამყაროს შეიძლება დავუკავშიროთ.

ამ ტომების ყველაზე ადრეული მოხსენიება თარიღდება ძვ.წ. 820-10 წლებით, ურარტუში იშფუინისა და მენუას თანამმართველობის პერიოდით (CTU A 3-4. 3-5. 3-6. 3-7). შემდგომ ისინი ჩანან არგიშთი I-ის (785/780-756) მეფობის II-III და XIII-XIV წლების ამბების აღწერილობაში (CTU A 8-3 V), ასევე სარდური II-ის კოლხეთის წინააღმდეგ 40-იან წლებში მოწყობილი ლაშქრობის კონტექსტში (CTU A 9-3 III).

ტექსტების უმრავლესობა ურარტუს დედაქალაქ ტუშფაში (დღევანდელი ქ. ვანი) არის ნაპოვნი, ორი კი ალაშკერტის მახლობლად, პირაბატსა და ტოპრაკ-კალეში. ამ ტექსტებში მოხსენიებული ქალაქი ანაშე სავარაუდოდ სწორედ ალაშკერტი უნდა იყოს [12,417; 8,496], რაც არის კიდეც ყველაზე

მყარი საყრდენი დასახელებულ ტომთა ლოკალიზაციისათვის მდინარე არაქსის ზემო წელის მარჯვენა ნაპირზე [14,48ფფ.; 8,496,512]. ეს ტერიტორია საკმაოდ დაშორებულია ისტორიული კლარჯეთისგან (მით უმეტეს, ლაზებისა და ოძრხესაგან). ნ. არუტუნიანის აზრით, ეს არ გამორიცხავს იმ შესაძლებლობას, რომ ქათარზას ტომის სამფლობელო ჩრდილოეთით კლარჯეთსაც მოიცავდა [8,512]. მაგრამ ასეთ შემთხვევაში საკმაოდ დიდ და ძლიერ სახელმწიფოსთან გვექნებოდა საქმე, რაც ტექსტებიდან თითქოს არ ჩანს. ტომთა დიდ გაერთიანებას ურარტუს ჩრდილოეთით, დღევანდელი სომხეთის ტერიტორიაზე, ეთიუნი/ეთიუხი ეწოდებოდა, ხოლო კლარჯეთსა და ურარტუს შორის მდებარეობდა დიაუხის ძლიერი სამეფო.

ლუშა, ქათარზა და უიტერუხი ანაშე-ალაშკერტთან მხოლოდ იშფუინისა და მენუას ერთობლივი ლაშქრობის აღწერისას ჩანან. საინტერესოა, რომ ურარტელთა გამარჯვება, გარდა ზმნებისა „დაამარცხა“, „მოსპეს“, გადმოცემულია აგრეთვე ზმნით su-ú-i-du-tú – „უკუაგდეს“, რაც არ არის ტიპური ქვეყნის დაპყრობის შემთხვევაში.

მენუას ტექსტებში (810-785/80) აღარ ჩანან არც ეს ტომები, არც ქალაქი ანაშე, ხოლო ამ ქალაქის მახლობლად აღმოჩნდა წარწერა, რომელიც მენუას მიერ ციხესიმაგრის მშენებლობაზე მოგვითხრობს (CTU A 3-40).

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ მენუამ საბოლოოდ დაიმორჩილა რეგიონი და იქ მობინადრე ტომები. ურარტუს ექსპანსია ჩრდილოეთის მიმართულებით გაგრძელდა და გამარჯვების აღსანიშნავ წარწერებს ეხვდებით უკვე ერზერუმისა და ყარსის მიდამოებში (მაგ., CTU A 5-3, 5-4).

მენუას მომდევნო მეფეების, არგიშთი I-ისა და სარდური II-ის დროს ურარტუს ძლიერება ზენიტს აღწევს. ისინი იპყრობენ დღევანდელ სომხეთს და იქ ციხე-ქალაქებსაც აშენებენ. არგიშთის წარმატებათა ამსახველი წარწერა საქართველოს საზღვართან ახლოს, ხანაკშიც აღმოჩნდა. ასეთ ვითარებაში, დიაუხის (ტაოს) და კულხას (კოლხეთის) წინააღმდეგ ლაშქრობების დროს ურარტუ კვლავ ებრძვის ლუშას, ქათარზასა და უიტერუხს. სამივენი ერთად დიაუხის მოკავშირეებად ჩანან არგიშთის მეფობის მეორე წელს მოწყობილი ლაშქრობის დროს. ამ ლაშქრობის აღწერილობიდან გამომდინარე, გ. მელიქიშვილი ქათარზასა და უიტერუხს ერიახის (დღევანდელი გიუმრის) მახლობლად ათავსებს [12,432-445], რაც სავსებით ბუნებრივია. მაგრამ ხომ არ შეიძლება ამ ლოკალიზაციის დაზუსტება?

დიაუხის მოკავშირეთა ჩამონათვალში ლუშა და ქათარზა ერიახის წინ მოიხსენიებიან, უიტერუხი კი ორივე კონტექსტში ერიახის შემდგომ ჩნდება. თუ ზემოხსენებულ მარშრუტს გავიხსენებთ, არგიშთის კლარჯეთი გიუმრიმდე უნდა დაელაშქრა. საით წავიდა იგი აქედან – ჩრდილო-აღმოსავლეთით, თუ სამხრეთით (ან სამხრეთ-დასავლეთით), რათა აფუნისა და უიტერუხისათვის მიეღწია?

თეორიულად ორივე შესაძლებელია, მაგრამ რაში სჭირდებოდათ არგიშთისა და სარდურის იმ პუნქტების დალაშქვრა, რომელიც ჯერ კიდევ მენუას დროს ურარტუს სამეფომ შეიერთა, ან რატომ მიჰყავდათ იქიდან ტყვეები? ტექსტებიდან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ აფუნი და უიტერუხი საკ-

მაოდ შორეული ქვეყნებია. მხოლოდ სარდური II იპყრობს დროებით უიტერუხს და იქ თავის მოხელეს ტოვებს მეთვალყურედ (CTU A 9-3 III).

განხილული მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ იშფუინისა და მენუას ბრძოლა ლუშას, ქათარზასა და უიტერუხის ტომებთან ქალაქ ანაშეს მიდამოებში ნარმოადგენდა არა მათ დაპყრობას, არამედ მათი თარეშის აღკვეთას, რაც აისახა კიდეც ტერმინში su-ú-i-du-tú – „უკუაგდეს". არგიშთისა და სარდურის შორეული ლაშქრობების დროს ურარტელები უკვე ამ ტომების საცხოვრისს აღწევენ. სამწუხაროდ, ამ მიწების ზუსტი ლოკალიზაცია მხოლოდ აღნიშნულ ლაშქრობათა მარშრუტების შესწავლით რთულია. აქ შეიძლება ერთგვარად დაგვეხმაროს ენობრივი მასალა. ურარტულ ტექსტებში მრავლადაა ისეთ ტოპო და ეთნონიმი, რომლებიც მოგვიანებით ანტიკურ, სომხურ თუ ქართულ წყაროებში გვხვდება ქართული ტომებისა თუ დასახლებების აღსანიშნავად. მოვიტან მხოლოდ არასრულ ჩამონათვალს.

თითქმის საყოველთაოდაა გაზიარებული შემდეგი იდენტიფიკაციები: დიაუხი – ტაო, ქათარზა – კლარჯეთი, ზაბახა – ჯავახეთი, კულხა – კოლხეთი. მკვლევართა მიერ შემოთავაზებულია აგრეთვე შედარებით უფრო ჰიპოთეტური დაკავშირებები: შეშეთინა – შავშეთი, ლუშა – ლაზეთი, ვიტერუხი – ბიძერები – ოძრხე, იგა(ნიეხი) – ჰენიოხი, ალგანი – ალგეთი, ქვეყნის კარი – ტაოსკარი [5], შაშილუ – სასირო [6,36], თარიუნი – თორი, კურიანია/გურიანია – მტკვარი ან გურია, ცუდალა – წუნდა, ფუსუნია – ფოსო, ალკანია – არაკონ, არაქალ, ირკანი და სხვ.[1]

მართალია, ყველა იდენტიფიკაცია შეიძლება არ იყოს მისაღები, მათი ნაწილი კი მხოლოდ ენობრივი პარალელის მაგალითად გამოდგეს და არა ტოპონიმის ლოკალიზაციისათვის, მაგრამ, ჩემი აზრით, მთლიანობაში ამგვარ ტოპონიმთა სიმრავლე გვაძლევს უფლებას ვივარაუდოთ, რომ ურარტუს ჰქონდა ურთიერთობა არა დაუდგენელი ლოკალიზაციის ცალკეულ ქართველურ ტომთან, არამედ უკვე მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბებულ ქართველურ ეთნო-კულტურულ და პოლიტიკურ სამყაროსთან. თითო-ოროლა ტოპონიმის და, მით უმეტეს, ეთნონიმის ადგილმდებარეობის შეცვლა საუკუნეთა მანძილზე სავსებით დასაშვებია, მაგრამ ტოპონიმთა მთელი სისტემის გადანაცვლება ნაკლებად სავარაუდოა.

შესაბამისად, ურარტულ ტექსტებში დაცულ იმ ტოპონიმთა ლოკალიზაციის დასაზუსტებლად, რომელთა გაიგივება სხვა წყაროებში მოხსენიებულ ქართულ ტოპონიმებთან მეტ-ნაკლები დარწმუნებულობით ხერხდება, შეიძლება გარკვეულწილად გამოდგეს მათი გვიანდელი ადგილმდებარეობა.

[1] უფრო დეტალურად იხ. მაგ., [1;2].

Levan Gordeziani

Tao-Klarjeti in Urartian Texts

Summary

Georgian translations of the Urartian texts are followed by comments concerning mostly the dating of the Urartian campaigns against Diauhi and the localization of some toponyms.

ლიტერატურა – REFERENCES

1. ასათიანი შ., ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ონომასტიკა ასურულ და ურარტულ წერილობით წყაროებში, საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ., 1993, 10-20.
ასათიანი შ., სამხრეთ-დასავლეთ ამიერკავკასია ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოს ასურული წყაროების მიხედვით, კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული 9, თბ., 1998, 18-33.
3. გორდეზიანი ლ., ძველი ისტორიის ნარკვევები, თბ., 2009.
4. მელიქიშვილი გ., ურარტული წყაროები, ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, თბ., 1990, 269-295.
5. მელიქიშვილი გ., ურარტული ნაკვალევი ძველ ქართულ ტოპონიმიკასა და ლექსიკაში, გორის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომათა კრებული 1, 1995, 8-17.
6. ქავთარაძე გ., საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების საკითხები, თბ., 2006.
7. ქემერტელიძე თ., გვიანი ბრინჯაოს ხანის სამხრეთ-დასავლეთ ამიერკავკასიის მოსახლეობის ეთნიკური ვინაობის პრობლემა, აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები 7, თბ., 2001, 11-15.
8. Арутюнян Корпус урартских клинообразных надписей. Гитутюн. Ереван 2001 = КУКН. 2001.
9. Дьяконов И. М., Предистория армянского народа. Ереван. 1968.
10. Меликишвили Г. А., Наири-Урарту. Тб., 1954.
11. Меликишвили Г. А., К истории древней Грузии. Тб., 1959.
12. Меликишвили Г. А., Урартские клинообразные надписи. Наука. М., 1960 = УКН.
13. CTU – Salvini M., Corpus dei testi urartei, 3 vol., CNR, Istituto di studi sulle civilità dell'Egeo e del Vicino Oriente. Roma. 2008.
14. Diakonoff I. M., Kashkai S.M., Répertoire Géographique des textes cuneiformes. 9. Geographical names according to Urartian texts. Wiesbaden, 1981.
15. Fähnrich H., Kleine Schriften. Jena. 2003.
16. Salvini M., Geschichte und Kultur der Urartäer. Darmstadt. 1995.

რევაზ პაპუაშვილი

ანთროპომორფული გამოსახულებები ცაიშიდან

ცაიშის სამაროვნის შესახებ 2001 წელს გახდა ცნობილი. ის მდებარეობს ამავე სოფლის სამხრეთით, ცაცხვის უბანში, რევაზ და მურთაზ ტუფურიების საკარმიდამო ნაკვეთში. ზედაპირული დაზვერვებისა და მიწის დამუშავებისას სხვადასხვა დროს მოპოვებული ცალკეული არტეფაქტების ანალიზით იმთავითვე ნათელი გახდა, რომ საქმე გვქონდა სამაროვანთან, სადაც მოსალოდნელია სხვადასხვა მასშტაბისა და ხასიათის სამარხების აღმოჩენა, დაწყებული გვიანბრინჯაოს ხანის ფინალური სტადიიდან, ელინისტური ხანის ჩათვლით [5,48-54]. 2005 წელს აქ ცენტრალური კოლხეთისათვის დამახასიათებელი დიდი კოლექტიური სამარხი ორმო გაითხარა, რომელიც ამ სამაროვანზე პირველი იყო, ამიტომ მას სამარხი ორმო 1 ვუწოდეთ.

სამარხი ორმო 1 მდებარეობს სამაროვნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. მისი ფართობი 50 მ² და კუთხეებმომრგვალებული მართკუთხედის ფორმა აქვს. სიღრმე 1,5 მ-მდე აღწევს. კოლხეთში შესწავლილი ამ ტიპის სხვა სამარხების მსგავსად, აქაც მიცვალებულების მეორადი დაკრძალვაა დადასტურებული. დიდი რაოდენობის მიცვალებულთა ძვლები კონცენტრირებული იყო სამარხის კიდეებში და ძირზე. მიცვალებულთა ოდენობის განსაზღვრა რთულია. შესაძლოა ეს სამარხი 5 ასეულზე მეტი ინდივიდის განსასვენებელსაც კი წარმოადგენდა. ერთმანეთში იყო არეული და ტორფისებურ მასას ქმნიდა: ძვლები, ნივთები, ქსოვილი, ტყავი და სხვა ორგანული მასის ნაშთი.

სამარხში 1300-ზე მეტი არტეფაქტია აღმოჩენილი. ნივთები იყო ყველგან: კედლებზე და იატაკზე, ცალ-ცალკე და ჯგუფ-ჯგუფად. შეუძლებელი იყო მათი რომელიმე ინდივიდისათვის მიკუთვნება. მოპოვებული ნივთები მასალის მიხედვით შეიძლება დაიყოს: ქვის, თიხის, სპილენძის, ბრინჯაოს, რკინის, ვერცხლისა და ოქროს ნაწარმად. დანიშნულების მიხედვით კი გვაქვს: ჭურჭელი, სამეურნეო და საბრძოლო იარაღი, ტუალეტთან დაკავშირებული აქსესუარები, ლითონის სამკაული, მძივსამკაული და საკულტო საგნები (ტაბ. I). მასალის დიდი ნაწილი კამერალური დამუშავების პროცესშია, სრული პუბლიკაცია კი მომავლისათვისაა გათვალისწინებული. წინამდებარე სტატიაში მხოლოდ ზოგადად განვიხილავთ აქ აღმოჩენილ ბრინჯაოსაგან დამზადებულ ანთროპომორფულ ქანდაკებებს. ჩვენს მიზანს ამჯერად არ წარმოადგენს არც მათი ტექნოლოგიური, არც იკონოგრაფიული და არც მხატვრულ-სტილისტური ანალიზი.

ქანდაკება 1 (ტაბ. II$_1$).

ჩამოსხმულია ბრინჯაოსაგან და ძლიერაა დაჟანგული. გამოსახულება წარმოადგენს ფეხზე მდგომ ქალს, რომელიც ოდნავაა ფეხებში მოხრილი, აქვს ტანთან შედარებით დიდი თავი, სქემატურად ძალზე გამოხატული სახის ნაკვთები, უკან გადავარცხნილი თმა, რომელიც მხრებზეა ჩამოშლილი. ხაზგასმულია ფართო მხრები და კარგად გამოკვეთილი მკერდი. იდაყვებში მოხრილი ხელები მუცელზე აქვს დაწყობილი, წელზე ქამრის ნაშთია შემორჩენილი. ფეხებზე, კოჭებთან, რგოლები აქვს წამოცმული. ქანდაკება ან ქსოვილში ყოფილა შეხვეული, ან ტანსაცმლით შემოსილი, რაზეც ქსოვილის ანაბეჭდი მიუთითებს.

ქანდაკების ზომებია: სიგრძე (სიმაღლე) – 11,5 სმ., სიფართე მხრებთან – 4,5 სმ., სისქე – 2,3 სმ.

ქანდაკება 2 (ტაბ. II$_2$).

ჩამოსხმულია ბრინჯაოსაგან, ძლიერაა დაჟანგული და ნაკლული. ქანდაკება შედგება: ცხენისაგან, ცხენზე დამაგრებული სავარძლისაგან, მასში მჯდომი ქალისაგან, ჩვილი ბავშვისაგან და სასმისისაგან. ქალს ფეხები ცხენის მარჯვენა ფერდზე აქვს გადმოწყობილი, მარცხენა ხელით მკერდში ბავშვი ჰყავს ჩახუტებული; მარჯვენა, ოდნავ ზეაღმართულ ხელში სასმისი უჭირავს. სასმისის ზედა ნაწილი ხელის მტევნითაა დაფარული, ქვედა ნაწილი კი აღარაა შემორჩენილი. სახე ძლიერ დაზიანებულია და დეფორმირებული. ნაკვთები არ იკითხება. ქვედა ყბა საერთოდ აღარაა შემორჩენილი. ოდნავ შეინიშნება თავზე შემოვლებული გვირგვინის ნაშთი. კეფიდან მხრებზე შეკრული თმა ეშვება. ყელის არე იმდენადაა დაჟანგული, რომ მასზე რგოლები (თუ ჰქონდა) აღარ შეინიშნება. ბავშვის მხოლოდ თავი და ტანის ზედა ნაწილია შემორჩენილი. აკლია ტანის ქვედა ნაწილი და ფეხები. ცხენის ნაგრძელებულ დრუნჩზე ფრაგმენტულადაა შემორჩენილი აღკაზმულობის ნაშთი. სავარძლის ზედა ნაწილი წნულ ღეროს წარმოადგენს, მისი ერთი ბოლო ცხენის კისრის მარცხენა მხარესაა მიერთებული, მეორე კი ვერტიკალურად ეშვება ცხენის გავაზე. სავარძლის ქვედა ნაწილი სამი ერთნაირი მრგვალი ფირფიტისაგან შედგება, რომელთაგან ერთი ცხენის კისერზე, შუა კი ცხენის მარჯვენა ფერდზეა მიერთებული. ცხენს წინა მარცხენა და უკანა მარჯვენა ფეხი აკლია. კუდი ოვალურგანივკვეთიანია, წაწვეტებული.

ქანდაკების ზომებია: სიგრძე – 8,5 სმ., სიმაღლე – 9,5 სმ., სისქე –2,5 სმ.

ქანდაკება 3 (ტაბ. II$_3$).

ჩამოსხმულია ბრინჯაოსაგან. ძლიერაა დაჟანგული. ქანდაკება შედგება: ცხენისაგან, ცხენზე დამაგრებული სავარძლისაგან, მასში მჯდომი ქალისაგან, ჩვილი ბავშვისაგან და სასმისისაგან. ქალს ფეხები ცხენის მარჯვენა ფერდზე აქვს გადმოწყობილი, მარცხენა ხელით მკერდში ბავში ჰყავს ჩახუტებული. მარჯვენა, ოდნავ ზეაღმართულ ხელში სასმისი (ყანწი) უჭირავს, რომლის დიდი ნაწილი ხელის მტევნითაა დაფარული. ქალს ორივე ხელის ცერა თითი მაღლა აქვს აწეული. სახეზე ცუდად, მაგრამ მაინც იკითხება თვალები, ყურები, ცხვირი და ნიკაპი. თავზე წრიულად შემოსდევს ლენტისებური და

დაკეჭნილი გვირგვინი. კეფიდან მხრებზე ვერტიკალურად ეშვება შეკრული თმა. ყელზე რგოლების იმიტაციაა გამოსახული. ქალს პოზა და ხსენებული შემკულობანი, ერთგვარად, მედიდურ გამომეტყველებას სძენს. ბავშვის ტანი, თავი და კიდურები სქემატურადაა გადმოცემული. ასევე სქემატურადაა გადმოცემული აღკაზმულობა ცხენის წაგრძელებულ დრუნჩზე. სავარძლის ზედა ნაწილი წნულ ღეროს წარმოადგენს. მისი ერთი ბოლო ცხენის კისრის მარცხენა მხარესაა მიერთებული, მეორე კი ვერტიკალურად ეშვება ცხენის გავაზე. სავარძლის ქვედა ნაწილი სამი თანაბარი, მრგვალი ფირფიტისაგან შედგება, რომელთაგან შუა ცხენის მარცხენა ფერდზეა მიერთებული. უკანა ფეხები მომტვრეული აქვს. კარგად გამოყოფილი კუდი დაბრტყელებულია, ნაგრძელებული და ნვეტიან-ოვალური ფორმისაა.

ქანდაკების ზომებია: სიგრძე -10,5 სმ., სიმაღლე – 10,5 სმ., სისქე -3 სმ.

ქანდაკება 4 (ტაბ. II$_4$).

ჩამოსხმულია ბრინჯაოსაგან. ძლიერაა დაჟანგული. ქანდაკება შედგება: ცხენისაგან, ცხენზე დამაგრებული სავარძლისაგან და მასში მჯდომი ქალისაგან. ქალს ფეხები ცხენის მარჯვენა ფერდზე აქვს გადმოწყობილი, თუმც მუხლებს ქვემოთ ფეხები აღარაა შემორჩენილი. იდაყვებში მოხრილი ხელები სავარძელზე აქვს დაწყობილი. თავი და ყელი ჟანგის სქელი ფენითაა დაფარული, ამიტომ, სახის ცალკეული ნაკვთები არ იკითხება. კარგადაა გამოყოფილი მკერდი და ვიწრო წელი. სხეულის ამ ნაწილით მისი ქალურობა თვალსაჩინოა. ცხენის აღკაზმულობა (ლაგამი, აღვირი) არ შეინიშნება. ცხენზე გამართული სავარძლის ზედა ნაწილი ჰორიზონტალურად მიმართულ მორკალურ ღეროს წარმოადგენს, ბოლოები ვერტიკალურად ეშვება ცხენის კისერთან და გავასთან. სავარძლის ზურგი ცხენის მარცხენა ფერდს უერთდება.

ქანდაკების ზომებია: სიგრძე – 6,5 სმ., სიმაღლე – 6,5 სმ., სისქე – 2სმ.

ცხენის ზურგზე დამაგრებულ სავარძელში, ე.წ. სედლოში მჯდომი მხედარი ქალის სკულპტურული გამოსახულებები მხოლოდ კავკასიასა და აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის აუზიდანაა ცნობილი და თითოეული მათგანი ფაქტობრივად სკულპტურულ ჯგუფს წარმოადგენს. თემატურადაც და იკონოგრაფიულადაც ცხენოსან მხედარ ქალებს უკავშირებს თ. მიქელაძე ბრინჯაოს სკულპტურათა კიდევ ერთ კატეგორიას: ქალების სკულპტურულ გამოსახულებებს ბავშვით ხელში, ცხენის გარეშე (მიქელაძე 1985: 62).

თ. მიქელაძე და ოთ. ლორთქიფანიძე ამგვარ ქანდაკებებს განიხილავდნენ, როგორც დედაღვთაების, ,,დიდი დედის" სკულპტურულ გამოსახულებებს [4,62; 3,188]. უფრო ადრე, ბ. კუფტინი ბომბორაში და ჩრდილო კავკასიაში აღმოჩენილი ბავშვიანი ქალის გამოსახულებებს მცირეაზიური დედაღვთაების კულტის ადგილობრივ რეპლიკად მოიაზრებდა [9,247]. ჩვენც, ვიზიარებთ რა ცნობილ მეცნიერთა მოსაზრებებს, მათ ერთიანობაში განვიხილავთ.

ხსენებულ დედაღვთაებათა აღნიშნულ გამოსახულებებს თუ კომპოზიციის შემადგენელი ელემენტების მიხედვით დავაჯგუფებთ, მივიღებთ, რომ გვხვდება:

ა) დედაღვთაება, ფეხზე მდგომი, ბავშვით ხელში.

ბ) დედაღვთაება, მჯდომარე პოზაში, ბავშვით ხელში.

გ) დედაღვთაება ცხენზე, სავარძელში მჯდომი, ბავშვის გარეშე.

დ) დედაღვთაება ცხენზე, სავარძელში მჯდომი, მკერდში ჩახუტებული ბავშვით.

ოთხივე ჯგუფში კომპოზიციის უცვლელი ელემენტია ქალი.

პირველი ორი ჯგუფის სკულპტურული გამოსახულებები მხოლოდ კავკასიაში გვხვდება და ისინი ორ-ორი ეგზემპლარითაა ცნობილი. ფეხზე მდგომი დედაღვთაების ერთი ნიმუში ცნობილია აფხაზეთიდან, ბომბორას კოლექციიდან (ტაბ. III_3). სამწუხაროდ, ნივთი დაკარგულად ითვლება. შემორჩენილია მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში დაცული აღწერილობა და ფოტოანაბეჭდი [9,247, ტაბ. XXVI-2]. მეორე მსგავსი გამოსახულება (ტაბ. III_2), სავარაუდოდ, ყობანაშია აღმოჩენილი და ერმიტაჟში ინახება [12,64, ნახ. 59; 8,64, ტაბ. XXVI]. მჯდომარე დედაღვთაების ერთი ნიმუში (ტაბ. III_1) აღმოჩნდა 1976 წელს, ურეკის სამაროვნის 3 კოლექტიურ სამარხ ორმოში (მიქელაძე 1985: 62, ტაბ. XIII-67‡). ის სპეციალისტებისათვის კარგადაა ცნობილი. ინახება ოზურგეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. მსგავსი ქანდაკება დაღესტნიდანაცაა ცნობილი, კერძოდ, გუნიბის ოლქის სოფ. ურიდას ახლოს, ადგილ რატლუბადან. სამწუხაროდ, ეს ქანდაკებაც დაკარგულია და მხოლოდ დ. ანუჩინისეული, საკმაოდ დეტალური აღწერაა შემორჩენილი. ცნობილია, რომ ეს ქანდაკება შეუძენია ფოტოგრაფ ა. როიონოვს და შემდეგ ის მოხვედრილა დიდი მთავრის, გიორგი მიხაილოვიჩის კოლექციაში სახელწოდებით – `Астрата из Гуниба~ [9,252; 10,92]. ცხენზე მჯდომარე ქალღვთაების ქანდაკებანი, ბავშვის გარეშე, ჩვენთვის 8 ცალია ცნობილი; ოთხი საბერძნეთში, ორი კოლხეთში და ორიც დაღესტანშია აღმოჩენილი. საბერძნეთში აღმოჩენილთაგან ორი ჩრდილო არკადიიდან, ლუსოიდანაა. ერთი ინახება ვენის ხელოვნების ისტორიის (ტაბ. III_5), მეორე კი კარლსრუეს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში (ტაბ. III_4). მესამე სამხრეთ-აღმოსავლეთ არკადიაში, თეგეაშია აღმოჩენილი და თეგეას მუზეუმში ინახება (ტაბ. III_6). მეოთხე ოლიმპიაშია აღმოჩენილი და გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტშია დაცული (ტაბ. III_8) [17,259-262, ნახ. 1-4]. მეხუთე ამგვარი ქანდაკება (ტაბ.III_7) 1991 წელს კოლხეთში აღმოჩნდა, ერგეტის III სამაროვნის 4 კოლექტიურ სამარხ ორმოში [4,18, ნახ. 20], რომელიც ინახება ფოთის ისტორიულ-არქეოლოგიურ მუზეუმში. მეექვსე კი ცაიშში ახლად აღმოჩენილი ქანდაკებაა (ტაბ. II_4). მეშვიდე, შეკაზმულ ცხენზე მჯდომარე ქალღვთაების ქანდაკება (ტაბ. III_9) დაღესტნის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული. მისი აღმოჩენის დრო, ზუსტი ადგილი და ვითარება ცნობილი არაა (მარკოვინი 1986: 96). მერვე ქანდაკების შესახებ, რომელიც დაღესტანში, XIX საუკუნის 70-იან წლებში, გზის მშენებლობის დროს, მახაჩკალასთან ახლოს უნდა იყოს აღმოჩენილი, მხოლოდ გენერალ ა. კომაროვის ჩანაწერებიდანაა ცნობილი – „выченканное из бронзы изображение женщины сидящей боком на лошади“ [10,75].

ცხენზე მჯდომარე დედაღვთაების ქანდაკებანი ბავშვით ხელში მხოლოდ კოლხეთში და კუნძულ სამოსზე, პერაიონშია აღმოჩენილი (ტაბ. III_{11}). ჰერაიონში ის აღმოჩნდა ხვადასხვა რეგიონში დამზადებულ და სხვადასხვა ხასიათის მრავალრიცხოვან ნაწარმთან ერთად [13,80-84, ტაბ. 79]. ქანდაკება გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტშია დაცული. თემატურად და იკონოგრაფიულად მსგავსი ქანდაკება (ტაბ.III_{12}) მუხურჩის სამაროვნის ქვედა დასაკრძალავ მოედანზეცაა აღმოჩენილი [7,30, ნახ. I_{24}]. ქანდაკება ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. ამავე მუზეუმში, ნიკოლოზ ჩუბინიშვილის ინფორმაციით (რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ), მეორე ამგვარი, ძლიერ ფრაგმენტირებული, ქანდაკების ნაშთიც ინახება. უკვე აღინიშნა, რომ ცაიშის სამაროვნის 1 კოლექტიურ სამარხ ორმოში ამ ჯგუფის ორი ქანდაკებაა მოპოვებული (ტაბ. $II_{2,3}$, ტაბ. III_{10}).

თუ ჩვენთვის საინტერესო ქანდაკებებს გეოგრაფიული პრინციპით, აღმოჩენათა ადგილის მიხედვით, გავანაწილებთ, მივიღებთ, რომ ქალღვთაებათა გამოსახულებები ბავშვით ხელში, მჯდომარე ან ფეხზე მდგომი, ე. ი. „ა“ და „ბ“ ჯგუფები, მხოლოდ კოლხეთსა და ჩრდილოეთ კავკასიაში გვხვდება. ცხენზე მჯდომარე ქალღვთაებათა გამოსახულებები, ბავშვის გარეშე, „გ“ ჯგუფი, აღმოჩენილია: საბერძნეთშიც, კოლხეთშიცა და ჩრდილოეთ კავკასიაშიც. ცხენზე მჯდომარე ქალღვთაებათა გამოსახულებანი, ბავშვით ხელში, „დ“ ჯგუფი მხოლოდ კოლხეთიდან და კუნძულ სამოსიდანაა ცნობილი.

ამრიგად, ოთხივე ჯგუფის გამოსახულებანი მხოლოდ კოლხეთშია დადასტურებული. ხსენებული 17 ქანდაკებიდან 8 ცალი აღმოჩენილია კოლხეთში, 5 ცალი ეგეოსურ სამყაროში, 4 ცალი კი ჩრდილოეთ კავკასიაში. თუ ამ ქანდაკებათა აღმოჩენის ადგილს და მათი გეოგრაფიული განაწილების პრინციპს მნიშვნელობას მივანიჭებთ, მაშინ კოლხეთი ჩრდილოეთ კავკასიასა და ეგეოსურ სამყაროს შორის თავისებურ ხიდად, დამაკავშირებელ რგოლად წარმოგვიდგება.

ამ თვალსაზრისით სრულიად განსაკუთრებულია კუნძულ სამოსზე აღმოჩენილი ქალღვთაების ხსენებული გამოსახულება (ტაბ. III_{11}). სამოსის ქანდაკებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს ის გარემოებაც, რომ ამ ქანდაკებასთან ერთად აღმოჩენილია კოლხურ-ყობანური ბრინჯაოს პროდუქციისათვის დამახასიათებელი ისეთი ელემენტები, როგორებიცაა: სპეციფიკური ფორმის აბზინდები და ზარაკები. ცნობილია, რომ ამ ძეგლების აღმომჩენი და პუბლიკატორი ულფ იანტცენი ამ ქანდაკებას ზოგადკავკასიურ ნაწარმად მიიჩნევდა, აბზინდებსა და ზარაკებს კი ყობანურ კულტურას უკავშირებდა [13,80-84]. ურეკში აღმოჩენილი ბავშვიანი ქალის თემატურ-იკონოგრაფიული ანალიზისა და სამოსზე აღმოჩენილი აბზინდებისა და ზარაკების კულტურული კუთვნილების გათვალისწინებით თ. მიქელაძემ სამოსის ქანდაკება არა ზოგადკავკასიურად, არამედ, კოლხურ ნაწარმად მიიჩნია [4,63], თუმც, სამოსის აღნიშნულ ქანდაკებას დასავლეთ ირანულ საწარმოო ცენტრებსაც უკავშირებენ. აღნიშნულ მოსაზრებას არ იზიარებს ოთ. ლორთქიფანიძე და აღნიშნავს, მსგავსი ქანდაკებები საერთოდ არაა ირანიდან და

წინააზიური სამყაროდან ცნობილი [3,189]. მართლაც, ლურისტანსა და სომხეთში აღმოჩენილი ორპროტომიან ცხენებზე მჯდარი ქალების გამოსახულებანი [11,135] ნაკლებ საერთოს პოულობენ კავკასიასა და ბერძნულ სამყაროში აღმოჩენილ ხსენებულ ქანდაკებებთან. ბერძნულ სამყაროში აღმოჩენილი, სავარძელში მჯდომარე ბრინჯაოს მხედრები საგანგებოდ შეისწავლა ამერიკელმა მკვლევარმა მ. ვოიატცისმა და სამოსელი მხედარი ქალის ქანდაკების შესახებ აღნიშნა: ის დამზადებული უნდა იყოს სახელოსნოში, სადაც ბერძნული ორიენტალიზირებული და კავკასიური ელემენტი ერთად არსებობდა, რომ შესაძლოა თვით სამოსშიც ყოფილიყო [17,271]. სამოსის, მუხურჩისა და ცაიშის ბავშვიან ღვთაებათა მსგავსება იმდენად დიდია, რომ მათი საერთო ცენტრიდან წარმომავლობა დიდი ეჭვის საფუძველს არ უნდა ბადებდეს. მსგავსება ვლინდება ისეთ წვრილმან დეტალებშიაც კი, როგორიცაა: სავარძლის ფორმა, მისი საზურგის შემკობა მრგვალი ფირფიტებით, ყელზე ასხმული სამკაული, დიადემა (თუ გვირგვინი), მხრებზე ვერტიკალურად ჩამოშვებული შეკრული თმა და სხვ. შეინიშნება მცირე განსხვავებაც: სამოსის ღვთაებას ორივე ხელი ბავშვზე აქვს შემოხვეული, ცაიშის ქანდაკებებს კი მარჯვენა ხელში სასმისები უჭირავთ. მუხურჩისას მარჯვენა ხელი საერთოდ აღარ აქვს შემორჩენილი.

ძვ.წ. IX-VII საუკუნეებითაა განსაზღვრული კონტინენტურ საბერძნეთზე და სამოსზე აღმოჩენილი ქანდაკებები. სამოსის ქანდაკება კი კონკრეტულად ძვ.წ. VIII საუკუნის II ნახევრითაა დათარიღებული [17,262]. მუხურჩის სამაროვნის ქვედა დასაკრძალავ მოედანს, სადაც აღნიშნული ქანდაკება აღმოჩნდა, ძვ.წ. VIII საუკუნითა და ძვ.წ.VII საუკუნის I ნახევრით ათარიღებენ [7,30-31]. ცაიშის სამაროვნის 1 კოლექტიური სამარხი ორმო ინვენტარის შედგენილობითა და ხასიათით ერთიანდება გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხურ კოლექტიურ სამარხ ორმოთა III ქრონოლოგიური ჯგუფის ისეთ ძეგლებთან, როგორებიცაა: ურეკის სამაროვნის 3, ერგეტის I სამაროვნის 5 და ერგეტის II სამაროვნის 4 სამარხი ორმოები. აღნიშნული ჯგუფის თარიღად ძვ.წ. VIII საუკუნის II და ძვ. წ. VII საუკუნის I ნახევარი მივიჩნიეთ [6,206-207]. ცხადია, ამავე პერიოდით განვსაზღვრავთ ცაიშის ხსენებულ ქანდაკებებსაც.

კიდევ ერთი ანთროპომორფული გამოსახულება, რომელიც ცაიშის სამაროვნის ხსენებულ სამარხში დადასტურდა, წარმოადგენს ფეხზე მდგომი ქალის ფიგურას. ის მუცელზე დაწყობილი ხელებით რამდენადმე ემსგავსება ვ. მარკოვინის მიერ მეოთხე სერიაში გაერთიანებულ ფიგურებს. ფეხებზე შემოხვეული რგოლებით კი მესამე სერიის „ვ“ ჯგუფში გაერთიანებულ ქალის ფიგურას, რომელიც 1970 წელსაა აღმოჩენილი სოფ. გიდათლიში და ხელში ყანწი უჭირავს [10,86-92, ნახ. 10-9; ნახ-12]. საინტერესოა გავიხსენოთ, რომ ცაიშის ბავშვიან დედაღვთაებებსაც ხელში ყანწის მაგვარი სასმისები უჭირავთ. გავიმეორებთ, რომ იონური კოლონიზაციის წინარე ხანაში, ეგეოსურ სამყაროსა და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ურთიერთობების გარკვევის თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭა სამოსში აღმოჩენილ ცხენზე მჯდომარე დედაღვთაების გამოსახულებას [14,180-181]. აღნიშნულია, რომ

იონურ კოლონიზაციამდელ ეპოქაში კოლხეთის მატერიალურ კულტურაში თავს იჩენს რიგი სიახლეებისა, რაც გამოიხატება ახალი ფორმებისა და ორნამენტაციის დანერგვით კოლხეთის სამეთუნეო წარმოებაში: ორმხრივ პროტომიანი ტერაკოტული ფიგურების გაჩენით ვანის [3,187-188], ნოქალაქევისა [1,19-20] და ყულევის ნამოსახლარებზე, სუბმიკენური ფიბულების გავრცელებით კავკასიაში, კოლხურ ბრინჯაოს ნაწარმზე სვასტიკისა და მეანდრის გამოსახულებათა სიმრავლითა და სხვ. წარმოდგენილ სიახლეებს კოლხეთის მატერიალურ კულტურაში ოთ. ლირთქიფანიძე მიიჩნევს მატერიალურ დადასტურებად იმ კონტაქტებისა, რომელიც უნდა არსებულიყო ეგეოსურ სამყაროსა და კოლხეთს შორის, იონური კოლონიზაციის დასაწყისამდე [3,188]. იგივე მოვლენა კულტურულ-სამეურნეო ტრადიციების იმპორტად მიაჩნია დ. ლომიტაშვილს [1,21]. ამავე პერიოდის ბერძნული საწარმოო ცენტრებიდან იმპორტირებულადაა მიჩნეული ფიბულათა ერთი ჯგუფი [16,98, ტაბ. VIII, ნახ. 10] და მუხურჩის სამაროვანზე აღმოჩენილი „მეეტლის" ქანდაკება, რომლის პირდაპირი ანალოგიები ოლიმპიიდან და დელფოდანაა ცნობილი [2,27].

ზემოთქმულის საფუძველზე მივიჩნევთ, რომ ცაიშში აღმოჩენილი ანთროპომორფული ქანდაკებები კიდევ ერთი მატერიალური დადასტურებაა ეგეოსური სამყაროს უშუალო ურთიერთობისა კოლხეთთან და კოლხეთის მეშვეობით შესაძლოა ჩრდილოეთ კავკასიასთანაც. მიუხედავად ამისა, ჯერ არ მოგვეპოვება სათანადო მასალა დაბეჯითებითი მტკიცებისათვის: საშუამავლო იყო ეს ურთიერთობანი თუ პირდაპირი, საზღვაო გზებით ხორციელდებოდა თუ ხმელეთით, რეგულარული იყო თუ ეპიზოდური, მძარცველობითი ხასიათისა იყო თუ სავაჭრო. ყოველივე ამას მომავალმა კვლევა-ძიებამ უნდა გასცეს პასუხი.

Revaz Papuashvili

Anthropomorphic Sculptures from Tsaishi

Summary

In 2005. in Zugdidi region village Tsaishi, in the cemetery. burial pit №1, were found four anthropomorphic bronze sculptures.

This tomb is located in the south-western part of the cemetery. Its area reaches 50 square metres, the depth _ 1.5 metres. Just as in other burial places of this type in Colchis, the rite of secondary burial was confirmed here as well.

Articles of different kind and materials (more than1300) were discovered in this tomb (table I). They were everywhere: on the walls, on the floor; some were found separately and some in groups. It is impossible to ascribe them to any one individual. Taking into consideration the nature. characteristics and parallel material of the inventory. in general. burials may be dated to the second part of the VIII century BC - the first part of the VII century BC.

From four anthropomorphic statues, one woman is standing (table II1), three women are seated side-saddle, on horseback, with their feet on the right side. One is alone (table II4) and the other two are embracing a baby (table II2-3).

Analogous statues with babies have been found on the island of Samos, and are considered to be the sculptures of mother deity "Magna Mater", while the statues without babies have been discovered in continental Greece. Colchis and north Caucasus.

ტაბულების აღწერილობა

I. ცაიშის სამაროვანი, სამარხი ორმო 1, წამყვანი ინვენტარი.
II. ცაიშის სამაროვნის 1 სამარხ ორმოში აღმოჩენილი ანთროპომორფული გამოსახულებანი.
III. ეგეოსური სამყაროსა და კავკასიისთვის დამახასიათებელი ბრინჯაოს ქალღვთაებათა გამოსახულებანი (1 – ურეკი, 2 – ბომბორა, 3 – ყობანი, 4-5 – ლუსოი, 6 – თეგეა, 7 – ერგეტა, 8 – დაღესტანი, 9 – ოლიმპია, 10 – ცაიში, 11 – სამოსი, 12 – მუხურჩა).
IV. ბრინჯაოს ქალღვთაებათა გავრცელების სქემა ეგეიდასა და კავკასიაში.

ლიტერატურა – REFERENCES


1. ლომიტაშვილი დ., ცენტრალური კოლხეთი ძვ. წ. VIII – ახ. წ. VI სს. (ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი), ავტორეფერატი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2003.
2. ლორთქიფანიძე ოთ., ვაჭრობა შავ ზღვაზე „აბრეშუმის გზის" ისტორიული წინამძღვარი, შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიისა და არქეოლოგიის IX საერთაშორისო სიმპოზიუმი, ვანი-1999, მოხსენებათა მოკლე შინაარსები, თბ., 1999, გვ. 26-28.
3. ლორთქიფანიძე ოთ., ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან, თბ., 2002.
4. მიქელაძე თ., კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები, თბ., 1985.
5. პაპუაშვილი რ., ესებუა თ., ცაიშის სამაროვანი, ძიებანი 9, თბ., 2002, გვ. 48-54.
6. პაპუაშვილი რ., კოლხური ბრინჯაოს ექსპორტი, ძიებანი 12, თბ., 2003, გვ. 63-70.
7. Гогадзе Е. М., К вопросу о хронологии и периодизации памятников Колхидской культуры. ВГМГ. XXXVII-B. 1984. с. 28-54.
8. Доманский Я. В., Древняя художественная бронза Кавказа. В собрании гос. эрмитажа. М., 1984.
9. Куфтин Б.А. Материалы к археологии Колхиды. I. Тб., 1949.
10. Марковин В. И. Культовая пластика Кавказа, Новое в археологии Северного Кавказа. М.,1986. с. 74-124.
11. Погребова М. Н. Закавказье и его связи с передней Азией в скифское время. М., 1984.
12. Уварова П. С. Могильники Северного Кавказа. МАК. т.VIII. М., 1900.
13. Iantzen U., Aguptische und orientalische Bronzen aus dem Heraion von Samos, Samos-VIII, Bonn, 1972.

14. Lordkipanidze Otar et Mikeladze Teimouraz, La Colchide aux VIII eme veme siecles, Le Pont-Euxin vu par les Grecs Simposium de Vani (colchide), 1987. Paris. 1990, pp. 167-187.
15. Mikeladze T. Grosse kollelktive Grabgruben der fruhen eisenzeit in Kolchis, AA-1995. Berlin - New York. 1995. s. 1-22.
16. Sulava N. Die Kaukasischen Fibeln, Metalla, Georgien, Schatze aus dem Land des Golden Vlies. Tagungsband zum Kollogium. 2/3 Dezember 2002. Wiesbaden-Bochum, 2005, s. 88-103.
17. Voyatzis M., Votive Rider Seated Side-saddle at Early Greek Sanctuaries. BSA. 87, 1992, pp. 259-279.


შემოკლებათა განმარტება

ВГМГ – Вестник Государственного музея Грузии им. С. Джанашия. Тбилиси.
МАК – Материалы по археологии Кавказа.
BSA – Annals of British Scholl at Athens.
AA – Archaologischer Anzeiger.


ტაბულა I




ტაბულა II



ტაბულა III



ტაბულა IV



ზვიად კვიციანი

სვანთა (ქართველთა) ჩრდილოეთ კავკასიაში განსახლების ერთი საკითხისათვის

(კოშკურ-ქონგურიანი სამარხები)

უკანასკნელ ხანებში წერილობითი წყაროების, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ანთროპოლოგიური, ლინგვისტური და სხვა მასალის მონაცემების შუქზე მტკიცდება დებულება იმის თაობაზე, რომ სვანებს (ქართველებს) უძველეს ხანასა და შუა საუკუნეებში უფრო ვრცელი ტერიტორია ეჭირათ, ვიდრე შემდგომ პერიოდში. ეს შეეხება სვანეთის როგორც აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ისე ჩრდილოეთისა და სამხრეთის საზღვრებს. ამ მხრივ, განსაკუთრებული ინტერესის მომცველია და ყველაზე ნაკლებად შესწავლილი სვანთა განსახლების ტერიტორია ჩრდ. კავკასიაში და მათი კავშირები ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხებთან. ამ მიმართულებით კიდევ ბევრია გამოსაკვლევი. კვლევა-ძიება ახალ-ახალ მასალას ავლენს, რაც უფრო და უფრო სარწმუნოს ხდის არსებულ დებულებას.

ჩრდ. კავკასიაში სვანთა განსახლების დასაბუთება გარკვეულ წვლილს შეიტანს იმიერკავკასიის ხალხთა, კერძოდ, ყარჩა-ბალყარელთა ისტორიული წარსულის შესწავლაში და, ამასთან, საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მხარეს წარმოაჩენს. აღნიშნული საკითხის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს იმ მხრივაც, რომ იგი ხელს შეუწყობს ქართველი და ჩრდ. კავკასიის ხალხებს შორის ტრადიციულად კეთილი მეგობრული სულისკვეთების განმტკიცებას.

ჩრდ. კავკასიაში სვანთა განსახლების შესახებ ცნობებს გვაწვდიან ჯერ კიდევ ანტიკური და ადრეული შუა საუკუნეების ავტორები: სტრაბონი, მენანდრე, პროკოფი კესარიელი, ლეონტი მროველი, კირაკოს განძაკელი, პლანო კარპინი და სხვა.

ჩრდ. კავკასიაში სვანების ცხოვრებასთან დაკავშირებით უაღრესად საინტერესო მასალებს ვხვდებით XV-XVIII სს. რუსი ელჩების მუხლობრივ აღწერილობით სიგელებსა [10,23; 24,36] და XVI ს-ის ნიკოვისეულ მატიანეში [8,47]. XVIII ს-ის ავტორებიდან სვანთა განსახლებაზე საგულისხმო ცნობებს გვაწვდიან ვახუშტი ბატონიშვილი [2,39], შარდენი (1643-1713 წწ.) [11,20; 15,350], ჰენრიხ-იულიუს კლაპროტი (1783-1835 წწ.) [13, 256-257], გენერალ-ლეიტენანტი ი. ბლარმბერგი (1800-1878 წწ.) [13,431], რომელმაც რამდენჯერმე იმოგზაურა ჩრდილოეთ კავკასიაში.

ვახუშტი ბატონიშვილის რუკებზე სვანეთი ჩრდ. კავკასიაშია მოქცეული. როგორც ვახუშტი, ისე სხვა ავტორებიც, სვანეთს ჩრდილოეთ კავკასიაში შემთხვევით არ უნდა მიუთითებდნენ. ვახუშტიმ, როგორც ღრმად განსწავ-

ლულმა მეცნიერმა საქართველოსა და, საერთოდ, კავკასიის გეოგრაფიაში, არა გვგონია შეცდომა დაუშვას სვანეთის მდებარეობის განსაზღვრაში. რა თქმა უნდა, ვახუშტი ჩრდ. კავკასიაში სვანეთს აღნიშნავს საქართველოს საზღვრების ჩვენების მიზნით [2,173].

იმიერკავკასიაში სვანთა განსახლების ფაქტი XIX-XX სს-ის საარქივო მასალითაც დასტურდება, კერძოდ, სვანთა მიმოქცევის პროცესი ჩრდ. კავკასიაში, ყარაჩაი-ბალყარეთის ტერიტორიაზე, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ სვანები XIX-XX სს. ვერ შერიგებიან ჩრდ. კავკასიაში ტერიტორიების დაკარგვის ფაქტს.

XIX ს-ში, კავკასიაში მოღვაწე მკვლევართა, მოგზაურთა და მოხელეთა ჩანაწერებში თავი იჩინა ჩრდილოეთ კავკასიაში სვანთა განსახლებასთან დაკავშირებულმა ცნობებმა. ამ პერიოდის ავტორებიდან აღსანიშნავია ე. მილერის, ვ. ტეპცოვის, მ. კოვალევსკის, ა. ფირკოვიჩის, ვ. ივანოვის, ს. სისოევის, ნ. დუბროვინის, კ. ბოროზდინის, ი. ბარტლომეის, ლ. ლავროვის, პ. უსლარის, ი. აკინფიევის, ე. კალვეიტის, ი. კანევსკის და სხვათა შრომები [22; 28; 29; 30 და სხვ.].

ჩრდ. კავკასიაში სვანების განსახლების შესახებ საინტერესო ცნობები დაგვიტოვა ვ. ტეპცოვმა. მისი გადმოცემით, სვანები ჩრდილოეთ კავკასიაში მიუთითებენ მათი წინაპრების მიერ აგებულ სვანურ კოშკებსა და ქრისტიანულ სამარხებზე [28,56-63]. ყუბანის სათავეში, ლაბგვიარის ანუ ლუკამის ხეობაში, ვ. ტეპცოვი სვანური წარმოშობის ტოპონიმებსაც ასახელებს, ხოლო ყარაჩაელების შესახებ კი წერს: «Предки их знали, что занятые ими земли принадлежал сванам» [29,86-87].

ჩრდ. კავკასიაში სვანთა განსახლებაზე მეტყველებს აქ აგებული კოშკები და ეკლესიათა ნანგრევების (რომლებიც აქ მრავლადაა) გვერდით დადასტურებული ქრისტიანული სასაფლაოები, რომლებიც საყურადღებო ძეგლად ითვლება ზედა ბახსანში, ე.წ. ყამღუთის აკლდამა (ქეშენი), რომელიც მდებარეობს ერთ-ერთი სასაფლაოდან 3 კმ-ზე. ადგილობრივი მოსახლეობა ამ სასაფლაოს დღემდე ეძახის „ებზე-ყაბირლას" (სვანების სასაფლაოს). აკლდამის სიგრძე ორი და სიგანე ერთი საჟენი ყოფილა; იატაკზე ხის კუბოს ნარჩენებია აღმოჩენილი. აკლდამის ირგვლივ სამარხებია [32,339-340].


მსგავსი აკლდამა გოშაიახ-ბიჩე (ქეშენი) დადასტურებულია ყარაჩაიში და მესტიის რაიონის ბეჩოს თემის სოფ. მაზერში (სვანეთის მთავართა – დადეშქელიანთა საძვალე). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი აკლდამები ყარაჩაიში და ბალყარეთში არ იცოდნენ.

ზემო ჩეგემში ერთ-ერთ ადგილს, სადაც სამარხებია ნაპოვნი, „ბაირემ" ჰქვია, რაც წმ. მარიამს ნიშნავს. აქ მისი სახელობის ეკლესია მდგარა [8,116]. აქ გათხრილი სამარხები ქრისტიანულს მიეწერება.

ყარაჩა-ბალყარეთში, კერძოდ, ქართ-ჯურთის (მდ. ყუბანის სათავეებში) ყამღუთის აკლდამა (ზედა ბაქსანის), ზემო ჩეგემის და სხვა არსებული აკლდამები, საგვარეულო სამარხებით და ცალკეული საძვალეებით არაერთი მკვლევარი დაინტერესებულა, დაწყებული XIX საუკუნიდან დღემდე (ვ. სისოევი, ე. ალექსეევი, მ. ბატჩაევი და სხვა), მაგრამ არც ერთ მათგანს არ გაუ-

მახვილებია ყურადღება საგვარეულო სამარხთა გავლენების არქიტექტურულ სტილზე. ისინი მხოლოდ იმას აღნიშნავენ, რომ აქ გათხრილი საფლავები მუსულმანური არ არის, მიცვალებულები ქრისტიანული წესით არიან დაკრძალული. აღნიშნულ სამარხთა ქვის გალავნები სვანური არქიტექტურული სტილისთვის დამახასიათებელი პარაპეტითაა დამშვენებული (სურათი 1).

აღნიშნული სამარხების გალავანთა არქიტექტურული სტილის საკითხს პირველად შეეხო პროფ. თ. მიბჩუანი. მან პირველმა აღნიშნა, რომ ქართ-ჯუ-



სურათი 1

რთის საგვარეულო სამარხები სვანური (ქართული) არქიტექტურული სტილისათვის დამახასიათებელი პარაპეტებითაა დამშვენებული, რაც მათ მშენებელთა ვინაობის საუკეთესო დასაბუთების საშუალებას იძლევა [8,22].

ცნობილია, რომ ყარაჩაელები ამ ტერიტორიაზე მხოლოდ XVII საუკუნის შუა ხანებიდან მოსახლეობენ და მკვლევრებიც ზემოთ აღნიშნულ სამარხებს ყარაჩაელებამდე პერიოდს უკავშირებენ, ანუ XVI-XVII საუკუნის პირველი ნახევარი [8,22]. თუმცა, ჩვენი აზრით, აღნიშნული სამარხები უფრო ძველი უნდა იყოს. ყარაჩა-ბალყარეთის ტერიტორიაზე გამოვლენილია ადრეული, განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეების კოშკები, ეკლესიები და სამარხები. მათი უმრავლესობა თარიღდება იმ საუკუნეებით, როდესაც საქართველო იყო ყველაზე ძლიერი. ამ პერიოდისაა სენტის (სეტის) მონასტერი, შუანას მონასტერი, ხუმარის ტერიტორიაზე კლდოვან გორაზე აღმართული კოშკი, რომელსაც „თამარის ციხეს" უწოდებენ. თამარის სახელს უკავშირებენ მთასაც. ხუმარელი მოხუცების რწმენით, თამარი დასაფლავებულია მისი მთის მახლობლად, ყუბრანის ხეობის თავში.

ყარაჩაი-ბალყარეთის ტერიტორიაზე კოშკები განლაგებულია ორ ზონად, რომელთა უმრავლესობა აშენებულია მთებსა და მაღლობებზე, ნაწილიც – სოფლებში [7,67].

აღსანიშნავია ჩრდ. კავკასიაში აგებული კოშკებისა და სვანეთში მდებარე კოშკების აგებულების ერთგვარობა. ყარაჩაი-ბალყარეთში კოშკები გამოვლენილია შემდეგ პუნქტებში: მალყარის ხეობაში – 6 კოშკი, ზედა ჩეგემში – 14 (შემორჩენილია 9), ზედა ბახსანში – 3 კოშკი (შემორჩენილია 2); ყარაჩას ტერიტორიაზე ცნობილია ოთხი საკოშკო ნაგებობა. საკოშკო ნაგებობიდან სრული ფორმით შემორჩენილა „ბაღყარუყ ყალა" (ჩეგემში) და აბაევების კოშკების ნაწილი [6,58].

ზემო ჩეგემის ტერიტორიაზე 13 კოშკი, 5 ეკლესია და 6 საძირკველია რეგისტრირებული [8,116]. მკვლევართა აზრით, ეს კოშკები სვანების მიერაა აშენებული [26,284]. სვანური ტიპის კოშკებიდან აღსანიშნავია აულ ხურზუგის XII-XIII ს-ის კოშკი, რომელსაც სვანური ზეპირი ტრადიცია გოშუანების (სვანური გვარი) აშენებულად თვლის. მას ეწოდება გოშაიახ-ყალა. X საუკუნით ათარიღებს ვ. კუზნეცოვი ქვედა არხიზის საგუშაგო კოშკსა და იქ არსებულ ქრისტიანულ ტაძარს [21,295]. X-XI საუკუნეებით თარიღდება აულ კოსტა ხეთაგუროვის მახლობლად მთა შოანაზე აშენებული ქრისტიანული ხანის ტაძარი შუან და თებერდოს ხეობაში მდებარე სენტი [8,123; 19,148-149].

აღსანიშნავია, რომ XII საუკუნეში არსებობდა „დიდი სუანეთის" ცნება. მესტიის ერთ-ერთ ხატზე, რომლის წარწერა იოანე ვარდანისძეს ეკუთვნის, შემდეგს ვკითხულობთ: „მე იოანე ვარდან/ის ძემან, სვანთა ერისთავმა/ნ და/მეჭურჭლეთა უხუცესმან, მოვჭედე ესე გიორგისი და დავასვენე/ეკლესიასა.../ და მივანდევ თე/ოდორეს, რა თა/ამით ხატითა ღ/მერთსა ევედროს/ დიდი სუანეთისათვის" [4,24]. მკვლევართა აზრით, მხარეს „დიდი სუანეთი" უნდა რქმეოდა დროის იმ მონაკვეთში, როდესაც ადგილი ჰქონდა სვანთა ჩრდილოეთ კავკასიაში განსახლებას, ე.ი. როდესაც დღევანდელი ყარაჩაი-ბალყარეთის ტერიტორია სვანეთს ეკუთვნოდა [8,46]. აღნიშნული, როგორც ჩანს, მონღოლებამდე იყო; მათი გამოჩენის შემდგომ ჩრდ. კავკასიის მთიანეთს, სადაც სვანთა დასახლებები უნდა ყოფილიყო, მოაწყდა მონღოლთა თავდასხმებისაგან შევიწროებული იმიერკავკასიის დაბლობებში მოსახლე ყივჩაღები, ოსები და ყარაჩა-ბალყარელები. ამდენად, XIII-XIV საუკუნეებიდან უნდა დაწყებულიყო იქ მოსახლე სვანთა შევიწროება, განადგურება და ასიმილაცია.

ყოველივეს დაერთო XIV საუკუნის ბოლოს ჩრდ. კავკასიაში თემურ-ლენგის შემოსევები; „თემურ-ლენგი იალბუზამდე შევიდა, მოსახლეობა უწყალოდ დაარბია, გაჟლიტა, დაატყვევა, სიმაგრეები დაანგრია. ამ დროს უნდა დანგრეულიყო ქვემო არხიზის, ხუმარის და სხვ. ქალაქები" [1,103].

ჩვენი აზრით, სწორედ ამ დრომდე, ანუ მონღოლების, თემურ-ლენგის შემოსევებამდელ პერიოდს უნდა განეკუთვნებოდეს ზემოთ აღნიშნული სამარხები. ყარაჩაელებს, როცა ისინი აღნიშნულ ადგილებში მოვიდნენ, დახვდათ სვანური მოსახლეობა. ამის შემდგომ ადგილობრივი მოსახლეობა ასიმილირებულ იქნა ყარაჩაულ ეთნიკურ მასივში, რომლის კვალი დღესაც

აშკარად შეიმჩნევა. აი, რას წერს ვ. ტეპცოვი ყარაჩაელებზე: ბევრი მათგანი ფიქრობს, რომ მათი წინაპრები ქრისტიანები იყვნენ, შემონახულია გადმოცემები, რომ ადრე ისინი ღორის ხორცს ჭამდნენ. მოხუცებს ჯერ კიდევ ახსოვთ, რომ მათ წინაპრებს შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც მუსულმანურ სარწმუნოებას ფორმალურად აღიარებდნენ, სინამდვილეში ქრისტიანულ ტრადიციებს იცავდნენ, რომელთა წინააღმდეგაც მოლებს დიდი ბრძოლა უხდებოდათ [29,95].

ამგვარად, „გოშაიახ-ბიჩეს“ აკლდამა, ყამღუთის აკლდამა (ქეშენი), ქართ-ჯურთის საგვარეულო სამარხები, რომელთაც სვანური (ქართული) არქიტექტურული სტილისათვის დამახასიათებელი ქვის პარაპეტიანი გალავნები აქვთ შემოვლებული, ქართული (სვანური) საძვალეებია, რაც კიდევ ერთი დადასტურებაა ყუბანის სათავეებში სვანური ეთნიკური ელემენტის არსებობისა. როგორც აღინიშნა, ბახსანის, თერგის და ყუბანის ხეობებში ამჟამადაც არის სვანური ტიპის კოშკები და სხვადასხვა შენობა-ნაგებობათა ნაშთები, სამარხები, ტოპონიმიკური სახელწოდებანი, სვანური (ქართული) წარმომავლობის გვარები და სხვა, რაც აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ ქართველებს ფართო მასშტაბით ჰქონდათ ფესვები გადგმული იმიერკავკასიაში.

Zviad Kvitsiani

Towards the issue of Settlement of Svans (Georgians) in North Caucasus (Crenellated Sepulchres)

Summary

In recent years, written, archeological, ethnographic, anthropological, linguistic and other materials prove that Svans (Georgians) occupied much larger territory in ancient times and Middle Ages than nowadays. Available evidence, particularly, towers, ruins of churches and numerous Christian cemeteries indicate on the fact that Svans resided in the North Caucasus.

I think the above-mentioned sepulchres belong to the period before the invasion of Mongols.

Hence, "Goshaiakh-Bich" sepulchre, Kamghuti Sepulchre (Keshen) and Kart-Jurt dynasty sepulchre are surrounded by the stone crenellated walls in the Svanetian architectural style. There are many other Georgian (Svanetian) tombs which prove the existence of Svanetian ethnic elements up to the source of the river Kuban.

ლიტერატურა – REFERENCES

1. ანჩაბაძე ზ., ბოცვაძე თ., თოგოშვილი გ., ცინცაძე მ., ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, ნაკვ. I, თბ., 1969.
2. ბატონიშვილი ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია (რედ. მ. ჯანაშვილი), თბ., 1904.
3. ბატონიშვილი ვახუშტი, საქართველოს ისტორია, ტფილისი, 1885 (ზ. ჭიჭინაძის გამოცემა).
4. თაყაიშვილი ე., არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში, პარიზი, 1910.
5. კანდელაკი რ., სვანეთის ტერიტორია, საზღვრები, მოსახლეობა და ყოფა XIX ს-ის პირველ ნახევარში, „ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები", ტ. 14, თბ., 1959.
6. კვიციანი ზ., საქართველო – ჩრდილოეთ კავკასიის კულტურული ურთიერთობების ისტორიიდან (სვანეთი და ბალყარეთი), თსუ კრებული, კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, თბ., 1995.
7. კვიციანი ზ., კოშკური კულტურა სვანეთსა და ყარაჩა-ბალყარეთში, თსუ კრებული, კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, თბ., 1999.
8. მიბჩუანი თ., მეგობრობის სათავეებთან, თბ., 1986.
9. მელიქიშვილი გ., საქ., კავკასიის და მახ. აღმოსავლეთის უძ. მოსახ. საკითხისათვის, თბ., 1965.
10. ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა 1650-1652 წწ., თბ., 1970.
11. შარდენის მოგზაურობა, თბ., 1975.
12. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970.
13. Алиты. балкары и карачаевцы в известиях европейских авторов XIII-XIX вв. Под редакцией В. Г. Гордлевского. Нальчик. 1974.
14. Алексеев В. П., Происхождение народов Кавказа. М., 1974.
15. Алексеев В. П., Некоторые проблемы происхождения балкарцев и карачаевцев в свете данных антропологии. МНС. Нальчик, 1960.
16. Бартломей И. А., Поездка в Вольную Сванетию. ЗКОРГО, кн. III. 1855.
17. Долгушин А. А. Через Сванетию к Эльбрусу (Сборник материалов для описания местностей и племён Кавказа, т. 28).
18. Кузнецов В. А., Надписи хумаринского городища. «Советская этнография», 1963, №1.
19. Клементьев В. Г., Через Сванетию на Эльбрус. М. – Л., 1930.
20. Ковалевский М., Законы и обычаи на Кавказе, т. II. М., 1890, с. 150.
21. Крупнов Е. И., Древняя история Кабарды, Уч. Зап. Каб. НИИ, т. VII. Нальчик, 1952.
22. Лавров Л. И., Расселение сванов на Северном Кавказе до XIX в. КСИЭ, X. М. –Л., 1950.
23. Лавров Л. И. Происхождение кабардинцев и заселение ими нынешней территории. «Советская этнография». 1956, №1.
24. Лавров Л. И., Карачай и Балкария до 30-х годов XIX века. «Кавказский этнографический сборник». IV. М., 1969.
25. Лежава Т. И., Архитектура Сванетии. Тб., 1938.

26. Мизиев И. М. Средневековые башни и склепы Балкарии и Карачая (XIII-XVIII вв.). Нальчик. 1970.
27. Робакидзе А., Харадзе Р., К вопросу о сванско-балкарских этнокультурных взаимоотношениях. Нальчик. 1960.
28. Тепцов В. Я., Сванетия (Географический очерк). СМОМКП. вып. X. Тифлис. 1890.
29. Тепцов В. Я., По истокам Кубани и Терека. СМЛМКП. вып. XIV. Тифлис, 1892.
30. Фиркович Л., Археологические разведки на Кавказе. «Труды Восточного отделения археологического общества», т. III, вып. 3. СПБ. кн. 4.
31. Фон Фридерихс В. А., 330 вёрст по Сванетии. Кабарде «Записки ККГК», 1910. №3.
32. Чеченов И. М., Древности Кабардино-Балкарии. Нальчик. 1969.

მარიკა მშვილდაძე

ქრისტიანული ცივილიზაციის დამკვიდრება – ანტიკური ცივილიზაციის განვითარების ლოგიკური დასასრული

ანტიკური ხანა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პერიოდია კაცობრიობის ისტორიაში, რაც ძირითადად მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიაში მისი როლით განისაზღვრება. მიუხედავად იმისა, რომ ანტიკურობაში ბერძნულ-რომაული პერიოდი იგულისხმება, ანტიკური ხანის (მიღებული თვალსაზრისით ის ძვ.წ. 776 წ. – ოლიმპიური თამაშობებით იწყება და ახ.წ. 476 წ. – რომის დაცემამდე გრძელდება) საფუძველი ბევრად ადრეულ ეპოქაში უნდა ვეძიოთ, რომელიც ეგეოსურ სამყაროს შეგვიძლია დავუკავშიროთ. აქედან გამომდინარე, ანტიკურობა საკმაოდ დიდ ისტორიულ პერიოდს მოიცავს, რამაც განსაზღვრა კიდეც მისი იერსახე. დიდია ანტიკური სამყაროც, რომელშიც შედიოდა: ხმელთაშუაზღვისპირეთის აუზი, მცირე აზია, ევროპის დიდი ნაწილი...

ანტიკური ცივილიზაცია, თავისი არსით, პროგრესული განვითარების ტიპს წარმოადგენს, რომლისთვისაც დინამიკური განვითარებაა დამახასიათებელი. ანტიკურობა წარმოადგენს საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიული ფორმების, მითოლოგიის, ფილოსოფიის, ხელოვნების, მეცნიერების... ნაერთს. ანტიკური კულტურა, თავისი არსით, კოსმოპოლიტურია. მისთვის მთლიანობაში დამახასიათებელია სამყაროს გაგებისადმი რაციონალური მიდგომა და, იმავდროულად, მისი ემოციურ-ესთეტიკური აღქმა, მყარი ლოგიკა და სოციალურ-პრაქტიკული და თეორეტიკული პრობლემების ინდივიდუალური თავისებურება.

როგორც ცნობილია, კულტურას ახასიათებს სივრცესა და დროში გავრცელება. კულტურათა ურთიერთგავლენა კი პროგრესულ და აუცილებელ მოვლენას წარმოადგენს.

ჩვენი აზრით, ანტიკური კულტურის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მისმა მიღწევებმა განსაზღვრა და დღესაც განსაზღვრავს „დასავლური" სამყაროს სულიერი კულტურის ფორმებს. სივრცითა და დროით შეზღუდულმა ანტიკურმა კულტურამ გააფართოვა თავისი ისტორიული არსებობის ჩარჩოები და თანამედროვეობაში პოვა ასახვა. თანამედროვე ევროპული ცივილიზაცია თავისი ფესვებით სწორედ ანტიკურ ცივილიზაციას უკავშირდება. სწორედ ამ პერიოდში ყალიბდება თანამედროვე ადამიანისათვის დამახასიათებელი კრიტიკული, მეცნიერული აზროვნება. ანტიკური რელიგია, ისტორიოგრაფია, ლიტერატურა, ხელოვნება, სამართალი... დღესაც ცოდნის გაღრმავების უშრეტ წყაროდ გვევლინება. ანტიკურმა კულტურამ გავლენა იქონია შუა საუკუნეების კულტურაზე (მხედველობაში გვაქვს აღორძინების ხანა) და თანამედროვე დასავლეთევროპული კულტურის საფუძველი გახდა;

საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ევროპულ ცივილიზაციას და მისცა საზრდო ათასწლეულებს. ძნელია ჩაწვდე თანამედროვე საზოგადოების არსს ანტიკური კულტურის შესწავლის გარეშე. შესაბამისად, ანტიკურობის გააზრების გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა თანამედროვე დასავლური ცივილიზაციის გაგება.

ანტიკურ პერიოდში მითოლოგია და რელიგია სულიერების ახალ ტიპს უთმობს ადგილს, რომელშიც მთავარ პრობლემას ჭეშმარიტების – ცოდნისა და ყოფიერების ჭეშმარიტების პრობლემის ძიება წარმოადგენს.

ნიშანდობლივია, რომ ძველი რომის კულტურა, რომელიც მნიშვნელოვანწილად ანტიკური საბერძნეთის ტრადიციების გამგრძელებლად გვევლინება, მისგან მაინც განსხვავდება რელიგიური და შინაგანი თავშეკავებულობით, გარეგნული მიზანშეწონილობით. რომაელების პრაქტიკულობამ ასახვა პოვა ქალაქთმშენებლობაში, პოლიტიკაში, იურისპრუდენციასა და საბრძოლო ხელოვნებაში, ხოლო ახ.წ. III ს. რომის იმპერიაში დაწყებულმა კრიზისმა ერთგვარად ჩაუყარა საფუძველი შუა საუკუნეების დასავლეთევროპულ სამყაროს. ახ.წ. V ს. ბარბაროსული ტომების შემოსევები შეიძლება განხილულ იქნეს როგორც მოვლენა, რომელმაც დააჩქარა ანტიკური სამყაროს შუა საუკუნეების სამყაროდ გარდაქმნა, რამაც, თავის მხრივ, დაამთავრა კიდეც ახალი სამყაროს სახის ფორმირება.

გვიანანტიკური პერიოდი გარდამტეხ ეტაპს წარმოადგენს კაცობრიობის ისტორიაში. სწორედ ამ დროს მიმდინარეობს ის პროცესები, რომელიც თანამედროვე ისტორიის საყრდენად იქცა. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვნად ახალი მონოთეისტური რელიგიის – ქრისტიანობის ფორმირება გვევლინება, რომელსაც ელინიზებულ აღმოსავლეთში, რომის იმპერიის ერთ-ერთ პროვინციაში ეყრება საფუძველი და რომელიც სულ მცირე ხანში გახდა არა მხოლოდ მეორე მსოფლიო რელიგია, არამედ მთელი დასავლეთ ცივილიზაციის საძირკველი.

საუკუნეების მანძილზე ნებისმიერი რელიგია დროსთან ერთად ვითარდებოდა. რომელ ისტორიულ პერიოდსაც არ უნდა გადავხედოთ, რელიგიას ყოველთვის გააჩნდა წარსულთან დამაკავშირებელი რგოლი. რელიგიის არსის გაგებაში უდიდესი მნიშვნელობა სწორედ მისი წარმოქმნის წინაპირობების შესწავლასა და საწყისების ძიებას ენიჭება. ჩვენ კი რწმენისა და რიტუალების განვითარების გააზრებისა და გაანალიზებისათვის უნდა შეგვეძლოს ამა თუ იმ ისტორიული თუ კულტურული მოვლენების შესწავლა და ახსნა; უნდა ვფლობდეთ იმ პოლიტიკური თუ კულტურული მოვლენების ცოდნას, რომელსაც ადგილი ჰქონდა წარსულში.

გვიანანტიკურ პერიოდში რომის იმპერიაში არსებულ წარმართულ რელიგიურ პანთეონში ადგილი აქვს ე.წ. მონოთეიზმისაკენ სწრაფვას. მნიშვნელობას კარგავს ღვთაებათა პირვანდელი დანიშნულება. ხდება სრულიად განსხვავებული კულტების ერთმანეთთან ასოცირება, რაც საბოლოოდ ავრელიანეს დროს 274 წ. მზის კულტის მთავარ სახელმწიფო ღვთაებად გადაქცევით დასრულდა. უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ, მითრა, რომელ-

იც სხვა ღვთაებებს აჭარბებდა თავისი რელიგიური და ზნეობრივი ხასიათით (მას უმაღლესი ეთიკური ბუნება ჰქონდა), ვერ აკმაყოფილებდა ანტიკური ცივილიზაციის ბოლო ეტაპზე იმპერიის ხანის რომის მოსახლეობაში არსებულ ლტოლვას სულიერი სიმშვიდისა და მორალის ძიებისაკენ, რასაც წარმატებით ახორციელებს ახალი მონოთეისტური რელიგია – ქრისტიანობა.

გვიანანტიკური პერიოდის ბოლო ეტაპზე იწყება სწორედ სვლა ანტიკურობიდან შუასაუკუნეებისაკენ, რაც გარკვეულწილად დაკავშირებულია რომის იმპერიაში ქრისტიანობის საბოლოო გამარჯვებასთან, რამაც განსაზღვრა კიდეც თანამედროვე ცივილიზაციის სახე. IV ს., შეიძლება ითქვას, წარმოადგენს წარმართებსა და ქრისტიანებს შორის თანასწორობის უნიკალურ პერიოდს. მთელი ამ საუკუნის განმავლობაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა ბრძოლა ორ მოძღვრებას – ქრისტიანობასა და წარმართობას შორის, რომელიც საბოლოოდ ქრისტიანობის დიდი გამარჯვებით დასრულდა. წარმართულმა ცივილიზაციამ ადგილი ქრისტიანულს დაუთმო. იმპერატორ თეოდოსი I (379-395 წწ.) დროს ქრისტიანობა რომის იმპერიაში საბოლოოდ დამკვიდრდა როგორც გამარჯვებული, გაბატონებული რელიგია.

IV ს. მიმდინარეობდა პოლიტიკური და იდეოლოგიური აპარატის ერთ ხელში მოქცევა. სწორედ IV ს. ჩამოყალიბდა ეკლესია არა მხოლოდ რელიგიურ, არამედ იდეოლოგიურ და პოლიტიკურ ინსტიტუტად. როგორც ა. ჰარნაკი აღნიშნავდა, კონსტანტინედან იწყება რომის იმპერიის ე.წ. „ქრისტიანული პერიოდი", რომელმაც მის დაცემამდე გასტანა, ამასთანავე ყოველი საუკუნის თეოკრატია იღებდა სულ უფრო და უფრო დიდ გავლენას სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ცხოვრებაში [6,618]. კონსტანტინე I დიდი – თავდაპირველად დასავლეთ რომის იმპერიის ავგუსტუსი (306 წ.), ლიცინიუსთან (308-324 წწ.) გამარჯვების შემდგომ (324 წ.) აქცენტს აღმოსავლეთზე აკეთებს (ისევე, როგორც მისი რამდენიმე წინამორბედი) და იმპერიის დედაქალაქი კონსტანტინოპოლში გადააქვს, რომელიც აღმოსავლეთ რომის საფუძველზე აღმოცენებული ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქი ხდება.

გალილეის მეთევზეთა ერთი ჯგუფი ახალი რელიგიის მიმდევრების ხერხემალს შეადგენდა. როცა ქრისტიანობა პალესტინის გარეთ გავრცელდა, ის ენთუზიაზმით იყო მიღებული ძირითადად მონების, მონადყოფილების, ხელოსნების მიერ. რომის არისტოკრატია წარმართობის დასასრულის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბასტიონს წარმოადგენდა, ამიტომ, მათი რწმენის სიმყარეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა რომის იმპერიისათვის. მიუხედავად ამისა, წარჩინებულების ერთი ნაწილი სულ რამდენიმე წელიწადში იღებს ქრისტიანობას. უკვე ნერონის დროს იმპერატორის გარემოცვაშიც ქრისტიანობის მიმართ გააჩნდათ სიმპათიები და, შესაბამისად, დედაქალაქის მაღალი საზოგადოებიდანაც ხდება ახალი რელიგიის მიმდევართა რიცხვის გაზრდა.

ჩვენ დიდ როლს ვანიჭებთ იმ ფაქტს, რომ ახალი მონოთეისტური რელიგია, შეიძლება ითქვას, ამსხვრევს რომის იმპერიის უკანასკნელ ბასტიონს – რომის ძლევამოსილ ლეგიონებს და იქაც იკიდებს ფეხს. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ერთი შესედვით ყველაფერი მარტივად არ არის.[1]

[1] რომის არმიასა და ქრისტიანულ რელიგიას შორის დამოკიდებულების კვლევას ორსაუკუნოვანი ისტორია აქვს. იყვნენ თუ არა რომაელი ლეგიონერები ახალი მონოთეისტური რელიგიის მიმდევრები და კრძალავდა თუ არა ქრისტეს მოძღვრება სამხედრო სამსახურს, დღესაც კვლევის ობიექტს წარმოადგენს. კითხვა იმის შესახებ, თუ რამდენად იყო თანხვედრაში ქრისტიანული მორალი და ლეგიონებში გამეფებული წესები, დღესაც დაისმის მკვლევართა შორის, ვინაიდან არმია ანტიკურ ისტორიოგრაფიაში განიხილება როგორც ყველაზე მკაცრი და ხისტი სახელმწიფო ინსტიტუტი, რომელშიც რელიგიური დისციპლინა მთავარ როლს თამაშობდა, რის დასტურადაც შეგვიძლია მოვიყვანოთ სენეკას სიტყვები, რომელიც აღნიშნავდა, რომ სამხედრო სამსახურის პირველი დამაკავშირებელი არის რელიგიაო (პისტ. 95. ცნობილ ფაქტს წარმოადგენს ისიც, რომ რომის თითოეულ ლეგიონში იყვნენ კულტმსახურები ქურუმების, გარუსკრიპებისა და სხვათა სახით. ტერტულიანესაც (Quintus Septimius Florens Tertullianus დაახლოებით 155/165 – 220/240 წწ.). ქრისტიანი ლეგიონერების ბრძოლებში მონაწილეობაზე მეტად მათი წარმართულ რიტუალებში მონაწილეობა აღელვებდა. ამას ემატება „ახალ აღთქმაში" ძალადობისა და ბოროტების ნინააღმდეგ მიმართული სიტყვები (ლუკა, 6:27-29; მათე, 5:9,38-39; 26:52-53 და სხვ.).

აღნიშნული საკითხის გასაანალიზებლად მოკლედ მიმოვიხილოთ თანადროული წყაროები. „ახალ აღთქმაში" გამოკვეთილად არ არის საუბარი არმიაში სამსახურის ნინააღმდეგ. ლეგიონერები იოანესაგან დარიგებასაც კი იღებენ: „ნურავის შეავიწროვებთ, ცილს ნუ დასწამებთ და თქვენ ჯამაგირს დასჯერდით" (ლუკა, 3:14). იესო მაცხოვარი განცვიფრებულია კაპერნაუმელი ცენტურიონის რწმენის სიძლიერით (ლუკა, 7:2-10)... მოციქულები კი საუბრობენ მხოლოდ სიმართლისა და სინათლის იარაღზე (რომაელთა, 13:12; II კორინთელთა, 6:7; თესალონიკელთა, 5:8), ხოლო, რაც შეეხება ომებსა და სამხედრო სამსახურს, არაფერია ნათქვამი, თუმცა „მოციქულთა საქმეები" გვამცნობს კოპორტის ასისთავის, იტალიელი (წარმართი) კორნელიოსის ნათლობის ამბავს, რომელიც განაგრძობს თავის საქმიანობას ქრისტიანად მონათლის შემდეგაც კი (საქმეები, 10). ნიშანდობლივია კიდევ ერთი ცნობა „ახალი აღთქმიდან", რომელიც პავლე მოციქულის კორინთელთა მიმართ პირველ ნერილშია მოცემული: „თითოეული დარჩეს იმ მონოდებაში, რომელშიც მოუწოდეს" (I კორინთელთა, 7:20).

II ს. აპოლოგეტები იუსტინე (Iustinus 100-165 წწ.), ათენაგორა (ბერძნული – Πατρι-άρχης Αθηναγόρας. ლათ. – Athenagoras Atheniensis), ტატიანე (Tatianus) არაფერს ამბობენ ქრისტიანების სამხედრო სამსახურში ყოფნის შესაძლებლობის შესახებ. ისინი მხოლოდ იმ ფაქტს აღნიშნავენ, რომ ქრისტეს მიმდევრები მკვლელები არ არიან (Iustinus, Apol.. I.39.2-3; Ahenagoras. Suppl., 37; Tatianus, Orat.. 19). კლიმენტი ალექსანდრიელი (ბერძნული – Κλήμης ο Αλεξανδρεύς. ლათ. – Clemens Alexandrinus 150-215 წწ.) კი სამხედრო სამსახურში ქრისტიანების ყოფნაში ეერავითარ საშიშროებას ვერ ხედავს (Protr.. 10,100). იგი უბრალოდ მიანიშნებს, რომ ადამიანის საქმიანობა ხელს არ შეუშლის მას ღვთის ნვდომაშიო (Paed.. II, 11).

ქრისტიანების სამხედრო სამსახურს პირველად ანტიკურ სინამდვილეში სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა ტერტულიანემ (155-220? წწ.), პროკონსულის ცენტურიონის შვილმა, რომელიც საუბრობდა იმის თაობაზე, რომ ქრისტიანები ავსებენ ჩვენს ბანაკებსო (et vestra castra ipsa. (Apol.. 37) და ყველანაირად ცდილობდა ისინი იდეალურ ქვეშევრდომებად გამოეყვანა, მაგრამ მის მიერ მოგვიანებით დაწერილ ტრაქტატებში (De idol. 19: De fuga. 13; De curon – ადრეულ ქრისტიანობაში ერთადერთი სპეციალური ნაშრომი, რომელ-

მკვლევართა ნაწილი არ გამორიცხავს II ს. ბოლოსკენ რომაულ ლეგიონებში გარკვეული რაოდენობის ქრისტიანების არსებობას და იქვე მიანიშნებს, რომ არ არის საჭირო მათი რიცხვის გაზვიადებაო [5,413-428]. ჩვენ, ჩვენი მხრივ, ვითვალისწინებთ რა რომის იმპერიაში (მხედველობაში გვაქვს რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილი) არსებულ რელიგიურ სიტუაციას, აღვნიშნავთ, რომ რომაულ ლეგიონებში ქრისტიანების არსებობის ფაქტი პირველ საუკუნეშიც შეგვიძლია ვივარაუდოთ (საქმეები, 10). მათი რიცხვის გაზვიადება მართლაც არ არის საჭირო. იქიდან გამომდინარე, რომ რომი III ს. შუა ხანებამდე, დეციუსამდე (249-251 წწ.) ოფიციალურად არ ებრძოდა ქრისტიანობას (პირველი სახელმწიფო ოფიციალური ედიქტი, რომელიც მიმართული იყო მათ წინააღმდეგ, ვინც კერპებს არ სცემდა თაყვანს, სწორედ დეციუსმა გამოსცა 249 წ. ბოლოსა და 250 წ. დასაწყისში. ბრძანება უპირველესად ქრისტიანებს შეეხო, იუდეველები აქ ნაკლებად ფიგურირებდნენ[1]).

აღნიშნული თვალსაზრისით, მნიშვნელოვან მასალას გვაწვდის ევსები კესარიელის „საეკლესიო ისტორია" (Eusebios, HE, V,5), სადაც საუბარია რომის XII Legio Fulminata (ელვისებური)-ზე, რომელიც, ევსების მიხედვით, მთლიანად ქრისტიანებისაგან შედგებოდა. წყარო სწორედ ქრისტიანი ლეგიონერების ლოცვებს მიაწერს მარკუს ავრელიუსის არმიის გადარჩენას მარკომანების ომის დროს. აქვე უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ სხვა წყაროები სასნაულს ეგვიპტელ ქურუმ არნუნიუსს, მარკუს ავრელიუსის ამალიდან (Dio Cass.. LXII.8). თვით მარკუს ავრელიუსს (SHA. M. Anton, 24) და თეურგ იულიანსაც (Suid. s.v. Iulianos; M. Psell. Script. min., I. 446. 28) კი მიაწერენ.

იქიდან გამომდინარე, რომ, ერთი მხრივ, ევსები ეკლესიის ისტორიის მამად ითვლება, ხოლო მის „საეკლესიო ისტორიაში" დაფიქსირებული მრავალი ფაქტის ჭეშმარიტება ეჭვს არ იწვევს და, მეორე მხრივ, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებული უახლესი გამოკვლევების საფუძველზე,[2] შეგვი-

იც ქრისტიანების სამხედრო სამსახურს ეხება) ჩვენ ვხედავთ აღნიშნული საკითხისადმი დამოკიდებულების შეცვლას, რის მიზეზსაც მკვლევრები ტერტულიანეს მონტანიზმის, ერთ-ერთი ქრისტიანული სექტის, მიმდევრად გახდომაში ხედავენ [იხ. 8,29-35].

[1] მანამდე, 202 წ. სეპტიმიუს სევერუსმა გამოსცა კანონი, რომელიც სიკვდილის შიშით კრძალავდა ორ მონოთეისტურ რელიგიაზე – იუდაიზმსა და ქრისტიანობაზე გადასვლას, ე.ი. იკრძალებოდა პროზელიტობა.

ჩვენ არ გამოვრიცხავთ იმ ფაქტს, რომ XII ლეგიონის ლეგიონერები ახალ მონოთეისტურ რელიგიას საკუთარი დისლოცირების ადგილას კაპადოკიაში გაცნობოდნენ ჯერ კიდევ ახ.წ. I ს., სადაც 70 წელს იერუსალიმის აღების შემდეგ იყო დისლოცირებული. მელიტენე, ამ ლეგიონის შტაბბინა, სწორედ კაპადოკიის ტერიტორიაზე მდებარეობდა. ნყაროების მიხედვით, ქრისტიანობა II ს. საკმაოდ იყო ფეხმოკიდებული, კერძოდ ლუკიანეს თხზულებიდან ვიგებთ, რომ ახ.წ. II ს. პროვინცია პონტო, გავსებული იყო ქრისტიანებით (ალექსანდრე, 25). პონტო-კაპადოკიის ეროვნული ეკლესიების ქრისტიანული თემები ერთ-ერთი უძველესი იყო იმპერიაში. აქ იყო ისეთი ცნობილი საეპისკოპოსოები, როგორიცაა: კესარიისა, თიანიისა, სებასტიისა, ტრაპიზონისა, კიბისტრიისა, ამასიისა, ნეოკესარიისა, ნაზიაზნისა, ნისისა და სხვ. [1,16], რაც არქეოლოგიურადაც დასტურდება.

თუ გავითვალისწინებთ კაპადოკიაში არსებულ რელიგიურ სიტუაციას, კერძოდ ქრისტიანობის გავრცელების ინტენსივობას როგორც წერილობითი წყაროების, ისე არქე-

ძლია აღვნიშნოთ, რომ რომის ძლევამოსილი ლეგიონებისათვისაც არ იყო უცხო ქრისტეს მოძღვრება.

IV ს. რომმა მსოფლიოს ახალი მორალური – ქრისტიანული ღირებულებების დამკვიდრება ამცნო. რატომ გახდა შესაძლებელი ქრისტიანობის გამარჯვება უზარმაზარ ქვეყანაში? რამ მოუმზადა ყოველივე ამას საფუძველი? როგორც აღვნიშნეთ, წარმართული ცივილიზაცია ადგილს ქრისტიანულს უთმობს. გასარკვევია მხოლოდ, ეს პროცესი ძალდატანებითი იყო, თუ ისტორიული აუცილებლობა. ამ მხრივ, მნიშვნელოვან მასალას გვაწვდის იმპერიაში ქრისტიანთა, იმ რელიგიის მიმდევართა პროცენტული რაოდენობის დადგენა, რომელსაც ეყრდნობა მომავალი ცივილიზაცია. კონსტანტინეს იპერატორობის დასაწყისისათვის იმპერიის მასშტაბით პროცენტის დადგენა ძნელია, ვინაიდან ქრისტიანობა იმპერიაში ერთნაირი წარმატებით არ ვრცელდებოდა. სწორედ ამიტომ ქვეყნის მასშტაბით საერთო პროცენტის გამოყვანა შეცდომა იქნებოდა.

ჩვენ, ჩვენი მხრივ, კვლევის უახლეს შედეგებზე დაყრდნობით, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქრისტიანული რელიგია ნარმატებით სარგებლობდა როგორც რომის იმპერიის დედაქალაქში, ისე რომის იმპერიისათვის კულტურის მატარებელ მის აღმოსავლეთ პროვინციების ქალაქების მოსახლეობას შორის – ძირითადად ბერძნულ მოსახლეობაში. მაგალითად, III საუკუნის შუა ხანებში ქრისტიანული თემი რომში ბერძნული იყო, ქრისტიანი ავტორები ბერძნულად წერდნენ, რომის პირველი ეპისკოპოსებიც ბერძნები იყვნენ. ქრისტეს მიმდევრები დიდი რაოდენობით იყვნენ ზღვის პირას განლაგებულ დიდ ქალაქებშიც, სადაც ვაჭრობა და ხელოსნობა იყო განვითარებული [იხ. 2] ისე, რომ IV საუკუნის დასაწყისისათვის ქრისტიანობა რომის იმპერიაში ერთ-ერთ წამყვან მოძღვრებას წარმოადგენდა. იგი საკმაოდ ძლიერი იყო როგორც საეკლესიო ორგანიზაციით, ისე მრევლით, რისი მიზეზებიც საკმაოდ ღრმად, სამი საუკუნის მანძილზე რომის იმპერიაში მიმდინარე პროცესებში უნდა ვეძიოთ. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია როგორც ქრისტიანობის მორალური ღირებულებები, ისე მებრძოლი მესიანიზმის ნგრევის პროცესი... აქვე გვინდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ IV ს. დასაწყისი ქრისტიანულ სინამდვილეში გამოირჩევა ერეტიკული მოძრაობის გაძლიერებით, რომელმაც თავისი არსით ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სექტა შვა არიანელობის სახით.[1]

ოლოგიური მასალის საფუძველზე და იმ ფაქტს, რომ ანტიკურ წყაროებში არც ერთ სხვა ლეგიონზე XII ლეგიონის მსგავსი ცნობები არ არის დაცული, სავსებით დავეთანხმებით ჟ. ჰელგელანდს, რომელიც არ გამორიცხავს XII ლეგიონში ქრისტიანი ლეგიონერების არსებობას [7,729-834]. მასალის შესწავლის საფუძველზე ჩვენ არ გამოვრიცხავთ იმ ფაქტს, რომ ევანი კესარიელის „საეკლესიო ისტორიაში" (HE,V.5) დაცული ცნობა შესაძლოა სავსებით შეესაბამებოდეს ისტორიულ სინამდვილეს [3.106-113].

[1] არიანელობას საფუძველი IV ს. მეორე ათწლეულში ეყრება, რომლის ფუძემდებლადაც ალექსანდრიელი პრესვიტერი არიოზი გვევლინება, რომელიც ცდილობდა ქრისტიანული ირაციონალიზმისათვის ფორმალური ლოგიკის მიყენებას, ილაშქრებდა რა ქრისტიანული ეკლესიის დოგმის წინააღმდეგ, რომლის მიხედვითაც, ღვთაებრივ სამებაში არის მხოლოდ მამა ღმერთი. შვილი (იესო) მამა ღმერთის ქმნილებაა, რომლისგანაც წარმოიშვა სული წმინდა. შვილი არ შეიძლება მამის სნორი იყოს, იგი მამაზე დაბლა დგას და მხოლოდ მისი მსგავსია.

არიანელობა დაგმობილ იქნა ჯერ კიდევ 320 წ. ალექსანდრიის საეკლესიო სინოდის მიერ. მაგრამ იმ დროისათვის მას უკვე დიდი გავლენა ჰქონდა მოპოვებული, რაც აღმოსავლეთის ეპისკოპოსების მხარდაჭერაში გამოვლინდა. მიუხედავად ამისა, 321 წ. არიოზი იძულებული იყო ქვეყანა დაეტოვებინა და თავი ჯერ კესარიას, ხოლო შემდეგ მეგობარ ნიკომედიის ეპისკოპოს ევსების შეაფარა, რომელიც, თავის მხრივ, მის რეაბილიტაციას ცდილობდა, რამაც მდგომარეობა კიდევ უფრო დაძაბა. ეს უკვე რომის იმპერიის ერთიანობას უქმნიდა საშიშროებას, ვინაიდან, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, ყალიბდებოდა ორი პარტია, რომელთაც არა იმდენად რელიგიური, არამედ პოლიტიკური დატვირთვა ეძლეოდა. კონსტანტინე ამ დროისათვის ჯერ კიდევ არ იყო მთლიანი იმპერიის მმართველი. აღმოსავლეთს კვლავ ლიცინიუსი განაგებდა, რომელიც მილანის ედიქტის შემდეგ ცვლის პოლიტიკას და 320 წ. ქრისტიანთა დევნასაც კი აგრძელებს. სიტუაციის კონტროლისათვის საჭირო იყო ქმედითი ღონისძიებების გატარება. კონსტანტინე ლიცინიუსის დამარცხებამდე (324 წ.), ანუ მანამ, სანამ ერთპიროვნული მმართველი გახდებოდა, იოლად ახერხებდა ორ მხარეს შორის ლავირებას და დალოდების პოლიტიკას ირჩევდა, კარგად ესმოდა რა, რომ რელიგიური საკითხის გადაწყვეტას პოლიტიკური საკითხის მოგვარება უნდა უსწრებდეს წინ, რითიც იგი ზურგს გაიმაგრებდა. ამის გამო, კონსტანტინე ცდილობდა არიუსსა და ალექსანდრიის სკოლას შორის დაძაბულობის განმუხტვას.

ლიცინიუსის დამარცხების შემდგომ, იმპერატორმა გადაწყვიტა აშკარად გამოსულიყო არენაზე, რათა ბოლო მოეღო იმპერიაში არსებული დაქსაქსულობისათვის და გადაეჭრა ქვეყნის ერთიანობის საკითხი. საჭირო იყო სახელმწიფოს მართვის სადავეების ხელში ჩაგდება და სიტუაციის გაკონტროლება, რასაც შესანიშნავად ახერხებს კიდეც.

როდესაც კონსტანტინეზე, როგორც პიროვნებასა და სახელმწიფო მოღვაწეზეა საუბარი, მხედველობაში უპირველესად უნდა იქნეს მიღებული მისი სიტუაციის შეფასების უბადლო ოსტატობის უნარი. მილანის ედიქტის გამოცემისა და მთელი რიგი ღონისძიებების ჩატარების შემდგომ [იხ. 4], იკვეთება რომის იმპერიაში მისი ერთპიროვნული ლიდერის ფიგურა. მას იმპერიაში აღიქვამდნენ არა მარტო როგორც ქვეყნის გამგებელს, არამედ როგორც უმაღლეს რელიგიურ მოღვაწეს. კონსტანტინემ იცოდა რა, რომ საეკლესიო დოგმატიკის საკითხი სახელმწიფოებრივ საკითხთა რანგში გადიოდა, კარგად გამოიყენა შექმნილი ვითარება და მისი ბრძანებით 325 წ. ნიკეაში (ბითვინია) მონვეულ იქნა I მსოფლიო საეკლესიო კრება,[1] რომლის დასკვნით მსჯელობაში

საეკლესიო მოღვაწეთაგან კრების მოწვევის ორგანიზატორად გვევლინება ალექსანდრე ალექსანდრიელი, ხოლო მისი მონაფე ათანასე ალექსანდრიელი მრწამსის ჩამომყალიბებლად. ნიკეის საეკლესიო კრებაზე მთელი სიდიადით წარმოჩნდა ათანასე ალექსანდრიელის ფიგურა, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება ამ სექტასთან ბრძოლას შეალია. IV ს. ეკლესიის არც ერთ მსახურს არ ჰქონია იმდენი გავლენა ამ საუკუნის მოვლენებზე, როგორც მას.

არიანელობა არც კი იყო მოხსენიებული. არიანელობის მთავარი არსი უარყოფილ იყო, რაც, თავის მხრივ, დიპლომატიურ გამარჯვებას წარმოადგენდა. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო, დასაწყისი როგორც ორთოდოქსალობასა და არიანელობას შორის ბრძოლისა (რომელიც წითელ ზოლად გასდევს მთელ IV ს. და საბოლოოდ ორთოდოქსალური ქრისტიანობის გამარჯვებით სრულდება 381 წ. კონსტანტინოპოლის II მსოფლიო საეკლესიო კრებაზე), ისე ახალი ეპოქისა.

Marika Mshvildadze

The Establishment of Christian Civilization – Logical End to the Development of Antique Civilization

Summary

The article analyses the main aspects of Antique civilization. In our opinion, the importance of Antique culture lies in the fact that its achievements determined and still continue to determine the formation of spiritual culture of the "western" world. The paper also deals with one of the most important periods in the history of humanity – the 4th century AD – which, in its turn, represents a transition period from Antiquity to the Middle Ages and emphasizes the role of the first Council of Nicaea in the process of formation of Christian civilization.

We can conclude that conversion from Paganism to Christianity was a historical necessity. According to the latest historical researches, we presume that by the end of the 4th century AD there were all the necessary conditions for the victory of Christianity, which had quite a strong organization by that time. Christianity already existed in the Roman Empire, and was very successful especially among the urban population and in the Eastern provinces. Many Christians lived in the seaside cities where trade was developed. From the point of view of popularity, only Judaism and the cult of Mithras could compete with Christianity. We assign a special importance to the fact that the new monotheistic religion as if crushes the last bastion of the Roman Empire – the victorious and triumphant Roman legions – and establishes itself there as well

ლიტერატურა – REFERENCES

1. გოილაძე ვ., ქართული ეკლესიის სათავეებთან, თბ., 1991.
2. მშვილდაძე მ., რომი და აღმოსავლური რელიგიები ახ.წ. I-III სს. თბ., 2005.
3. მშვილდაძე მ., ადრეული ქრისტიანობა საქართველოში, თბ., 2008.
4. Мшвилдадзе М., Религиозная политика Константина I до Никейского собора 325 г. (Христианство). Журн.: «Кавказоведение», №5. Москва, 2004, с.115-118.

5. Пантелеев А. Д., Христиане и римская армия от Павла до Тертуллиана. Исследования и публикации по истории античного мира. Выпуск 3, 2004.
6. Harmack A., Die mission und Ausbreitung des Christentum, II, 1924.
7. Helgeland J., Christians and the Roman Army from Marcus Aurelius to Constantine. ANRW, Bd., II. 23, 1, 1978.
8. Mschvildadse M., Das Christentum in Georgien und die Legionen Roms. Georgica. Zeitschrift für Kultur, Sprache und Geschichte Georgiens und Kaukasiens, 30 Sprache Geschichte Kunst Literatur Philophie. Jahrgang 2007. p. 29-35.

გურამ გრიგოლია

საგვიჩიოს ნამოსახლარი

დასავლეთ საქართველოს საძიებო-არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1966-1971 წლებში მოიარა მარტვილის, სენაკის, აბაშისა და ხობის რაიონები, სადაც 500-მდე სხვადასხვა ხასიათისა და ასაკის ძეგლი აღმოაჩინა. მიკვლეული ძეგლების დიდი უმრავლესობა კოლხეთის დაბლობ ნაწილში იყრის თავს და ტიპოლოგიურად, ხელოვნურად შექმნილ გორა ნამოსახლარებს წარმოადგენს. როგორც წესი, მათი აბსოლუტური უმრავლესობა ზედაპირული თუ საცდელი თხრილებით მოპოვებული მასალების მიხედვით გვიანბრინჯაო, გვიანბრინჯაო-ადრერკინის, ადრეანტიკური და ელინისტური ხანით თარიღდება.

კოლხეთის დაბლობი ზოლის გორა-ნამოსახლარების გავრცელებაში და ტოპოგრაფიაში მთელი რიგი თავისებური კანონზომიერება შეინიშნება. ერთ-ერთი ნიშანდობლივი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ამ რიგის ძეგლები უმთავრესად ჯგუფურად არიან განლაგებულნი. იშვიათი გამონაკლისის გარდა ცალკეული გორა-ნამოსახლარი ერთმანეთის სიახლოვესაა განლაგებული და არხებით არის დაკავშირებული ერთიმეორესთან.

ცალკეული სამოსახლო ბორცვების ჯგუფიდან ერთ-ერთი ბორცვი ყოველთვის გამოირჩევა სიმაღლით (სირიაჩქონის „ოხოჯე", საგვიჩიოს „ზურგა", ქვაღონის „დიხაზურგა", ხეთის „ოტორონჯე" და ა. შ.), მზღუდავი თხრილის სიდიდით, თუ რაოდენობით („ნამარანუ", „ოტორონჯე") და სამოსახლოში ცენტრალური ადგილი უკავია. სწორედ ეს ცენტრალური ბორცვებია, რომლებიც მაშინვე იქცევენ მნახველის ყურადღებას და რომელთა გამოისობით ხშირად შეუმჩნეველი რჩება მათ ირგვლივ არსებული, შედარებით დაბალი, გარემო-სამყაროსთან ნიველირებული, მაგრამ უფრო ვრცელი და შედარებით ვიწრო არხებით (სტრატეგიული, საგზაო, სათევზაო დანიშნულების) შემოზღუდული რიგითი სამოსახლოები. ყოველ სამოსახლო ბორცვს თუ ბორცვების ჯგუფს გარს აკრავს ვრცელი, ოდნავ შემაღლებული, თხრილშემოვლებული მოედნები, რომლებიც ჩართულია სამოსახლოს საერთო საარხო სისტემაში. ხშირ შემთხვევაში ასეთი მოედნები თავისუფალია კულტურული ნაშთებისაგან და, როგორც ჩანს, კონკრეტული ნამოსახლარის სამეურნეო ფართობებს წარმოადგენდნენ. რაც უფრო დიდია სამოსახლო, მით უფრო დიდია მისი სამეურნეო ფართობი (5-10 ჰექტრამდე) და რთულია მისი საარხო სისტემა.

სამოსახლო ბორცვები, სამეურნეო მოედნებით, მათი არხებითა და თხრილებით, ე. ი. სამოსახლოს სრული კომპლექსი უმთავრესად კოლხეთის დაბლობის ისეთ მონაკვეთებშია შემორჩენილი, რომლებიც სახელმწიფოს ნაკრძალ ფართობებს წარმოადგენენ და ადამიანის ინტენსიური სამეურნეო საქმიანობის სფეროში ჯერ არ მოქცეულა. ასეთებია ლანჩხუთის რაიო-

ნის ფიჩორისპირეთი, რიონ-ფიჩორის შუამდინარეთი, ხობის რაიონის ტყის მასივები და ზუგდიდის რაიონის ზღვისპირეთი. ამ ფართობების გაუვალი ჭაობები და ხშირი ტყის საფარი მართალია, ერთი მხრივ, აძნელებს ხსენებული ძეგლების არქეოლოგიურ შესწავლას, მაგრამ, მეორე მხრივ, იგივე ფაქტორები საიმედოდ იცავენ ამ ძეგლებს განადგურებისაგან.

ამ რიგის ერთ-ერთი ნამოსახლარი ბორცვების ჯგუფი მიკვლეულია სენაკის რაიონის სოფ. საგვიჩიოსთან, რიონ-ფიჩორის ორმდინარეთის დაჭაობებულ, ხშირი ტყით შემოსილ ნაკრძალში, რომელსაც პირობითად საგვიჩიოს ნამოსახლარს ვუწოდებთ. ძეგლი აღმოაჩინა დასავლეთ საქართველოს საძიებო-არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1966 წ. და იმთავითვე ხაზი გაესვა მის მასშტაბურ ხასიათს [1,14-20].

საგვიჩიოს ნამოსახლარი შედგება ხუთი სამოსახლო ბორცვისაგან და მათ ირგვლივ არსებული არხებით შემოზღუდული, შემაღლებული სამეურნეო ფართობებისაგან, რომელთა საერთო მასშტაბი ათეულ ჰექტარს შეადგენს. ძეგლის ცენტრალურ ბორცვს წარმოადგენს მრგვალი (დიამეტრი 50-60 მ), მაღალი (7-8 მ), სიმეტრიული გორა, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „ზურგანიშს" უწოდებს. მეორე ბორცვი მდებარეობს „ზურგანიშიდან" დასავლეთით 200 მეტრის მოშორებით. მისი სიმაღლე 1,5 მეტრს უდრის, ხოლო დიამეტრი 40 მეტრს არ აღემატება. მას პატარა „კონძას" ეძახიან. კიდევ უფრო დაბალია (1 მ სიმაღლის) მესამე და მეოთხე ბორცვები, რომლებიც „ზურგანიშიდან" სამხრეთით 200-300 მ მანძილის დაშორებით მდებარეობენ. მათი სიგრძე 100 მ ტოლია, ხოლო სიგანე 70-80 მეტრს უდრის. კიდევ უფრო სამხრეთით 500 მ მოშორებით მდ. ფიჩორის პირას, მის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს მეხუთე ნამოსახლარი, რომლის აღმოსავლეთი კიდე მდ. ფიჩორის მიერ არის ჩამოჭრილი და ანტიკური ხანის კერამიკული მასალით დაყურსული კულტურული ფენებია გაშიშვლებული.

საგვიჩიოს ნამოსახლარის ბორცვების ჯგუფზე ყურადღება კვლავ გაამახვილა დასავლეთ საქართველოს საძიებო-არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1968 წელს, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: გ. გრიგოლია (ხელმძღვანელი), გ. ლორთქიფანიძე, მ. ბარამიძე, ვ. ჯაფარიძე, გ. ფხაკაძე, ნ. კიღურაძე, ჯ. ჯლამაია და ა. წირღვავა [2, 12-13].

ძეგლის სტრატიგრაფიის, ქრონოლოგიის საკითხის დაზუსტების, განსახლების თანმიმდევრობისა და ახალი მასალის მოპოვების მიზნით ნამოსახლარ ბორცვებზე გაკეთდა საცდელი თხრილები. ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე გაირკვა, რომ საგვიჩიოში უძველეს მოსახლეობას თავდაპირველად „პატარა კონძაზე" უნდა ეცხოვრა. ეს უნდა მომხდარიყო გვიანბრინჯაოს ხანაში, უფრო კი მის ადრეულ საფეხურზე. ამის საფუძველს გვაძლევს „კონძას" ქვედა ფენის მასალების მსგავსება, ნაოხვამუს შუა ფენის მასალებით [8,186]. აქვე უნდა ეცხოვრა ადამიანს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში, ხოლო მომდევნო პერიოდში (ადრეანტიკური ხანა) იწყებს განსახლებას მეზობელ ბორცვებზე, თუმცა პარალელურად აქაც განაგრძობს ცხოვრებას ელინისტურ ხანაშიც.

საყურადღებო შედეგები მოგვცა „ზურგანიშზე" გაჭრილმა თხრილმა, სადაც ზედაპირიდან 3 მ. სიღრმეზე აღმოჩნდა ძელური ნაგებობის ნაშთები და როგორც ადგილობრივი, ისე იმპორტული კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები. ადგილობრივი კერამიკა წარმოდგენილია ტრადიციული კოლხური ფორმებით, როგორიც არის კონუსურძირიანი სასმისები, ფეხიანი ჭრაქისებურძირიანი სასმისები ირიბი ჭდეებით, ბადისებრი, თევზიფხური და სავარცხლისებური ორნამენტით შემკული დერგებისა და ქვაბ-ქოთნების ნატეხებით და სხვ. მათთან ერთად საკმაო რაოდენობით იქნა მოპოვებული იმპორტული აღმოსავლეთ ბერძნული ცენტრების ე. წ. „იონური ჯგუფის" ამფორებისა და კილიკის ნატეხები. ამფორის ნატეხების თიხა კარგად არის განლექილი და მოვარდისფრო, ღია ნაცრისფერი, ან ღია ყავისფერი შეფერილობისაა. ზოგიერთ ფრაგმენტზე შემორჩენილია მონითალო და ალუბლისფერი ლაქის ფართო სარტყელი. გ. ლორთქიფანიძის აზრით, ანალოგიური მასალები აღმოჩენილია ჩრდილო შავიზღვისპირეთში, გერმონასში, ძვ. წ. VI ს. I ნახევრით დათარიღებულ ფენებში [6,36].

ასეთივე ე. წ. „იონური წრის" ამფორის ნატეხები საკმაოდ ხშირად გვხვდება ბოსფორშიც. როგორც ი. ზეესტი ვარაუდობს, ამგვარი ამფორები მზადდებოდა ეგეოსის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, რომელიღაც დიდ ცენტრში, რომელიც შესაძლოა მილეტიც კი ყოფილიყო [7,10]. აქვე უნდა გავიხსენოთ სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომლის მიხედვით შავიზღვისპირეთის ქვეყნებთან საშუამავლო ვაჭრობა მილეტს უნდა შეესრულებინა [10,145], რომლის დაარსებულად ითვლება საქართველოს ზღვისპირეთის სავაჭრო ემპორიონები. მათ შორის ქ. ფასისიც, რომლის რადიაციის სფეროში ექცევა საგვიჩიოს ნამოსახლარიც.

„ზურგანიშზე" გაკეთებულმა შურფმა ძეგლზე გამოავლინა კიდევ ერთი საყურადღებო დეტალი, კერძოდ ის, რომ ბორცვის ზედა ნაწილი, ანტიკური ფენის ზემოთ, 2,0-2,5 მ სიმაღლეზე მოზვინულია, უეცრად, ყვითელი, წებოვანი თიხნარი ნიადაგით, რომელიც ადგილობრივ არ მოიპოვება და მოტანილი უნდა იყოს შორი მანძილიდან, ალბათ გურია-სამეგრელოს ბორცვოვანი ზოლიდან, სადაც გავრცელებულია ე. შ. ეწერი-თიხნარი ნიადაგები.

ანალოგიური ფაქტები კოლხეთის სხვა ბორცვებზეც გვხვდება (საქორიქიო, სირიაჩქონი), მაგრამ ზურგანიშზე ამ მხრივ განსაკუთრებით უზრუნიათ, რაც შესაძლოა სტრატეგიული დანიშნულებით, ან საკულტო ინტერესებით იყო ნაკარნახევი.

კიდევ უფრო საყურადღებო მასალები მოგვცა „ზურგანიშიდან" სამხრეთით 500 მ მოშორებით მდ. ფიჩორის მარჯვენა ნაპირზე გავლებულმა თხრილმა. აქ 1966 წ. მდინარის გაყოლებით 150 მ მანძილზე შეგროვილ იქნა მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალა: კერამიკა, გადამწვარი ალიზის ნატეხები, ქედებით შემკული ბრინჯაოს სეგმენტი და სხვ.

კერამიკულ მასალებში დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი ადგილობრივი ნაწარმი, კოლხური, შავად გამომწვარი რელიეფური ქედიანი

დერგები და თხელკედლიანი სამზარეულო კერამიკის ფრაგმენტები, შემკული სავარცხლისებური შტამპით, ბადისებური და თევზისფხური ორნამენტით. ეს მასალები საქორქიოს სიმაგრის, ვანის, დაბლაგომისა და ფიჭვნარის ანალოგიების მსგავსად ძვ. წ. VI-IV სს. თარიღდება.

იმპორტული შავლაქიანი პროდუქციიდან ყურადღებას იქცევს დაბალი, რგოლისებურ ძირიანი (დიამეტრი 6,5 სმ) სკიფოსის ნატეხი, რომლის ზედაპირი წყალში დიდხანს ყოფნის გამო თითქოს დაბინდულია, მაგრამ მაინც ეტყობა, რომ ლაქი საკმაოდ კარგი ხასიათის ყოფილა.

ამფორებში ნამყვანი ადგილი იმპორტულ ნაწარმს უკავია, რომელთა შორის აშკარად ჭარბობს სინოპური ამფორების პირ-ყურისა და ქუსლის ნატეხები. სინოპური ამფორის ერთ-ერთ ყურზე გამოსახულია 3 სმ სიგრძისა და 2 სმ სიგანის დამღა, რომელზეც მოჩანს არწივი, რომელიც დაცხრომია დელფინს და ფლეთს (ტაბ. I, 1). დამღიანი ამფორის ყური საგანგებოდ შეისწავლა გ. ლორთქიფანიძემ. მისი აზრით, ეს არის ქ. სინოპის სახელმწიფოებრივი ემბლემა, რაც სინოპის I ჯგუფის ამფორებისთვის არის ნიშანდობლივი [5,81]. მისივე აზრით, დამღაზე მაგისტრატურის დასახელება ორ საკუთარ სახელს შორის არის მოქცეული და შემოკლებით არის გადმოცემული (ე. წ. I ჯგუფის მეორე ვარიანტი).

სპეციალურ ლიტერატურაში ჯერ კიდევ სადავოა, რომელი სახელი ეკუთვნის ასტინომს, ე. ი. მოხელეს, რომელსაც ევალებოდა კონტროლი კერამიკულ ნაწარმზე და რომელი ფაბრიკანტს – სახელოსნოს პატრონს [5,39]. აღნიშნული დამღის ვარიანტები მოეპოვებათ ე. პრიდიკსა [9,83] და ვ. კანარაკეს [12,153]. ბ. გრაკოვი და ვ. კანარაკე სინოპური დამღების I ჯგუფს ძვ. წ. 350-270 წწ. ათარიღებენ, ხოლო ქალაქის გერბიან დამღებს ყველაზე ადრეულად თვლიან. ვ. ცეხმისტრენკოს აზრით, არწივ-დელფინიანი დამღები ძვ. წ. IV ს-ის მეორე მეოთხედით უნდა დათარიღდეს [11,9]. აღსანიშნავია, რომ ასეთი დამღები შედარებით მცირერიცხოვანია, ხოლო ჩვენში პირველად აღმოჩნდა. რამდენადაც დასავლეთ საქართველოს ნამოსახლარებში სინოპური ამფორები დიდი რაოდენობით გვხვდება, საფიქრებელია, რომ ამ ჭურჭლებით ჩვენში შემოჰქონდათ როგორც ზეითუნის ზეთი, ისე მაღალხარისხოვანი ღვინოებიც.

ფიჩორის პირა ნამოსახლარზე გვხვდება აგრეთვე ამფორების ე. წ. „სასმისისებური“ ძირები. როგორც ცნობილია, ამ ტიპის ამფორები ერთ-ერთ გავრცელებულ სახეობას წარმოადგენს ბოსფორში, რომლებიც ძვ. წ. V ს. თარიღდება. ამ სახით ამფორების წარმოების ცენტრი სადღეისოდ უცნობია. ი. ზეესტის ვარაუდით, მათი ფორმა ატიკური ამფორების ზემოქმედებით უნდა იყოს გაჩენილი [7,24]. ფიჩორისპირიდან, ზედაპირულად ამ ტიპის ამფორის სამი ძირი იქნა აკრეფილი. კიდევ ერთი ანალოგიური ქუსლი აღმოჩნდა მდინარის პირზე გაჭრილ I თხრილში, თითქმის 2 მ სიღრმეზე გამოვლენილ თიხატკეპნილ იატაკზე (?), შავლაქიან კილიკის ნატეხებთან ერთად. ამფორის კეცი კარგად არის გამომწვარი, მონითალო ფერისაა და შეიცავს მინარევებს სილისა და ქარსის მბზინავი ნამცეცების სახით. ფიჩორის ნამოსახლარის

გარდა, ჩვენში ანალოგიური ამფორების ფრაგმენტები აღმოჩენილია ქობულეთის ფიჭვნარის ნაქალაქარის გათხრების დროს [3,82], სიმაგრის ანტიკურ ნამოსახლარზე და ბათუმის ციხეზე [4,74-75], რაც იმას მოწმობს, რომ ძვ. წ. V საუკუნეში ამ უცნობ საწარმოო ცენტრს საკმაოდ კარგად ჰქონდა გაკვალული გზა დასავლეთ საქართველოში. ფიჩორისპირა ნამოსახლარის იმპორტულ მასალებში შედის ძვ. წ. VI-V სს. დათარიღებული ლესბოსური ამფორის პირ-ყურის ნატეხი (ტაბ. I, 2). თაზოსური ამფორის ქუსლები, ქიოსური ამფორის ქუსლები და პირ-ყელის ნატეხები.

ამრიგად, ფიჩორის ნამოსახლარიდან მომდინარე, იმპორტული მასალები წარმოდგენილია შემდეგი ცენტრებით: სინოპე, ლესბოსი, ათენი (?), თაზოსი და ქიოსი, რომლებიც მეღვინეობისა და ზეითუნის ზეთის საწარმოების მნიშვნელოვან ცენტრებს წარმოადგენდნენ. ამ პუნქტებიდან მომდინარე, ტარის მნიშვნელოვანი რაოდენობის აღმოჩენა ზედაპირულად და საცდელ თხრილებში შედარებით მცირე ფართობზე იმის მანიშნებელი უნდა იყოს, რომ ფიჩორის პირა ნამოსახლარის სახით საქმე უნდა გვქონდეს ანტიკური ხანის ეკონომიურად ძალზე დაწინაურებულ პუნქტებთან. ამას ადასტურებს როგორც იმპორტული, ისე ადგილობრივი მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი კერამიკული მასალა.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ საგვიჩიოს ნამოსახლარის მაგალითზე კარგად გამოიკვეთა, ბრინჯაოს ხანის ერთი სამოსახლოს ბორცვის „სეგმენტიზაციის" შედეგად, ახალი სამოსახლოების გაჩენისა (თავისი სამეურნეო საკარგულებით) და მის გარშემო შემოკრების თანმიმდევრული პროცესი, რომლის ბაზაზე წარმოქმნილი „ქალაქური ტიპის" დასახლება განსაკუთრებით დაწინაურებული ჩანს ძვ. წ. VI-IV საუკუნეებში. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ამ პროცესებზე დიდი გავლენა უნდა მოეხდინა აქვე, სადღაც მახლობლად, ქ. ფასისის არსებობის ფაქტსაც.

Guram Grigolia

Sagvichio settlement

Summary

The Sagvichio settlement is located between the two rivers the Rioni (in Phasis) and the Pichori, near the village Sagvichio (district of Senaki). It is represented by five populated hillocks surrounded by economic areas and canals of strategic, transportation and economic importance. According to the rich local and imported materials obtained during the research works carried out in 1968, it was stated that the settlement started its existence in the late Bronze Age on one of the hillocks; and as a result of economic-social development, its segmentation takes place in the Archaic, Classical and Hellenistic periods.

The imported materials of the settlement are represented by the centers of Sinope, Lesbos. Athens (?). Thasos and Kios (or Cius-Kios). On one of the handles of the Sinope amphora is imprinted the state stamp of Sinope with an eagle tearing a dolphin to pieces depicted on it. Sagvichio settlement belongs to the late Bronze Age and is considered to be a culturally and economically promoted vast settlement of the "city type" belonging to the 6th -4th centuries BC.


ლიტერატურა – REFERENCES

1. გრიგოლია გ., ფხაკაძე გ., ბარამიძე მ., ლორთქიფანიძე გ., დასავლეთ საქართველოს საძიებო-არქეოლოგიური ექსპედიციის 1966 წლის მუშაობის შედეგები, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის XVI სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1966 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, მოკლე ანგარიშები, თბ., 1967.
2. გრიგოლია გ., ბარამიძე მ., ლორთქიფანიძე გ., ფხაკაძე გ., ჯაფარიძე ვ., კიღურაძე ნ., ჯღამაია ჯ., დასავლეთ საქართველოს სადაზვერვო-არქეოლოგიური ექსპედიციის 1968 წ. მუშაობის მოკლე შედეგები, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, XVIII სამეცნიერო სესიის 1968 წ. მუშაობის შედეგები, თბ., 1969.
3. კახიძე ა., მასალები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ძველი ქალაქების ისტორიისათვის, მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, IV, თბ., 1964.
4. ლორთქიფანიძე ო., ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ., 1966.
5. Граков Б. Н.. Древне-греческие керамические клейма с именами остипомов. М., 1929.
6. Зеест И. Б.. Археологические слой Гермонассы. КСИА. 83. М.. 1960.
7. Зеест И. Б.. Керамическая тара Боспора. МИА. 83. М., 1960.
8. Куфтин Б. Б.. Материалы к археологии Колхиды. т. II, стр. 186.
9. Прилик Е. М.. Инвентарный каталог клейм на амфорных ручках и горлышка. Петроград. 1917.
10. Сидорова Н. А.. Археологическая керамика из Пантикапея. МИА. 103. М., 1962.
11. Цехмистренко В. И.. Клейма как источник для изучения керамического производства в Синопе в IV-II вв. до н. э.. автореферат. М., 1963.
12. Canarache V.. Impoctul Amfoular stampilate la Istria. Bacyr. 1957.

ტაბულის აღწერილობა

1. სინოპური ამფორის დამღიანი ყური.
2. ძვ. წ. VI-V სს. დათარიღებული ლესბოსური ამფორის პირ-ყურის ნატეხი.

ტაბულა




ციხეგოჯი ძვ.წ. I ათასწლეულში (განვითარების I და II ფაზა)

ნოქალაქევის ნაქალაქარი მდინარე ტეხურის ხეობაში უნაგირა მთის თხემსა და მის ძირშია გაშენებული. იგი მოიკავებს კოლხეთის დაბლობის ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთსა და ეგრისის ქედს. ნაქალაქარი განლაგებულია ტეხურის აუზის ქვემო წელში, სენაკიდან 16 კმ-ის დაშორებით. ნაქალაქარი, რომელიც დაახლოებით 17 ჰ-მდე ტერიტორიას მოიკავებს, სამ ნაწილად არის გაყოფილი: ციტადელი, აკროპოლისი ანუ „ჯიხა“, ჩრდილოეთიდან მომიჯნავე მთის ფერდობი და ვაკე ადგილას გაშენებული ნაქალაქარი.

ნოქალაქევი მრავალფენიანი არქეოლოგიური კომპლექსია. ნაქალაქარზე ყველაზე ადრეული ქრონოლოგია ჯერჯერობით ძვ.წ. VIII-VII სს-ით განისაზღვრა [3,156]. ამ პერიოდის უაღრესად საინტერესო ძეგლები იქნა გამოვლენილი. ე.წ „გალავნებშორის“ ტერიტორიაზე (ნაქალაქარის ქვედა ტერასის აღმოსავლეთი სექტორი, ფლეთილი ქვით ნაგებ V ს-ის ქონგურებიან გალავანსა და VI ს-ის კვადროვან გალავანს შორის არსებული ტერიტორია) აღმოჩენილ იქნა სხვადასხვა ძვირფასი და ნახევრად ძვირფასი ფერადი ქვებისა და ბუნებრივი მინერალებისგან მძივების დასამზადებელი საკმაოდ მასშტაბური საიუველირო სანარმო, მცირე მეტალურგიული საწარმო და საკულტო მოედანი.

ქრონოლოგიური სქემის შედგენისას უმთავრესი ყურადღება გამახვილდა პარალელურ, სინქრონულ ძეგლებზე. სანარმოო ნამოსახლარების თვალსაზრისით ნოქალაქევის პარალელური ძეგლებია ოჩხომური, მუხურჩა და ერთიც უცნობი ძეგლი მარტვილის რაიონის სოფ. ბანძიდან, ხოლო სააღაპო მოედნის ერთადერთ პარალელს დღემდე წარმოადგენს ვანი [4,51]. სწორედ ამ ერთიანმა ქრონოლოგიურმა ჩარჩომ გახადა შესაძლებელი ნოქალაქევის შესაბამისი ფენა ძვ.წ. VIII–VII სს. დათარიღებულიყო.

ძვ.წ. VIII-VII სს. „ნოქალაქევის ტიპის“ ნამოსახლართა ტიპოლოგიური სქემა



როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გალავნებს შორის ტერიტორიის ერთ-ერთ აღმოჩენას წარმოადგენს მძივების დასამზადებელი სახელოსნო. გათხრების წარმოების დროს 3 მ-ის სიღრმეში დაფიქსირდა მძივების სახეხ-საპრიალებელი ქვების აღმოჩენის ფაქტი. იგივე ფენაში მოპოვებულ იქნა დიდი რაოდენობით ნახევრად ძვირფას მინერალთა ნატეხები, ძირითადად ნედლეულის სახით. იქვე გამოვლენილ იქნა უფრო დიდი ზომის სახეხ–საპრიალებელი ქვაც. ორივე ეს ეგზემპლარი წარმოადგენს მოთეთრო ფერის ქვიშაქვისაგან დამზადებულ ნიმუშებს (ტაბ. I.1)

მძივების დასამზადებელი სანარმოს არსებობას ნოქალაქევში, მდებარეობაც უნდა უწყობდეს ხელს. მდ. ტეხურა და მასში ჩამდინარე ღელეები საკმაოდ საინტერესო მასალას იძლევიან ნედლეულის გამოვლენის თვალსაზრისით. ერთ-ერთი ღელის ხეობაში გამოვლენილ იქნა დიდი რაოდენობით სწორედ იმ ჯიშის ქვები, რომელთაგანაც თავის დროზე მძივების სახეხ-საპრიალებელი საგნები მზადდებოდა. რაც შეეხება მინერალებს, ტეხურის აუზზე ის დიდი რაოდენობით მოიპოვება. გარდა ამისა, იმავდროულად, როდესაც ნოქალაქევში ამ სახელოსნოს ნაშთები იქნა გამოვლენილი, ანალოგიური აღმოჩენები დაფიქსირდა მის სამხრეთ-აღმოსავლეთით სამიოდე კმ დაშორებით სოფელ მუხურჩაში (მარტვილის რაიონი) და 16 კმ-ის დაშორებით ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ოჩხომურში [1,60-68].

ძვ.წ. VIII-VII სს. კოლხეთსა და მის მეზობელ რეგიონებში საკმაოდ გავრცელებულია მსხვილი დიამეტრის სფეროსებული მაღალხარისხოვანი სარდიონის მძივები. მსგავსი მძივები ჩრდილო შავიზღვისპირეთიდანაც იყო ცნობილი, მაგრამ მათი დამზადების ცენტრები იყო უცნობი. მრავალი წლის განმავლობაში სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებული გახლდათ აზრი, რომ საქართველოსა და წინა აზიის სახელმწიფოების გაცხოველებული ურთიერთობის შედეგი საქართველოში, შესანიშნავად გაპრიალებული მუქი, მოყავისფრო-მონითალო სარდიონის სფერული ფორმის მძივების გამოვლენის ფაქტი უნდა ყოფილიყო [4,55-56]. ნოქალაქევის, მუხურჩის და ოჩხომურის საიუველირო სანარმოო ცენტრების გამოვლენამ ცხადყო, რომ აღნიშნულ პროდუქციაზე კოლხეთი არა მარტო იკმაყოფილებდა საკუთარ მოთხოვნილებებს, არამედ შესაძლოა გარკვეულ პერიოდში ექსპორტის საგანსაც წარმოადგენდა. კოლხეთში სარდიონიდან დამზადებული მსხვილი ეგზემპლარები ცნობილი იყო ნოსირიდან, ფარცხანაყანებიდან, განძის სახით კი ნაგვაზაოდან. სანამ VIII-VII სს. დათარიღებულ კოლხეთის სინქრონულ ძეგლებზე სამეურნეო ურთიერთობების ეს დარგი დაფიქსირებული არ გახლავთ, სავარაუდოა ვიფიქროთ, რომ პროდუქციის ამ სახეობაზე კოლხეთისა და მიმდებარე რეგიონების მოთხოვნილებებს ეს სახელოსნო ცენტრები უზრუნველყოფდნენ.

ნოქალაქევის ნაქალაქარის განათხარ მასალაში არსებულ ქვის ნივთებზე მუშაობისას გამოყოფილ იქნა ცალკე ჯგუფი სალესებისა (მხედველობაში გვაქვს მოგრძო ოვალური და ოთხკუთხედგანივკვეთიანი ფორმის ქვის სალესები), რომლებიც ადრებრინჯაოს ხანაში (ოდხარის დოლმენი) იწყებენ

გამოჩენას და მათი რაოდენობა გვიანბრინჯაოს ხანის ჩათვლით ერთეულებით განისაზღვრება. ადრერკინის ხანიდან კი მათი მოპოვება მასიურ ხასიათს ატარებს. ასეთი სალესები სხვადასხვა ჯიშის ქვისაგანაა ნამზადი. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს აზრი ქვის ჯიშისა და ფორმის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. სალესების ერთი ნაწილი ნამზადია რიყის, ნაცრისფერი ქვისაგან, მეორე ჯგუფი კი სპეციფიკური შავი ფერის პრიალა ქვისაა. გამომდინარე იქიდან, რომ ამ უკანასკნელს ლესვის კვალი პრაქტიკულად არ ემჩნევა, ჩვენთვის საეჭვო გახდა მათი სალესებად მიჩნევა. როგორც ჩანს, ანალოგიური მასალისგან კოლხეთში საკულტო ნივთებიც მზადდებოდა.

აღნიშნული ფერის და შედგენილობის ქვები სამეცნიერო ლიტერატურაში „ლიდიური ქვების" სახელითაა ცნობილი და გამოიყენებოდა ოქროსი და სხვა ძვირფასი ლითონების სინჯებისათვის. ქვას იცნობს პლინიუსიც, რომელიც მას „ჰერაკლეას ქვადაც" მოიხსენიებს [6,72-79].

ნოქალაქევიდან გამომდინარე, აღნიშნული ნაკეთობანი მრავალმხრივ იქნა შესწავლილი. ქიმიურმა და გეოლოგიურმა ანალიზებმა დაადასტურა, რომ ქვა მართლაც „ლიდიური ქვების" ჯგუფს განეკუთვნება (ქვა მედეგია მჟავეების მიმართ, სინჯავს ოქროსა და ვერცხლს). საინტერესოა მისი გამოჩენის დროც – ძვ.წ. VIII-VII-VI სს. როგორც ჩანს, ქრონოლოგიის თვალსაზრისით სასინჯი ქვების გამოჩენის თარიღი კარგად ესადაგება საოქრომჭედლო საქმის მორიგი განვითარების დასაწყისს. გალავნებს შორის გამოვლენილი სასინჯი ქვები აღმოჩნდა ძვირფასი ლითონების ჩამოსასხმელ კერამიკულ ციცხვთან და საქშენ მილებთან ერთად (ტაბ. I.2). ამავე ტერიტორიაზე სხვადასხვა დროსა და ადგილას მრავლად არის გამოვლენილი ძალზედ გაპრიალებული ცხოველთა ეშვები. ცნობილია, რომ ამით სრულდებოდა ოქროს ზედაპირის დამუშავების ტექნოლოგიური პროცესი.

ოქროს სასინჯი ქვები, ჩამოსასხმელი ციცხვი, საქშენი მილები, ცხოველების ეშვები და სხვა, ერთ დარგთან, კერძოდ ოქრომჭედლობასთან უნდა მოიაზრებოდეს. ნოქალაქევში აღმოჩენილი ციცხვის სადნობი მუცლის შიდა სიმცირე გვაფიქრებინებს, რომ ის ძვირფასი ლითონების სადნობად უნდა ყოფილიყო გამოყენებული. მცირე მეტალურგიული სახელოსნოც ძვ.წ. VIII-VII სს. იქნა დათარიღებული.

საწარმოო ნამოსახლართა ტერიტორიაზე მოხდა გამოვლენა უმსხვილესი საკულტო კომპლექსისა. გათხრების შედეგად ამ ტერიტორიაზე კერამიკული ფიგურების ასეულობით ნატეხი იქნა ნაპოვნი. იგივე დონეზე თხრილის აღმოსავლეთ ნაწილში ქანდაკებების გროვიდან 70 სმ-ის მოშორებით გამოვლენილ იქნა მსხვილფეხა ცხოველის ძვლები, ირმის რქების ნაშთები და დიდი რაოდენობით სპეციალურად დამსხვრეული საყოფაცხოვრებო ნაწარმი (ქილები, დერგები). ეს ფაქტი ამყარებს მოსაზრებას ამ ტერიტორიაზე საკულტო მოედნის არსებობის შესახებ. აღნიშნული სკულპტურები თავისი ხასიათით ზოომორფულია, ესენია კერამიკული ორმხრივპროტომიანი ფიგურები სხვადასხვა ცხოველთა გამოსახულებით (ტაბ. I.3). ქანდაკებებს ორივე მხარეს მიძერწილი აქვთ ორი წყვილი კიდური, რომელიც ერთმანეთს წაგრ-

ძელებული მუცლით უერთდება, შემდეგ იგი გადადის ტორსში და ბოლოვდება ცხოველის თავით. ფიგურების მიკუთვნება ამა თუ იმ ცხოველისათვის შედარებით პირობითია. მათ ანალოგი კავკასიაში მხოლოდ ვანში მოეპოვებათ.

ნოქალაქეში გამოვლენილი საკულტო კომპლექსი საიუველირო სანარმოსთან ერთად, თანხმლები მასობრივი კერამიკული ნანარმით, სინქრონული ძეგლების (ვანი, მუხურჩა, ოჩხომური) პარალელებით, ადგილობივი სტრატიგრაფიითა და დათარიღების C14 მეთოდის გათვალისწინებით, ძვ.წ. VIII-VII სს. დათარიღდა.

ორმხრივპროტომიანი ოთხფეხა ფიგურები სრულიად უჩვეულოა დღემდე ცნობილ კოლხურ ზოომორფულ გამოსახულებათა შორის. მსგავსი გამოსახულებანი ძველ აღმოსავლეთსა და ხმელთაშუაზღვისპირეთში უკვე ძვ.წ. III-II ათასწლეულებშია ცნობილი, მაგრამ, როგორც ბ-ნი ოთ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს, აქ საქმე გვაქვს სრულიად ჩამოყალიბებულ იკონოგრაფიულ ტიპთან – ოთხფეხა, ორმხრივპროტომიან ფიგურებთან [5,7]. თუ რომელი კულტურის გავლენით შეიქმნა ის კოლხეთში, დღემდე ეს საკითხი მხოლოდ ვარაუდების დონეზე რჩება. მეცნიერთა ნაწილი მას აღმოსავლურ სამყაროს უკავშირებს და ლურისტანული კულტურის წრისკენ იხრება (თუმცა თავად ლურისტანული ბრინჯაოს საკიდების აბსოლუტური უმრავლესობა უპასპორტოა და, შესაბამისად, აქედან გამომდინარე, დასკვნების გაკეთება შეუძლებელია). ამავე დროს ამგვარი გამოსახულებანი ფართოდაა გავრცელებული ბერძნულ სამყაროში და მათი გამოჩენა გვიან გეომეტრიულ ხანას მიეკუთვნება. მათი მრავალრიცხოვანი ნიმუშები ცნობილია ოლიმპოდან, დელფოდან, ათენიდან [5,7].

ახლა, რაც შეეხება უშუალოდ კერამიკულ ფიგურებს. როგორც აღვნიშნეთ, ტერაკოტული ფიგურები ნოქალაქევიდან რამდენიმე ასეული ნატეხით არის წარმოდგენილი, კერძოდ ცალკეული კიდურების, ტორსების, თავებისა და სხვა უფორმო ნატეხების სახით. ფიგურების უმრავლესობა მოწითალო აგურისფრადაა გამომწვარი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ისინი დამზადებულია ადგილობრივი თიხისაგნ და მასობრივი კერამიკული ნაწარმის მსგავსად ნაპრიალებია ვერტიკალურად, რაც მათი ადგილობრივი წარმომავლობის კიდევ უფრო მყარ საფუძველს ქმნის. მათი საერთო რაოდენობა თითქმის თანაბრად ნაწილდება ღრუ- და მასიურტორსიან ნაკეთობებად. ნოქალაქევის აღმოჩენებიდან გამომდინარე მიჩნეულია, რომ ღრუტორსიანი წარმოდგენილია მდედრი ღვთაების, ხოლო მასიურტორსიანი – მამრი ღვთაების სახით. ნოქალაქევის მონაპოვარში დაფიქსირებულია რამდენიმე სახეობა ცხოველებისა, რომლებიც წყვილად, მდედრი და მამრი ეგზემპლარებით არის წარმოდგენილი.

საკულტო მოედნის მონაპოვარში დადასტურებულია: ირემი, ცხენი, ხარი, გველი, თევზი, ზოგი სკულპტურის და ზოგიც სკულპტურაზე შესრულებული დეკორის სახით. აღსანიშნავია ზომით გამორჩეული ირმის ქანდაკება, რომელსაც ყელზე შვიდი გველის ჩაჭდეული ორნამენტი შემოუყვება. ერთერთ გველს, რომელიც ქანდაკების კისერზეა გამოსახული, სამკუთხედის

ფორმის თავზე აღენიშნება სიცოცხლის ხის გამოსახულება. აღნიშნული საკითხი კვლევას მოითხოვს და, შესაბამისად, ზუსტი დასკვნების გამოტანა ჯერ ნაადრევია, მაგრამ ერთი რამ ცხადია, ეს არის რიტუალის უმთავრესი მიზანი – განაყოფიერების ღვთაებრივი აქტი, ის რაზეც დამოკიდებული იყო კოლხი მოსახლეობის მომავალი არსებობა: გამრავლება, საქონლის მატება და სხვ. ამის ნათელი დადასტურებაა სწორედ ამ საკულტო მოედანზე აღმოჩენილი სკულპტურების და სკულპტურაზე შესრულებულ ზოომორფულ გამოსახულებათა, როგორც სიმბოლოთა, ფუნქციები. თითოეული მათგანი წარმართულ რელიგიებში ნაყოფიერების ღვთაებებად არის მიჩნეული. კოლხი ეთნოსის ცნობიერებით, ამ ფიგურათა თაყვანისცემით და საკულტო რიტუალის აღსრულებით მისი ცხოვრება მატერიალურად უზრუნველყოფილი იქნებოდა, რაც მათთვის მთავარ საზრუნავს წარმოადგენდა.

ადრეანტიკური ხანის არსებობის ფაქტს ნოქალაქევის ნაქალაქარზე ამტკიცებს ამ პერიოდის კერამიკული ნაწარმის არსებობა, რომლებიც წარმოდგენილია: დერგების, ქოთნების, კვირისტავების, ქვაბების, ხუფების, სასმისებისა და სხვა კერამიკული ნაწარმის ფრაგმენტების სახით.

ელინისტური პერიოდი ნაქალაქარზე წარმოდგენილია ნაგებობების, სამარხების, ადგილობრივი და იმპორტული ნაწარმის სახით. ნამოსახლარები დაფიქსირებულია ნაქალაქარის აღმოსავლეთ ნაწილში. ამ პერიოდის ნაგებობები ნაქალაქარზე საერთო ნიშნებით ხასიათდება (ტაბ. II.1). სამშენებლო მასალად გამოყენებულია უხეშად გათლილი კირქვა, თითქმის იდენტურია ქვების ზომები, დუღაბი გამოყენებული არსად არ არის. ფენებში გვხვდება დამწვარი თიხის ფრაგმენტები. ყველა სტრუქტურაზე გამოვლინდა ქვების წყობის თითო-თითო რიგი, რაც გვაფიქრებინებს, რომ ეს უნდა ყოფილიყო ნაგებობის საძირკველი მასზე ხის კონსტრუქციის გასამართად, რომელიც თავის მხრივ თიხით უნდა ყოფილიყო შელესილი. ამას მოწმობს ფენებში გამოვლენილი ბათქაშები.

ნოქალაქევის ელინისტური ხანის სამარხთა მონაცემების საფუძველზე შესაძლებელი ხდება აღვადგინოთ, ერთი მხრივ, დაკრძალვის წესები, მეორე მხრივ კი, სოციალურ-ეკონომიკური ვითარება კონკრეტულ რეგიონში ელინისტურ პერიოდში.

ელინისტური ხანის მთელ მანძილზე ნოქალაქევში დაკრძალვის წესი და სამარხეული ინვენტარის შემადგენლობა გარკვეულწილად განიცდიდა ცვლილებებს [2,86].

ნაქალაქარზე გამოვლენილი ელინისტური პერიოდის იმპორტული ნაწარმით დასტურდება, რომ გარე სამყაროსთან ვაჭრობის როლი აღნიშნულ პერიოდში არნახულად იზრდება. ნოქალაქევში დედაქალაქობამდელი კულტურული ფენებიდან მოპოვებული ელინისტური იმპორტული ნაწარმი ძირითადში წარმოდგენილია ამფორების (უმეტესობა სინოპურია), ლუთერიუმების, სადა შავლაქიანი (სათევზე ლანგრები, თეფშები, ნახევრად სფერული

თასები, პირგადაშლილი თასები), მხატვრული კერამიკის (მეგარული თასი, კანთაროსი) და მინის ნაწარმის სახით.

რაც შეეხება ძვ.წ. I ათასწლეულის ნოქალაქევის ნაქალაქარის ადგილობრივ მატერიალურ კულტურას, უნდა აღინიშნოს, რომ სამეთუნეო ნაწარმი ძვ.წ VIII-I სს. ნამოსახლარი კულტურული ფენებისა და სამარხეული ინვენტარის ყველაზე უფრო მრავალრიცხოვან ნაწილს წარმოადგენს. აღნიშნული პერიოდის კერამიკული მასალა წარმოდგენილია: დერგების, ქოთნების, ქვაბების, საწურების, ყურმილიანი ხელადების, ხუფების, სასმისების, კვირისტავების სახით, რომელთაც თავიანთი ტიპები გამოეყოფათ.

გარდა კერამიკისა, I ათასწლეულის კულტურული ფენებიდან მომდინარეობს აგრეთვე ლითონის ნაწარმიც, რომელიც დანიშნულების მიხედვით ორ ჯგუფად იყოფა: საბრძოლო (ისრისპირები) და სამეურნეო (წალდი, ცული) დანიშნულების ნაკეთობებად. მცირე ჯგუფს ქმნის ბრინჯაოს უფორმო ნატეხები, რომელთა დანიშნულებაც ვერ ირკვევა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ძვ.წ I ათასწლეულის ნოქალაქევი, შემდგომ უკვე ეგრისის სამეფოს დედაქალაქი, წარმოადგენდა ძლიერ სამოსახლოს თავისი საწარმოო ნამოსახლარებით, საყოფაცხოვრებო ნაგებობებით, სამარხებით და ადგილობრივი მატერიალური ნაწარმით.

David Lomitashvili, Ana Tvaradze

Tsikhe-Goji in the 1st Millennium BC (1st and 2nd phases of development)

Summary

The article discusses the cultural layers of the 1st millennium BC found on the territory of Nokalakevi, which represent the 1st and 2nd phases of development of the designated site.

The first phase of development is represented by an industrial settlement of the 8th-7th cc. BC. A bead-making workshop, metallurgical workshop and a cult square were found in the cultural layer of quite intensive settlement.

The second phase of development comprises the Hellenistic period, from the end of the 4th till the beginning of the 1st cc. BC. Domestic constructions, various types of burials, local and foreign products were found in the appropriate cultural layers.


ლიტერატურა – REFERENCES

1. აფაქიძე ჯ., გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ახალი ძეგლი ცენტრალური კოლხეთიდან, ძეგლის მეგობარი, 70, თბ., 1985.
2. გვინჩიძე გ., ელინისტური ხანის კოლხეთის მოსახლეობის ისტორიისათვის, თბ., 1988.
3. ლომიტაშვილი დ., სტრატიგრაფია ნოქალაქევის ნაქალაქარზე (VII უბნის მიხედვით), ნოქალაქევი – არქეოპოლისი III, თბ., 1993.
   ლომიტაშვილი დ., ცენტრალური კოლხეთი ძვ.წ VIII – ახ.წ VI სს. /ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი/, დისერტაცია, წარმოდგენილი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2003.
5. ლორთქიფანიძე ოთ., ვანი, „ოქრომრავალი" კოლხეთის უძველესი რელიგიური ცენტრი. Sonderdruck aus. Jahrbuch des Romisch – Germanischen zentralmuseums. Mains. 42. Jahrgang. 1995.
6. Кебуладзе Н., Ломиташвили Д., Златокузнечное дело в Колхиде VIII-VII вв. Актуальные проблемы изучения гуманитарных наук. БГУ. Баку. 2000.

ტაბულების აღწერილობა

I.1. მძივების დასამზადებელ სახელოსნოში აღმოჩენილი მასალა.
I.2. მეტალურგიული სახელოსნოს ინვენტარი.
I.3. ორმხრივპროტომიანი ფიგურები.
II.1. ელინისტური ხანის ნაგებობა-გეგმა.
II.2. ამფორასამარხი.
II.3. ორმოსამარხი.

ტაბულა I



1



2



3


ტაბულა II



1



2



3

ᲖᲝᲗᲐ ᲛᲐᲛᲣᲚᲐᲫᲔ

ახალი მასალები საბეჭდავების ფუნქციონალური დანიშნულების ზოგიერთი საკითხის დაზუსტებისათვის

ბოლო პერიოდში აჭარისწყლის ხეობის თუ ჭოროხის ქვემო დინების კლასიკური თუ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარების შესწავლისას, თავი იჩინა მხატვრული ხელოსნობის ერთ-ერთი რთული დარგის, გლიპტიკური ხელოვნების მეტად საინტერესო და საყურადღებო ნიმუშებმა – საბეჭდავებმა. დღეისათვის მონაპოვარში სულ 11 ნიმუშია წარმოდგენილი (ტაბ. I). თითოეული მათგანი არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ძეგლია და თანმხლები მასალების მიხედვით საკმაოდ კარგად თარიღდება.

ექვსი ცალი საბეჭდავი, სხვა საკულტო დანიშნულების ნივთებთან ერთად, აღმოჩნდა კვაშტის ძვ.წ. V საუკუნით დათარიღებული ნამოსახლარის გათხრებისას. ძეგლზე სამუშაოები ოთხ ტერასაზე განხორციელდა. მათგან I ტერასაზე ძვ.წ. V საუკუნით დათარიღებულ კულტურულ ფენაში, ადგილობრივ თუ იმპორტულ (მათ შორის შავლაქიანი კერამიკა) მასალებთან ერთად, აღმოჩნდა სხვადასხვა ზომის ხუთი საბეჭდავი და რამდენიმე ცალი დისკოსებური ნივთი წვრილი ნახვრეტით. ერთი საბეჭდავი კი – III ტერასაზე [2,59-61].

სამი საბეჭდავი აღმოჩნდა მახვილაურის ანტიკური ხანის ნამოსახლარზე, სადაც 1982-1983 წლებში წარმოებდა არქეოლოგიური გათხრები. ასევე ორი საბეჭდავი იქნა მოპოვებული მდინარე ჭოროხის მარცხენა სანაპიროზე მდებარე სოფ. ჭარნალის ძვ.წ. VII-VI სს. დათარიღებულ გორასამოსახლოზეც. ესენი ფორმებით და გამოსახულებებით ძირითადად ემსგავსებიან ზემოთ დასახელებულ ძეგლებზე აღმოჩენილ ნიმუშებს.

საბეჭდავების თიხა ძირითადად მოწითალო, მოვარდისფრო ან მოყავისფროა. ზოგიერთი მათგანის თიხა მსხვილმარცვლოვანია, ზოგიც – კარგად განლექილი და წმინდაა. ასევე შეიძლება გარკვეული წარმოდგენა შევიქმნათ მათი დამზადების ტექნიკაზეც. როგორც ჩანს, მას შემდეგ, რაც ოსტატი საბეჭდავს გამოძერწავდა, ჯერ კიდევ მის გამოწვამდე, პირზე სპეციალური იარაღით (დანით თუ ჩხირით) ამოჭრიდა ან დაიტანდა სასურველ გამოსახულებას. გამოშრობის შემდეგ კი საბეჭდავი გამოიწვებოდა. მათზე დაკვირვებით ჩანს, რომ გამოწვის ხარისხიც სხვადასხვაა. ზოგიერთი საბეჭდავი კარგადაა გამომწვარი, ზოგს მზეზე „გამომწვარი“ ნივთის იერი აქვს. ასეთ შემთხვევაში თიხა თითქოს მსხვრევადი და მყიფე ჩანს. რაც შეეხება საბეჭდავების ძერწვას, ზოგიერთი მათგანი ტლანქად გამოიყურება. განსაკუთრებით მაღალ დონეზეა შესრულებული კვაშტაში აღმოჩენილი საბეჭდავები და ერთი ნიმუში (603) მახვილაურიდან. ზოგიერთ მათგანს გაკრიალების კვალიც კი ეტყობა.

როგორც წესი, ისინი გრძელსახელურიანია, ანდა ზოგჯერ ყუნწიანი. გარეგნული ფორმით იმეორებენ ძველ აღმოსავლეთში, მცირე აზიასა თუ საკუთრივ საქართველოში არსებულ თიხის თუ ქვის საბეჭდავების ტიპებს იმ განსხვავებით, რომ ჩვენი საბეჭდავების ფორმები ძირითადად ერთგვაროვნებით ხასიათდება. რაც შეეხება მათზე დატანილ გამოსახულებებს, თითქმის ყველა შემთხვევაში გეომეტრიული სახის მოტივებია გადმოცემული. კერძოდ, ე.წ. შევსებული ჯვარი, ანუ ჯვარი, რომლის მკლავებს შორის არსებული სივრცე მკაცრი ხაზებისაგან შედგენილი გეომეტრიული სახის ერთმანეთში ჩახაზული სრული კუთხეებით, სხივისებური რელიეფური ან ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ქედებით, მინიატურული ჯვრებით, სამკუთხედებით, წრეებით და, ბოლოს, ურთიერთგადამკვეთი ხაზებით, ე.წ. ჯვარითაა წარმოდგენილი. სოფ. ჭარნალის ძვ.წ. VII-VI სს. გორასამოსახლოზე და კვაშტაში აღმოჩენილ ზოგიერთ ნიმუშზე დატანილია მცენარის გამოსახულება. ამ ტიპის საბეჭდავები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან დღემდე უცნობი იყო. ამიტომ ისინი უნდა ჩაითვალოს ჯერჯერობით ადგილობრივი წარმოების უძველეს ნიმუშებად.

ჩვენთან აღმოჩენილი საბეჭდავების და დისკოსებური საგნების მსგავსი ნიმუშები საკმაოდაა მოპოვებული როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

შედარებით ადრეული, მაგრამ განსაკუთრებით საინტერესო თიხის საბეჭდავები აღმოჩნდა ხოვლე-გორაზე [6,14, ტაბ. LXI და LXII; 4,12], შიდა ქართლის ერთ-ერთი უძველესი ნასოფლარის – გუდაბერტყას გათხრებისას [4,19-20], უფლისციხის მიდამოების წინაანტიკური ხანის ყათნალისხევის გორა-სამოსახლოზე [8,22], მჭადიჯვარში [4,69-25] და ა.შ. მცირეა, მაგრამ განსაკუთრებით საინტერესო საბეჭდავებია აღმოჩენილი დასავლეთ საქართველოშიც. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ჭოგნარში [4,26-27], სოფ. ძევრში [4,27-28] აღმოჩენილი ნიმუშები. ერთი ცალი კვაშტაში მოპოვებული საბეჭდავების მსგავსი ნივთი ახლახან აღმოჩნდა ქ. ქუთაისში, რომელიც ძვ.წ. V ს-ით თარიღდება. თავისებური საბეჭდავების ჯგუფს განეკუთვნება რუსთავში (ორი ცალი), ალაზნის მარჯვენა სანაპიროზე და წინამინდორში აღმოჩენილი საბეჭდავები. ოთხივე მათგანი დიდი ზომით და ზედმინევნით ღრმად „ამოჭრილი“ გამოხატულებით გამოირჩევა [4,28-29, სურ. 20-24].

ძვ.წ. IX საუკუნიდან, მ. ლორთქიფანიძის მოსაზრებით, ჩვენში, უკვე ქვისა და ბრინჯაოს საბეჭდავები ჩნდება [4,31-32]. ამ ტიპის საბეჭდავები დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, ნატანებსა და ბორში (ძვ.წ. IX-VIIIსს.), ხოლო აღმოსავლეთ საქართველოდან: ურბნისში, ხოვლეში, როქში, სამთავროსა და წალკაშია აღმოჩენილი. ისინი ქრონოლოგიურად ძირითადად ძვ. წ. IX-VI საუკუნეებს შორის პერიოდით თარიღდება [4,32]. თუმცა, როგორც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე და, ბოლო დროს, ქუთაისში აღმოჩენილი მასალების მიხედვით ჩანს, თიხისაგან დამზადებული საბეჭდავები მოგვიანებითაც აგრძელებენ არსებობას. პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ ამ

ტიპის საბეჭდავები რაოდენობრივად ჭარბობენ ლითონისა და ქვისგან დამზადებულ საბეჭდავებს.

ლითონისა და ქვისგან დამზადებულ საბეჭდავებზე, გეომეტრიულის გარდა, უკვე გვხვდება ნატურალისტური მოტივებიც: ცხოველების, ფრინველების, მტაცებლებისა და, იშვიათად, ადამიანის გამოხატულებები. მ. ლორთქიფანიძის აზრით, ამ ტიპის საბეჭდავები, ძირითადად, ადგილობრივი წარმოშობისაა, რიგი მათგანი მცირეაზიული, კერძოდ, ხეთური გლიპტიკის გავლენით არის შექმნილი. ამავე დროს შეიმჩნევა ადრეკრეტული კულტურის გავლენა, ზოგიც მესოპოტამიურ გლიპტიკურ ძეგლებს ენათესავება; ასევე შეიმჩნევა კავშირი ურარტულ ძეგლებთანაც [4,39].

ჩვენს ძეგლებზე აღმოჩენილი საბეჭდავების შესწავლის თვალსაზრისით, საინტერესო ნიმუშებია მოპოვებული ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. ამ მხრივ, საინტერესო გამოდგა ჯერ კიდევ 1955-1956 წლებში აზერბაიჯანში, ქ. ყაზახში, ე.წ. „სარი-თეფეს“ ნამოსახლარის გათხრები, სადაც 20-ზე მეტი თიხის საბეჭდავია ფიქსირებული და I ათასწლეულის დასაწყისით თარიღდება [40,68-75]. მსგავსი ნიმუშები ცნობილია მინგეჩაურიდანაც [10,89]. შედარებით ადრეულები ჩანს ერევანთან ახლოს მუხანატ-თეფეს ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მსგავსი საბეჭდავები [19,17-18].

საქართველოში, აზერბაიჯანსა თუ სომხეთში აღმოჩენილი თიხის საბეჭდავები დიდ სიახლოვეს ამჟღავნებენ ჩრდილოეთ კავკასიაში – ინგუშეთში (ალხასტინი) [19,17; 20,137, рис.19], ჩეჩნეთში, სერჟენ-იურთის ძველ ნამოსახლარზე აღმოჩენილ ნიმუშებთან, რომლებიც ძირითადად ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისით თარიღდებიან [29,186; 28,40; 16,46; 21,192-194]. მეტ-ნაკლებად მსგავსი საბეჭდავებია ცნობილი რუსეთის სხვა სამხრეთი რაიონებიდანაც [18,119; 42,78].

განსაკუთრებით საინტერესო საბეჭდავებია მოპოვებული ტროაში. ისინი ნაპოვნია შლიმანის მიერ XIX ს-ის ბოლოს. მსგავსი ნიმუშები აღმოჩნდა შემდეგაც. აქ აღმოჩენილი საბეჭდავები განსაკუთრებით ახლოსაა ჩვენს ეგზემპლარებთან ორნამენტაციის მოტივების მიხედვითაც, სადაც ნამყვანია ჯვრის გამოსახულებები. ჯვრის გამოსახულებებიანი თიხის საბეჭდავები საკმაოდ მრავლადაა წარმოდგენილი ისტორიული ხეთების ტერიტორიაზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრებისა თუ შემთხვევითი აღმოჩენების შედეგად. მათი გარკვეული ნაწილი თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე, ჩორომის არქეოლოგიურ მუზეუმშია ექსპონირებული.

სხვადასხვა ფორმის საკმაოდ დიდი რაოდენობის საბეჭდავებია აღმოჩენილი ურარტულ ძეგლებზეც. სხვა ძეგლებისაგან განსხვავებით, ისინი აქ სამარხებშიცაა ჩაყოლებული. ურარტული საბეჭდავები, რომლებიც კერამიკისაგან, ქვისაგან თუ ბრინჯაოსგანაა დამზადებული, უმეტესად გირისებური მოყვანილობისაა. გვხვდება ცილინდრული ან ნაკვეთილი კონუსის ფორმაც [30,70-75; 31,45-48].

საკმაოდ საინტერესო მასალები აღმოჩნდა ყარაყუმის მიდამოებში, სადაც არსებობდა ძველი მდინარე მურგაბის დელტა. აქაც საკმაო რაოდენო-

ბით დაფიქსირდა თიხის, ქვის თუ ლითონისაგან დამზადებული საბეჭდავები [ვრცლად იხ. 33; 34; 35,42-68; 24,132-154]. ვ. სარიანიდის მიერ შედგენილი კარტოგრაფიული მონაცემების მიხედვით, ბრინჯაოს საბეჭდავები ამ რეგიონის გარდა გავრცელებული ჩანს საკმაოდ ფართო ტერიტორიაზე – მესოპოტამიიდან მდ. ინდის ტერიტორიამდე [35,42-68; 22,3-21].

თუ დავაკვირდებით ჩვენთან და, საერთოდ, ძველ აღმოსავლურ სამყაროში აღმოჩენილი საბეჭდავებისა თუ სხვა გლიპტიკური ძეგლების გამოსახულებებს, დავინახავთ, რომ მათზე ძირითადად დატანილია ის სიმბოლოები, რომლებიც ამ ხალხების ცნობიერებასა თუ, განსაკუთრებით, რწმენა-წარმოდგენებს ასახავს [37,17-25; 36; 38,161-167; 17; 44; 45]. ძველ აღმოსავლურ სამყაროში ამ ტიპის გამოსახულებები ჯერ კიდევ ენეოლითის ხანიდან ჩნდება და თითქმის ყველა შემთხვევაში ამ ხალხების რწმენა-წარმოდგენების სფეროს უკავშირდება [26,43-44; 27; 35,42-68; 32, 181-186; 25,132-150]. ამ ტიპის, განსაკუთრებით ანთროპო- და ზოომორფული გამოსახულებები ბაქტრიასა და მარგიანში ჩნდება მას შემდეგ, რაც ისინი სირია-ხეთური სამყაროდან ვრცელდება შუამდინარეთსა და ელამში [37,17-25; 44,1986].

შეიძლება სხვა პარალელების მოტანაც, მაგრამ, თუ დავაკვირდებით საქართველოსა და, განსაკუთრებით, აჭარის რეგიონში აღმოჩენილ გლიპტიკურ ძეგლებს, ისინი გამორჩეულად მჭიდროდ არის დაკავშირებული ხეთურ ანალოგიურ მასალებთან, ანუ სირო-ხეთურ გლიპტიკასთან. აგრეთვე აშკარად ჩანს გარკვეული სიახლოვე ადრეკრეტულ საბეჭდავებთან. ზოგიერთ ნიმუშს პროტოტიპები წინა აზიასა და ადრეელადურ მასალებში მოეპოვება. ამასთანავე შეიმჩნევა ადგილობრივი თავისებურებებიც.

მ. ლორთქიფანიძის აზრით, საქართველოში თიხის საბეჭდავები ძვ.წ. VII ს-ის შემდეგ აღარ არის ხმარებაში, ქრება. თუ გადავხედავთ ჩვენთან აღმოჩენილ კარგად დათარიღებულ თიხის საბეჭდავებს, ჩანს, რომ ხეთური და ადრეკრეტული გლიპტიკის გავლენა ქართულ ძეგლებზე შეინიშნება არა მარტო გვიანბრინჯაოს ხანაში (ხოვლე, გუდაბერტყა, ყათნალიხევი, მოლითი და ა.შ.), არამედ იგი ხანგრძლივად არსებობს და გვხვდება ცოტა მოგვიანებითაც, (ჭარნალი – ძვ.წ. VII–VI სს, კვაშტა – ძვ.წ. V ს. მახვილაური – ძვ.წ. V ს, ქუთაისი – ძვ.წ. V ს და სხვა). ფაქტობრივად, შეინიშნება საბეჭდავების როგორც ფორმის, ისე მათზე დატანილი ერთი და იგივე სიმბოლური გამოსახულებების განმეორება, მდგრადობა დროის დიდი მონაკვეთით ერთმანეთისაგან დაცილებულ ძეგლებზე, რაც იმდროინდელი აქაური მოსახლეობის სულიერ წარმოდგენათა სიმყარითა და ღრმა ტრადიციებით უნდა აიხსნას.

თავის მხრივ, ხეთური გლიპტიკის მძლავრი გავლენა, ხშირ შემთხვევაში ერთგვარობაც კი, მცირე აზიის მოსახლეობისა და ქართველ ტომთა მჭიდრო ურთიერთობების დასტურია საკმაოდ ადრეული ეპოქებიდან, რაც შემდგომ საკმაოდ დიდხანს გრძელდება და იგი თავისებურ ასახვას პოულობს როგორც მატერიალურ, ისე სულიერ სფეროში.

რელიგიის ინსტიტუტი ეკუთვნის ყველაზე უნივერსალურ, ყველაზე გავრცელებულ ინსტიტუტს ყველა დროში და ყველა ხალხში დედამიწის

ზურგზე. დღემდე არაა მიკვლეული არც ერთი ხალხი, რომელიც განვითარების ისეთ დაბალ დონეზე იდგეს, რომელსაც არ ჰქონდა რომელიმე სახის რელიგია. ფაქტობრივ, მეცნიერებამ დღემდე არ იცის ისეთი ცივილიზაცია, რომელსაც რელიგიური წარმოდგენები გამოეტოვებინოს [43,241], ასეა ჩვენთანაც. ამიტომ, როგორც ყველგან, ისე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ საბეჭდავებზე დატანილი გამოსახულებები გარკვეული აზრის მატარებელ ნიშნად უნდა მივიჩნიოთ. მათ აშკარად გამოხატული და ძლიერი აზრობრივი დატვირთვა აქვთ, დაახლოებით ისეთი, როგორიც ენას თანამედროვე მეტყველებაში [39,40]. ამიტომ თითოეული ნიმუში, როგორც მ. ხიდაშელი აღნიშნავს, გააზრებული უნდა იქნეს, როგორც ძეგლი. მათში კარგადაა ასახული ამა თუ იმ ხალხის წარმოდგენები, რომელიც თაობათა მიერ არის შემუშავებული და ჩამოყალიბებული [9]. ამ გამოსახულებებში კარგად ჩანს არა მარტო ამა თუ იმ ხალხის კონკრეტული შეხედულებები, რწმენა-წარმოდგენები, არამედ მათში არეკლილია სხვა კულტურათა გავლენის შედეგად მიღებული და გათავისებული სიმბოლური ნიშნები თუ შესაბამისი წარმოდგენები. საბეჭდავებზე დატანილი გამოსახულებები შეიძლება მივიჩნიოთ ამ სიმბოლიკის შემქმნელი და მატარებელი ხალხის კონკრეტული აზროვნების, რწმენა-წარმოდგენების თუ მთელი სულიერი სამყაროს ნივთიერ გამოხატულებად. კარგად არის ცნობილი, რომ არქაული საზოგადოებისათვის დამახასიათებელია ერთგვაროვანი, დიდი მატერიალური კულტურების ფართო ტერიტორიაზე გავრცელება. ამ კულტურებში გაერთიანებული ძეგლები ხასიათდებიან სტილისტური თუ სიუჟეტური ერთგვაროვნებით. ამგვარ სტილს მკვლევრები უწოდებენ კოლექტიურ, არაცნობიერ, განსაზღვრულ მხატვრულ სტილს, რომელიც ერთგვაროვანია და გამორიცხავს ცალკეული ოსტატების მხატვრულ ინდივიდუალობას. ეს უძველესი ხელოვნება, რომელსაც გამოყენებითი ხასიათი აქვს, განეკუთვნება კოლექტივის სინკრეტული შემოქმედების სფეროს და მისი რიტუალურ-მაგიური პრაქტიკის განუყოფელ ნაწილს შეადგენს [15,8]. ასე რომ, სიმბოლო პირველ რიგში დაფუძნებულია სინამდვილის ცოცხალ განჭვრეტაზე. ის არის მისი ასახვა. იგი ფუნქციონირებს არა იზოლირებულად, არამედ ყოველთვის აუცილებელია, როგორც მაჩვენებელი რაღაც განსაკუთრებულის, როგორიც თვითონ არის [23,248-249]. მოკლედ რომ ვთქვათ, სიმბოლოში, ჩვენ შემთხვევაში, საბეჭდავებზე დატანილ გამოსახულებებში არის ყველაფერი ის, რაც ახასიათებს აბსტრაქტულ აზროვნებას. სამართლიანად შენიშნავდა რ. არნხეიმი, როცა აღნიშნავდა, რომ ეს ხელოვნება ცალკეული ხატების, სიმბოლოების საშუალებით მატერიალურ, ხელშესახებ სახეს აძლევდა იმას, რაც უხილავი იყო, საკრალური და ამით ადამიანი სულიერ სამყაროში შეჰყავდა. გარდა ამისა, არქაული ხელოვნების ძეგლებზე დატანილი გამოსახულებები რეალურად არსებულის მაგივრობას სწევდნენ. ამით ეს ხელოვნება თავის უმთავრეს ამოცანას ასრულებდა – აღბეჭდავდა სამყაროს, მაგიურად მოქმედებდა გარემოზე, ამავე დროს გადმოსცემდა ზუსტ ინფორმაციას [11,132]. ასე რომ, კანონზომიერება თვით საბეჭდავებზე დატანილ პლასტიკაშია,

როგორც იტყვიან, სული საგანშია და არა მის მიღმა, შორეულ შინაარსში. ასეთი ხასიათისაა წარმართული რელიეფი, ბალთების პლასტიკა, ორნამენტული დეკორი, ფოლკლორული სახეები და სხვა. ასეთი იყო ქართული დარბაზის დედაბოძის მზე-ბორჯღალი, ან, თუნდაც, კერიის ცეცხლი, ვითარცა მზეღვთაების განსახიერება, მისი „ჰიპოსტაზი“ [7,6-7]. ამიტომაც საბეჭდავების ფუნქციონალური დანიშნულების განსაზღვრაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მათზე დატანილი გამოსახულებების სწორ ახსნას, ინტერპრეტაციას. ეს კი საშუალებას მოგვცემს, ამა თუ იმ ხალხის და, კონკრეტულად, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები უძველესი მოსახლეობის რწმენა-წარმოდგენების და, საერთოდ, მათ ცნობიერებაზე გარკვეული წარმოდგენის შესაქმნელად.

საბეჭდავებზე დატანილი გამოსახულებების აზრობრივ დატვირთვაზე ამჯერად სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. რაც შეეხება მათ ფუნქციონალურ დანიშნულებას, ამ საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრებებია.

მ. ლორთქიფანიძე, შეისწავლის რა აღმოსავლეთ საქართველოში და, განსაკუთრებით, ხოვლეგორზე აღმოჩენილ საბეჭდავებს, აღნიშნავს, რომ ზოგიერთი საბეჭდავი ჭურჭლის სატვიფრავს წარმოადგენს [4,29]. ე.წ. საბეჭდავი-ტვიფარი, რომლის ძირითადი ფუნქცია საბეჭდავი იყო, საერთო დანიშნულებისა უნდა ყოფილიყო და არა პერსონალური. ამ ტიპის საბეჭდავები თემის საერთო საზიარო საკუთრებას შეადგენდა. ასევე გვარსაც ერთი საზიარო საბეჭდავი უნდა ჰქონოდა. იგი გარკვეული პირის გამგებლობაში იმყოფებოდა, რომელსაც გარკვეული მოვალეობა – ბეჭდვა ეკისრებოდა. საბეჭდავების გარკვეული ნაწილი სათავსოებისა და ჭურჭლის დასაბეჭდად უნდა ყოფილიყო გამოყენებული, აგრეთვე იმ ქონების დასაცავად, რომელიც ტაძრის საკუთრება იყო. მ. ლორთქიფანიძის აზრით, საბეჭდავის ყოფაში შემოსვლა ხსენებულ პერიოდში ჩვენში ერთგვარად „ეკონომიკურმა“ მხარემ განაპირობა – გარკვეული დოვლათისა და ქონების დაგროვება, რომელიც თემისა და გვარის საერთო საკუთრებას წარმოადგენდა [4,30]. ვფიქრობთ, პირადი საბეჭდავის გაჩენა კერძო საკუთრების განვითარებას უკავშირდება და იგი მდიდართა კუთვნილებად უნდა ქცეულიყო. როგორც ჩანს, საბეჭდავი მისი ძალაუფლების, მისი განსაკუთრებულობის და განსხვავებულობის ნიშანიც უნდა ყოფილიყო.

ძველ აღმოსავლეთში მსგავსი ნიმუშები თუ მათი ნატეხები ბლომადაა აღმოჩენილი და წარმოადგენენ საკუთრების ნიშანს [14,39; 21,194]. კავკასიური და მათ შორის ჩვენთან აღმოჩენილი საბეჭდავებიც მიეკუთვნებიან უფრო მოგვიანო პერიოდს. კავკასიური საბეჭდავების ფუნქციონალური დანიშნულების შესახებ საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული კრუპნოვს. მისი აზრით ის საბეჭდავები, რომელთა ზედაპირზე დატანილია ამობურცული გამოსახულებები, გამოყენებული უნდა ყოფილიყო ტატუირებისათვის [21,195]. ჩვენს ძეგლებზე აღმოჩენილი საბეჭდავების ერთი ნაწილიც ამობურცულზედაპირიანია. ისინი მორფოლოგიურად ახლოს არიან კავკასიურ თუ სხვა ძეგლებზე აღმოჩენილ ნიმუშებთან და შეიძლება გაერთიანდნენ ერ-

თიანი სახელწოდების ქვეშ, რომელსაც პინტადერები ეწოდება. მით უმეტეს, თუ გადავხედავთ წერილობით წყაროებსაც, ტატუირების ტრადიცია დამახასიათებელი ჩანს მოსინიკებისთვისაც, რომლის შესახებაც მიგვითითებს ქსენოფონტე. აღნიშნული წესის შესახებ კავკასიის ხალხებში მოგვითხრობენ შედარებით მოგვიანო პერიოდის ანტიკური ხანის ავტორებიც – დიოდორე სიცილიელი, პომპონიუს მელა, პლინიუს სეკუნდუსი და სხვები. ასეთი თიხის შტამპები გავრცელებული იყო ამერიკელი ინდიელებისა და მექსიკელების ყოფიერებაში ტატუირებისათვის გვიანშუასაუკუნეებამდე. ეს წესი კავკასიაში შემორჩენილი იყო XX საუკუნის დასაწყისისთვისაც კი. ამაზე მიუთითებს ა.მ. დირა, რომელსაც 1904 წელს პირადად უნახია დაღესტანში სოფ. ხოჯალმახში და ვიხულში ტატუირებული ქალები და სხვა.

იგივე კრუპნოვის მოსაზრებით, მეორე ტიპის საბეჭდავები, რომელთაც აქვთ ჩაღრმავებული გამოსახულებები, სრულებით გამოუსადეგარია ტატუირებისათვის. ისინი, მისი აზრით, შესაძლებელია გამოყენებული ყოფილიყო ორნამენტის დატანისათვის კერამიკასა და ცომეულზე [21,195-197]. თანადროულ კერამიკულ ნიმუშებზე როგორც სხვაგან, ისე ჩვენთანაც ასეთი ორნამენტის დატანის ტრადიცია არ ჩანს. ასე რომ, უფრო სავარაუდოა ამ ტიპის საბეჭდავების გამოყენება ცომეულზე, საკულტო პურებზე გამოსახულებების დატანისათვის. ამ საკითხთან დაკავშირებით, საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული პროფ. დ. ხახუტაიშვილსაც. მისი აზრით, უფლისციხეში ყათნალიხევის წინაანტიკური ხანის გორასამოსახლოზე აღმოჩენილი საბეჭდავების ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია უნდა ყოფილიყო საწესო ნამცხვრის – სპეციალურად შესანირავი პურების დასატვიფრად გამოყენება [8,30]. მკვლევრის აზრით, წარმართულ დღესასწაულებთან დაკავშირებული საწესო პურების გამოცხობა სალოცავში (ხატში) არსებულ ღუმელში წარმოებდა, ხოლო ნამცხვარზე სასურველი გამოსახულებების დატანა ე.წ. „საბეჭდავებით" ხდებოდა [8,31, ტაბ. XIII, 4,6]. მართლაც და, საკულტო პურებზე გამოსახულებების ფაქტები კარგადაა დამტკიცებული და დადასტურებული კავკასიის ეთნოგრაფიულ ყოფაში. მაგალითად, ხევსურები და კავკასიის სხვა ხალხები იყენებდნენ ისეთი ხის თუ ძვლის საბეჭდავებს პურის ორნამენტაციისათვის [12,149; 13,43; 1,57-65], რომლებიც თავისი ფორმით ახლოსაა არქეოლოგიურ სინამდვილეში აღმოჩენილ ნიმუშებთან. გარდა ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებული მაგალითებისა, ამ მოსაზრებას, რომელსაც რამდენადმე ჩვენც ვემხრობით, მხარს უჭერს ბოლო წლების არქეოლოგიური მონაპოვრებიც. მხედველობაში გვაქვს ჭვანის (ტაკიძეების) განვითარებული შუა საუკუნეების ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ამ ტიპის მასალები. საქმე იმაშია, რომ ციხის შიდა ტერიტორიაზე აღმოჩნდა თონეები, რომელთა ნაწილის შიდა ზედაპირი სადაა, ხოლო ნაწილის კი – დაფარულია სხვადასხვა სახის ორნამენტით (ტაბ. II,III). ამ ტიპის თონეების შიდა ზედაპირზე საბეჭდავით დატვიფრულია წრიული ფორმის ნაჭდევი ბადურა ორნამენტი, რომელიც შიგნით კვადრატებს იძლევა (ტაბ. IV,1; V,1), ხოლო მეორე ნაწილზე კი – რვა-

ფურცლიანი ვარდულებია (ტაბ. IV,2; V,2) [5]. საინტერესოა ისიც, რომ ორნამენტაციის ეს მოტივები გვხვდება ადრეული ეპოქების საბეჭდავებზეც როგორც ჩვენთან, ისე ჩვენი ქვეყნის გარეთაც. 1961 წლის არქეოლოგიური კამპანიის დროს ყათლანახევის VI ჰორიზონტში გამოვლენილ „ცხვრის თავებიან ოთახში" აღმოჩენილ იქნა ძვ.წ. XIII საუკუნით დათარიღებული თიხის წრიული ფორმის კოშტი, რომელზედაც ხუთფურცლიანი ვარდულია დატანილი [4,16]. განსაკუთრებით საინტერესოა ანალოგიური მოტივით შემკული კრეტას – ვროკასტროში მოპოვებული საბეჭდავი [46,227]. მასზეც ზუსტად ისეთივე ვარდულია დატანილი, როგორიც ჭვანის თონეების შიგა ზედაპირზე. ვარდული იქაც და აქაც რვაფურცლიანია. ის, როგორც ცნობილია, წარსულში ცისკრის ვარსკვლავის სიმბოლო იყო და საერთო ასტრალურ იდეას კი არა, კონკრეტულ ციურ ღვთაებას განასახიერებდა [3,190]. ვფიქრობთ, გარდა იმისა, რომ ეს ვარდულები ხელს უწყობდა პურის გუნდის თონის კედელზე დამაგრებას, მათ, ესთეტიკური გარდა, გააჩნდათ რიტუალური ღირებულებებიც. ე.ი. შესაძლებელი ხდებოდა ნამცხვარზე, რომელიც, როგორც ჩანს, შესანირავად იყო განკუთვნილი, ძველი ტრადიციული ორნამენტული მოტივების დატანა. პურებისა თუ სხვა ნამცხვრეულის შეწირვის ფაქტებმა, სათანადო რიტუალების შესრულების შემდეგ, თითქმის ჩვენ დრომდე შემოინახა თავი. ამის უამრავი მაგალითია დამონმებული როგორც აჭარის, ისე ისტორიული ტაო-კლარჯეთის მოსახლეობის ყოფასა და კულტურაში [5,42-56]. ახლახან აღმოჩნდა მაღალმთიან აჭარაში დღემდე შემორჩენილი ხის საბეჭდავები, რომლებსაც ადგილობრივი მოსახლეობა ამ ტიპის პურებსა თუ სხვა სახის ნამცხვრეულზე ორნამენტის დატანისათვის იყენებდა (ცნობა მოგვაწოდა ეთნოგრაფმა თ. ტუნაძემ, რისთვისაც მადლობას ვუხდით). ასევე მაღალმთიან აჭარაში დღემდეა შემორჩენილი შედარებით ხანგრძლივი დროით (განსაკუთრებით ზამთრისათვის) შესანახ პროდუქტებზე სხვადასხვა სახის ორნამენტის დატანის წესი. ალპურ საძოვრებზე, როდესაც ხის კოლოფებში, კაპინებში ან სხვა დიდი ზომის ჭურჭელში აგროვებენ რძის პროდუქტებს დიდი ხნით შენახვისათვის, მათ ზედაპირზე დააქვთ სხვადასხვა ფორმის (უფრო მეტად კონცენტრული წრეები, ჩახვეული სპირალი, ვარდული და სხვა) გამოსახულებები. როგორც ჩანს, ეს წესი იმ ძველისძველი რწმენა-წარმოდგენების გამოძახილი უნდა იყოს, რომლის მიხედვითაც დატანილ გამოსახულებებს უნდა დაეცვა ჭურჭელი თუ შიგთავსი პროდუქტი ხელყოფისაგან. როგორც მ. ლორთქიფანიძე შენიშნავს, ძველად მათ ხომ ისეთივე დანიშნულება ჰქონდათ, როგორც ავგაროზებს [4,23-24]. ბეჭდის დასმა ტაბუს უდრიდა და ამიტომ ერთგვარად საკუთრების უფლების აღიარებასაც ნიშნავდა. შემდეგ საბეჭდავი ინდივიდის ნივთების დასადამღავად გამოიყენებოდა, რათა დაეცვა ისინი ავი თვალისაგან. ამ მიზნით თიხის საცობები იბეჭდებოდა, ასევე ამფორები თუ ქვევრები ღვინით და ა.შ. [41,176]. მსგავსი წესი მსოფლიოს სხვადასხვა ხალხის ძველ ტრადიციებში მრავლადაა დამონმებული, რომლის შესახებაც აქ საუბარს აღარ გავაგრძელებთ.

ზურგი: მარჯვნივ მიმართული რომელიღაც ფრინველი, რომელიც მაღალი ფეხების გამო შეიძლება წეროთა ოჯახს მივაკუთვნოთ [1,66-73; 16,17].

როგორც ვხედავთ, ფიჭვნარის არქეოლოგიური გათხრების შედეგად ქართული ნუმიზმატიკა გამდიდრდა ახალი ნომინალით, ახალი ტიპით. ჩვენს მონაპოვრებს პარალელი არ ეძებნებათ.

ჩანს, რომ ახალი ტიპის კოლხური თეთრის უკნინესი ნომინალები მიმოქცევაში ყოფილან მთელი ძვ.წ. V საუკუნის განმავლობაში. მათი უადრესი ცალები მოპოვებულია კოლხურ სამაროვანზე, რომლებიც თანმხლები მასალის მიხედვით ძვ.წ. V საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდებიან.

ჰემიტეტრატემორიონიანი კოლხური სამარხების კომპლექსები ასე გამოიყურება:

სამარხი 393: მძივები, ყურმილიანი დოქი, ერთი ცალი ჩვეულებრივი ტიპის კოლხური ტრიობოლი (ცუდად დაცული) (ტაბ. I/1, 2).

სამარხი 395: ტყვიის მძივი, თიხის კონუსისებრძირიანი უყურო ჭურჭელი), კბილის ნაშთები (ტაბ. I/3, 4).

სამარხი 400: რკინის ლურსმნები, თიხის დოქი (2 ცალი), ფერადი მინის ამფორისკი, რკინის ბეჭდების ფარაკები (2 ცალი), შავლაქიანი ცილინდრული ლეკითოსი, რკინის დანა, ბრინჯაოსა და რკინის სამაჯურები, ცუდად დაცული ტრიობოლი (2 ცალი) (ტაბ. II; III/1-4).

სამარხი 401: თიხის ჭურჭელი, კბილის ემალის ნაშთები, ბრინჯაოს სამაჯური. ამ სამარხში 2 ცალი ჰემიტეტრატემორიონი აღმოჩნდა (ტაბ. III/5).

ბერძნულ ნეკროპოლზე აღმოჩენილი ჰემიტეტრატემორიონები ძვ.წ. V საუკუნის 30-იანი წლებით თარიღდება. ისინი წარმოდგენილი იყო მე-12 სამარხში საკმაოდ მრავალრიცხოვან, კარგად დათარიღებულ მასალასთან ერთად. ესენია: რკინის ლურსმნები, ქიოსური ამფორა, ნახევარმთვარისებრი ოქროს საყურეები (2 ცალი), ოქროსავე საკიდი და მძივები (58 ცალი), მინის მძივები, ფერადი მინის ოინოხოია (მასში ჩაეწყოთ სამი ცალი ჰემიტეტრატემორიონი), ვერცხლის სამაჯური (2 ცალი), ოქროს ფარაკიანი ბეჭედი, შავლაქიანი ამფორისკი (3 ცალი), ყურმილიანი დოქი, პატარა ზომის ქილისებრი ჭურჭელი და იონიური ამფორა.

ფიჭვნარის აღმოჩენებს დიდი მნიშვნელობა აქვს. პირველ რიგში არსებითია ის გარემოება, რომ ქართული ნუმიზმატიკა გამდიდრდა ახალი ნომინალებით, ახალი ტიპით, რომელთაც ანალოგები ჯერჯერობით არ ეძებნება. მეორეც, მსგავსი უკნინესი ნომინალების, როგორც იტყვიან, ხურდა ფულების აღმოჩენა იმის მაუწყებელია, რომ ფიჭვნარის უძველეს მოსახლეობაში სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში ძალზე მაღალ საფეხურზეა ასული. ამ თვალსაზრისითაც ფიჭვნარი ერთ-ერთი გამორჩეული, ეტალონური ძეგლთაგანია.

Michael Vickers, Amiran Kakhidze,
Irine Varshalomidze

New Face-Values of Colchian Tetri from Pichvnari

(Hemitetratemorions)

Summary

Colchida is one of the ancient coin producing civilizations. The emission of Local coins began in the late 6th century BC. Before the excavations conducted by the joint British–Georgian expedition at Pichvnari, only 7 types and 4 face-values of Colchian coins were. Our discovery of 1/48, i.e. Hemitetratemorions, has enriched Georgian numismatics with new types and face-values. In all 8 coins were found - 5 in Pichvnari Colchian

grave and 3 in Greek necropolis. They have no analogues. According to Pichvnari burial complexes, it can be stated that the smallest face-values of Colchian Tetri were popular in the 5th century BC. Therefore, it is obvious that trade and economic relations were highly developed in the Kingdom of Colchis.

ლიტერატურა – REFERENCES

1. დუნდუა გ., კახიძე ა., კოლხური თეთრის გენეზისის საკითხები, მაცნე (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), 2, 1979, გვ. 66-73.
2. ვარშალომიძე ი., სირაკუზის მონეტა ფიჭვნარიდან, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები, III, 2005, გვ. 53-56.
3. კაპანაძე დ., საქართველოს ნუმიზმატიკა, თბ., 1950.
4. კაპანაძე დ., წარსულის მაცნეები, თბ., 1965.
5. კახიძე ა., ვიკერსი მ., ფიჭვნარი I, კოლხები და ბერძნები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, საქართველო-ბრიტანეთის ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1998-2002, ქართულ და ინგლისურ ენებზე), ბათუმი-ოქსფორდი, 2004.
6. კახიძე ა., ფიჭვნარი II, ანტიკური სამყარო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. ფიჭვნარის ძვ.წ. V საუკუნის ბერძნული ნეკროპოლი, ბათუმი-ოქსფორდი, 2007.
7. კახიძე ა., უცხოური მონეტები ფიჭვნარის სამაროვნიდან, მაცნე, 3, 1974, გვ. 79-86.
8. კახიძე ა., აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ანტიკური ძეგლები, ბათუმი, 1975.
9. კახიძე ა., არქეოლოგიური გათხრები ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე 1965 წელს, სდსძ, X, გვ. 37-59.
10. კახიძე ა., ფიჭვნარი II, ანტიკური სამყარო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში (ფიჭვნარის ძვ.წ. V ს. ბერძნული ნეკროპოლი), ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფიჭვნარის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები (1967-1987), თბ., 2007.
11. ლორთქიფანიძე ო., მდინარე-ღვთაება ფასისი, ძიებანი, I, თბ., 1998, გვ. 66-76.
12. ლორთქიფანიძე ო., კოლხური დიდრაქმის მეორე ტიპის იკონოგრაფიისთვის, ძიებანი, 3, 1999, გვ. 45-50.
13. მაკალათია ს., კოლხური დიდრაქმა, საქართველოს სახ. მუზ. მოამბე, VII, 1933, გვ. 193-202.
14. Болтунова А., Колхидки. Вестник Древней Истории, №4, 1973, с. 92-109.
15. Голенко К. В., Капанадзе Д.Г., Четыре клада колхидок. Нумизматика и Эпиграфика, 6, 1966, с. 31-61.
16. Зограф А., Распространение находок античных монет на Кавказе. Труды Отдела Нумизматики Государственного Эрмитажа. Л., 1945, с. 29-86.
17. Дундуа Г. Ф., Нумизматика античной Грузии, Тб., 1987.
18. Иналзе М. П., Причерноморские города древней Колхиды, Тб., 1968.
19. Капанадзе Д., Заметки по нумизматике древней Колхиды. Вестник Древней Истории, 3, 1950, с. 193-196
20. Капанадзе Д., Грузинская нумизматика. М., 1955.

21. Капанадзе Д., Шенгелия Г., Триморфная Геката с колхидской дидрахмы V в до н.э. – Античная История и Культура Средиземноморья и Причерноморья. Л., 1968, с. 154-162.
22. Кахидзе Л. Ю., Иноземные монеты могильника Пичвнари. Вестник Древней Истории. 3. 1974, с. 88-92.
23. Куфтин Б., Материалы в археологии Колхиды. т. II, Тб., 1950.
24. Лордкипанидзе О., Божества города Фасиса. Вестник Древней Истории. №1, 1997, с. 15-34.
25. Макалатиа С. О., О находке нового клада колхидских монет. Вестник Древней Истории, №4, 1939, с. 157-159.
26. Орешников А., Каталог собрания древности графа Алексея Сергеевича Уварова. М., 1887.
27. Пахомов Е., Несколько слов о происхождении рисунка «Колхидок». Батуми. 1911.
28. Хоштария Н. В., Древние поселения в Даблагоми. Тезисы канд. диссертации. Тб., 1941.
29. Hind J. G. F., The types on the Phasian Silver Coins of the fifth-fourth centuries BC (The "KolKhidki" of Western Georgia). The Numismatic chronicle. vol. 165. 2005. pp. 1-14.
30. Lang D. M., Notes on Caucasian Numismatic. Numismatic chronicle. six th sesies, XVII. 1957, pp. 137-138.
31. Pochitinov F., Posnamky a doplinky k nejstraršim rasbam Kolchidy. Numismatické listy. XIV. 1959.


შემოკლებანი


АИКСП – Античная История и Культура Средиземноморья и Причерноморья.
ВДИ – Вестник Древней Истории.
НЭ – Нумизматика и Эпиграфика.
ТОНГЭ – Труды Отдела Нумизматики Государственного Эрмитажа.
სდსძ – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები


ტაბულების აღწერილობა

I. 1. მძივები, 2. ყურმილიანი დოქი, 3. ტყვიის მძივი, 4. თიხის ჭურჭელი.
II. ფერადი მინის ამფორისკი, კოლხური თეთრები, ბრინჯაოს ბეჭედი, რკინის ბეჭდის ფარაკები (2 ცალი), შავლაქიანი თასი და ცილინდრული ლეკითოსი, რკინის დანა, თიხის დოქი (2 ცალი).
III. 1. რკინის ბეჭედი (2 ცალი), 2. ბრინჯაოს ბეჭედი, 3-4. თიხის დოქი (2 ცალი), 5. თიხის ქოთანი.
IV. ოქროს ბეჭედი, მინის მძივები, ოქროს ყელსაბამი, ჰემიტეტრატემორიონი (3 ცალი), ყურმილიანი დოქი, ქილა.


ტაბულა I




1








3




Iad. 395

ტაბულა II




სურ. 400


ტაბულა III



ს.ზ. 400



ტაბულა IV



გურამ ყიფიანი

არდამის ქართლში ლაშქრობა და მოღვაწეობა

„ალექსანდრე მაკედონელის“ ქართლში ორგზის შემოსვლას და ასევე აზოს აქ ორჯერ გამოჩენას (შემოსვლას ალექსანდრესთან ერთად, უკან გაბრუნებას და კვლავ, ამჯერად უკვე ქართლში დაფუძნების მიზნით ბრძოლებს), ლეონტი მროველის მიხედვით წინ უძღვის სპარსი ერისთავის – არდამის ლაშქრობა. ისტორიის ეს მონაკვეთი კი, როგორც ჩანს, ქართველი მკვლევრების დიდ ნაწილს (მცირე გამონაკლისის გარდა), საისტორიო თხზულების კონტექსტიდან მთლიანად ასხლეტილ ამბად მიაჩნიათ, არადა არდამის რეალურობა სარწმუნოდ გამოიყურება, რადგან ლეონტი მროველი მას მცხეთის გარემოში კონკრეტულ სამშენებლო საქმიანობას მიაწერს და, თანაც, ფართომასშტაბიანს. მას არც ერთი ნარჩინებულის ქმედებანი ასე დანვრილებით არ აღუწერია:

„...ამან არდამ ერისთავმან აღაშენა ქალაქი ზღვს-კარს და უწოდა სახელი დარუბანდი, რომელი ითარგმნების „დაჯშა კარი“ და მანვე მოზღუდა მცხეთა ქალაქი ქვთკირითა, და აქამომდე არა იყო ქართლსა შინა საქმე ქვთკირისა. და მის გამო დაისწავლეს ქვთკირი. ამანვე არდამ მოჰკიდა კირი-ზღუდე ციხესა არმაზისასა და აქათ მტკურამდის და წარმოზღუდნა ცხჳრი არმაზისი ვიდრე მტკურამდე“ [4,13]. ე. ი., ლეონტი მროველის მიხედვით, არდამმა მთა ქართლის ქედი მთლიანად მოზღუდა საფორტიფიკაციო ნაგებობებით და თანაც „ქვითკირი“-თ, ანუ შექმნა „კირი-ზღუდე“.

იმ დროისათვის, როცა ქართლში არდამის შემოსვლა შეიძლება ვიგულისხმოთ, ე. ი. ზოგადად ძვ. წ. IV ს. (რადგან იგი წინ უსწრებს საქართველოში ალექსანდრე მაკედონელის გამოჩენას), ქვითკირით მშენებლობის წარმართვა საეჭვოდ გამოიყურება და თუ, მართლაც, ძვ. წ. IV ს-ს მივიჩნევთ არდამის ქართლში შემოსვლის თარიღად, მაშინ იგი ქართლში აქემენიდური ირანის ერთ-ერთ მეფეს გამოუგზავნია, მაგრამ ვის? არტაქსერქსე III-ის დროს (ძვ. წ. 359–338 წწ.) ირანი გაუთავებელ ინტრიგებსა და შიდა ომებში იმყოფებოდა. მისი მომდევნო მმართველი არსე სულ ორიოდე წელი „მართავდა“ ქვეყანას (ძვ. წ. 338–336 წწ.), ხოლო დარიოს III გამეფებისთანავე, ძვ. წ. 338 წელს, მცირე აზიაში ფილიპე მაკედონელის სამხედრო შენაერთი შევიდა. ორი წლის შემდგომ კი, თვით ალექსანდრემ გადასხა კონტინენტზე 30000 ქვეითი და 5000 მხედარი. ამ აქემენიდ მეფეთა კარგად შესწავლილ ისტორიაში მინიშნებაც კი არ ჩანს იმისა, რომ მათ რაიმე სამხედრო ექსპედიციის ორგანიზება მოეხდინათ [15,248-258; 22,146 და შმდ.; 16,104 და შმდ.].

თუ ჩვენ არდამს, სპარს ერისთავს (ძველი ქართული ტრადიციის მიხედვით „ერისთავი“ ჯარების სარდალს აღნიშნავდა[1]) რეალურ პიროვნებად მივიჩნევთ და მის მოღვაწეობასაც სარწმუნოდ, მაშინ მთელი ეს ისტორია რამდენადმე უფრო გვიანდელი პერიოდით უნდა განისაზღროს და ვეღარც იმას გავექცევით, რომ მისი ქართლში გამოჩენა ნინ უსწრებს აზოსას (აქვე უნდა ითქვას, რომ არდამის ნამოღვაწარი ლეონტი მროველის თხზულებაში მოგვიანებითაც იჩენს თავს).

არდამი, როგორც აღინიშნა, ქართულ ისტორიოგრაფიაში ძირითადად არარეალურ პიროვნებადაა მიჩნეული, მაგრამ ასეთად მის წარმოჩენას, მისი ისტორიის რამდენიმე მხარე ეწინააღმდეგება. ლეონტი მროველის მიხედვით, იგი ხომ გრანდიოზულ საფორტიფიკაციო სისტემას ქმნის, რაც იმას ნიშნავს (თუ მის მასშტაბებს გავიაზრებთ), რომ მას თუ მის გამომგზავნს, ქართლში ხანგრძლივი (და იქნებ სამუდამოდ) დამკვიდრების სურვილი აქვს. ეს იმასაც უნდა ნიშნავდეს, რომ არდამს სიმაგრის პერიმეტრთა (კურტინებისა და კოშკების ერთობლიობის) პყრობისათვის საკმაო ძალა აქვს. მან ხომ ხაზართაგანაც (სკვითებისაგან (?)) გაწმინდა ქვეყანა – ***„...და მოსრა ყოველი რაოდენი ხაზარი პოვა ქართლსა შინა“*** [4,13]. ყველაფრიდან ჩანს, რომ იგი სამხედრო ექსპედიციის ხელმძღვანელია და ვერაფრით ვერ მიაწერდა ისტორიკოსი არარეალურ (გამოგონებულ) გმირს ამდენ რამეს და განსაკუთრებით ქვითკირის, როგორც სამშენებლო საქმის ახალი ტექნოლოგიის შემოტანასა და დამკვიდრებას – ***„...და მას გამო დაისწავლეს ქვთკირი“*** [4,13].

ამ მონათხრობში მთავარი ჩემი აზრით ისაა, რომ ქვითკირი ქართლში სპარსეთიდან (ანუ ირანიდან) ვრცელდება და არა, ვთქვათ, რომიდან. თვით რომშიც ხომ ქვითკირის გავრცელება სპარსეთიდან ივარაუდება ძვ. წ. III ს-დან [21,435], მაგრამ საქმე ისაა, თუ რა ქვეყანაა ეს წყაროსმიერი „სპარსეთი“ – თუ კულტურულ-პოლიტიკურად და თუ ქრონოლოგიურად.

ის, რაც ლეონტი მროველის თხზულებაშია ასახული არდამის მიმართ, ანუ მის მიერ სასიმაგრო ზღუდეების მშენებლობა კირის გამოყენებით, ელინისტურ ცივილიზაციაზე მინიშნება და ბერძნული საფორტიფიკაციო საქმის მიღწევების ასახვაა: ფილონ ბიზანტიელის ძირითადი რეკომენდაცია სასიმაგრო კედელთა გამართვისათვის სწორედ ესაა – სასიმაგრო ზოლის ფუნდამენტი მთელ პერიმეტრზე კირხსნარის სუბსტრუქციაზე უნდა დაისვას [20,47] (ანუ ლეონტი მროველის მიხედვით – „კირი-ზღუდე“).

არმაზციხის სასიმაგრო ნაგებობებში, რომელიც ყველა ნიშნით ძვ.წ. II საუკუნეს განეკუთვნება, კირი კვადრებს შორისაცაა გამოყენებული (როგორც ჰორიზონტალურ, ასევე ვერტიკალურ საფენად) და საძირკვლის მომზადებაშიც (ტაბ. 5, 6, 7). კირი ძვ. წ. II ს-ით დათარიღებულ ნაგებობაშიც დასტურდება ვანის ნაქალაქარზე (და ეს ნამდვილად ქვითკირია, ანუ კირისა და ქვის კონსტრუქციული ერთიანობა), იატაკის ფენილში (ტაბ. 8). შედარებით მოგვიანო პერიოდის ნაგებობაშიც (ძვ. წ. I ს.), იგივე არმაზციხეზე „სვეტებიან

1 ერისთავი – „მთავარსპასპეტი“, „წინამძღუარი“, მხედართმთავარი და ა. შ. [1,150].

დარბაზშიც" კვადრებს შორის შემაკავშირებლად კირხსნარია გამოყენებული (ტაბ. 9) და სხვ.

გარდა ამისა, უკანასკნელი პერიოდის არქეოლოგიური ძიებაც მინდა აღვნიშნო უფლისციხეზე. აქ გათხრის მიზანი უფლისციხის ელინისტური ხანის საფორტიფიკაციო სისტემაში მეტი გარკვეულობის შეტანა იყო. გაითხარა მცირე მონაკვეთი ჩრდილო-აღმოსავლეთის კარიბჭისა, რომელიც ნაწილობრივ ადრეულ წლებშიც იყო გამოვლენილი [8,18, ტაბ.VI]. ამჟამად კი წინა კედლის ნაშთი გამოიკვეთა და კარიბჭის გეგმა. კარიბჭეს მარცხნიდან ნახევარწრიული კოშკი იცავდა. ეს სისტემა ელინისტური ხანით თარიღდება. როგორც კერამიკული მასალით, ასევე გეგმარებით და მთლიანად ბერძნული საფორტიფიკაციო სისტემის მიხედვითაა გამართული. კლდეში ამოკვეთილ სასაძირკვლე ბუდეებში, როგორც კედლების, ასევე კოშკისთვის განკუთვნილში, კირხსნარის საკმაოდ სქელი ფენა დადასტურდა [2,235-242] (კვლავ „კირი-ზღუდე") (ტაბ. 10, 11).

ალექსანდრემდე მხოლოდ აქემენიდური ირანის ერთადერთ მმართველს, დარიოს I ხელეწიფებოდა ისეთი შთამბეჭდავი სამხედრო ექსპედიციის ორგანიზება ამიერკავკასიის ქვეყნებში, როგორიც აღწერის მიხედვით არდამის ლაშქრობაა, მაგრამ ძვ. წ. VI ს-ში, ამ ახალი სამშენებლო ტექნოლოგიის (კვითკირი) დანერგვა ირანის მიერ, რომელიმე მის პოლიტიკურ ნებას დაქვემდებარებულ ქვეყანაში, ყოვლად წარმოუდგენელია და თანაც კირი ამ სახელმწიფოში, ანუ არაელინიზირებულ ირანში არასოდეს ყოფილა პოპულარული (თუ არ ჩავთვლით ზოგჯერ მის კერამიკულ ფხვნილთან ერთად იატაკის ფენილად გამოყენებას) [14,296].

ლეონტი მროველის თხზულებაში, სადაც დარღვეულია მოვლენათა თანმიმდევრობანი, ამა თუ იმ პიროვნების ქმედებანი ქრონოლოგიურ ამოსავლად ვერ ჩაითვლება. ეს თხზულება ისტორიოგრაფიული „ციტატებია", „გემოვნებისა" და წარმოდგენების მიხედვით დალაგებული. არდამის საქართველოში შემოსვლა ლეონტის ქრონიკის მიხედვით ხომ დარიოს I-ს (სპანდიად-რვალი) უსწრებს წინ, მას კი უშუალოდ მოსდევს არდაშირები (ანუ სასანიდები). მაგ. *„მეფე იქმნა სპარსეთს ძე სპანდიატისი, რომელ არს სახელით ბარამ"* [4,16]. თუმცა აქ, ამ შემთხვევაში, როცა აქემენიდებს უშუალოდ მოსდევენ სასანიდები, შესაძლოა გამოძახილი იყოს იმ ფაქტისა, რომ „ირანსა" და „არაირანში" გამეფებისთანავე მათ (სასანიდებმა) თავი აქემენიდების გენეტიკურ (და არა მარტო გენეტიკურ) მემკვიდრეებად გამოაცხადეს [18,31-33], მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი აქემენიდის (დარიოს III) გარდაცვალებასა და პირველი სასანიდის ტახტზე ასვლას შორის ზუსტად 550 წელია.

არდამის სამშენებლო ნაღვაწი აზოს დროს იჩენს თავს: *„...ხოლო მან აზონ მოარღვნა ზღუდენი ქალაქსა მცხეთას საფუძელითურთ, და დაუტევნა ოთხნი იგი ციხენი, რომელნი მოსდგმიდეს პირსა ქართლისასა; თავადი ციხე, რომელ არს არმაზი – და ერთი ციხე დასასრულსა არმაზისა ცხვრისასა, და ერთი თავსა ზედა მცხეთისასა; მეოთხე ციხე დასავლით მცხეთა მტკუარსა ზედა. და ესენი მომტკიცნა და განავსნა იგინი ლაშქრით.*

და ყოველთა ქართლსა ქალაქთა მოარღვნა ზღუდენი, და დაიპყრნა ყოველნი საზღვარნი ქართლისანი, ჰერეთითგან და ბერდუჯის მდინარითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა. და დაიპყრა ქართლსა ზედა ეგრისიც, და მოხარკე ყვნა ოსნი, ლეკნი და ხაზარნი".

არდამამდე, და არც მის შემდგომ აზომდე, „მცხეთის" გარემოს ფორტიფიკაციისათვის არავის უზრუნია. აზო ძირფესვიანად არღვევს არდამის შექმნილ სასიმაგრო ზოლებს (ტაბ. 1). მის ამ ქმედებაში ჩანს ის, რომ მას მტრულ გარემოში უხდება დაფუძნება და ამიტომაც შლის ყველგან გრძივ გალავნებს. ქვეყნის ახალი ადმინისტრატორის ეს დამოკიდებულება საფორტიფიკაციო სისტემისადმი სავსებით ბუნებრივია: სასიმაგრო სისტემები რთული სამხედრო-პოლიტიკური ერთეულებია. აზოს ლაშქარი კი იმდენ ცოცხალ ძალას არ შეიცავდა, რომ პროვინციებიც დაეპყრო და პერიმეტრულ სივრცეებში (ე.ი. კურტინების მთელს სიგრძეზე) გარნიზონები შეეყენებინა. და მას ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიუღია – ქვეყნის დაცვა პოზიციურ სისტემაზე გადაუყვანია, ე. ი. მას დაურღვევია ზღუდეები, რათა ის უფრო ჭარბ ადგილობრივ მოსახლეობას არ დაეკავებინა. აზომ არდამის სისტემიდან შეინარჩუნა მხოლოდ დომინანტები – ტერიტორიის საკონტროლებლად, საამისო ძალები, კი მას ნამდვილად ეყოლებოდა.

ჩამოვთვალოთ, თუ რა პუნქტები დატოვა აზომ არსებული სასიმაგრო სისტემიდან ლეონტი მროველის მიხედვით: 1. „თავადი ციხე", ანუ არმაზი, რაც „კაცი-თავანასთან"[1] უნდა გაიგივდეს, რადგან იგი მთა ქართლის საწყისია; 2. „ციხე დასასრულსა არმაზისა ცხკრისასა", ანუ არმაზციხე ამავე ქედის დასასრული. მანამდე ხომ სწორედ ამ ქედს გააყოლა კედელი არდამმა; 3. „თავსა ზედა მცხეთისასა" და 4. მცხეთისაგან დასავლეთით, „მტკუარსა ზედა".

არდამის აგებულსა და აზოს მიერ შენარჩუნებულ დომინანტებზე ბატონიშვილი ვახუშტიც მოგვითხრობს: *„მანვე* (არდამმა – გ. ყ.) *ალაშენა მიდსა ზედა ციხე და ჩრდილოთ ციხე. კუალად არმაზიდამ წარმოზღუდა მტკურამდე"* (ეს, მთა ქართლის ქედს გაყოლებული უწყვეტი ზოლი, ეხლაც ალაგ-ალაგ ჩანს და იგი მთლიანად ელინისტური სამშენებლო საქმის მიხედვითაა ნაგები – ტაბ. 4) ცოტა ქვემოთ კი: *„...ხოლო მცხეთის ჩრდილოთ არს ციხე ბელტისა, ალაშენა არდამ ერისთავმან"* [10,348,351].

ბატონიშვილი „ჯიდსა ზედა ციხეში" უშუალოდ მცხეთის ხიდთან გამართულ სიმაგრეს გულისხმობს, რასაც იგი თავისი თვალით ხედავდა (ისევე როგორც მოგზაურებიც ხედავენ მას მოგვიანებით – ტაბ. 12, 13) და რაც გვი-

[1] „კაცი-თავანა" დღესაც ცოცხალი ტოპონიმია და ენოდება ანტიკური ხანის სიმაგრესა და მის მიმდებარე ტერიტორიას [7,96] („კაცის – თაოანი" – ზღუდეზე კაცის თავსავით ნაშენი, მოვლებული; ზღუდეზე კაცის თავსავით მოვლებული – გალავანზედ რომ კაცის თავებსავით მოავლებენ, ის არის [9,366]. ცხადია, რომ სულხან-საბა ქონგურებიან სიმაგრეს გულისხმობს. ქონგურებს, საფორტიფიკაციო ნაგებობებში, გარდა თავდაცვითი ფუნქციისა, სიმბოლური დატვირთვაც ჰქონდა ძველ ახლოაღმოსავლეთში და იგი ყოველთვის ნაგებობის გამორჩეულობისა და აღმატებულობის მაჩვენებელი იყო – შდრ. („თავადი ციხე"). იხ. [24,1-14].

ანდელი ქმნილება ჩანს, ალბათ იმდროინდელი, როცა ხიდებთან ფეოდალური საბაჟო უწყებანი იქმნებოდა. ამასთანავე ლეონტისთან ასეთი განსაზღვრება არაა („ჯიდსა ზედა ციხე“ ან „ხიდისთავს ციხე“ ან რაიმე ამდაგვარი).

„ჩრდილო ციხე“, კი „ბელტის ციხე“-დ („ციხე ბელტისა“), ანუ დღევანდელი სახელწოდებით – ბებრისციხედ მოიაზრება, რომელიც მართლაც მცხეთის ჩრდილოეთითაა აგებული და რასაც ბატონიშვილი დაინახავდა, ის მხოლოდ გვიანფეოდალური სტრუქტურაა, მაგრამ თვით ლეონტი მროველის ტექსტში, მცხეთის ჩრდილოეთით არავითარი ციხე არ იხსენიება. მისი მიხედვით ისე ჩანს, რომ ორ-ორი ციხე ერთმანეთს უპირისპირდება მტკვრის ნაპირებიდან. აქედან მტკვრის მარჯვენა ნაპირის ციხეები შედარებით ადვილად ისაზღვრება – ისინი მთა ქართლის თავსა და ბოლოს აგვირგვინებენ. ასევე ვფიქრობ, რომ ნათელია იმ ციხის მდებარეობა, რომელიც „დასავლით მცხეთა მტკუარსა ზედა“-ა. მცხეთის დასავლეთით და მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე დღევანდელი კალოუბნის წვერია, რომელიც სწორედ „თავადი ციხე“-ს („კაცი-თავანა“) უპირისპირდება (ტაბ. 2, 3). გაურკვეველი რჩება თითქოს, სადაა „თავსა ზედა მცხეთისასა“ ციხე. ერთადერთი შესაძლებლობა გვაქვს მისი ლოკალიზაციისათვის: იმ მთის გარდა, რომელზეც წმიდა ნინოს სახელობის ჯვრის ტაძარია აღმართული, სხვა „თავი“ მცხეთას არ გააჩნია. ამას გარდა, არმაზციხის საპირისპიროდ, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ამ დომინანტის საფორტიფიკაციო წერტილად ქცევის გარეშე, არავითარ სხვა სიმაგრეს ამ გარემოში აზრი არა აქვს. თუ გავიზიარებთ იმ მოსაზრებასაც, რომ ამ დროს აქ არაგვი არ მოედინებოდა და, მაშასადამე, არც მცხეთის საქალაქო ტერიტორია არსებობდა,[1] მტკვრის ნაპირებიდან ერთმანეთს დაპირისპირებული ციხეები აკონტროლებდნენ სამხედრო გზებს: კაცითავანა – კალოუბანი დასავლეთ-აღმოსავლეთს და არმაზციხე – ჯვრის ტაძრის ბორცვი (ყველა ნიშნის მიხედვით მოგვიანო ზადენი) ჩრდილოეთსა და ასევე დასავლეთ-აღმოსავლეთ მიმართულებებს. ე. ი. მდ. მტკვრის იწროებში და ასევე მათ გაყოლილი გზების დასაცავად ერთგვარი დიპილონი შეიქმნა. ლეონტი მროველის „მცხეთა“ ამ შემთხვევაში ტერიტორიული ორიენტირის ფუნქციას ასრულებს.

ეს ოთხი თავდაცვითი დომინანტი, აზოს მიერ გააზრებული, სულაც არ ნარმოადგენს საქალაქო ტერიტორიის დაცვის სისტემას. ასეთ სქემაში არც იგულისხმება არანაირი ქალაქი. ეს პოზიციური დაცვის სისტემაა სამხედრო და სავაჭრო გზებისა და ძალიან წააგავს ელინისტურ „ტერიტორიის დაცვის“ საფუძვლების პრაქტიკულ განხორციელებას [იხ. 7,255].

არდამ ერისთავის ქართლში გამომგზავნი ალექსანდრე მაკედონელის სიკვდილამდე არავინა ჩანს და სხვა გზა აღარც გვრჩება: უნდა დავუშვათ, რომ ეს ექსპედიცია ემსახურებოდა „მემკვიდრეობის გაცნობას“, თუნდაც პირველი სელევკიდების მიერ, და ამ მიზნით წარმოებულ „გასვლებს“ კი ამ მმართველების დროს ნამდვილად ჰქონდა ადგილი კასპიისა და არალის ზღვის

1 იხ. [11,3 და შმდ.]. მცხეთის გვიანდელი წარმოშობის შესახებ იხ. აგრეთვე [3,1 და შმდ., 6; 5,156].

მიმდებარე ქვეყნებში, პატროკლესა და დემიდამოსის სამხედრო დაზვერვითი ლაშქრობების სახით. ხომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ექსპედიცია სელევკ I ოცნების განხორციელების პირველი ცდა იყო. იგი იმაზე ოცნებობდა, რომ კასპიისა და შავი ზღვა არხით შეეერთებინა ერთმანეთისათვის [13,40].

პირველი სელევკიდები ეცნობოდნენ თავიანთ იმ მემკვიდრეობას, რომელზეც საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ. არდამი[1] კი ქართული ქრონიკის ავტორისათვის სავსებით სამართლიანადაა „სპარსი".

ორივე ნაწარმოებს, „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-სა და „მეფეთა ცხოვრებას" მთელს სიგრძეზე გასდევს საფეხურები ქვეყნის აღმშენებლობისა, ისტორია ხუროთმოძღვრებისა და სამშენებლო საქმისა. ასეთ შემთხვევაში, თარიღის დასადგენად კონკრეტული მყარი წერტილები ამა თუ იმ პირის სამშენებლო მოღვაწეობაა. მმართველთა და წარჩინებულთა საქმიანობას რედაქტორმა შეიძლება „გემოვნებისა" და „ინტელექტის" მიხედვით მოუძებნოს ადგილი ისტორიის განვითარების ნებისმიერ წერტილში, თუ ის, ვთქვათ, ვერ არკვევს, ან გამიზნულად სურს გაამძაფროს რაიმე მოვლენა, მაგრამ მის სამშენებლო მოღვაწეობას ის მისგან ვერ წყვეტს. თითქოსდა რაღაც კანონმდებლობის მსგავსი რამ არსებობდა. წარჩინებულის სახელთან მისი აღმშენებლობითი მოღვაწეობა უნდა იდგეს. მისი სახელი როგორც არ უნდა გადაადგილდეს დროში, ნაშენიც თან მიჰყვება და ასე გაჰყვა თან არდამს „ქვითკირი"[2] დაუკონკრეტებელ დროში, ანუ გაჰყვა მას ელინისტური სამშენებლო ტექნიკის ერთ-ერთი ელემენტი, რომელიც მხოლოდ სელევკიდური, ელინიზირებული აღმოსავლეთიდან მოხვდებოდა საქართველოში. ამიტომაცაა არდამი „სპარსი" ქართული ქრონიკისათვის, რადგან პირველი სელევკიდების მემკვიდრეობა სწორედ აქამენიდიური ირანის ძირითადი ტერიტორიაა და მას ფაქტობრივად საკუთარი სახელი არც კი ჰქონდა. ეს იყო წვრილ-წვრილი ადგილობრივი დინასტების სამფლობელოების, ქალაქ-სახელმწიფოების, სატაძრო გაერთიანებებისა და სხვათა კონგლომერატი და იხსენიებოდა ხან ანტიოქოსის და ხანაც სელევკის სამეფოდ [13,131-132]. ირანული მემკვიდრეობა ქართული წყაროსთვის სავსებით ბუნებრივად იქნებოდა სპარსეთი. მოგვიანებით სელევკიდებს დაუმკვიდრდათ ტიტული „სირიის მეფენი", ანუ ქართული ნომენკლატურით „მეფენი ასურასტანისა". სირიის პირველი მეფე ანტიოქოს

[1] „არდამი" ირანული წარმოშობის სახელია და ზოგადად ნარჩინებულს, ბატონს, მბრძანებელს აღნიშნავს – არმ–დარ. იხ. [12,47]. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ლეონტი მროველისათვის ეს სახელი ზოგადად „წარჩინებული"-ს აღმნიშნველია. ამას გარდა, პირველი სელევკიდები ძალიან ბაძავდნენ ალექსანდრე მაკედონელს და პროვინციებში სწორედ ირანელებს ამწესებდნენ. იხ. [19,135].

[2] ამ შემთხვევაში „ქვითკირი" არ უნდა აგვერიოს დუღაბში, თუმც ეს უკანასკნელიც ქვისა და კირის ერთიანობაა და მასაც ქვითკირი ეწოდება. დუღაბი შუასაუკუნეების ტექნიკური პროგრესის შედეგია და ქვასთან ერთად კირის დუღილის შედეგად მიღებულ კონსტრუქციას ეწოდება. კირის დუღილის შედეგად კირი და მასში შერეული ქვაც ერთსა და იმავე ტემპერატურამდე ხურდება და შემდეგ მასივი თანდათანობით „ქრება" და ამ გზით კედლის დიდი სიმტკიცე მიიღწევა, განსხვავებით იმ ქვითკირისაგან, რომელზედაც ვსაუბრობთ და რაც ჩამქრალი კირის მასითა და მასთან ქვის კავშირით გამოიხატება.

III-ა და ეს მაშინ ხდება, როცა მცირე აზიაში რომი გამოჩნდა, ხოლო აღმოსავლეთში არშაკიდები. ამდენად „არდამი" ჯერ კიდევ სპარსია, რადგან პირველი სელევკიდების, ე. ი. ირანული მემკვიდრეობის მატარებელი სელევკიდების დროინდელი მოღვაწეა.

ძვ. წ. III ს-ში ქვითკირი, რომელსაც ტექნოლოგიური დახვეწის შემდგომ „რომაული ბეტონი"[1] ეწოდა, მთელი ელინისტური სამყაროსათვის იყო ცნობილი.

რა თქმა უნდა, საისტორიო წყაროებს თან ახლავს მრავალი ჯერ კიდევ აუხსნელი და ბუნდოვანი მხარე. „აუხსნელობას" ვფიქრობ, რომ ძირითადად აპირობებს წყაროთამიერი „ალექსანდრე მაკედონელი" და მისით განსაზღვრული ქრონოლოგიური საყრდენი, ე. ი. ამ მხედართმთავრის სიცოცხლის ბოლო წლები. მართალია, უმრავლესობა მკვლევრებისა ფიქრობს, რომ აქ ალექსანდრეს რომელიღაც სარდალი უნდა ვიგულისხმოთ, მაგრამ, თუ ალექსანდრე მაკედონელში ვიგულისხმებთ მის თანამედროვე სხვა პიროვნებას, მაშინ ასეთივე წარმატებით შეიძლება ვიგულისხმოთ ნებისმიერი უფრო გვიანდელი ლაშქრობა, ოღონდ, რა თქმა უნდა, ელინიზირებული მხედრობით და მასაც სავსებით შესაძლებელია, რომ ალექსანდრეს ლაშქრობა დარქმეოდა. სხვა თუ არაფერი, პირველი სელევკიდები მაინც ქართული ისტორიის წყაროსათვის სავსებით შესაძლებელია, რომ ალექსანდრედ წოდებულიყვნენ, ხოლო „მაკედონელი" კი ყველა სელევკიდის სადინასტიო სახელი იყო. შორს რომ არ წავიდეთ, სელევკ III (ძვ. წ. 225–223 წწ.) საკუთარი სახელი (და არა ნომენკლატურული) ალექსანდრეა, ხოლო უფრო ადრე ანტიოქიოს I თეონომიურად ასევე ალექსანდრე იყო, რადგან მისი კულტი შეთავსებული იყო ალექსანდრე დიდისას [13,227] და ა. შ.

Guram Kipiani

Military and Building Activities of Ardam in Kartli

Summary

Georgian historical chronicles, "The Life of Kartli", describe the campaign of a Persian eristavi Ardam prior to Alexander the Great's two military campaigns in Kartli, and the assignment of Azo as a ruler in that region.

This episode is considered by Georgian modern historiography as being out of historical context. However, it is to this person that the existing chronicle assigns a considerable amount of building activities in Mtskheta and its surroundings. Ardam's activities in Kartli and outside Kartli could be summarized as follows:

- He established the city of Darubandi on the Caspian coast
  Bordered Mtskheta with lime-based mortar walls
  Bordered Armaztsikhe (named as Harmozice by Strabo) with lime-based mortar walls

[1] რომაული ბეტონის შესახებ იხ. [23,137-139].

- Constructed fortification walls on Kartli mountain

It should be mentioned that lime-based mortar, as a construction material, was unknown in Kartli before Ardam.

Building activities of Ardam may also be identified when Azo's efforts are described in the chronicles. He destroyed Ardam's walls and created a different fortification system, which meant the fortification of four main points.

Considering the archaeological records versus the written records, it could be suggested that Ardam was sent by the first Selevkids to familiarize with their heritage in the Caspian and the Black Sea regions. At the same time, the name "Alexander the Great" served as a technical term for one of the first Selevkid kings or people from the Hellenized east, in general.

Thus, Ardam acted in the second century AD and, presumably, lime-based mortar was introduced in Kartli from the Hellenized east.

ლიტერატურა – REFERENCES


1. აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.
2. ახალაია ლ., ნიკოლაიშვილი ბ., ყიფიანი გ., ხუნდაძე ნ., უფლისციხე – 2004, 2004 წლის საველე სეზონი, არქეოლოგიურ-არქიტექტურული ძიების ანგარიში და კვლევის წინასწარული შედეგები, ნარკვევები, X, თბ., 2005.
3. კაკაბაძე ს., ქალ. არმაზი – ქალ. მცხეთა, საისტორიო კრებული, წიგნი III, ტფ., 1928.
4. ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955.
5. მელიქიშვილი გ., ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიის ქრონოლოგიის საკითხისათვის, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტ. შრ., ტ. IV, ნაკვ. I, თბ., 1958.
6. მელიქსეთ-ბეგი ლ., მცხეთა-ქალაქის დაარსების გამო, ჟურნ.: „მომავალი", 2, თბ., 1921.
7. ნიკოლაიშვილი ვ., დიდი მცხეთის ისტორიული ტოპოგრაფია (არქეოლოგიურ მონაცემთა მიხედვით), იბერია-კოლხეთი, საქართველოს ანტიკური პერიოდის არქეოლოგიურ გამოკვლევათა კრებული, ეძღვნება აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის 75-ე წლისთავს, თბ., 2005.
8. სანიკიძე თ., ახალაია ლ., ნიკოლაიშვილი ბ., ხუნდაძე ნ., უფლისციხის არქეოლოგიურ-არქიტექტურული ექსპედიციის 1986–1988 წლების საველე მუშაობის ანგარიში, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის სამეცნიერო სესია – XII(ა), თბ., 1989.
9. სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი IV, თბ., 1965.
10. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოისა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.
11. ყიფიანი გ., მცხეთის წარმოშობის საკითხისათვის, თბ., 2010.
12. ჩხეიძე თ., ნარკვევები ირანული ონომასტიკიდან, თბ., 1984.
13. Бикерман Э., Государство Селевкидов. М., 1985.

14. Бородина И. Ф., Архитектура ахеменидского периода. ВИА.т. I. М., 1970.
15. Дандамаев М. А., Политическая история ахеменидской державы. М., 1985.
16. Дьяконов М. М., Очерк истории древнего Ирана. М., 1961.
17. Лордкипанидзе От., Наследие древней Грузии. Тб., 1989.
18. Луконин И. Т., Культура сасанидского Ирана. М. 1969.
19. Тарн В., Эллинистическая цивилизация. М., 1949.
20. Филон Византийский, О фортификации. 1, 1-4. МДИА (ААМ). М. 1940.
21. Шуази От., История архитектуры. т. I. М. 1935.
22. Brentjes B., Die iranische Welt vor Mohammed. Lpz. 1978.
23. Lamprecht H.-O., Rationalisiertes Bauen durch opus caementicium., Bautechnik der Antike, 5. Mainz am Rhein. 1991.
24. Porada Ed., Battlements in the Military Architecture and the Symbolism of the Ancient Near East. Essags in the History of Architecture Presented to Rudolf Wittkower. Phaidon, 1967.


ტაბულების აღწერილობა

I. მდინარეების – მტკვრისა და არაგვის ხერთვისი: 1. მდ. მტკვარი, 2. მდ. არაგვი, 3. სასიმაგრო კედლების ნაშთები მთა ქართლის გაყოლებაზე, 4. თავადი ციხე – „კაცი თავანა", 5. არმაზციხე, 6. კალოუბანი, 7. ნმ. ნინოს სახელობის ჯვრის ტაძარი (ზადენი), 8. არმაზისხევი, ქართლის პიტიახშთა რეზიდენცია და სამაროვანი, 9. მცხეთის ძველი ხიდი, 10. შუასაუკუნეების კოშკი, 11. ბელტისციხე (ბებრისციხე), 12. მცხეთის საქალაქო ტერიტორია, 13. თანამედროვე ხიდი მდ. მტკვარზე.
II. „კაცი თავანა" – სქემატური გეგმა.
III. „კაცი თავანა" – კოშკი და კურტინა.
IV. სასიმაგრო კედლების ნაშთები მთა ქართლზე.
V. სასიმაგრო კედლების საძირკვლის წყობა.
VI. შიდა სასიმაგრო კედლის ნაშთი არმაზციხეზე.
VII. სასიმაგრო კედელი, რეკონსტრუქციის ცდა.
VIII. იატაკის ფრაგმენტი ვანის ნაქალაქარის ცენტრალური ტერასის ტაძრიდან.
IX. სვეტებიანი დარბაზი არმაზციხეზე.
X. უფლისციხის ჩრდილო-აღმოსავლეთის კარიბჭე: 1. პილონები, 2. კარი, 3. კედლის კვალი, რიყის ქვის ფენილი, 4. საძირკვლის კლდეში ნაკვეთი ბუდეები, 5. კოშკის საძირკველი, 6. კლდეკარი.
XI. კოშკის საძირკველი, ჭრილი.
XII. მცხეთის ძველი ხიდი ნიკიტა ჩერნეცოვის მიხედვით (1838 წელი).
XIII. მცხეთის ძველი ხიდი რობერტ რაიელის მიხედვით (1822 წელი).


ტაბულა I



ტაბულა II




ტაბულა III



ტაბულა IV




ტაბულა V




ტაბულა VI


ტაბულა VII




ტაბულა VIII




ტაბულა IX



ტაბულა X



ტაბულა XI



ტაბულა XII



ტაბულა XIII



თემურ თოდუა

ალექსანდრე მაკედონელი და პოლისები (იმპერიისა და პოლისის ურთიერთობისათვის)

ალექსანდრე მაკედონელისა და პოლის-სახელმწიფოების ურთიერთობის შესახებ წერილობითი წყაროები საკმაოდ მწირია. ძველი ავტორები ელინურ პოლისებს მხოლოდ ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობათა კონტექსტში იხსენიებენ. ეს გასაგებიცაააა. მათი მიზანი ხომ ალექსანდრე მაკედონელის ტრიუმფალურ ლაშქრობათა აღწერა იყო. ამდენად, ალექსანდრეს მრავალმხრივი ურთიერთობანი პოლისებთან ანტიკური მწერლების თვალსანიერის მიღმა რჩებოდა. სწორედ ამ კონტაქტების გარკვევას ისახავს მიზნად წინამდებარე ნაშრომი.

როგორც ცნობლია, ძვ. წ. 338 წ. კორინთოს კავშირის შექმნა პოლისების „ἐλευθερία καὶ αὐτονομία" – „თავისუფლებისა და ავტონომიის" დასასრულის დასაწყისი იყო. პოლისები მაკედონიის ჰეგემონობით კორინთოს ალიანსში გაერთიანდნენ. მიუხედავად ამისა, ფილიპე II, პლუტარქეს სიტყვით: „ელადის სრული დამონება და მოთვინიერება მაინც ვერ შეძლო" (პლუტარქე, ალექსანდრე, 11). კავშირის მიღმა სპარტა და კრეტა რჩებოდა. ვითარება არც ალექსანდრეს მეფობის პირველ წლებში შეცვლილა. მართალია, პოლისებმა ალექსანდრე ალიანსის ჰეგემონ-ავტოკრატად აღიარეს, მაგრამ მთელ რიგ პოლისები ანტიმაკედონურად იყვნენ განწყობილნი. განსაკუთრებით აქტიურობდნენ თებელები, რომლებმაც კადმოსში მაკედონელთა გარნიზონს ალყა შემოარტყეს. მათ ათენელებმა, არკადიელებმა და ელეიელებმაც სოლიდარობა გამოუცხადეს.

მაკედონელი დიდებულები ალექსანდრეს ურჩევდნენ საბერძნეთზე ძალა არ გამოეყენებინა, მაგრამ ალექსანდრეს კარგად ესმოდა, რომ ასეთი ექსტრემალური სიტუაციის დროს დაყოვნება კატასტროფის ტოლფასი იქნებოდა. მან მყისვე არმია თერმოპილეზე გადაისროლა და თებეს ალყა შემოარტყა. წინააღმდეგობის მიუხედავად ქალაქი აიღო და მიწასთან გაასწორა. ელინების ვარაუდით, ათენიც თებეს ბედს გაიზიარებდა, თუმცა ალექსანდრემ ამგვარი ქმედებისაგან თავი შეიკავა. ამას თავისი მიზეზები ჰქონდა: ათენს ძლიერი ფლოტი ჰყავდა და მზად იყო მაკედონელებთან ბოლომდე ებრძოლა; ათენის სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალი ალექსანდრეს აღმოსავლური კამპანიის სამსახურში უნდა ჩამდგარიყო; ამავე დროს, ათენი ელინური სამყაროს ცენტრი, პოლისური თავისუფლების ფლაგმანი იყო და მისი განადგურება ელინთა საყოველთაო მღელვარებას გამოიწვევდა.

ათენთან ფილიპეს დროინდელი „status quo" შენარჩუნდა: ალექსანდრემ ათენს წინანდებურად ზღვისპირა პოლისები – ლემნოსი, იმბროსი, სკიროსი,

სამოსი და დელოსი დაუტოვა. სამაგიეროდ ათენი ალიანსის შემადგენლობაში რჩებოდა.

რაც შეეხება სპარტას, მასთან ალექსანდრეს ურთიერთობა, ისევე როგორც ფილიპე II-ის დროს, კვლავ რთული იყო. სპარტელები კორინთოს ალიანსში გაწევრიანებაზე უარს ამბობდნენ. ალექსანდრე კიდევ ერთხელ შეეცადა, სპარტელები დაეყოლიებინა. არიანეს ცნობით, მაკედონიის მეფე გაემგზავრა პელოპონესში, სადაც პელოპონესელ ელინთა კრება მოიწვია და მათ თხოვნით მიმართა, სპარსელთა წინააღმდეგ ლაშქრობის მეთაურობის უფლებამოსილება მიენიჭებინათ (Απ., Anab.. I, 1. 2). მისი თხოვნა პელოპონესის თითქმის ყველა პოლისმა დააკმაყოფილა, გარდა სპარტელებისა, რომელთა პასუხი ერთმნიშვნელოვანი იყო: „სპარტელებს წინაპრებმა უანდერძეს, რომ სხვის კვალს კი არ უნდა გაჰყოლოდნენ, არამედ წინამძღოლები თვითონვე უნდა ყოფილიყვნენ" (Απ., Anab.. I. 10. 6). სპარტელთა პასუხი სავსებით აშკარა და გასაგებია. ისინი მკაცრად იცავდნენ ადრე შემუშავებულ პოლიტიკას, თუმცა კორინთოს ალიანსის წევრობაზე უარი ნიშნავდა მესენიის ფორმალური დამოუკიდებლობის აღიარებას და მოსაზღვრე ტერიტორიების დაკარგვას. მიუხედავად ამისა, სპარტა მაინც ღიად ამჟღავნებდა ჰეგემონურ მისწრაფებებს. არსობრივად ეს იყო ერთიანი პოლიტიკის ორი ასპექტი. ალექსანდრეს სპარტის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციები არ დაუწყია, რადგანაც სპარტას კორინთოს ალიანსის წევრებისათვის „საფრთხობელას" როლი უნდა შეესრულებინა, რაც მათ აიძულებდა ერთად ყოფილიყვნენ. გარდა ამისა, სპარტას მაკედონიისათვის არანაირი საბაბი არ მიუცია, რათა მასზე ალექსანდრეს მკაცრი სანქციები დაეწესებინა. ამიტომაც ალექსანდრე იძულებული გახდა პელოპონესში არსებული სიტუაცია შეენარჩუნებინა, თუმცა, არიანეს ცნობით, ალექსანდრეს სპარტელები საღი აზრისაგან შორს მდგარად მიაჩნდა (Απ., Anab.. I. 7. 4).

სპარტას ალექსანდრეს ჩრდილოეთის ლაშქრობებზე თუ თებეს განადგურებაზე რეაგირება არ მოუხდენია. ამ მოვლენებისადმი მან პასიური პოზიცია დაიკავა, თუმცა ის მაკედონიასთან ომისათვის აქტიურად ემზადებოდა. ალექსანდრემ პელოპონესის გაკონტროლება და სპარტასთან ურთიერთობის მოგვარება ანტიპატრეს დააკისრა. თვითონ კი აღმოსავლეთში სალაშქროდ გაემართა.

ალექსანდრე მაკედონელის აღმოსავლური ლაშქრობები მცირე აზიის პოლისების შემოერთებით დაიწყო, რაც ალექსანდრესა და ელინური პოლისების ურთიერთობათა ისტორიაში მეორე ეტაპადაა მიჩნეული [2,36]. მკვლევართა აზრით, ალექსანდრემ მცირე აზიაში სამოცზე მეტი ქალაქი აიღო [4,358]. პირველი ქალაქი, რომელიც ალექსანდრემ დაიკავა, სახელგანთქმული ილიონი (ტროა) იყო. ფლავიუს არიანეს ცნობით, ალექსანდრემ ილიონი უბრძოლველად დაიკავა და მას „თავისუფლება" უბოძა. ალექსანდრეს წინააღმდეგობის გარეშე დამორჩილდნენ ასევე მიკროქალაქები – პრიაპი, პინარი, კსანთი, პატარი; მაგნესიისა და ტრალის მოქალაქეებმა ალექსანდრეს თავიანთი ქალაქები გადასცეს (Απ., Anab., I, 24, 4). ფასელიტის ელჩები კი ეახლ-

ნენ ალექსანდრეს, ოქროს გვირგვინი მიართვეს და მეგობრობა სთხოვეს. მათ ლიკიის ქალაქებმაც მიბაძეს (Арр., Anab., I, 26, 2) ალექსანდრემ უბრძოლველად დაიკავა ეფესოც. აქ ოლიგარქია გააუქმა და ხელისუფლება დემოკრატებს გადასცა. ქალაქს „თავისუფლება" მიანიჭა.

ზოგიერთი ქალაქი კი ალექსანდრემ, არიანეს ცნობით, წინააღმდეგობის გარეშე დაიკავა: დაკისილი და ლიკიის ოცდაათი პატარა ქალაქი დანებდა (Арр., Anab., I, 17, 2). პლუტარქე გადმოგვცემს, რომ გრანიკოსთან გამარჯვების შემდეგ, ალექსანდრემ სარდი და სხვა ქალაქებიც შემოიერთა (ალექსანდრე XVII); ალექსანდრემ მხოლოდ რამდენიმე ქალაქი დაიკავა ბრძოლით. მას სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია მილეტმა, რომელსაც, არიანეს ცნობით, ძირითადად მოქირავნეები იცავდნენ, თუმცა საბრძოლო ოპერაციებში მილეტელებიც მონაწილეობდნენ. არიანე მათ სპარსელთა „მეგობრებსა" და „მოკავშირეებს" უწოდებს (Anab., I, 18, 3-5). სპარსელების მხარეზე იბრძოდა ქალაქი ზელა (Anab, I, 17, 2). ქალაქი სოლიც სპარსელებთან ერთად მაკედონელების წინააღმდეგ იბრძოდა, რის გამოც ალექსანდრემ მას დიდი ჯარიმა დააკისრა. ქალაქში სამხედრო შენაერთები ჩააყენა და დემოკრატიული მმართველობა აღადგინა. ალექსანდრემ ბრძოლით აიღო მცირე აზიის ცნობილი ქალაქი ჰალიკარნასი (თან. ბოდრუმი), რომელმაც მაკედონელებს დიდი წინააღმდეგობა გაუწია. ქალაქიდან ოლიგარქოსები და სპარსული სამხედრო შენაერთები განდევნილ იქნენ და მისი მართვა დემოკრატებს გადაეცათ (Арр., Anab., I, 20, 3).

როგორც ჩანს, მცირე აზიის მთელი რიგი ქალაქები ალექსანდრეს დანებდნენ, ზოგიერთი მათგანი კი მან ბრძოლით აიღო.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ალექსანდრე და ფილიპე II, რომლებიც ბალკანეთის პოლისებში ოლიგარქიულ რეჟიმს ამკვიდრებდნენ, ალექსანდრემ მცირე აზიის პოლისებში დემოკრატიული სისტემა აღადგინა. ამგვარი ტრანსფორმაცია მცირე აზიის ქალაქებში არსებული პოლიტიკური პროცესებით უნდა აიხსნას. ალექსანდრეს აღმოსავლური კამპანიისას მცირე აზიის პოლისებში მიმდინარეობდა მწვავე დაპირისპირება პრომაკედონურ დემოკრატებსა და სპარსოფილური ორიენტაციის ოლიგარქებს შორის. პოლისების მართვის სადავეები კი ოლიგარქებს ეკავათ.

მთელ რიგ ქალაქებში სპარსული გარნიზონები იყვნენ დისლოცირებული. ეს საჯარისო შენაერთები შედგებოდნენ ბერძენი მოქირავნეებისაგან, რომლებიც მაკედონელებს სერიოზულ წინააღმდეგობას უწევდნენ. ასე რომ, ელინური პოლისების საგარეო ორიენტაცია განპირობებული იყო, ერთი მხრივ, სპარსული სამხედრო შენაერთების ყოფნა-არყოფნით, ხოლო, მეორე მხრივ, დაპირისპირებული მხარეების – დემოკრატებისა და ოლიგარქების ძალთა თანაფარდობით.

ძნელია ახლა გადაჭრით ითქვას იმის შესახებ, თუ რა ფაქტორებმა შეასრულა გადამწყვეტი როლი ამა თუ იმ ქალაქის ბედზე. ძველი ავტორები აღნიშნულ საკითხზე მწირ ინფორმაციას გვაწვდიან. ასე მაგალითად, არიანეს ცნობით, დასკილია პარმენიონმა მას შემდეგ დაიკავა, როდესაც სპარსულმა

გარნიზონმა ქალაქი დატოვა (I, 17, 2); ჰიპარნია ალექსანდრემ პირველი იერიშისთანავე აიღო (I, 24, 4).

მაკედონელებს სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია მილეტმა, რომელსაც ძირითადად მოქირავნეები იცავდნენ, თუმცა საბრძოლო ოპერაციებში მილეტელებიც მონაწილეობდნენ. ჰალიკარნასი „მრავალმა მოქირავნემ და სპარსელმა მეომარმა დატოვა“ (Arr., Anab, I, 20, 3). მათ შორის იყვნენ მილეტიდან გამოქცეული მოქირავნეები და სპარსელები (Diod. XVII, 23, 4); რაც შეეხება ტრალს, თავიდანვე ალექსანდრეს უბრძოლველად ნებდებოდა, მაგრამ შემდეგ, ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, მაკედონელებმა ტრალი მიწასთან გაასწორეს. იგივე ბედი გაიზიარა სოლიმაც, რომელიც სპარსელებს მიემხრო. ზელამაც ასევე სპარსელების მხარე დაიჭირა, რისთვისაც კიდეც დაისაჯა; რაც შეეხება ეფესოს, ალექსანდრეს აღმოსავლურ ლაშქრობამდე მას ოლიგარქები განაგებდნენ. მათი ხელისუფლება კი არამყარი იყო. გრანიკოსთან ალექსანდრეს გამარჯვების შემდეგ, ქალაქში დემოკრატებსა და ოლიგარქებს შორის დაპირისპირება გამძაფრდა. ოლიგარქების ბატონობას სერიოზული საფრთხე დაემუქრა. ამიტომ, როდესაც სპარსული სამხედრო შენაერთები ეფესოსთან გამოჩნდნენ, პროსპარსული ორიენტაციის ოლიგარქებმა მათ ქალაქის კარიბჭე გაუღეს. ეფესოში დემოკრატების დევნა დაიწყო, მაგრამ რამდენიმე დღეში სპარსელებმა ქალაქი დატოვეს. ალექსანდრემ ეფესო უბრძოლველად დაიკავა. მან ოლიგარქიული მმართველობა დაამხო და დემოკრატია აღადგინა.

როგორც ჩანს, მაკედონელებს წინააღმდეგობას უპირატესად მცირე აზიის პოლისების სპარსული სამხედრო შენაერთები და დაქირავებული მეომრები უწევდნენ, მაგრამ მათთან ერთად არანაკლებ როლს ასრულებდნენ პოლისების პროსპარსული ორიენტაციის ოლიგარქები, რომლებიც ქალაქების მართვის სადავეებს ფლობდნენ. მოგვიანებით, ალექსანდრემ ისინი დემოკრატებით ჩაანაცვლა, ხოლო პოლისები კორინთოს კავშირში არ ჩაურთავს. მათი პროტექტორობა ალკიმაქეს დააკისრა. ალექსანდრეს მცირე აზიის პოლისებისათვის ნოვაციური, ორიგინალური, ორივე მხარისათვის მისაღები კომპრომისული და ოპტიმალური მართვის სისტემა არ შეუთავაზებია, რადგანაც მას ამისათვის არც დრო ჰქონდა და საამისო მართვის მექანიზმებსაც ვერ ფლობდა. ეს გასაგებიცაა. მაკედონია ხომ ფილიპე II-ის და ალექსანდრე დიდის ეპოქაშიც ტრადიციულად პატრიარქალურ-მონარქიული პრინციპებით იმართებოდა; ალექსანდრე ვერც იარაღის ძალით შეძლებდა დიდხანს პოლისების შენარჩუნებას. ამიტომაც იგი იმპერიის სისტემაში პოლისების ჩართვას პანელინიზმის ეგიდითა და პოლისების ტრადიციული, აპრობირებული მართვის ორგანიზაციის შენარჩუნებით შეეცადა [1,16].

მართლაც, პოლისური მართვის სისტემა უცვლელი დარჩა. ათენში, როდოსში, მილეტში, კორინთოსა და დანარჩენ პოლისებში ნინანდებურად ბულე, ეკლესია, არეოპაგი და სხვა სახელისუფლებო სტრუქტურები ფუნქციონირებდნენ. თუმცა აღნიშნული სისტემის არსებითი კომპონენტები – „თავისუფლება და ავტონომია“ არსობრივად დამოუკიდებლობის დროინ-

დელ „თავისუფლებასა და ავტონომიას“ არ შეესაბამებოდა [3,37-38]. მასში ელინთა ოდინდელი თავისუფალი სამოქალაქო და პოლიტიკური ბრძოლის უფლებები როდი იგულისხმებოდა. მან ახალი პოლიტიკური დატვირთვა შეიძინა. ამ ახალი პოლიტიკური სისტემის ძირითად პრინციპს კი ელადაში მყარი მშვიდობა და სრული წესრიგი შეადგენდა [6,204]. ამდენად, ელინები შესაფერის მომენტს ეძებდნენ ელინური პოლისების ტრადიციული სტატუსის რესტავრაციისათვის. ეს კი მაშინ იყო შესაძლებელი, თუ ალექსანდრეს სამხედრო კამპანიის წარმატებული სერიები ოდნავ მაინც შეფერხდებოდა. ამ მხრივ, ელინებს თითქოსდა სახარბიელო სიტუაცია შეექმნათ, როდესაც ძვ. წ. 331 წ. ალექსანდრეს სტრატეგოსმა – ზოპირიონმა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში სრული ფიასკო განიცადა. თრაკიის მეფისნაცვალი – მემნონი კი ალექსანდრეს განუდგა. ამავე დროს, სპარტის მეფემ – აგის III პელოპონესში დისლოცირებული მაკედონური სამხედრო შენაერთები გაანადგურა და ელინურ პოლისებს თავისუფლების „დაცვისაკენ“ მოუწოდა (Diod., XVII, 48. 1). ამ მონოდებას ზოგიერთი პოლისი აღფრთოვანებით შეხვდა. სპარტელებს აქეის, ელიდისა და არკადიის პოლისებმა მხარი არ დაუჭირეს. განზე მეგალოპოლისი და პელენაც დარჩა.

ათენმა სპარტელებს მხარი არ დაუჭირა, რაც, ვფიქრობ, განპირობებული იყო არა იმდენად სპარტისა და ათენის მრავალსაუკუნოვანი დაპირისპირებით, არამედ ეკონომიკური მოტივაციით: აღმოსავლეთში ალექსანდრეს გრანდიოზული სამხედრო კამპანია მნიშვნელოვან მატერიალურ რესურსებს მოითხოვდა. ალექსანდრეს არმია პროვიანტს ანექსირებული ტერიტორიებიდან იღებდა. საბრძოლო იარაღით კი ძირითადად ათენიდან მარაგდებოდა, რამაც ათენის ბიუჯეტი საგრძნობლად გაზარდა. ნიშანდობლივია, რომ მაკედონიის დაუძინებელმა მტერმა დემოსთენემ სპარტისა და მაკედონიის ბრძოლაში ნეიტრალური პოზიცია დაიკავა და ალექსანდრეს ღვთაებრივი პატივიც მიაგო. დემოსთენე ხომ ათენის სავაჭრო-სამრენველო წრის თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, დემოსთენე ბიზნესით იყო დაკავებული და ათენში მსხვილ საწარმოებს, მათ შორის იარაღის საწარმოს ფლობდა [5.126-131: 7,78-80]. ათენის სავაჭრო-სამრენველო წრე აღმოსავლური ლაშქრობებიდან დიდ მოგებას ნახულობდა. საერთოდ, ათენისადმი ალექსანდრეს ტოლერანტული პოლიტიკაც ათენის დიდებული წარსულითა და ელინური კულტურის განვითარებაში მისი დიდი წვლილით როდი იყო მხოლოდ განპირობებული, არამედ ალექსანდრე ათენის განვითარებული ხელოსნური წარმოებით, ძლიერი სავაჭრო-სატრანსპორტო და სამხედრო ფლოტით უფრო იყო დაინტერესებული. ელადის დანარჩენი სახელოსნო ცენტრებიც, რომლებიც მოქმედი არმიისათვის იარაღს ამზადებდნენ, მაკედონისადმი ლოიალურად იყვნენ განწყობილნი.

როგორც აღინიშნა, ალექსანდრეს აღმოსავლური ლაშქრობების პირველ ეტაპზე, მცირე აზიის ელინური პოლისები სპარსელთა ბატონობისაგან თავისუფლდებოდა და იქ ოლიგარქიულ-ტირანული რეჟიმები დემოკრატიული ინსტიტუტებით იცვლებოდა. მრავალ მათგანს „თავისუფლება“ და „ავტო-

ნომიაც" შეუნარჩუნა, თუმცა ისინი კლასიკური ეპოქის ცნებებისაგან არსობრივად განსხვავდებოდა. აღნიშნული პერიოდის სუვერენულ პოლისებში კანონმდებლობით იკრძალებოდა ხარკის გადახდა და უცხო ქვეყნის სამხედრო შენაერთების ყოფნა. ალექსანდრე კი პოლისებში გარნიზონებს ხშირად ტოვებდა; მართალია, მან პოლისები ფროროსისაგან, ხარკისაგან გაანთავისუფლა, მაგრამ მათ სინტაქსისი, საწევროების გადახდა დააკისრა. ხარკის მაგივრად საწევროები? პრინციპში ეს სიტყვების გადათამაშებაა და ალექსანდრეს ამგვარი ქმედება რეალურად „თავისუფლების" ტრადიციულ ნორმებს ეწინააღმდეგებოდა. ცხადია, პოლისებს მხოლოდ დეკორატიული „თავისუფლება" შერჩათ.

ძვ. წ. 331 წლიდან, აღმოსავლური ლაშქრობების დასრულებისა და მსოფლიო იმპერიის ფორმირების შემდეგ, ალექსანდრეს დამოკიდებულება პოლისებისადმი კარდინალურად შეიცვალა. ამიერიდან ელინური პოლისების თავისუფლებასა და ავტონომიას განსაკუთრებული საფრთხე დაემუქრა. ალექსანდრეს წარმოდგენით, პოლისურმა სისტემამ თავისი შესაძლებლობები ამოწურა. ამიერიდან ის „ახალი მსოფლიო წესრიგის" კონტექსტში ვერ თავსდებოდა და პოლისები ალექსანდრეს ნება-სურვილს უნდა დამორჩილებოდნენ. ასეთმა პოლიტიკამ მკაფიო ასახვა პოვა ძვ. წ. 324 წლის ალექსანდრეს ერთ-ერთ განკარგულებაში, რომლის თანახმადაც საბერძნეთის პოლისებში, კრიმინალების გარდა, ყველა დევნილი უნდა დაბრუნებულიყო. ამავე დროს ანტიპატრეს დაევალა სამხედრო ძალა გამოეყენებინა იმ პოლისების მიმართ, რომლებიც დევნილთა მიღებაზე უარს იტყოდა (Diod., XVIII, 8, 4). ალექსანდრეს ეს აქტი კორინთოს კონგრესის დადგენილების დარღვევა იყო. როგორც ჩანს, ალექსანდრე აქტიურად ჩაერია პოლისის საშინაო საქმეში, რაც თავისთავად პოლისების „თავისუფლებისა" და „ავტონომიის" პრინციპებს ეწინააღმდეგებოდა.

ცხადია, მეფის განკარგულება პოლისებში სოციალურ წინააღმდეგობას გაამწვავებდა. საბერძნეთში პოლიტიკური სიტუაცია დაიძაბა. ათენში, რომელსაც სამოსიდან კლერუქების გასახლება ემუქრებოდა, სახალხო კრებაზე ცხარე დებატები გაჩაღდა. სწორედ ამ დროს პირეუსში გამოჩნდა ალექსანდრეს მთავარი ხაზინადარი ჰარპალე, რომელმაც ხაზინის ძარცვისათვის სასჯელს თავი აარიდა და თავი ათენს შეაფარა. იგი შეეცადა ათენელები ალექსანდრეს წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაება, მაგრამ ისინი ჰარპალეს ავანტიურას არ აჰყოლიან და პრობლემის მშვიდობიანად გადაწყვეტის გზა არჩიეს. ათენის სახალხო კრების გადაწყვეტილებით, აღნიშნული საკითხის მოგვარებისათვის ათენელებს ალექსანდრესთან ელჩები უნდა გაეგზავნათ [7,336]. მაგრამ ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ ათენელთა პოზიცია და, საერთოდ, საბერძნეთში პოლიტიკური სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა.

საბერძნეთში, განსაკუთრებით კი ათენში, ანტიმაკედონური მოძრაობის ახალი ტალღა აგორდა. ათენის სახალხო კრებაზე უმრავლესობას შეადგენდნენ ანტიმაკედონური დაჯგუფებები ჰიპერიდეს მეთაურობით (Dem., XVIII, 248); ხუთასთა საბჭომ მოლაპარაკებები დაიწყო ალექსანდრეს ლაშქრობებში

მონანილე დაქირავებული მეომრების მეთაურთან – ლეოსგენე ათენელთან, რომელიც რვაათასიანი სამხედრო შენაერთებით ამ დროს ტენარის კონცხთან (პელოპონესი) იდგა. ათენელებმა ბერძნულ პოლისებს მოუწოდეს, ომი დაეწყოთ ელადის განთავისუფლებისათვის. ათენის ამ მოწოდებას ეოლიამ, ფოკიდამ, ლოკრიდამ, თესალიისა და პელოპონესის ზოგიერთმა პოლისებმა მხარი დაუჭირეს. ათენელებისა და მათ მოკავშირეთა არმიამ ლეოსფენეს მთავარსარდლობით ანტიპატრეს არმიის დამარცხება შეძლო და ქალაქ ლამიას ალყა შემოარტყა. ამ გამარჯვების შემდეგ, აჯანყებულებს არგოსი და კორინთოც მიემხრო, მაგრამ კრატერის წარმატებული იერიშის შედეგად ძალთა თანაფარდობა მაკედონიის სასარგებლოდ შეიცვალა. ბერძნული ფლოტი კუნძულ ამორგოსთან განადგურებულ იქნა. ბერძნებმა წინააღმდეგობა შეწყვიტეს. ანტიპატრე დამარცხებულებს სასტიკად გაუსწორდა. ყველაზე მეტად ათენელები დაისაჯნენ: ქალაქს დიდძალი კონტრიბუცია დაუწესეს, მუნიხიაში მაკედონური გარნიზონი ჩადგა, სამოსში დევნილები დააბრუნეს, დემოკრატიული სისტემა გაუქმდა, პოლიტიკური ლიდერები სიკვდილით დასაჯეს, თორმეტმა ათასმა ათენელმა მოქალაქეობა დაკარგა და მათი ნაწილი ანტიპატრემ თრაკიაში გადაასახლა.

ამრიგად, ალექსანდრეს ეპოქაში და დიადოხოსების დროსაც, პოლისები მაკედონელთა იმპერიის სისტემაში იყვნენ ჩართული. ელინურმა პოლისებმა „ახალი მსოფლიო წესრიგის" პირობებში, პოლისის კლასიკური პრინციპები – „ელევთერია", „ავტონომია", „ავტარკია" საბოლოოდ დაკარგეს, მაგრამ პოლისური სისტემა ტრადიციული კონტინუიტეტის ძირითად ელემენტებს მაინც ინარჩუნებდა.

Temur Todua

Alexander the Great and the Poleis

(Towards the Interrelations of the Empire and the Polis)

Summary

დავით ლომიტაშვილი, ნიკოლოზ მურღულია

კვაუთის ციხის კომპლექსი

XX საუკუნის 80-იან წლებში, ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმის ნოქალაქევის ექსპედიციის სამუშაო ჯგუფმა (დ. ლომიტაშვილი, ე. კოკაია, გ. გაბისონია და სხვ.) სენაკის რაიონში დაზვერვითი სამუშაოებისას სოფ. ლეძაძამეს უბან კვაუთში ციხის ნანგრევებს მიაკვლია, რომელიც ზედაპირულად მოპოვებული არქეოლოგიური მასალის მიხედვით ადრე შუა საუკუნეების ძეგლად მიიჩნია. თუმცა იმ დროისათვის ძეგლის აღწუსხვა, ჩახაზვა ან ფოტოგრაფირება ვერ მოხერხდა.

2008 წელს საქართველოს კულტურის, სპორტის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაკვეთით სენაკის რაიონის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების პასპორტირების და დაცული ზონების ფორმირების დროს სამუშაო ჯგუფმა: დ. ლომიტაშვილი (პროექტის ხელმძღვანელი), ბ. ლორთქიფანიძე, ნ. მურღულია, ივ. ყენია, ნ. ნოზაძე, თ. ითაშვილი, ხელახლა მოინახულა კვაუთის ციხის ნანგრევები და სრულად აღწერა ის (იხ. „სენაკის მუნიციპალიტეტის დაცული ზონები – II ეტაპი", მყარი ხელნაწერი ვერსია – საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ნოქალაქევის ფონდი).

კვაუთის კომპლექსი სოფ. ლეძაძამეს უბან-კვაუთის ცენტრიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 1,5 კმ დაშორებით, ერთ-ერთი მთის სამხრეთ ფერდობზე მდებარეობს. ძეგლს ჩრდილოეთ მხრიდან მთა ებჯინება, ხოლო დასავლეთით 1.5 კმ-ში მდ. ტეხური ჩამოედინება. ციხის სამხრეთ მხარეს იშლება ხედი კოლხეთის დაბლობისკენ.

ციხე სრულად არის დანგრეული. გალავნების მაქსიმალური შემორჩენილი სიმაღლე ჭიშკართან და აღმოსავლეთ დაბოლოებაზე 4 მ აღწევს, ხოლო ციხის შიგნით მდგარი ეკლესიის მაქსიმალური შემორჩენილი სიმაღლე დასავლეთ კედელზე 6 მ-ია.

ციხის ამშენებლებს მის აგებამდე დამრეც ფერდობზე ჰორიზონტალური პლატფორმის მოსაწყობად საკმაოდ დიდი რაოდენობის მიწა მოუჭრიათ, რის შედეგადაც ფერდობზე კიბის მაგვარი სივრცე შეიქმნა (ზომები: 50 მ X 100 მ), რომელსაც ჩრდილოეთ მხრიდან მიწის მოჭრის შედეგად წარმოქმნილი პიტალო კლდე მოექცა, ხოლო დანარჩენი სამი მხრიდან ბუნებრივი ციცაბო ფერდობი შენარჩუნდა, რაც ციხის მიუვალობისთვის მეტად ხელსაყრელ პირობას წარმოადგენდა.

კომპლექსი შედგება ციხისგან და მასში მდგარი დარბაზული ეკლესიისგან. ციხე გაშლილია დას-აღმ-ის ხაზზე (სიგრძე 95 მ, სიგანე 45 მ); აქვს ოვალური ფორმა და, როგორც აღინიშნა, ჩრდილოეთ მხრიდან ციცაბო კლდეზეა მიბჯენილი, ხოლო დანარჩენი სამი მხრიდან ციხეს კლდის ქვით ნაშენი

გალავნები შემოსაზღვრავს (ტაბ. I,1). კედლები უმეტესად რიგების დაცვის გარეშეა ნაგები, სადღაბე მასალად გამოყენებულია კირი. კლდის ქვა გამოყენებულია კედლების საპირე წყობებისთვის, ხოლო მათ შორის კირის დუღაბთან ერთად ჩაყრილია სხვადასხვა ტიპის ქვა. საპირე წყობებში გვხვდება სხვადასხვა ზომის (10 სმ-დან 1 მეტრამდე) კლდის ფლეთილი ქვა, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სწორი რიგების არარსებობის და სხვადასხვა ზომის საპირე ქვების მიუხედავად, ციხის გალავნების ფასადები მაინც შთამბეჭდავად გამოიყურება. ეს განსაკუთრებით შეიძლება ითქვას კარიბჭის და ციხის აღმოსავლეთ გალავნის შესახებ, რომლებიც ყველაზე უკეთ არის შემორჩენილი (ტაბ. I,3).

ციხეს ჭიშკარი დასავლეთით აქვს გაჭრილი. ამშენებელს მისი გამაგრებისთვის განსაკუთრებით მიუქცევია ყურადღება: კარიბჭის ადგილას მას გალავნის პერპენდიკულარული და ერთმანეთის პარალელური ორი დამატებითი კედელი აუგია, თითოეულის სიგრძე 5.5 მეტრს აღწევს და ჭიშკრის შესასვლელთან ერთგვარ დერეფანს ქმნის, რომლის ნახევარიც ციხის გარეთ გადის, ხოლო მეორე ნაწილი ციხის შიგნით ხვდება. ჭიშკრის შემორჩენილი ნაშთები გვაძლევს საშუალებას ვთქვათ, რომ მისი სიგანე 3.5 მეტრი იყო. პერპენდიკულარული კედლებით წარმოქმნილი შვერილი კუთხეები დასავლეთ (გარეთა) მხრიდან გამაგრებული იყო ორი მომრგვალებული ფორმის კონტრფორსით (ტაბ. I,2). საფიქრებელია, რომ ჭიშკრის ირგვლივ წარმოქმნილი დერეფნის მაგვარი სივრცის (ზომები 3,5 მ X 5,5 მ) თავზე მონყობილი იქნებოდა მეორე სართული, რომელიც კოშკის როლს შეასრულებდა და სადაც გუშაგები იქნებოდნენ განლაგებულები. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ჭიშკრის ჩრდილოეთით მდებარე კონტრფორსი, რომელიც სიმაღლეში მატებასთან ერთად იხრება სამხრეთისკენ ანუ ჭიშკრის მიმართულებით და ქმნის თაღოვანი გადახურვის შთაბეჭდილებას, რაც სავარაუდოდ აუცილებელიც იქნებოდა მეორე სართულის გასამართავად. საინტერესოა, რომ ადრეანტიკური ხანიდან მოყოლებული, დერეფნის ტიპის ჭიშკრები საფორტიფიკაციო არქიტექტურაში მეტად გავრცელებული იყო, სადაც, როგორც წესი, დერეფანს ქმნიდა ან ორი კოშკი, რომლებიც ჭიშკარს გვერდებიდან ამაგრებდნენ ან ორი ერთმანეთის პარალელური და ჭიშკრის პერპენდიკულარული კედელი [4, 207-208]. კვაუთის ციხის კარიბჭის შემთხვევაში ჩვენ გვხვდება დერეფნის ფორმის შესასვლელი და სავარაუდოდ ჭიშკრის ზედა საგუშაგო, რაც თავისთავად იმდროინდელი მსოფლიო არქიტექტურული ტრადიციების ცოდნას და გამოყენებას უნდა გულისხმობდეს, თუმცა არ ჩანს კოშკების კვალი, რაც, სავარაუდოდ, იმით აიხსნება, რომ კვაუთის ციხის მასშტაბები არ ქმნიდა კოშკების აგების აუცილებლობას და შეზღუდული ფართობიც არ იძლეოდა ორი დიდი ზომის კოშკის ასეთ პატარა ფართობზე აშენების საშუალებას. ჭიშკრის მისადგომების მხოლოდ პარალელური გალავნებით გამაგრება მიღებული წესი იყო ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში, მაგალითად, კვაუთის ციხის მსგავსი ჭიშკრებია გამოვლენილი ძველ ბერძნულ ქალაქ აკრაგასში (სიცილია) და ციხესიმაგრე

გორტისში (თან. საბერძნეთი, პელოპონესის პროვინცია, არკადიას მხარე) [4, 212].

ჭიშკრის ჩრდილოეთით მდებარე კედლის შუა ნაწილში, იქ, სადაც სავარაუდოდ კარიბჭე უნდა ყოფილიყო დაკიდული, ჩანს ოთხკუთხა ფორმის მომცრო (20X20 სმ) ფოსო, სავარაუდოდ, ჭიშკრის ჩასაკეტად არსებული ძელის დასაფიქსირებლად.

ჭიშკარს ჩრდილოეთით ციხის გალავანი აგრძელებს, რომელიც მცირე მომრგვალებით ოდნავ დამრეც ფერდობზე ადის და 23 მეტრის გავლის შემდეგ კლდის პირს პერპენდიკულარულად უერთდება.

კარიბჭიდან სამხრეთით გალავანი წრიულად უხვევს აღმოსავლეთისკენ. ამ ადგილის გამაგრებისათვის ამშენებლებს გალავანზე ხუთი ნახევარწრიული კონტრფორსი მიუდგიათ, მათ შორის ინტერვალები 1 მ-დან 3 მეტრამდე მერყეობს და თითოეულის დიამეტრი საშუალოდ 1.5 მეტრია. უნდა ითქვას, რომ არც ერთ კონტრფორსს გალავნის წყობასთან ორგანული ბმა არ აქვს, რაც გულისხმობს იმას, რომ ისინი მოგვიანებით მიუშენებიათ. გამომდინარე იქიდან, რომ ციხის ჭიშკრიდან სამხრეთ-დასავლეთ კუთხის მომრგვალება ოთხიოდე მეტრში იწყება, მისი სანგრევი მანქანებისგან დაცვა განსაკუთრებით გაჭირდებოდა. როგორც ჩანს, ციხის ამ ნანილში კონტრფორსების მოგვიანებით მიშენება კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე მოხდა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონსტრუქციულად გალავნის და კონტრფორსების ბმა იმდენად სუსტია, რომ ერთ-ერთი მათგანი გალავნის გარე წყობას სრულად არის მოცილებული (40 სმ-ით) და იქვე მიწაზე დევს. დამთვალიერებელს შეიძლება დარჩეს შთაბეჭდილება, რომ ეს კონტრფორსები მხოლოდ ციხის ვიზუალური მხარის გასაუმჯობესებლად აუგიათ.

სამხრეთ გალავანი უკიდურესი აღმოსავლეთ კონტრფორსის შემდეგ ორად იყოფა. ერთი, ჩრდილოეთით გაგრძელებული კედელი, ციხის ტერიტორიაზე შედის, მომრგვალებულად უხვევს ჩრდილოეთისკენ ანუ კლდისკენ და ციხის შუაგულში მდგარი ეკლესიიდან აღმოსავლეთით 15 მეტრში მიწაში იკარგება. შესაძლოა დავუშვათ, რომ ეს ციხის პირველი გალავანი იყო, რომელმაც, მეორე, გარე გალავნის აგების შემდეგ ფუნქცია დაკარგა; თუკი ეს ასეა, გამოდის რომ კვაუთის ციხის სიგრძე თავდაპირველად დაახ. 60 მეტრი იყო, თუმცა ასევე შეიძლება დავუშვათ, რომ ეს ციხის შიდა სივრცის გამოყოფისთვის აშენებული კედელი და გარე მთავარი გალავნის თანადროული იყოს.

ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხიდან ორად გაყოფილი გალავნის გარე, სამხრეთ გაგრძელება სწორხაზოვნად მიემართება აღმოსავლეთისკენ, 70 მეტრის გავლის შემდეგ კი მომრგვალებულად უხვევს ჩრდილოეთით და საკმაოდ დამრეც ფერდობს მიყვება კლდის კიდემდე, თუმცა კლდეზე შეერთებამდე გალავანი წრიულად უხვევს ციხის შიდა, დასავლეთ მხარეს; 5 მეტრის გავლის შემდეგ კვლავ ჩრდილოეთისკენ უხვევს და 10 მეტრში 90°-იანი კუთხით კლდეს ებჯინება (ტაბ. I.1).

ციხის ცენტრალურ მონაკვეთში (აღმ. გალავნიდან 50 მ; დას. გალავნიდან 30 მ) მთავარანგელოზის სახელობის დიდი ზომის (ზომები 8,55 მ x 11,5

მ) ეკლესია დგას, რომელიც დარბაზული ტიპის ნაგებობაა მომრგვალებული აფსიდით (ტაბ. II,1). ტაძარს სამი კარი – დასავლეთ, სამხრეთ და ჩრდილოეთ მხრიდან ჰქონია ჩატანებული. სამივე მათგანი თაღით მთავრდებოდა. სამხრეთის და ჩრდილოეთის კარებს მხოლოდ ცალი თაღი აქვს შერჩენილი. ხოლო მთავარი, დასავლეთ კარი მეტ-ნაკლებად სრულად არის შემორჩენილი, მისი სიმაღლე 2.30 მ-ია, ხოლო სიგანე გარე ფასადზე 0.94 მ და შიდა მხრიდან – 1,34 მ (ტაბ II,2). ეკლესიის ოთხივე კედელში გაჭრილი ყოფილა სარკმლები, თითო-თითო დასავლეთ და აღმოსავლეთ ფასადების შუა ნაწილებში, ორ-ორი კი სამხრეთ და ჩრდილოეთ ფასადებზე, სულ – 6 სარკმელი. თითოეულ მათგანს აქვს წაგრძელებული ფორმა. სარკმლებს გეგმაში ტრაპეციის ფორმა აქვთ და გარეთკენ ვიწროვდება. სარკმლების სიმაღლე გარე ფასადზე 80-დან 90 სმ-მდე მერყეობს, ხოლო ტაძრის შიდა მხრიდან 1,75-დან 1,90 მ-მდე. სიგანეები გარე ფასადზე 16 სმ-ს არ აღემატება, შიდა მხარეს კი 68 სმ-ია. თითოეული მათგანი შირიმის ტიპის ქვით არის ამოყვანილი (ტაბ. II,3). აღსანიშნავია, რომ შირიმის ტიპის ქვის კარიერი კვაუთის კომპლექსიდან დასავლეთით ორ კმ-ში ფიქსირდება.

ტაძარი ნაგებია კლდის ქვით, რიგების მკაცრი დაცვით (სისწორისათვის რიგებს შორის კირის დუღაბთან ერთად ჩატანებულია კლდის ქვის ანატკეცები). საკურთხეველში ტაძარს ჩატანებული აქვს სამი ნიშა. ეკლესიას მორღვეული აქვს სახურავი და თაღები, ასევე სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლების შუა ნაწილები (ადგილობრივთა გადმოცემით კედლები საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, XX ს-ის 20-იან წლებში დაანგრიეს). თითქმის სრულად არის შემორჩენილი ტაძრის დასავლეთ ფასადი, რაც გვაძლევს საშუალებას ვთქვათ, რომ ეკლესიის სიმაღლე მინ. 8.5 მეტრს აღწევდა და ის ორფერდა (დაახ. 45˚-იანი ქანობის) სახურავით იყო გადახურული. აღმოსავლეთ კედლის პერანგი ადგილობრივი შირიმის ტიპის ქვითაა ნაშენი. ინტერიერში სავარაუდოდ ხის კანკელი უნდა ყოფილიყო მოწყობილი. საკურთხეველში ამბიონად გამოუყენებიათ ნალისებური ფორმის ქვა. საკურთხევლის დანარჩენ სივრცესთან შედარებით ერთი საფეხურითაა აწეული. ტაძრის შემორჩენილი კედლების ქვებზე გვხვდება სხვადასხვა ორნამენტების და ბუნებრივი საღებავების კვალი. თუმცა ჩანს, რომ ისინი ტაძრის განახლების შემდეგ მეორადად არის გამოყენებული. ეკლესიის გარშემო მიმოფანტულია სამშენებლო ქვები – კარნიზის მარტივად დამუშავებული პროფილები. სავარაუდოდ ეკლესიის პირველი სამშენებლო ფენა, რომელიც გეგმის დონეზე იკითხება, ციხის თანადროული (IV-VI სს.) უნდა იყოს. ეკლესიის კედლებში ფრაგმენტულად შემორჩენილი XI-XII სს-ის ორნამენტის ფრაგმენტები გვაფიქრებინებს, რომ ამ პერიოდში ეკლესია განუახლებიათ და მესამე სამშენებლო პერიოდი ეკუთვნის გვიან შუა საუკუნეების ფინალურ ეტაპს (XVIII ს.)

კვაუთის ციხის მშენებლობის ტექნოლოგია და გეგმარების ტიპი გვაფიქრებინებს, რომ ის ადრე შუა საუკუნეების ძეგლი უნდა იყოს. ისევე, როგორც ყველა მისი თანადროული ძეგლი – შხეფი, საკალანდარიშვილო, აბედათი, ნოქალაქევი და ეგრისის სამეფოს თავდაცვით სისტემაში შემავა-

ლი სხვა ციხეები [იხ. 1,126-164; 2,218-232], კვაუთის ციხის მშენებლობაშიც მხოლოდ კლდის ფლეთილი ქვებია გამოყენებული საპირე წყობებში, ხოლო კედლების შუა ნაწილები სხვადასხვა ტიპის ქვით არის ამოვსებული. სადუღაბე მასალად ყველგან გამოყენებულია კირი.

ასევე იდენტურია კვაუთის და დანარჩენი ციხეების ფორმები, რომლებიც უმეტესწილად მომრგვალებული-ოვალურია (მაგ.: კოტიანეთი, საკალანდარიშვილო, მენჯი) [1,137-151; 2,211-216-218]; სხვა ციხეების მსგავსად კვაუთის ამშენებელსაც გონივრულად გაუთვალისწინებია იქ არსებული რელიეფი და შალი კლდე ციხის ჩრდილოეთ კედლად გამოუყენებია. სახასიათოა ის ფაქტიც, რომ კვაუთის ციხიდან ძირითადად მხოლოდ ერთი, სამხრეთი მიმართულებით შეიძლება ვრცელი ტერიტორიების ვიზუალური კონტროლი, ანუ ციხის გარშემო ყველა მიმართულებით ღია სივრცეები არ იშლება, მსგავსად სხვა ციხეებისა – აბედათი, შხეფი, სორტა [1,130; 2,212-214].

კვაუთის ციხის ტიპოლოგიური მახასიათებლები და მშენებლობის ტექნოლოგია გვაფიქრებინებს, რომ ის ეგრისის სამეფოს სხვა ციხეების თანადროული უნდა იყოს და ზოგადად IV-VI სს-ით უნდა თარიღდებოდეს. ამასვე ადასტურებს ციხის ტერიტორიაზე, მის სამხრეთ კედელთან აღმოჩენილი ადრე შუა საუკუნეების ხანის წითლად გამომწვარი კერამიკული ჭურჭლის (ქვევრი, ქოთანი) ნატეხები.

სტრატეგიული თვალსაზრისით კვაუთის ციხეს მეტად საინტერესო ადგილმდებარეობა უკავია. ის მდებარეობს ეგრისის სამეფოს დედაქალაქ ნოქალაქევი-არქეოპოლისიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 8 კმ-ში ერთ-ერთი მთის სამხრეთ კალთაზე და მისგან სწორედ ნოქალაქევისკენ და ზოგადად კოლხეთის დაბლობისკენ იშლება ვრცელი ხედვის არე. საინტერესოა, რომ კვაუთის ციხიდან სამხრეთ-დასავლეთით შესაძლებელია მდ. ტეხურის ხეობის სოფ. ლეძაძამეში გამავალი 6 კმ-იანი მონაკვეთის ვიზუალური კონტროლი. ასევე კვაუთიდან კარგად ჩანს ნოქალაქევის ნაქალაქარის ჩრდილოეთით 800 მეტრში მდებარე ერთ-ერთი მთის წვერი, რომელიც ფაქტობრივად ნოქალაქევის ციტადელის შემაღლების ჩრდილოეთ გაგრძელებას წარმოადგენს. შესაბამისად საფიქრებელია, რომ ამ ორ ციხეს შორის კავშირის დამყარება კვამლის ან კოცონის მეშვეობით შესაძლებელი უნდა ყოფილიყო.

კიდევ უფრო საინტერესოა კვაუთის ციხის კომპლექსის მდებარეობა მარტვილის რაიონის სოფ. აბედათში მდებარე ციხესთან მიმართებაში, რომელიც კვაუთიდან აღმოსავლეთით 2,3 კმ-ში იმავე მთის ასევე სამხრეთ ფერდობზე მდებარეობს. საგულისხმოა, რომ განლაგების მიხედვით კვაუთის და აბედათის ციხეები იდენტურია, ორივე მათგანი სამხრეთით გაშლილი ტერიტორიების საკონტროლებლად უნდა ყოფილიყო აგებული. ასევე სავარაუდოა, რომ შესაძლებელი იქნებოდა მათ შორის კვამლის ან კოცონის სიგნალის მეშვეობით ურთიერთობა.

ორივე ეს ციხე ერთ ხაზზეა განლაგებული და, შესაბამისად, ერთიან სისტემაშია გასააზრებელი. ეს კი თავისთავად გვაფიქრებინებს, რომ საქმე უნდა გვქონდეს გამაგრების ცალკე ქვესისტემასთან, რომლის ხაზიც შესა-

ძლოა ნოქალაქევი-არქეოპოლისიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 8-10 კმ-ში გადიოდა და ჩრდილო-დასავლეთ მიმართულებით გრძელდებოდა, რაც, თავის მხრივ, იმ რეგიონში იმავე მიმართულების გზის არსებობაზეც უნდა მიუთითებდეს, თუმცა ეს მხოლოდ მოსაზრებაა და მის დასამტკიცებლად მომავალში დამატებითი კვლევა-ძიებაა ჩასატარებელი.

David Lomitashvili, Nikoloz Murghulia

Kvauti Castle

Summary

Kvauti castle is located in the village Ledzadzame, in Senaki district, Samegrelo. The name of the castle comes from the name of a part of the village – Kvauti. The castle is almost completely destroyed, only some ruins of Fortified walls, the gate and the church have remained to this day.

The castle was fortified with 1 meter thick walls from the three sides – the East, the West and the South, but from the North side the castle was protected by the natural high slopes. All the other three sides of the castle were surrounded by a steep descent.

Kvauti castle spreads out on the West-East line (dimensions: 45m X 95m). The frontal layings of the walls are built with limestone and mortar, with various kinds of stones (limestone, cobble-stone) and mortar between them.

The gate of the castle is located in the east wall and is fortified with two quarter-circle buttresses on both sides. The extra 5 buttresses strengthen the south-east rounded corner of the castle.

Kvauti castle must have been built in 4th-6th centuries, in the period of economic and political strength of Lazika Kingdom. This opinion is proved by the castle's building material, planning, type of walls and gates, and also by the archaeological material (Early Medieval, 4th-6th centuries pottery fragments) collected from the site.

The ruins of Archangel church are situated in the middle of the castle. The church is orientated towards the West-East (Dimensions: 8.55 m. X 11.5 m.). The church has three gates - from the west, south and north sides. The eastern part of the church ends with semicircular apse. There are 6 narrow windows in all the 4 walls of the church. The square lime-stone and mortar were used for building. The western wall of the church is has survived almost intact. It reaches 8.5 m. and ends with a 45° angle. The roof of the church, presumably was covered with 45° inclination double-sided tile roof. According to the building material, type, and dimensions of the Archangel church, it must have been built approximately in the 4th-6th centuries (the same period as a castle) and later was reconstructed twice – in the 11th-12th and in the 18th centuries.

Kvauti castle located 8 km north-east from the capital of Lazika Archaeopolis and was probably related to it. Also it must have been linked to another important castle of that period – Abedati; the distance between those two castles is just 2.3 km.

In our view, Kvauti castle, as well as Abedati fortress, was located on one of the roads connecting the kingdom's south-east regions (Rodopolis, Kutaisi) to north-west parts (Sebastopolis, Pitiunt) and played an important role in the fortification system of the central part of Lazika Kingdom in the 4th-6th centuries.

ლიტერატურა – REFERENCES


1. ზაქარაია პ., კაპანაძე თ., ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი, ხუროთმოძღვრება, თბ., 1991, გვ. 126-164.
2. ლომიტაშვილი დ. ა., ცენტრალური კოლხეთი ძვ. წ. VIII – ახ. წ. VI სს. (ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი), დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2003, გვ. 218-232.
3. ყაუხჩიშვილი ს., გეორგიკა III, თბ., 1965.
4. Winter F.E., Greek Fortifications. University of Toronto Press. 1971.

ტაბულების აღწერილობა


I.1. კვაუთის ციხე, გეგმა; 2. კვაუთის ციხის ჭიშკარი, გეგმა და ჭრილი; 3. კვაუთის ციხე. განშლა.

II.1. კვაუთის ციხის ეკლესია, გეგმა; 2. კვაუთის ციხის ეკლესია, დასავლეთი ფასადი; 3. კვაუთის ციხის ეკლესია, ჭრილი 1-1.

ტაბულა I



1




2




3


ტაბულა II



1



2



3

გალხაზ დათუკიშვილი, ნოდარ ბახტაძე

ოქროს მამაწმინდის ეკლესიის არქეოლოგიური კვლევა 2009 წელს

ოქროს მამაწმინდის ნაეკლესიარი მდებარეობს საქართველოში, სტეფანწმინდის მუნიციპალიტეტში, სოფ. გორისციხის ჩრდილო-აღმოსავლეთით 5,5 კმ-ზე, მთა „წვერთას“ ქიმზე (ზღვის დონიდან 2772 მ-ზე).

სოფელ გორისციხის თემმა, სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიის წინამძღოლის, მეუფე იეგუდიელის ლოცვა-კურთხევით, ილია ომარის ძე ელოშვილის საყდრიშვილობით, გადაწყვიტა ოქროს მამაწმინდის ნაეკლესიარი ნაშთების რეაბილიტაცია.

საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის საბჭოსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმებით, 2009 წელს აღნიშნულ ძეგლზე ქართულ-კავკასიური კულტურის, ისტორიისა და ეთნოლოგიის კვლევითი ინსტიტუტის მიერ ჩატარდა მამაწმინდის არქეოლოგიური შესწავლა და შესრულდა არქიტექტურული ანაზომი (ხელმძღვანელები მ. დათუკიშვილი და ნ. ბახტაძე). წარმოგიდგენთ ამ უაღრესად საყურადღებო ძეგლის არქეოლოგიური კვლევის წინასწარ შედეგებს.

ოქროს მამაწმინდის სამონასტრო კომპლექსი, როგორც ჩანს, საქართველოს ისტორიულად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული რეგიონის, ხევის მოსახლეობის ქრისტიანული კულტურის საკმაოდ მძლავრ ცენტრს წარმოადგენდა შუა საუკუნეებში. ეს სალოცავი დღესაც განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობს თემში, რომელიც აერთიანებს სამ სოფელს: გორისციხეს, ფხელეშეს და ტყარშეთს. მამაწმინდობა ყოველწლიურად, აღდგომიდან მე-13 კვირას იმართება. კომპლექსი განსაკუთრებით თავისი ბუნებრივი მდებარეობით გამოირჩევა, აგვირგვინებს მდ. თერგისა და მისი შენაკადი ხეობის წყალგამყოფი ქედის მწვერვალს. ტაძარი დანგრევამდე ორგანულად ერწყმოდა ულამაზეს ლანდშაფტს – კავკასიონის ცენტრალური ქედის თოვლიანი მწვერვალების ფონზე განფენილ ალპურ მდელოებს. გადარჩენილი ნაშთებიც უაღრესად შთამბეჭდავია (ტაბ. I. 2). აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მთა – „წვერთა“ უპირატესად მთის ბროლის შემცველი ქანებისაგან შედგება; ეკლესიისკენ მიმავალ საცხენოსნო ბილიკზე გვხვდება ე.წ. „ბროლის წყარო“, ბროლის ძარღვიდან გამომდინარე.

ოქროს მამაწმინდის ეკლესია არქეოლოგიური კვლევის დაწყებამდე კარგად შერჩეული ფლეთილი, ადგილობრივი ქვით ნაშენი კედლების ნანგრევების სახით იყო შემორჩენილი. მიუხედავად ამისა, ზედაპირული დაზვერვების შედეგად მიკვლეული ხუროთმოძღვრული დეტალებიდან გამომდინარე,

შესაძლებელი გახდა ამ ნაგებობის სავარაუდო არქიტექტურული გეგმარების წარმოდგენა.

მაგალითად, ინტერიერში შეიმჩნეოდა სვეტის მსგავსი კონსტრუქციული ფრაგმენტები, რაც არ გამორიცხავდა ეკლესიის ბაზილიკური ტიპისადმი კუთვნილებას (ტაბ. I. 5). ნაგებობის დაახლოებითი გარე გაბარიტული ზომები იყო: აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლებისა – 6,5 მ, ჩრდილოეთისა და სამხრეთისა კი 7,5 მ-მდე. სამხრეთის და ჩრდილოეთის კედლის წყობა საშუალოდ 2 მ სიმაღლემდე იყო შენარჩუნებული, ხოლო დასავლეთის და აღმოსავლეთის კედლები თითქმის საძირკვლამდე იყო დაშლილი. ეკლესიაში რეგულარული ღვთისმსახურების შეწყვეტიდან დიდი ხნის შემდეგ, თემის მოსახლეობას დაშლილი კედლები ადგილობრივი ქვის მშრალი წყობით ამოუშენებია გარკვეულ სიმაღლემდე. ეკლესიის შიდა სივრცეში, სამხრეთ კედელზე, ძველ წყობაზე მშრალი წყობით იყო დაშენებული მცირე ზომის სალოცავი ნიში თახჩისებური ღიობით (ტაბ. II. 5). სამხრეთის კედელი, რომელშიც გადიოდა ერთადერთი კარის ღიობი, ციცაბო კლდისპირს ემიჯნება. როგორ შედიოდა მრევლი ეკლესიაში, ჯერჯერობით გაურკვეველია (ტაბ. I. 2,3,4).

არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაგებობის გეგმარების შესახებ უაღრესად მნიშვნელოვანი ინფორმაცია უკვე 1 მეტრამდე სისქის ნაშალი ფენის აღებისთანავე მივიღეთ. საქმე ის არის, რომ გათხრის დაწყებამდე საეჭვოდ მიჩნეული სვეტის ფრაგმენტების ნაცვლად მიწისა და ნანგრევი ფენის აღების შედეგად ეკლესიის ინტერიერში ჩამოყალიბებული კონფიგურაციის მქონე ოთხი სრული სვეტი მივიღეთ: ჩრდილოეთით აღმართულ მონოლითური ქვის წყვილ სვეტს წრიული განივკვეთი ჰქონია (ჩრდილო-აღმოსავლეთისა წაქცეულია, სამხრეთ-აღმოსავლეთის სვეტის საკმაოდ მაღალი მონოლითური ცილინდრი კი ადგილზე დგას); სამხრეთის წყვილი სვეტი მართკუთხა განივკვეთისაა და ქვითკირით ნაგები, ამასთან, ჩრდილო-დასავლეთის სვეტზე დაშენებული მორკალური კონსტრუქციის ნაშთი დანამდვილებით ეკლესიის ნავების გამყოფი სვეტების და დასავლეთის კედელთან დამაკავშირებელი თაღების საყრდენი, ერთიანი ქვისგან ნათალი კაპიტელი აღმოჩნდა. ამრიგად, სრულიად ნათელი გახდა, რომ ამ ეკლესიას თაღნარიანი სვეტების ორი წყვილი ყოფდა სამ ნავად და ჩვენი ვარაუდი სამლოცველოს ბაზილიკურთან მიმსგავსებული კონსტრუქციის შესახებ, რეალობად იქცა (ტაბ. I. 6; II. 1, 2).

ინტერიერში მიწის თანდათან დადაბლების შემდეგ, პრაქტიკულად ამომწურავი ინფორმაცია მივიღეთ ამ ეკლესიის გეგმიური გადაწყვეტის შესახებ. გამოირკვა, რომ ცილინდრული ფორმის სვეტების წყვილი ეკლესიის აღმოსავლეთი კედლის მთელ გაყოლებაზე მოწყობილ 1,6 მ სიგანის, იატაკიდან 30 სმ-ით ამაღლებულ ბაქანზე ყოფილა დაშენებული; ამასთან, ამ სვეტებზე მიბჯენილი, აღმოსავლეთ კედლის მართობულად ჩაშენებული დიდრონი ქვებით ნაგები კედლები, ეკლესიის მართკუთხა გეგმის საკურთხეველს ქმნიდა (ტაბ. II. 1, 2).

საკურთხევლის ცენტრალურ ღერძზე, ზედ აღმოსავლეთის კედელთან, მონოლითური ქვის, მართკუთხა პარალელეპიპედის ფორმის ტრაპეზის ქვა მდგარა. საკურთხეველს გვერდით პასტოფორიუმები არ ჰქონია მოწყობილი – გვერდითა ნავები პირდაპირ ადგებოდა აღმოსავლეთის კედელს, თუმცა საკურთხევლის ბაქანის შემაღლება ამ სივრცეების აღმოსავლეთ კიდეებშიც გრძელდებოდა და ერთი საფეხურით შემაღლებულ იატაკს ქმნიდა, რაც არ გამორიცხავს, რომ მინიატურული საკურთხევლები გვერდითა ნავებსაც გააჩნდათ (ისევე, როგორც საქართველოს მრავალ სამნავიან თუ სამეკლესიან ბაზილიკაში) (ტაბ. IV. 1, 2).

მოგვიანებით, ტაძრის ფუნქციონირების რომელიღაც ეტაპზე, ცენტრალური და ჩრდილოეთის ნავების დამაკავშირებელი ღიობი სვეტებს შორის, რატომღაც, ამოუშენებიათ.

ეკლესიის იატაკი საკმაოდ მჭიდროდ ყოფილა მოგებული ადგილობრივი ჯიშის ფიქალის დიდრონი ქვების ფილებით (მოხევურ დიალექტზე „ჭაჭის“ ქვით). ასეთივე ქვითაა მოფენილი ცენტრალური საკურთხევლის და გვერდითა ნავების შემაღლებულ ბაქანთა იატაკებიც.

უნდა ითქვას, რომ ამავე ჯიშის ან „მონათესავე“ სამშენებლო მასალას წააგავს ეკლესიის ძირითადი კედლების ასაგებად გამოყენებული, ერთმანეთთან კარგად მორგებული ფლეთილი ქვის ბლოკები, თუმცა კედლებისთვის იმდენად მსხვილ, კარგად შერჩეულ ქვებს იყენებდნენ, რომ მათი დაკუთხულობა უხეშად ნათალი ქვის ბლოკების ასოციაციასაც კი იწვევს. თვით კედლის წყობა ზოგიერთ ადგილებში, ერთი შეხედვით, ე.წ. „უჯარმულ წყობას“ გვაგონებს (განსაკუთრებით საფასადო წყობებისა).

უნდა აღინიშნოს, რომ ეკლესიის თავდაპირველ წყობაში თხელი, ე.წ. „ანატკეცი“ სიპები (ფიქალები) პრაქტიკულად არ არის გამოყენებული, გარდა იშვიათი გამონაკლისებისა, როცა მსხვილი ბლოკების თარაზულთან მიახლოებული წყობის გასასწორებლად იდებოდა სიპი ქვა; შედარებისთვის აღვნიშნავთ, რომ მთლიანად სახურავისთვის უფრო შესაფერისი თხელი ფიქალითაა ამოყვანილი ეკლესიის დანგრევის შემდეგ მშრალი წყობით აღდგენილი გვიანდელი კედლები (ამჟამად ძნელი სათქმელია, თუ რამდენად მასშტაბური იყო ზემოაღნიშნული აღდგენა, გადაიხურა თუ არა სალოცავი, – დღესდღეობით ასეთი „დამატებული“ კედლები ოთხივ მხარეს დაახ. 1-1,5 მ-ის სიმაღლემდეა შემორჩენილი). თუკი იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ქვის ძირითადი კედლების საშენი ბლოკები და აღნიშნული დანამატი, მშრალი წყობის ფიქალი, დროთა განმავლობაში ერთნაირად „იჟანგება“ წითლად, ფერების ერთგვაროვნებისა და აღმოსავლეთ საქართველოს მთის არქიტექტურაში სიპების გამოყენების მეტად გავრცელებული ტრადიციის სტერეოტიპიდან გამომდინარე, ამჟამად ეს ორი, თვისობრივად სრულიად განსხვავებული, ძველი და ახალი სამშენებლო ფენები ერთმანეთს ვიზუალურად შესანიშნავად ერწყმის (ტაბ. I. 2).

რაც შეეხება ეკლესიის გადახურვას, იქ თავდაპირველადვე დანამდვილებით აღნიშნული ტიპის თხელი ფიქალი იყო გამოყენებული. გათხრების

დაწყებისთანავე, თითოეულ ფენაში მრავლად აღმოჩნდა დაახლოებით ერთნაირი, ეთნოგრაფიული ყოფიდან შენობათა გადასახურავად გამოყენებული გავრცელებული ზომის სიპი. ასეთივე ფიქალი იყო მიმობნეული ძველ იატაკზე. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ სახურავის ფიქალი სალოცავის რესტავრაციის ფაზის დროინდელია, მაგრამ თავდაპირველი იატაკის დონის პრეპარაციის დროს კრამიტის ან ლორფინის ერთი მომცრო ფრაგმენტიც კი არ აღმოჩნდა. შუა საუკუნეების საკვლევ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში მთის ეკლესიების გადახურვის სხვა, ალტერნატიული მეთოდი კი არ არის ცნობილი, ანუ უნდა ვიფარაუდოთ, რომ ეკლესია თავიდანვე ფიქალით იყო გადახურული.

იმის დადასტურება, თუ როგორი აღნაგობის იყო მთლიანობაში გადახურვის ძველი კონსტრუქცია – ქვითკირის კამარული თუ ხის ნივნივებიანი, ფაქტობრივი მასალით ვერ მოხერხდა. მართალია საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში როგორც საკულტო, ისე საყოფაცხოვრებო ნაგებობების გადასახურად ხის ნივნივებზე დაწყობილი ფიქალებიანი კონსტრუქციებიც გვხვდება [1], მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, გამომდინარე იქიდან, რომ ეკლესია ძალიან მაღალ გეოგრაფიულ ნიშნულზე მდებარეობს, ისიც მთის წვერზე, მძლავრი ქარების პირობებში ნაგებობას უფრო მტკიცე, ქვითკირის კამარული გადახურვა უნდა ჰქონოდა. ესეც არ იყოს, ასეთი „სკულპტურული" ტიპის, ბაზილიკური სილუეტის ეკლესიისთვის, არა გვგონია ხის სახურავი დაედგათ – ამ ეკლესიის ბარში გავრცელებული პროტოტიპები თითქმის მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში ხომ გამონაკლისის გარეშე კამარულად იყო გადახურული.

გათხრებისას გამოვლენილი არქიტექტურული დეტალებიდან გამოვყოფდით აგრეთვე ჩრდილოეთის და დასავლეთის კედლების გაყოლებაზე მოწყობილ, დაახ. 30 სმ სიმაღლისა და 40-50 სმ სიგანის ჩამოსაჯდომ ხარისხს. დასავლეთის კედელში ჩაშენებულ ერთ მოზრდილ, ბრტყელ ქვაში გამოკვეთილია წრიული და მართკუთხა ფორმის ერთმანეთთან დაკავშირებული მოცულობები, რომელიც ერთი შეხედვით ადამიანის სილუეტს გვაგონებს. დანიშნულება ჯერჯერობით უცნობია.

ამრიგად, აღნიშნული კონსტრუქციული აღმოჩენები დანამდვილებით მიგვანიშნებს იმაზე, რომ ოქროს მამაწმინდის სალოცავი მინიატურულ, თითქმის კვადრატული გეგმის, მართკუთხა ფორმის საკურთხევლიან, ბაზილიკურთან მიახლოებული ტიპის ეკლესიას წარმოადგენდა, სადაც ბაზილიკური თემა ადგილობრივ ტრადიციებთან და საჭიროებასთან იყო მისადაგებული (ტაბ. IV. 1, 2). შევეცდებით თავდაპირველად მისი სივრცულ-გეგმარებითი თავისებურებებისა და არქიტექტურული დეტალების ანალიზის საფუძველზე გავარკვიოთ, შუა საუკუნეების რომელ ეტაპს განეკუთვნება ოქროს მამაწმინდის ეკლესია.

ხუროთმოძღვრული აღნაგობის თვალსაზრისით ზედმიწევნით აღნიშნულის მსგავსი ეკლესიები საქართველოს ამ მხარეში, თუ საერთოდ საქართველოში, ჩვენთვის უცნობია. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ზოგიერთ არეალში, უფრო მეტად ქსნისა და არაგვის ხეობებში, ნაირგვარი

გეგმის მართკუთხასაკურთხევლიანი ეკლესიები (ტრომპებზე დაყრდნობილი კონქებით) ფრიად გავრცელებული ყოფილა VIII-X საუკუნეებში [22,26-27]. მამაწმინდას, ქართული სახელმწიფოს მიერ ქრისტიანიზებული ჩრდილო კავკასიის ზოგიერთი რეგიონის ძეგლთან, სავარაუდოდ ადრეული შუა საუკუნეების მიწურულისა და განვითარებული შუა საუკუნეების ეკლესიებთან ბევრი საერთო შეიძლება მოეძებნოს. მართკუთხა საკურთხეველთან დაკავშირებული არქიტექტურული თემის რემინისცენციები საქართველოს აღნიშნული რეგიონის მაღალმთიანი ზონის მომცრო, დარბაზულ ეკლესიებში [5,71-74] გვიანი შუა საუკუნეების ჩათვლით პერიოდულად, სპონტანურად, შემდეგ ეპოქებშიც იჩენდა ხოლმე თავს [13,117-227-234-237-283-328-477-452]. მეორე მხრივ, სწორკუთხა გეგმიანი საკურთხევლები საკმაოდ გავრცელებული ელემენტი იყო IV-VI საუკუნეების სირიულ საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში და ამ თემას არცთუ იშვიათად წინა აზიის ზოგიერთი ქვეყნის იმავე ეპოქის ეკლესიების მშენებლებიც მიმართავდნენ ხოლმე [25] (ზოგიერთი მკვლევრის აზრით, სწორედ ჩრდილოეთ სირიული ხუროთმოძღვრების გავლენით). თვით საქართველოშიც, ნეკრესის ნაქალაქარზე უკანასკნელ წლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად ამგვარ საკურთხევლიანი გრანდიოზული სამნავიანი ეკლესია გამოვლინდა, რომელიც IV ს-ით თარიღდება [3,219] ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ოქროს მამაწმინდის ეკლესია ისტორიულ ხევში მდებარეობს, რომელიც კულტურულად იმ ვრცელი რეგიონის ნაწილს წარმოადგენს, სადაც მაინც VIII-X საუკუნეებშია ყველაზე მასობრივად დაფიქსირებული მონუმენტურ ეკლესიებში აღნიშნულ ყაიდაზე მოწყობილი საკურთხევლები და, ამასთან, მისი მშენებლობის ტექნიკაც ამ რიგის ნაგებობათა ასოციაციას იწვევს, მამაწმინდის დათარიღებისთვის ეს დეტალები ანგარიშგასაწევი, მაგრამ არასაკმარისი არგუმენტებია.

კიდევ ერთი საბუთი იმისა, რომ მამაწმინდის ეკლესიის აგება სწორედ რომ ადრეული შუა საუკუნეების ფინალურ სტადიას უკავშირდება, შემდეგი გარემოება გახლავთ: ეს ეკლესია დანამდვილებით ბაზილიკურ ეკლესიათა ქართული ესთეტიკური პრინციპების გათვალისწინებით გადამუშავებულ ვარიაციას წარმოადგენს – მიუხედავად შენობის ზედა ნაწილების ძლიერი დაზიანებისა, ორ წყვილ სვეტზე და დასავლეთის კედლის კრონშტეინებზე დაყრდნობილი გრძივი თაღედი მხოლოდ გეგმიურად დამოკლებული „რედაქციით" წარმოდგენილ ბაზილიკის სქემაზე შეიძლება მიგვანიშნებდეს (ასეთი გეგმური პროპორციები ქართული ბაზილიკური ხუროთმოძღვრების ძეგლების დიდი უმრავლესობისთვისაა დამახასიათებელი V ს-ის შემდგომ) [23,45-123]. გარდა ზემოთ აღნიშნული, ნეკრესის ნაქალაქარის IV ს-ის ბაზილიკისა, ბაზილიკურ ეკლესიათა მართკუთხა საკურთხევლებით დასრულება დღემდე უცნობი იყო აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისთვის. შესაძლოა, ამ ახლად აღმოჩენილი ეკლესიის მსგავსად, დაახლოებით იმ ეპოქაში, მსგავსი ბაზილიკებიც იყო გავრცელებული საქართველოში და აღარ შემოგვრჩა, მაგრამ ოქროს მამაწმინდა ერთადერთი ნიმუშიც რომ ყოფილიყო ბაზილიკის თემის ამ მიმართულებით გადააზრებისა, გარდამავალი ხანის ქართული საეკლესიო

ხუროთმოძღვრების საერთო ტენდენციების გათვალისწინებით, არ უნდა გაგვიკვირდეს, რადგან იმ ეპოქისთვის ახალი არქიტექტურული ფორმების ძიება ჩვეულებრივი მოვლენა იყო [5,39-45]. ოქროს მამაწმინდის გეგმარებითი გადაწყვეტა მართლაც საკმაოდ თავისებურია: ადრეული შუა საუკუნეების უკანასკნელი ეტაპის ქართული ბაზილიკებისგან მას საკურთხევლის მართკუთხოვნების გარდა მინიატურული აღნაგობაც გამოარჩევს, თუმცა ამ მოვლენას სრულიად ლოგიკური ახსნა შეიძლება მოეძებნოს: ასეთ მაღალ გეოგრაფიულ ნიშნულზე მდებარე ეკლესია ნამდვილად არ იქნებოდა მრავალრიცხოვანი მრევლისთვის ლიტურგიის ჩასატარებლად გათვლილი. აქვე უნდა აღინიშნოს ჩვენი შემდეგი წინასწარი მოსაზრებაც: გამომდინარე იქიდან, რომ მამაწმინდის ეკლესიის ირგვლივ რამდენიმე მცირე ზომის, სენაკის ტიპის ნაგებობის ნაშთი დაფიქსირდა (ტაბ. II. 6), გამორიცხული არ არის, რომ ეს კომპლექსი იმთავითვე მცირე მასშტაბის საგანდეგილო უდაბნო-მონასტერს წარმოადგენდა, რომელშიც მოღვაწე რამდენიმე ბერს ამ ზომის ეკლესია სავსებით დააკმაყოფილებდა.

უნდა ითქვას, რომ ამ ეკლესიის ხუროთმოძღვარს საკმაოდ შემოქმედებითად და წარმატებით გაურთმევია თავი დასახული პრაქტიკული და ესთეტიკური მიზნებისთვის: მას შეუქმნია აღნიშნულ კონკრეტულ ლანდშაფტისთვის და მოთხოვნილებისთვის მისადაგებული მცირე ზომის ეკლესია, რომელიც ისეთი პლასტიკური ხერხებითაა გადაწყვეტილი, რომ ტაძრის როგორც ექსტერიერი, ისე ინტერიერი სკულპტურულობამდე დახვეწილი ფორმებით ჰარმონიულობის განცდას, ამაღლებულ სულიერ განწყობას იწვევს. ხუროთმოძღვრის მხატვრულ მიგნებათაგან მაგალითისთვის საკურთხევლის შემომსაზღვრელი და იმავე დროს თაღების მზიდი მონოლითური ქვის ცილინდრული სვეტებიც გამოდგება. აღსანიშნავია, რომ საქართველოში მონოლითურ ქვის ცილინდრულ სვეტებს ვხვდებით მხოლოდ ადრეული შუა საუკუნეების ძეგლების ინტერიერების გაფორმებაში: მაგ., თიანეთის სიონის ბაზილიკაში (V-VI სს.) [13, 409], იშხანის, ბანას (VII ს.) [5,111-143] და სხვა ცნობილ ტაძრებში, რომლებსაც მონუმენტურობა ისედაც ახასიათებს. საყურადღებოა მამაწმინდის ეკლესიის ინტერიერის სხვა, ასევე განსაკუთრებით თვალსაჩინო, ადგილებში მოზრდილი ქვის ბლოკებისა თუ ფილების გამოყენება: საკურთხევლის კედლები, მონოლითური სვეტისთავები, იატაკის მოსაპირკეთებელი დიდი ფილები.

სავარაუდოდ, ეკლესიის ინტერიერში სივრცის ბაზილიკისებურად დანაწევრება შეგნებულად, დიზაინის ეფექტურობისთვის, არქიტექტურულ ელემენტად არის შემოტანილი, რადგან ეკლესიის მცირე ზომა კონსტრუქციულად სახურავის მზიდ შუალედურ საყრდენს არ ითხოვს.

ამასთანავე, თვითონ ფაქტი მინიატურულ სივრცის ნავებად დაყოფისა, მიგვითითებს, რომ ოქროს მამაწმინდის ეკლესიის მშენებლობის ეპოქაში ბაზილიკური თემა საყოველთაოდ გავრცელებული იყო საქართველოში და ამ ტიპის ეკლესიას მარტივ დარბაზულ სამლოცველოებთან შედარებით უპირატესობა ენიჭებოდა. ამრიგად, ამ ეკლესიის აგება თანხვდება იმ ხანას, როდესაც საქართველოში ბაზილიკური ტაძრების მშენებლობა ფართოდაა

გავრცელებული და, იმავდროულად, აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რეგიონებში ასევე საყოველთაოდაა ფეხმოკიდებული ეკლესიების მთავარი საკურთხევლების გეგმური მართკუთხოვნება. ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიის შესახებ ჩვენი ცოდნის დღევანდელ ეტაპზე, ეს უნდა იყოს VIII-IX საუკუნეები, ქართულ საეკლესიო არქიტექტურაში „გარდამავალ ხანად“ წოდებული ქრონოლოგიური მონაკვეთი – მხოლოდ ამ დროს შენდებოდა ჯერ კიდევ მასობრივად აღმოსავლეთ საქართველოს დაბალ და მთისწინა ზონებში სამნავიანი ბაზილიკები, მთიან რეგიონებში კი მართკუთხასაკურთხევლიანი ეკლესიები.

ოქროს მამაწმინდის ეკლესიის დასათარიღებლად, რა თქმა უნდა, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იქ მიკვლეულ, სხვადასხვა დანიშნულების ქვის არქიტექტურულ დეტალებზე ნაკვეთი დეკორატიული მოტივების ქრონოლოგიურად განსაზღვრას: მიუხედავად იმისა, რომ თავიანთ თავდაპირველ ადგილებში ჩაშენებულ მდგომარეობაში არ დაგვიფიქსირებია, ეს მეტად მასიური ქვები შეუძლებელია ეკლესიის ინტერიერში შემთხვევით იყოს მოხვედრილი, ვთქვათ „სხვა ძეგლიდან მოტანილი“, ვინაიდან ამ მთის მწვერვალიდან ახლომახლო, დაახ. 5-6 კმ რადიუსში არანაირი ისტორიული ნაგებობის ნაშთი არ გვხვდება (გარდა თვით ამ კომპლექსის შემადგენელი უსახური სენაკებისა).

რელიეფური დეკორატიული სახეებით შემკულია ეკლესიაში მიკვლეული, დანგრევის შემდეგ ადგილმონაცვლებული ორი დეტალი: ორად გატეხილი, წაგრძელებული ქვის ფილა (როგორც ჩანს, ფასადის მორთულობის, შესაძლოა, ლავგარდანის ფრაგმენტი) (ტაბ. I. 1) და ჯვრის ჩასადგმელი ბაზის ზედა ნაწილი (ტაბ. I. 5, 6). გრძელი მონოლითის ნათალ პირზე მარტივი ლილვისებური რელიეფით გამოსახულია თაღებიანი სვეტნარი (ზემოდან რკალით შემოსაზღვრული 6 ჩამწკრივებული ღიობის იმიტაცია) და იქვე ბოლოში „მიბმული“ რელიეფური მედალიონი, შიდა არეში ჩაწერილი ტოლმკლავიანი, ბოლოებში გაფართოებული ძლევის ჯვრით. მხოლოდ ამ უკანასკნელი მოტივის, ე.წ. „ბოლნური ჯვრის“ ნაირსახეობის დადასტურებიდან გამომდინარეც კი, ოქროს მამაწმინდის ეკლესიის დათარიღება IX-X საუკუნეებზე გვიანი ეპოქით შეუძლებელია [5; 39-45; 24,31-32-40-47], თუმცა, არც ამავე ფილაზე გამოსახული სვეტნარის მოტივია უცხო ადრეული შუა საუკუნეების ეკლესიებისა და სტელა-ჯვრების დეკორატიული გაფორმებისთვის. თაღების მწკრივისა და თაღებიანი მართკუთხა ღიობების რელიეფური გამოსახულებები გვხვდება როგორც V-VIII საუკუნეების, ისე IX-X საუკუნეების ბაზილიკური თუ სხვა სტილის ეკლესიების ლავგარდანების, სარკმლისთავების და კაპიტელების პლასტიკურ შემკულობაში, აგრეთვე იმავე პერიოდის ქვა-ჯვარების ბაზებზე და სტელებზე.

დაახლოებით ამ სტილის რელიეფებით შემკული ქართული ტაძრებისა და მხატვრული პლასტიკის ნიმუშების ჩამოთვლა შორს ნაგვიყვანდა. დავასახელებთ მხოლოდ რამდენიმეს: ურბნისის ბაზილიკა, ანჩისხატი, კაწრეთის სამება, აგარის მონასტრის სამეკლესიიანი ბაზილიკა, წირქოლი, მაჩხანი, ქოროლო და სხვ. [23,59; 6,XV-2; 7,89; 9,60; 24,1-3-33], შეწყვილებული თაღე-

დიანი ღიობების სქემატური გამოსახულება გვხვდება ხანდისის და ეძანის სიონის სტელებზე (ორივე VI ს.) [24]. რა თქმა უნდა, მხოლოდ ამგვარი თაღედებით თუ სვეტნარით გაფორმება ოქროს მამანმინდის ეკლესიას ზუსტად ვერ დაათარიღებდა, მაგრამ ის კი საგულისხმოა, რომ X ს-ის შემდგომ ასეთ ორნამენტულ მოტივებს ქართული ეკლესიების და სტელების გაფორმებაში პრაქტიკულად ვეღარ ვხვდებით.

ოქროს მამანმინდის ეკლესიის აგების თარიღისა და ფუნქციონირების ქრონოლოგიური ფაზების დაზუსტებაში, მისი ინტერიერის არქეოლოგიური გათხრებისას სხვადასხვა ჰორიზონტზე მიკვლეულმა ნივთიერმა მასალამ გაგვიწია დახმარება.

სტრატიგრაფიულად ყველაზე მაღალ ჰორიზონტზე, ჰუმუსოვანი ფენიდან 10-20 სმ სიღრმეზევე აღმოჩნდა XIX ს-ისა და XX ს-ის დასაწყისის სპილენძის მონეტები და კიდევ რამდენიმე ნივთი, რომლებიც აშკარად ამ მაღალმთიანი რეგიონის მოსახლეობაში უკანასკნელ საუკუნეებში ფეხმოკიდებულ, წარმართული და ქრისტიანული რწმენა-ნარმოდგენების შერწყმაზე და შესაბამის საკულტო რიტუალებზე მიგვანიშნებს. მაგალითად, აქ დავაფიქსირეთ ლითონის ცალ მხარეს გახსნილი, შესაკრავებით დაბოლოებული ნივთები, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში მრავალგზის დადასტურებული ე. წ. „ხატის უღლები", რომელთა ყელზე შებმა სალოცავში, „ხატში" მისული მოზრდილი თუ არასრულწლოვანი მლოცველებისთვის, ამ „ხატის" მონობის სიმბოლური გამოხატულება იყო (ტაბ. III-ა. 2). ამავე ფენაში აღმოჩნდა ლითონის პატარა ზარები; „ზინზილაკები", რომლებიც გვიანი შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვადასხვა რეგიონის „უმწყემსელი" და ნაწილობრივ განარმართებული ქრისტიანული სამლოცველოების, „ხატების" დროშების აუცილებელი ატრიბუტი იყო [2] (ტაბ. III-ა. 1, 3). ამ სტრატიგრაფიულ ფენაში აღმოჩნდა აგრეთვე სხვადასხვა ზომის სალესავი ქვები, რომლებიც, ჩვენი აზრით, შემდეგი სიმბოლური დატვირთვის შესაწირებს წარმოადგენდა: საქართველოს ამ მთიან მხარეებში ეკონომიკა პრაქტიკულად ერთადერთ საარსებო დარგზე, მეცხოველეობაზე იყო დაფუძნებული, საქონლის გამოზამთრება კი ბალახის მოსავალზე და თივის საკმაო მარაგის შექმნაზე იყო დამოკიდებული; სწორედ ამიტომ სალესავი ქვების შეწირვით მთის მოსახლეობა ღვთაებებს ბალახის უხვ მოსავალს შესთხოვდა, რომელიც ამ სალესავებით კარგად გალესილი ნამგლებით და ცელებით უნდა მოეთიბათ.

ეკლესიის ინტერიერში, თანამედროვე ზედაპირსა და იატაკს შორის მიწის დადაბლებისას, შუალედურ ჰორიზონტებზე, გარდა დამუშავებული სამშენებლო მასალებისა, არტეფაქტები თითქმის არ შეგხვედრია, რაც სრულიად ლოგიკურია: პირველი ეტაპის ეკლესია ერთბაშად არ უნდა დანგრეულიყო, პირველად სახურავი და მისი მზიდი არქიტექტურული ელემენტების ზედა ნაწილი ჩაწვებოდა ინტერიერში (ნაწილი გარეთაც გადაინგრეოდა), შემდეგ კი, ათწლეულების ან საუკუნეების განმავლობაში, თანდათან დარჩენილი კედლებიც ინგრეოდა და ასე დაგროვდა ინტერიერში სამშენებლო

ქვებისა და კირ-მინის ნარევი. ყოველივე ეს ეკლესიისა და მისი შემოგარენი ნაგებობების კომპლექსის მიტოვების და მუდმივი მეთვალყურეობის გარეშე დარჩენის შემდეგ უნდა მომხდარიყო განვითარებული შუა საუკუნეების მინურულში, XIV-XV სს-თა მიჯნაზე ან ოდნავ მოგვიანებით. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიის ირგვლივ მდებარე მცირე სენაკები ჯერჯერობით არქეოლოგიურად არ შეგვისწავლია, ჩვენი აზრით, ეკლესიისა და საცხოვრებელ ნაგებობათა ეს ერთობლიობა თავდაპირველადვე სამონასტრო ანსამბლი უნდა ყოფილიყო.

კედლების მშრალი წყობით დროებითი, ნაწილობრივი აღდგენა და ინტერიერში მცირე სალოცავი ნიშების ჩადგმა გარკვეული ინტერვალებით განუწყვეტლივ უნდა ვიგულისხმოთ, მაგრამ, ვინაიდან ამ ეპოქაში, გვიან შუა საუკუნეებსა და XIX-XX სს-ში, ამ მომლოცველობას ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა და „ხატობიდან-ხატობამდე“ აქ მუდმივად არავინ ბინადრობდა, მოსახლეობის კუთვნილი საყოფაცხოვრებო თუ საკულტო ნივთები ნანგრევებში დიდი შემთხვევითობის წყალობით თუ მოხვდებოდა. ვინაიდან ამ ნაგებობაში იატაკის რამდენჯერმე მოწყობა დაფიქსირებული არ არის, ისევე როგორც ნებისმიერ, მიტოვების შედეგად თუ რაიმე კატაკლიზმისგან დანგრეულ, ისტორიულ ნაგებობაში, აქაც ძეგლის ინტენსიური ფუნქციონირების დროინდელი არტეფაქტები ძირითადად ერთადერთი იატაკის მიდამოებში უნდა შემორჩენილიყო – უფრო ადრეული, მოხმარების დროს დაზიანებული ნივთების ფრაგმენტები, იატაკში შემთხვევით ჩატკეპნილ მდგომარეობაში, საბოლოო ფაზის დროინდელი ნივთები კი ზედ იატაკზე, ნგრევისგან დაკონსერვებულ ვითარებაში. მართლაც, ოქროს მამაწმინდის სალოცავის ინტერიერში საუკუნეების განმავლობაში გაჩენილი ნანგრევი მასის ფსკერამდე აღების შედეგად ნივთიერი მასალა დაახლოებით ასეთი სქემით დაფიქსირდა – ქვის ფილებით მოგებული იატაკის დონეზე და, ნაწილობრივ, ოდნავ უფრო დაბლაც, ქვის ფილებს შორის დარჩენილი „ნაპრალების“ შემავსებელ მინის მიკრო ფართობებზე ეკლესიის ფუნქციონირების დროსვე მოხვედრილ საყურადღებო ნივთებს თუ მცირე ფრაგმენტებს მივაკვლიეთ.

კერძოდ, ჩრდილოეთის ნავში, აღმოსავლეთ კედელთან ახლოს, ზედ იატაკზე, თითქმის დაწვენილ მდგომარეობაში მივაკვლიეთ დაახ. 1,5 მ სიგრძის ქვის მონოლითისგან გამოთლილ სადა, ბრტყელზედაპირიან ჯვარს, რომლის თითოეული მკლავი მართკუთხა კვეთისაა და ქვედას გარდა, ისინი ბოლოებში ოდნავ გაგანიერებულია. ქვედა მკლავს ბოლო გათლილი აქვს – ცხადია, რომ ეს ბოლო ბაზაში ჩასადგმელად აქვს დამუშავებული (ტაბ. II. 3). თითქმის უეჭველად ამ ჯვრის ჩასადგმელი ბაზა უნდა იყოს ზუსტად ამ ზომის მართკუთხაფოსოიანი, შეწყვილებული თაღებით შემკული კარგად ნათალი ქვა, რომელიც გაურკვეველ ვითარებაში უპოვიათ ეკლესიის ნანგრევებში და გვიან ხანებში, „ნიშის“ ფუნქციონირებისას, ჩრდილო-დასავლეთი სვეტის კაპიტელზე შემოუდგამთ. როგორც აღნაგობით, ისე აღმოჩენის ადგილით (საკურთხევლის ჩრდილოეთ კიდესთან), ეს ჯვარი ბაზითურთ, საკურთხევლის წინ აღსამართი ჯვარი უნდა იყოს და ეკლესიის აგებისთანავე უნდა იყოს

დამზადებული – მით უმეტეს, რომ ბაზის შემამკობელი ორნამენტული მოტივი სტილისტურად ეკლესიის კარნიზის ქვაზე შემორჩენილი, კამარებიანი სვეტნარის დეკორატიული გამოსახულების მსგავსია. ამდენად, სავარაუდოა, რომ ეს ქვა-ჯვარი ოქროს მამაწმინდის ეკლესიის თავდაპირველი, სრული სახით ფუნქციონირებისას, დანგრევამდე, პრაქტიკულად მუდამ იდგა მის ინტერიერში.

იატაკის დონეზე, ისეთივე სტრატიგრაფიულ სიტუაციაში, როგორც ქვა-ჯვარი, ანუ ზედ ქვის ფილებზე მიმობნეულად, აღმოჩნდა კერამიკულ ნაკეთობათა რამდენიმე ფრაგმენტი, რომელთაგანაც ზოგიერთი უფორმოა და ისეთი ფაქტურა აქვს, რომ მათი დათარიღება უახლესი, ჩვენში ჯერჯერობით დაუნერგავი, ტექნოლოგიების გარეშე შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, საბედნიეროდ, ამ არტეფაქტებში ურევია ისეთი ნიმუშებიც, რომლებსაც ზუსტი პარალელები მოეპოვებათ განვითარებული შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში შესწავლილი რიგი არქეოლოგიური ძეგლებიდან. მაგალითად, აქ აღმოჩნდა მუქ წითლად გამომწვარკეციანი თიხის ჯამის ბორბლისებური მოყვანილობის ქუსლიანი ძირის ფრაგმენტი. ჯამის შიდაპირი თეთრი ანგობითაა დაფარული და მასზე ამოკაწვრის (სგრაფიტოს) ხერხით, შეწყვილებული ზოლებით გეომეტრიული და მცენარეული სახეებია დატანილი; შემდეგ ეს ორნამენტი მუქმომწვანოდ და მოყვითალო-მოყავისფროდ შეუღებავთ და ჭურჭლის მთელი შიდაპირი გამოწეამდე უფერო, გამჭვირვალე, კრიალა ჭიქურით დაუფარავთ (ტაბ. III-ბ. 1). აღნიშნული სტილით შემკული ჯამები ქართველ მეცნიერთა მიერ XII-XIII სს-ით არის დათარიღებული [11,L-LIII]. თუმცა, ჩვენი ბოლოდროინდელი მონაცემებით, მსგავსი ნაწარმი XIV ს-ის მიწურულამდე მზადდებოდა [4,153-154]. ეკლესიის იატაკის ზედაპირზე მივაკვლიეთ სხვა სტილით მოჭიქულ ჭურჭლის ფრაგმენტსაც: ეს არის წითლად გამომწვარკეციანი თიხის ჯამის პატარა ნატეხი, რომლის თეთრად ანგობირებულ შიდაპირზე ამოკანერის ხერხით დატანილია რკალებით გამოყვანილი ნახატი; გადავლებული აქვს ცისფერი, გამჭვირვალე ჭიქური (ტაბ. III-ბ. 3). ასეთ ჯამებს, როგორც ნესი, კარგად გამოყვანილი, ბორბლისებრი ქუსლები ახასიათებდათ. ამ სტილით შემკული მოჭიქული ჯამები დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი აღმოსავლეთ საქართველოს, აგრეთვე მისი მეზობელი ქვეყნების ტერიტორიაზე (სომხეთი, აზერბაიჯანი). მათ მკვლევრები ზოგადად XI-XIII სს-ით ათარიღებენ [18,26; 16,39; 20,32; 11,24-25], მაგრამ უკანასკნელი გამოკვლევების ფონზე, მსგავსი ნაკეთობების დამზადება XIV ს-ის პირველ ნახევარშიც არ უნდა გამოვრიცხოთ.

ამავე ეპოქას, ძირითადად XIII-XIV საუკუნეებს განეკუთვნება ანალოგიურ ვითარებაში აღმოჩენილი კიდევ რამდენიმე თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი: თეთრად ანგობირებულ შიდაპირიანი და მწვანედ მოჭიქული ჯამის პირ-გვერდი; დიდი, მუქ მონითალოდ გამომწვარი, ოდნავ ნაპრიალებზედაპირიანი დოქის ყელის ნაწილი; დაბრტყელებულბაკოიანი მოუჭიქავი ჯამის პირ-გვერდი და სხვ. (ტაბ. III-ბ. 2, 4). ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ დაფიქსირებული არქეოლოგიური სურათის მიხედვით ოქროს მამაწმინდის ეკლესიის წყობიდან

გამოსვლისა და აქტიური ფუნქციონირების შეწყვეტის ხანა დაახ. XIII ს-ის II ნახევარსა და XIV ს-ის მიწურულს შორის მოქცეული ქრონოლოგიური მონაკვეთით განისაზღვრა. ეს მოვლენა, სავარაუდოდ, საქართველოში თემურლენგის გამანადგურებელ შემოსევებს უნდა უკავშირდებოდეს.

როგორც აღვნიშნეთ, ოქროს მამაწმინდის ეკლესიის გათხრებისას დაფიქსირებულ უფრო ადრეულ კერამიკული ნაკეთობების ფრაგმენტებს რამდენადმე განსხვავებულ სტრატიგრაფიულ ვითარებაში მივაკვლიეთ – ისეთ ფენებში, სადაც ისინი ეკლესიაში მიმდინარე რეგულარული ღვთისმსახურების პირობებშიც შეიძლებოდა მოხვედრილიყო: იატაკის მორიგი მოტკეპვნა-მოწესრიგებისას, ან, სულაც, ეკლესიის მშენებლობის დროს (ჩვენი გამოცდილებით, ასეთი მცირე ეკლესიის აგებასაც კი რამდენიმე წელი სჭირდებოდა, ამდენად, ამ პერიოდში მშენებლებს არაერთი ჭურჭელი დაუზიანდებოდათ). მაგალითად, დანამდვილებით ჩრდილოეთის ნავის ქვით მოფენილ იატაკის ჰორიზონტზე დაბლა აღმოჩნდა ერთი მეტად საყურადღებო ნივთი – ეს არის მოვარდისფრო-მოყვითალოდ გამომწვარი, კარგად განლექილკეციანი თიხის ჯამის გვერდის ფრაგმენტი. შიდაპირის შიშველ კეცზე გავლებულია თეთრი ანგობის ფართო ზოლები, რკალური ღვიძლისფერი და მწვანე ხაზები (როგორც ანგობის ფენაზე, ისე შიშველ კეცზე). საბოლოოდ, გამონვის წინ, შიდაპირს გადავლებული აქვს უფერო, გამჭვირვალე ჭიქური. ჭურჭლის გარეპირი ოდნავ ნაპრიალებია (ტაბ. III-გ. 1). ამ სტილით შემკული, დაბალ, ბორბლისებრქუსლიანი ჯამები დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი რუსთავის ნაციხარზე, გეხვდება დმანისის, თბილისის, თელავის, ჟინვალის, უჯარმის განათხარ ძეგლებზე [11,17]. საქართველოს მეზობელი ქვეყნებიდან დადასტურებულია სომხეთში, დვინის ნაქალაქარზე [21,43], თარიღდება IX საუკუნით.

ეკლესიის ქვაფენილიანი იატაკის ჰორიზონტზე უფრო დაბალ ფოსოში (ცენტრალური ნავის დასავლეთ კიდეში, ზედ კედლის ძირში) აღმოჩენილ იქნა აგრეთვე მეტად კარგად განლექილი თიხისგან დამზადებული, მოვარდისფროდ გამომწვარი დოქის მუცლის ფრაგმენტი, რომელიც გარედან კარგადაა ნაპრიალები (ტაბ. III-გ.2). ასეთი ფერისა და კეცის ჭურჭელი, ისევე როგორც ღია ფერისანი და მოვარდისფრო-წითლად ნაპრიალებნი, ცნობილია ადრეული შუა საუკუნეების ქართული ძეგლებიდან და მათი დამზადების ზედა ქრონოლოგიური ზღვარიც IX-X საუკუნეებია [19,113; 8, LVIII-2].

ასევე სტრატიგრაფიულად სავარაუდოდ ეკლესიის მშენებლობის ან ფუნქციონირების პერიოდის ფენაში (საკურთხევლის ბაქნის შემაღლების ერთ-ერთი დაძრული ქვის ქვეშ) აღმოჩნდა მონაცრისფრო-მორუხოდ გამომწვარი ქოთნის პირ-ყელის ფრაგმენტი. ქოთანს პირი გადმოკეცილი ჰქონია, ბაკო კი შიგნიდან ოდნავ ჩაღარული (ტაბ. III-გ. 6). შემორჩენილი ნაწილების მიხედვით, მათ, ისევე როგორც ჩვენთვის საქართველოს შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლებიდან ცნობილ ამ რიგის ქოთნებს, დაბალი ყელი, სფეროსებური მუცელი, ბრტყელი ძირი და თითო სახელური ჰქონდათ. ასეთი

ქოთნები, ფაქტურიდან და ჩაღარული პირებიდან გამომდინარე, გარკვეულ მსგავსებას იჩენს წინარე ქრისტიანული ხანის შავ და ლეგა კერამიკასთან, თუნდაც გვიანბრინჯაოს ხანის მსგავს ქოთნებთან [14,XIV-XV]. სინამდვილეში, შუა საუკუნეების ქართული და მეზობელი ქვეყნების განათხარი ძეგლებიდან ცნობილი ანალოგიებიდან გამომდინარე, ისინი აღნიშნული არქაული კერამიკის უნებლიე რემინისცენციას უფრო წარმოადგენენ და თარიღდებიან IX-X სს-ით [12,52-53; 16,112-113; 10,VI; 19,51-52].

აღნიშნული ნივთების მსგავად, იატაკში ჩატკეპნილ მდგომარეობაში აღმოჩნდა ყავისფრად, ჩალისფრად თუ მოვარდისფროდ ნაპრიალებზედაპირიანი, სხვადასხვა სისქის კეციანი, კიდეე რამდენიმე თიხის ჭურჭლის მომცრო ფრაგმენტები (მაგალითად, ვარდისფრად გამომწვარი, პირმოყრილი ჯამის პირ-გვერდი), რომლებიც, ქართულ განათხარ ძეგლებზე მოპოვებული პარალელური მასალის მოშველიებით, აგრეთვე IX-X სს-ით თარიღდება.

ამრიგად, ოქროს მამაწმინდის ეკლესიის სამშენებლო თუ ფუნქციონირების ადრეული პერიოდის კულტურული ფენების არქეოლოგიურმა კვლევამ სავსებით დაადასტურა ჩვენ მიერ ხუროთმოძღვრულ ანალიზზე დაყრდნობით გამოთქმული ვარაუდი იმის შესახებ, რომ ეს ძეგლი დაახლოებით IX-X საუკუნეებში უნდა იყოს აგებული.

Malkhaz Datukishvili, Nodar Bakhtadze

Archaeological Research of Okros Mamatsminda (Golden Saint Father) Church in 2009

Summary

In 2009. in Georgia, at the invitation of Stephantsminda and Khevi eparchies, in the neighbourhood of the village Goristikhe was carried out a pre-rehabilitation archaeological research (headed by Dr. M. Datukishvili and Dr. N. Bakhtadze) of the ruined church located on one of the highest geographical altitudes in Europe (2772 m above sea level) and known in the local community as "Okros Mamatsminda". The archaeological excavations revealed that this miniature chapel (6.5 m X 7.5 m) with almost square-shaped planning and with its architectural peculiarities belongs to the most interesting early Christian cult monuments of this region of Georgia. The thing is that it represents a church built according to the scheme of a simplified basilica, the central and lateral naves of which were separated from one another by two pairs of pillars. This is the first occasion of discovery of a small chapel having a basilica planning in this mountainous region. It is true to fact that "Okros Mamatsminda", like other small medieval single-nave churches of this region built on mountain tops, had a rectangular altar; but the higly-artistic plastic decision of its interior and the decorated facade stones

found there indicate that this richly adorned basilica, presumably, played a distinguished missionary role in that region, in the period (approximately 9th -10th cc.) of eventual victory and establishment of Christianity. Because of the fact that there has never existed a settlement near this church (in the radius of 5-6 km), and that there still are some traces of residential constructions which require special study, we cannot deny that this complex performed the function of a monastery organized in an extremely ascetic way.

The dating and establishment of functioning phases of this church performed by us, which was based on the methods existing in art history, were confirmed by the artefacts obtained during the archaeological excavations of the cultural layers carried out in the interior of this building – some fragments of ceramic articles found there are similar to those known from 9th-10th cc. archaeological monuments of East Georgia and the neighbouring states.

In the late Middle Ages, after Tamerlane's invasions (the verge of 14th - 15th cc), when the Georgian state was facing the period of political and economic crises, in Okros Mamatsminda monastery and, accordingly, in its church regular liturgy was terminated. Because of the fact that the church was visited by pilgrims only occasionally, in the course of time it turned into ruins. Some attempts to carry out small-scale restoration works with the use of dry masonry could not stop the process of its destruction. Eventually, approximately in the 16th - 20th centuries, this place became the site where semipagan holidays were held.

The church of Golden-Saint Father (Okros Mamatsminda) as well as the architecture and decor of surviving Christian monuments located in North Caucasia require special attention. However, the archaeological study of Okros Mamatsminda has proved that Khevi region represented the most significant centre of the spread of Christianity in North Caucasia even before the construction of Gergeti Trinity monastic complex.

ლიტერატურა – REFERENCES

1. ბარდაველიძე ვ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. I, თბ., 1974.
2. ბარდაველიძე ვ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. II, თბ., 1982.
3. ბახტაძე ნ., ნეკრესის ნაქალაქარზე გამოვლენილი ჭაბუკაურის ბაზილიკის დათარიღებისათვის, ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში, 19, 2009.
4. ბახტაძე ნ., კლდის ხუროთმოძღვრების გენეზისი და განვითარების გზები საქართველოში, თბ., 2007.
5. ბერიძე ვ., ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974.
6. ზაქარაია პ., ნაქალაქარ ურბნისის ხუროთმოძღვრება, თბ., 1965.
7. გვერდწითელი რ., ანჩისხატი, თბ., 2001.
8. მამაიაშვილი ნ., ქალაქი ჭერემი. თბ., 2004.
9. მარსაგიშვილი გ., აგარის მონასტრის უძველესი ეკლესია. ძეგლის მეგობარი 60, თბ., 1982.
10. მჭედლიშვილი ბ., ივრისპირა „ქვაბების" 1976 წლის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, VI, თბ., 1978.

11. მინიშვილი მ., მოჭიქული ჭურჭელი ძველ საქართველოში IX–XIII სს. თბ., 1969.
12. სინაურიძე მ., აღმოსავლეთ საქართველოს ადრეფეოდალური ხანის კერამიკა, მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1966.
13. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 2, თბ., 2004.
14. ფიცხელაური კ., აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ. XV-VII სს.), თბ., 1973.
15. ღამბაშიძე გ., საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1973 წელს, „მეცნიერება", თბ., 1974.
16. ჭილაშვილი ლ., ნაქალაქარი ურბნისი, თბ., 1964.
17. ჭილაშვილი ლ., ძველი გავაზი, თბ., 1975.
18. ჯაფარიძე ვ., კერამიკული ნარმოება XI–XIII სს. საქართველოში, თბ., 1956.
19. Гайдукевич В., Раскопки Мирмикия в 1935-1938 гг. МИА. 25. М-Л. 1952.
20. Майсурадзе З., Грузинская художественная керамика. Тб.. 1954.
21. Шелковников Б., Художественная керамика Двинских раскопок. Ереван, 1940.
22. Чубинашвили Н., Зедазени. Кликис Джвари. Гвинара. ქართული ხელოვნება, N7. თბ., 1971.
23. Чубинашвили Г., Архитектура Кахетии. Тб.. 1959.
24. Чубинашвили Н.. Хандиси. Тб.. 1972.
25. Tchalenko G., Villages antiques de la Sirie du nord, 3 vols. Paris. 1953.

ტაბულების აღწერილობა

I. 1. რელიეფური დეკორით შემკული საფასადე ფილა; 2. სამხრეთი ფასადი; 3.ხედი ინტერიერიდან სამხრეთისაკენ გათხრამდე; 4. ხედი ინტერიერიდან სამხრეთისაკენ გათხრის შემდგომ; 5. ხედი ინტერიერიდან ჩრდილოეთისაკენ ეკლესიის გათხრამდე; 6. ხედი ინტერიერიდან ჩრდილოეთისაკენ გათხრის შემდგომ.

II. 1. ხედი ინტერიერიდან საკურთხევლისაკენ; 2. ინტერიერის ზედხედი ჩრდილოეთიდან; 3. ქვაჯვარი; 4. სავარაუდო ემბაზი; 5. ხედი საკურთხევლიდან გვიანდელი ნიშისაკენ; 6 სენაკის ნაშთი ეკლესიის მახლობლად, მამაწმინდის ეკლესიის ინტერიერის დეტალები.

III. ა. ეკლესიის ინტერიერის ზედა ფენაში მიკვლეული ხატის უღლები და ზარები; ბ. XII-XIV სს. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები; გ. VIII–IX სს. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

IV. 1. ეკლესიის გეგმა, ნ. ბახტაძის მიხედვით; 2. ჭრილი 1-1, ნ. ბახტაძის მიხედვით.

ტაბულა I




1



2




3



4



5



6


ტაბულა II



1



2



3



4




5




6


ტაბულა III



ა




ბ




გ

ტაბულა IV



I



ვალერი სილოგავა

ქვაბისმანის წარწერა უწვერული ყრმის და დედალი სახედრის მონასტერში არშეშვების შესახებ (X–XI სს.)

ახალგორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში (შიდა ქართლი) ინახება მუქი ნაცრისფერი ქვის, თითქმის კვადრატული ფორმის ფილა (ზომა: 25X27 სმ), რომლის შუაში, მთელ სიგრძე-სიგანეზე, მაღალი რელიეფით გამოკვეთილია ფართო ზოლებით შედგენილი, ტოლმკლავიანი, სადა ჯვარი. მართკუთხა ბუდეები ჯვრის მკლავებს შორის მთლიანად შევსებულია ამოკვეთით შესრულებული ასომთავრული წარწერით: ზედა მარცხენა ბუდეში, სადაც წარწერის ტექსტი იწყება და სადაც ამის ნიშნად *ქანწილია* დასმული – 4 სტრიქონი, ზედა მარჯვენაში – 4 სტრიქონი, ქვედა მარცხენაში – 6 და ქვედა მარჯვენაში – 4. როგორც ქვემოთ დავინახავთ, წარწერის სტრიქონებიც ასეთი თანმიმდევრობით იკითხება და მათი საერთო რაოდენობა 18-ია. წარწერის ასოები კიდურწერტილოვანია, მათი სიმაღლე მონაცვლეობს 1-2, 5-6 სმ. შორის. განკვეთილობის ნიშნებად დასმულია ორწერტილი, ხოლო ქარაგმის ნიშნებად ზის განივი, კიდურწერტილოვანი, სწორი ხაზი. მთლიანად ძეგლი და წარწერის დამწერლობა, პირველი ნახვისთანავე, არქაულის შთაბეჭდილებას ტოვებს და, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, ეს მართლაც ასეა.

პირველი ცნობა ამ წარწერიანი ფილის შესახებ ეკუთვნის გასული საუკუნის ერთ-ერთ ცნობილ მეცნიერ-მხარეთმცოდნეს, ისტორიკოსს და ეთნოგრაფს, პროფ. *სერგი მაკალათიას*. აი, რას წერს იგი 1964 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „ლეხურის ხეობა“:

„საკორინთლოს, ანუ ძველი რეხის აღმოსავლეთით არის მ ო ნ ა ს ტ ე რ ი ქ ვ ა ბ ი ს მ ა ნ ი. ვახუშტის აღწერითაც, „რეხის აღმოსავლეთით არს მონასტერი ქვაბისმანი“. დღეს ეს სახელი მივიწყებულია და მას *მონასტერს* უწოდებენ. გზა მიდის ლეხურის მარცხენა მხარეზე და მოუხვევს პატარა სოფელ მონასტერთან, რომელსაც მილისწყლის ღელე ჩამოუდის. ეს სოფელი ამ რამდენიმე წლის წინათ ქვაბისმანის მონასტრიდან აქ გადმოსახლებულა და მისთვისაც მონასტერი შეურქმევიათ. ქვაბისმანის მონასტერს ახლა ეძახიან ღვთისმშობელს.

მონასტერი ქვაბისმანი აშენებულია დავაკებაზე, მთლად ტყით არის დაფარული. ზედაც დიდრონი ხეებია ამოსული. ეკლესია ნაგებია რიყის ქვით, დულაბით. იგი ერთნავიანია, მაღალთაღოვანი და საკმაოდ დიდი მოცულობისა. მისი ფართობი უდრის 13X6,80 კვ. მ. ეკლესია ძველია, კარგად ნაგები და მიეკუთვნება X-XI საუკუნეებს... ეკლესიის აღმოსავლეთით საბეროა, სადაც მონასტრის ბერები ცხოვრობდნენ. იგი წინა მხრიდან ორსართულიანია, ნაგებია რიყის ქვით. ახლა დანგრეულია. მის უკან მიშენებულია საკმაოდ დიდი

დარბაზი, ფართობით 6X11 კვ. მ. ნაგებია რიყის ქვით, კედლები შეკრულია თაღიანი სალტეებით. გადახურვა ჩაქცეულია...

შიგ ტაძარში, ტრაპეზზე, აყუდია რუხი ფერის ქვაფიქალი, რომლის შუაში გამოსახულია ჯვარი, ორივე მხარეზე ასომთავრული წარწერით, დაყოფილი ორ-ორი წერტილით. წარწერა ფრაგმენტულია და ძნელად იკითხება" [12.42-43].


გარდა ბ-ნ სერგი მაკალათიას მიერ მოყვანილი ციტატისა, *ვახუშტი ბატონიშვილი* რეხის, ქვაბისმანის და მისი მიდამოების შესახებ შემდეგს გადმოგვცემს:

„სამთავისის ჩრდილოთ, ჭალას, შენობა დიდი სასახლეთა. ჭალის აღმოსავლით არს ციხე ცხვილოსისა, მთის ძირსა ზედა. და წარივლის მთა ესე ჩრდილოთ ზემეყურამდე და დასავლით უსანეთამდე, და არს ტყიანი და ნადირიანი. ჭალას ზეით არს დაბა რეხი, რომლისა გამო იწოდა მდინარე ესე. ამ რეხის აღმოსავლეთით არს მონასტერი ქუაბისმანი. ზის წინამძღუარი" [23.365:12-17]. მაშასადამე, ვახუშტი ბატონიშვილის დროს, ანუ XVIII ს-ის I ნახ-ში, ქვაბისმანის მონასტერი ჯერ კიდევ მოქმედი იყო და მას წინამძღვარი ჰყავდა.

ბ-ნ სერგი მაკალათიას ცნობების თითქმის მსგავს თანამედროვე ვითარებას გადმოგვცემს ამ ადგილების შესახებ ბ-ნი *კობა ხარაძე*:

„რეხასთან მდებარეობდა მონასტერი ქვაბისმანი, ახლა მას ღვთისმშობელს უწოდებენ. აქ არსებული ეკლესია X-XI საუკუნეებს მიეკუთვნება. თვით სახელი მონასტერი სოფლისთვის უწოდებიათ" [27.105].

საკუთრივ წარწერიანი ქვაჯვრის შესახებ, რომელიც ქვაბისმანის მონასტრის ეკლესიის ტრაპეზზე იყო შემოდგმული, ახალგორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ამჟამინდელმა დირექტორმა, ბ-მა *ვლადიმერ (ვალო) ღუნაშვილმა* შემდეგი ცნობები გადმომცა: 1959-1961 წლებში ახალგორის მუზეუმის დირექტორი ყოფილა *ვლადიმერ ხოცუაშვილი*. სწორედ მის დროს გადმოუტანიათ წარწერიანი ფილა მუზეუმში. ქვეყნის მასშტაბით სამუზეუმო საქმის რეორგანიზაციის შედეგად, როდესაც ახალგორის მუზეუმი შეუერთეს ცხინვალის მუზეუმს და მთელი ფონდები იქ გადაიტანეს, ვ. ხოცუაშვილს წარწერიანი ფილა ახალგორის სკოლა-ინტერნატის შენობაში გადაუტანია, სადაც თვითონ მუშაობდა ისტორიის მასწავლებლად; ხოლო 1981 წელს, როდესაც კვლავ აღდგა მუზეუმი ახალგორში, მისმა ახალმა დირექტორმა ვ. ღუნაშვილმა წარწერიანი ფილა კვლავ მუზეუმში დააბრუნა, სადაც ინახება დღესაც. აქვე მინდა მადლობა მოვახსენო ბ-ნ ვ. ღუნაშვილს ამ მეტად მნიშვნელოვანი წარწერიანი ფილის შესახებ ცნობების მოწოდებისათვის. მანვე გადმომცა წარწერის ახალი ფოტოები (სურ. 1). ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო, დღეს ძეგლის ადგილზე შესწავლა, ისევე, როგორც შიდა ქართლის სხვა ეკლესია-მონასტრებისა და მათი წარწერებისა, მეტად გართულებულია. წარწერის ძველი ფოტო, გადაღებული ჯერ კიდევ მუზეუმში მის გადატანამდე, მეც მქონდა (სურ. 2). მისი და ახალი ფოტოების შეჯერების შედეგად წარწერის შემდეგი ტექსტი დადგინდა:



ᵽ ᔑᓭ ᔨᒧᔑᓵ : ᑫᓭᵽ
ᔑᓷᒣ : ᒡᓴᔨ
ᓀᓐᘐ : ᘐᑋᕃ
ᔑᓐᑫᒪ : ᘐᑕᘁ

ᕿᓐᔑᑫᑕ : ᔑᓐᘁ
ᑫᔑᒡ : ᔨᔑᘐᓷᒣ
ᒪᔨᓐᔑ : ᘐᑕ
ᘁᑕᔑᔨᕿᓭᒡᑎᒡ
ᑫᑕ :

ᑫᔑᒣᒪ : ᘁᔨᓀ
ᓷᑫᑕ : ᑎᑫᓐᒪ
ᑫᑕ : ᑫᓐᕃᑕ : ᘐᑕ
ᒪᵽᔑᑕ : ᕊ : ᒪᕊᔨᑐ
ᓷᑫᑕ. ᕊᔑᔨ
ᕃᕊᓐᑫᑕ : ᕊ:

ᔑᓐᘁᔑᑫᑕ
ᑕᔑᘐᑎᑫᑕ
ᑫᑕᑫᕼᕃᑕ
ᔑᑫᑕᑫᓐᔑᓀ
ᑫᑕ :

ჩრ(ომელმა)ნ ყ(რ)მ(ა)ჲ უწ(უე)|რ(უ)ლი ს(ა)ყ(ო)|ფ(ა)დ დ(ა)ჲჭ(ი)|როს, მ(ე)||კ(ა)რ(ე)თა შ(ე)მ(ო)|უშ(უა)ს ჴრდ(ა)ლი|ს(ა)ჴ(ედა)რი, და|-მცა-შჯ[(ი) ლ(არ)ს || უ(ა)რისმყ(ო)ფ(ე)|ლთა ღ(მრ)თ(ი)სათა თ(ა)ნა. და|იწ(ე)რა ბ ებ(ის) კ(ო)პ(ო)|ზთა ბრძ(ა)ნ(ე)ბ(ი)თა; ბ || მ(ო)ძღ(უა)რთ|ა – ქ(უემ)ჯდ(ო)მ(ა)რ(ე) ს(ი)თა და ს(ა)ბ(აჲ)სი|თა.

წარწერის ტექსტი ტექნიკური ნიშნების გარეშე:

რომელმან ყრმაჲ უწუერული საყოფად დაჲჭიროს, მეკარეთა შემოუშუას ჴრდალი საჴედარი, და-მცა-შჯ[ილ-არს] უარისმყოფელთა ღმრთისათა თანა.

დაიწერა ბ ებისკოპოზთა ბრძანებითა; ბ მოძღუართა – ქუემჯდომარესითა და საბაჲსითა.

დღეს ფილის ზედა მარჯვენა კუთხე მოფშვნილია და წარწერის ტექსტი ამ ადგილას ნაკლულია, მაგრამ ძველ ფოტოზე იგი უეჭველად და გარკვევით იკითხება. ასევე, ახალმოტეხილია ფილის ქვედა მარჯვენა კუთხე, მაგრამ ამით აქ წარწერის ტექსტი არ დაზიანებულა.

წ ა რ წ ე რ ი ს ტ ე ქ ს ტ ი შინაარსით ეპიგრაფიკული საბუთია, საეკლესიო სამართლის ძეგლია – ორი ეპისკოპოსის და მონასტრის ორი მოძღვრის ბრძანებაა, რომ უწვერული ყრმა მონასტერში საყოფად არავინ გაიჩეროს და მეკარეებმა მონასტერში ჴრდალი სახედარი არ შეუშვან. *ჴრდალი* საბას განმარტებით, არის „ჭაკი ცხენი და ვირი“ [16.443]; ხოლო „ჭაკი, იგივეა, რაც ფაშატი“ (22.569), *ფაშატი* კიდევ ითქმის დედალ ცხენსა და ვირზე [22.443]. მაშასადამე, მეორე აკრძალვა შეეხება მონასტერში დედალი სახედრის, ანუ დედალი ვირის არშეშვებას.

იშვიათი სიტყვა *ჴრდალი* ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში აქა-იქ მაინც გვხვდება: 1) *საბას* დამოწმებით, ის მოიპოვება ქართული ბიბლიის იობის წიგნში, სადაც დასაწყისშივე ნათქვამია, რომ სხვა მრავალრიცხოვან საქონელს შორის, იობს ჰყავდა „ვირი ჴდალი მძოვარი ხუთას“ [15.100 – იობ.1,3]; 2) 458 წლის ამბების გადმოცემისას, ვახუშტი ბატონიშვილი წერს, რომ ვახტანგ გორგასალმა „წარსცა არმაღანად (ე.ი. საჩუქრად) დედის-ძმასა თჳსსა (ე.ი. ვარზა-ბაკურს) მონანი და საჴედარნი ცხენნი და ჴრდალნი ცხენნი ათას-ათასნი, და სპარსთა მეფესა მონანი და საჴედარნი ცხენნი და ჴრდალნი ცხენნი ათიათას-ათიათასნი, ჴელითა ბინაქარ ეპისკოპოსისა მათისათა და მოითხოვა ასული მისი ცოლად“ [23.104:13-17]. ახლა კი ეს „ჴრდალი“ დაფიქსირდა ქვაბისმანის წარწერაშიც, რომლის თანახმად აკრძალული იყო ამ მონასტერში უწვერული ყრმის დაყენება და დედალი სახედრის შეშვება.

რამდენად იყო მიღებული ქართულ მონასტრებში ეს აკრძალვები, ამის შესახებ განსხვავებული ცნობები მოიპოვება ქართული საეკლესიო სამართლის ძეგლებში.



„უწუერული ყრმის" შესახებ, რომელიც იგივე „ნორჩი ჭაბუკია", პეტრინონის მონასტრის ტიპიკონის (1083 წ.) ბერძნული ტექსტის მე-17 თავში ნათქვამია:

„ვიტყვი უფრო შესაფერისად – ამბობს გრიგოლ ბაკურიანისძე, როგორც ხშირად სკიტში მყოფი მამები შესანიშნავად აცხადებდნენ – ნუ შემოიყვანთ აქ ასაკით ნორჩ ჭაბუკებს: რამდენი ეკლესია მათგან წაიბილწა! მაგრამ არც ჩვენ შემდეგ რომ იქნებიან წინამძღვარნი და ხელქვეითნი, არ დავუტოვებთ ჩვენ ასეთებს საცთუნებლად, არც რაიმე საბაბით დავრთავთ ნებას შემოუშვან ასეთები, რომელნიც დასაგმობელნი არიან, არც გზას მივცემთ ბოროტებას" [17.195]. კიდევ ერთხელ უბრუნდება ამ საკითხს ტიპიკონის დამდგენი და წერს: „არ მსურს, რომ გათხოვილი ქალი შემოვიდეს ამ ჩემს ეკლესიაში ან მონასტერში – რაგინდ საბაბით იყოს ეს, არც ცოლიანი კაცი დასახლდეს მის საზღვრებში, ნურც ნორჩი ჭაბუკები, რათა ოდესმე რამე უსიამოვნება



არ ჩამოვარდეს, არამედ შორს სადმე სოფლებში და აგარაკებში იყვნენ" [17.217].

ამავე ტიპიკონის ქართული ვერსიის იმავე თავში იგივეა აღნიშნული:

„უასაკოთათჳს ჭაბუკთა არა ხოლო ჩუენგან, არამედ პირველთაგანცა წმიდათა მამათა დახრწეულ არს დასაბამითგან ყოფაჲ მათი მონასტერსა შინა, ვითარცა დასაბრკოლებელი საქმე... და, რაჲთა უჯეროვნესად ვთქუა, მსგავსად წმიდათა მათ მამათა სკიტელთა, ვითარმედ: ნუ შემოიყვანებთ აქა ყრმათა ჭაბუკთა, რამეთუ ოთხნი ეკლესიანი მათ მიერ აღოჭრდეს, და, ამისთჳს არა დაუტოებთ ჩუენ სახესა დაბრკოლებისასა მათთჳს, რომელნი-იგი შემდგომად ჩუენსა მომავალ არიან წინამძღუარნი" [26.98].

მეორეგან ტიპიკონის ქართულ რედაქციაში ამის შესახებ ნათქვამია:

„არა მნებავს უკუე რაჲთურთით შესლვაჲ დედაკაცისაჲ ეკლესიასა ჩემსა გინა მონასტერსა რაჲთაცა მიზეზითა, არც ცოლოსნისა კაცისა დამკჳდრებაჲ

საზღვართა მისთა, გინათუ მოყმისა ვისიმე უწუერულისაჲ, რაჲთა არასადა დასაბრკოლებელ იქმნას, არამედ კიდე ხოლო სოფელთა შინა და აგარათა იყვნენ“ [26.108].

ამ აკრძალვის დარღვევისათვის ტიპიკონის ორივე რედაქციაში დაწესებულია *განკანონება* [26.99].

ქართული მონასტრების კიდევ ერთ ტიპიკონში – „ვაჰანის ქუაბთა განგებაში“ (XIII ს-ის 30-იანი წლები) – კიდევ უფრო გამოკვეთილად, მკაცრად და არაორაზროვნადაა უწვერული ყრმის მონასტერში არშეშვების შესახებ აღნიშნული:

„ნუცა დიაკონი იზრდების მონასტერსა შინა, გინა უწუერული ყრმაჲ. ნუცა ვინ იკადრებს თკსსა ნათესავსა, გინა ძმასა, ანუ შვილსა უპასაკოსა და უწუერულსა შემოყვანად მონასტერსა შინა, ნუ რომლისა მიზეზისა მოღებითა.

ხოლო უკუეთუ ვინმე გლისპობდეს და შლიდეს წესსა მონასტრისასა და ჴელყოს განრყუნად მონასტრისა და გატეხად ტკპიკონისა და შემოიყვანის ყრმაჲ უპასაკოჲ და ერთიცა ღამე დააყოფიოს, გარეშე ყოვლისა ხუაიშნისა მეყსეულად მითურთ განიდევნოს მონასტრით და მოიკუეთოს ვითარცა ასოჲ დამპალი“ [8.75-76] – წერს ვანის ქვაბთა მონასტრის დამაარსებელი მხარგრძელი და იქვე აგრძელებს:

„კუალადცა მასვე დავამტკიცებ, ვითარმედ ყოვლად რაჲთურთით არავის ჴელწიფების უწუერულისა ყრმისა, გინა დიაკონისა შემოყვანად მონასტერსა ამას შინა საყოფად, გინათუ დიდებულისა შვილი იყოს ანუ აზნაურისა, არცა თუ ჩემისა სახლისა თუ იყოს... უწუერულისათჳს განვაწესებ, რაჲთა ყოვლადყოვლითურთ უვალ-იყოს მონასტერი ესე ესევითართა პირთაგან“ [8.76].

ქვაბისმანის მონასტრის წარწერის პირველი აკრძალვა თავისი ლექსიკითაც მსგავსია ვანისქვაბთა მონასტრის შესაბამისი ადგილისა – „უწუერული ყრმა“, „საყოფად“... და ეჭვი არ არის, რომ მის ტიპიკონშიც ის ასევე იქნებოდა ჩაწერილი, რომლის ძირითადი ნაწილი მონასტრის მესვეურებს ქვაზეც ამოუკვეთიათ.

რაც შეეხება წარწერაში დაფიქსირებულ მეორე აკრძალვას – ქვაბისმანის მონასტერში დედალი სახედრის არშეშვებას, აქ საქმის ვითარება სხვაგვარია. მართალია, ვანის ქვაბთა მონასტრის ტიპიკონში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი, სამაგიეროდ, პეტრიწონის ტიპიკონის ბერძნულ რედაქციაში აღნიშნულია, რომ გრიგოლ ბაკურიანისძემ მონასტერს შესწირა (თუ, დაუტოვა) „ცხენი ულაყი და ფაშატი მათი კვიცებითურთ, ორივე ას-ათი. ვირი მამალი და დედალი მათი მუტრუკებით, თხუთმეტი“ [17.247]. მათი მაინცდამაინც მონასტერში ყოფნა ტექსტიდან არ ჩანს – ეს მათი საკუთრება იყო და, ალბათ, ამოდენა ცხენი და სახედარი უფრო მონასტრის გარეთ ჰყავდათ (ტიპიკონის ქართულ რედაქციას ეს ადგილი აკლია). ასე რომ, აქ რაიმე აკრძალვას ფაშატი ცხენის ან დედალი ვირის მონასტერში არშეშვების შესახებ, რომლებიც მათ ასე მრავლად ჰყოლიათ, ადგილი არა აქვს, განსხვავებით ქვაბისმანის მონასტრისაგან.

მართალია, მონასტრების ტიპიკონებში დედალი საქონლის შემოყვანის შესახებ აკრძალვებზე არაფერია ნათქვამი, მაგრამ „პირუტყვქმნილობას“, ან პირუტყვთან დაცემას რომ ადგილი ჰქონდა, ამას ადასტურებს ის სასჯელები ასეთი ცოდვისათვის, რომლებიც, როგორც „დიდ სჯულისკანონში“, ისე განსაკუთრებით „მცირე სჯულისკანონში“ მრავლადაა წარმოდგენილი. ასე მაგ., „დიდ სჯულისკანონში“ შესული ანკვირიის კრების მე-16 კანონის თანახმად, „პირუტყვებთან პირუტყვქმნილი მამაკაცები და დედაკაცები, რომლებმაც ეს ცოდვა ჩაიდინეს ოცი წლის ასაკამდე, თხუთმეტი წელი შეუვრდებოდნენ და შემდეგ ეზიარონ ლოცვებს“ [6.25]. სხვადასხვა სასჯელია დაწესებული იმათთვის, ვინც ამ ცოდვას ოცი წლის, ან ორმოცდაათი წლის ასაკის შემდეგაც ჩაიდენს [6.26; 5.239]. წმ. ეფთვიმე მთაწმინდლის „მცირე სჯულისკანონში“ ის ჩამოთვლილია რვა ხორციელ ცოდვას შორის *(„ჴელითდაცემაჲ, სიძვაჲ, მრუშებაჲ, მამათმავლობაჲ, უჰასაკოჲსა განხრწნაჲ, პირუტყუთა თანა დაცემაჲ, ნათესავთა თანა აღრევაჲ, კაცის კლვაჲ“)* და არაერთგზისაა აღნიშნული ამ ცოდვისათვის დაწესებული სასჯელების შესახებ *მოციქულთა, ბასილი დიდისა* და *მეექვსე კრების კანონების* მიხედვით [11.29, 51, 115; 14.81, 93, 94, 97], კონსტანტინეპოლის მე-6 კრების 74-ე მუხლში კი ნათქვამია, რომ „ნუმცა ვის ჴელენიფების საჴედრისა ანუ სხჳსა პირუტყჳსა ეკლესიად შეყვანებად“ [5.70] და ა.შ.

ბაგისმანის წარწერის მიხედვით, ამ მეორე აკრძალვის შესრულება მონასტრის *მეკარეს* (თუ, მეკარეებს) ევალებოდა – მათ არ უნდა შეეშვათ მონასტერში დედალი სახედარი.

ცოტა სხვაგვარია მეკარის ფუნქცია ვანის ქვაბთა მონასტრის ტიპიკონის მიხედვით – „ხოლო მრავალმრონინეთა მათ და მიწყითთა მთხოველთა მეკარე განისტუმრებდეს“ [8.69] – ნათქვამია აქ; ე.ი. მონასტერში ხშირად მიმსელელ მოხეტიალეებს და მუდმივად (გაუთავებლად) მთხოვნელებს მეკარე გაისტუმრებდესო. ამის მიხედვით, ამ ტიპიკონის გამომცემელი ლ. მუსხელიშვილი განმარტავს: „*მეკარე* – კარის მცველი, ერთ-ერთი მეთვალყურე მოხელეთაგანი მონასტერში“ [8.108].

მეკარე ორგზის იხსენიება გიორგი მთაწმინდლის „იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრებაში“, რომელშიც, როგორც ცნობილია, ჩართულია ცალკეული ადგილები ათონის ქართველთა მონასტრის დისციპლინარული ტიპიკონიდან. კერძოდ, აქ ერთგან ნათქვამია, რომ „მეკარესა მონასტრისასა ყოვლადვე ფრთხილსა და სულიერსა კაცსა დაადგინებნ“ ეფთვიმე მთაწმინდელიო [4.43:95], ხოლო იქვე მეორეგან – მონასტერში „უცხონი თუ მოვიდიან, მესამესა დღესა შემდგომად ჭამისა ებრძანა (ეფთვიმე მთაწმინდელს), რაჲთა მეკარე უჯმნიდეს“, ე.ი. გაისტუმრებდესო.

სწორედ, „ვაჰანის ქვაბთა განგების“ და „იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრების“ ამ მონაცემების მიხედვით ასკვნიდა ი. ჯავახიშვილი, რომ *„მეკარეი მონასტრისაჲ*, როგორც მისი სახელითგანაც ჩანს, სავანის კარის მცველი იყო. მაგრამ მარტო მონასტრის კარის დაცვა კი არ ჰქონდა დაკისრებული, არამედ მონასტერში ყველას შეშვება და გარეთ გამოშვება მასზე იყო დამოკიდებული.

რაიმე საქმისათვის მომავალი ბერები, „მრონინენი მონაზონნი“, ხშირ სიარულს ჩვეული პირები, „მრავალ-მრონინენი“ იყვნენ ისინი, ვინც სავანის კარს მოადგებოდა და შიგ შესვლასა და მასპინძლობას მოინდომებდა, თუ „მიწყითნი მთხოველნი“, პროფესიული მათხოვრები იყვნენ, ეს უნდა მეკარეს გამოერკვია და ამისდა მიხედვით უნდა მოქცეულიყო“ [28.47].

ქვაბისმანის მონასტრის წარწერის მიხედვით, რომელიც, ვიმეორებ, ამ მონასტრის ტიპიკონის ერთ-ერთი აკრძალვის გადმომცემიც უნდა იყოს, მონასტრის მეკარეს სხვა კონკრეტული ფუნქციაც ჰქონია დაკისრებული – მონასტერში დედალი სახედრის არშეშვება.

წარწერის მიხედვით, სასჯელი ამ აკრძალვების დარღვევისათვის შემდეგია – „და-მცა-შჯილ არს უარისმყოფელთა ღმრთისათა თანა“. ღმრთის უარისმყოფელი, ცხადია, მონასტრის ძმობის წევრი ვერ იქნებოდა და იგი ისევე გაძევდებოდა მონასტრიდან, ანუ „მოიკვეთებოდა ვითარცა ასოჲ დამპალი“, როგორც ეს უწვერული ყრმის თავისთან გამჩერებლის (დამყენებლის) შესახებაა ვანის ქვაბთა მონასტრის ტიპიკონში ნათქვამი. თუმცა, პეტრინონის ტიპიკონში მსგავსი ქმედების სასჯელად „განკანონება“, ანუ ზოგადად „დასჯაა“ [26.57] დადგენილი, კონკრეტული სასჯელის მითითების გარეშე, რომელიც შეიძლება სულაც არ ყოფილიყო მაინცდამაინც მონასტრიდან გაძევება.

ერთი სიტყვით, ქვაბისმანის მონასტრის წარწერის მიხედვით აკრძალულია მონასტერში უწვერული ყრმის დაყენება, რაც მსგავსია ტიპიკონების შესაბამისი აკრძალვისა და, გარდა ამისა, ასევე აკრძალულია მონასტერში დედალი სახედრის შეშვება, რაც სხვაგან ტიპიკონებში არ დასტურდება.

წარწერის ტექსტში ნათქვამია, რომ ეს აკრძალვები დაიწერა ორი ეპისკოპოსის, სახელის აღუნიშნავად, და ორი მოძღვრის, რომელთა სახელებია *ქუემჯდომარე* და *საბა*, ბრძანებით. უცნაური სახელი *ქუემჯდომარე* სხვაგან არ დადასტურდა. ცხადია, ის *თავმჯდომარის* საწინააღმდეგო ცნებას გამოხატავს და, ჩანს, ამ სახელის მატარებლის უაღრესი თავმდაბლობის აღმნიშვნელია, თუ, საერთოდ, მისი ეპითეტი, მეორე შერქმეული სახელი არ არის.

მონასტერში *მოძღვრის* განსაკუთრებული დანიშნულების შესახებ წერდა ჯერ კიდევ ი. ჯავახიშვილი. მისი განმარტებით „მოძღვარი“ მეცნიერი ბერი იყო, რომელსაც მოწაფეები ჰყავდა და რომელთანაც სხვადასხვა მხრითგან მოდიოდნენ სასწავლებლად“ [28.50]. ამიტომ, განაგრძობს იგი, „მათ მონასტერში დიდი გავლენა ჰქონდათ და მათ აზრს ნებსით, თუ მათი ავტორიტეტის წყალობით უნებლიეთაც ყველანი ანგარიშს უწევდენ“ [28.51].

მონასტერში *მოძღვრის* კონკრეტული დანიშნულება ის იყო, რომ იგია „მასწავლებელი, დამრიგებელი, სულიერი მამა“, როგორც განმარტავს ლ. მუსხელიშვილი „ვაჰანის ქვაბთა განგებაში“ მრავალგზის დასახელებულ მოძღვართან დაკავშირებით [8.112]. უფრო მეტი, მისი დაკვირვებით, ამ ტიპიკონში „თითქმის უკლებლივ ყველგან მონასტრის წინამძღუარი იგულისხმება მოძღვრად“ [8.112]. ასეთი ვითარება იყო XIII ს-ის ერთი

მონასტრის ერთი წესდების მიხედვით. მაგრამ, XI ს-ში, რა დროითაც ქვაბისმანის წარწერა თარიღდება, მონასტერში წინამძღვრისა და მოძღვრის ფუნქციები მკაფიოდ იყო გამიჯნული – პირველი მონასტრის „მამასახლისი, მამა, მონასტრის გამგეა“ [4.155.26.225], ხოლო მეორე – „მასწავლებელი“ [2.286], მონასტრის სულიერი ცხოვრების ნარმმართველი და მეთვალყურე. ამიტომ, ბუნებრივია, რომ, ეპისკოპოსებთან ერთად, მოძღვრების მონაწილეობითაც დაიწერა ქვაბისმანის მონასტერში ცხოვრების წესის მარეგლამენტირებელი ბრძანება.

თუ ქვაბისმანის მონასტერს ორი მოძღვარი ჰყავდა, როგორც წარწერის ტექსტიდან ნათლად ჩანს, მაშინ ის (X-XI სს.) დიდი მონასტერი ყოფილა. რუის-ურბნისის საეკლესიო კრების (1105) ძეგლისწერის მიხედვით დადგენილია, რომ „დიდთა მონასტერთა შინა ორ-ორი, ხოლო მცირეთა შინა თითოჲ ხოლო კმა იყოს მოძღუარი“ [3.188].

სხვათა შორის, ანალოგიური დაკვირვება მოეპოვება ე. თაყაიშვილს მონასტრების წინამძღვრების შესახებაც. იგი წერს, რომ „საქართველოში მონასტრებს ზოგჯერ ორ-ორი წინამძღვარი ჰყავდათ ხოლმე და ორიდან ერთი მთავარ წინამძღვრად ითვლებოდა“ [9.91]. აღსანიშნავია, რომ ორ-ორი წინამძღვარი მონასტრებში სწორედ X–XI ს-ში გვხვდება (მაგ., პარხალში – იოვანე და გიორგი [9.91]; ოშკში – მიქაელ და იოვანე [9.52] და სხვ.), მსგავსად ორი მოძღვრისა ქვაბისმანის მონასტერში, სადაც წინამძღვარი, ალბათ, მაინც ერთი იყო.

ძნელია გადაჭრით ითქვას, თუ რომელი ეპარქიების მღვდელმთავრები შეიძლება იგულისხმებოდეს წარწერაში აღნიშნულ ორ ეპისკოპოსში – ქვაბისმანის მონასტრის ტერიტორია სხვადასხვა დროს შედიოდა მროველი, სამთავნელი და ნიქოზელი ეპისკოპოსების იურისდიქციაში. გვიანი შუა საუკუნეებისათვის ასეთი ცნობები ასე თუ ისე მაინც მოიპოვება, მაშინ, როდესაც ძნელია ამის განსაზღვრა X-XI საუკუნეებისათვის, რა დროითაც წარწერა თარიღდება. ერთი რამ შეიძლება ითქვას, რომ ამ დროს ნამდვილად არსებობდა სამიეე ეპარქია. ამ ორი ეპარქიიდან ერთ-ერთი ნამდვილად სამთავნელის სამწყსოა, რადგან, ჯერ ერთი, ეს ეპარქია დოკუმენტურად დასტურდება VI-VII სს-დან „ეპისტოლეთა წიგნის“ მიხედვით]7.161] და, მეორეც, ლეხურის ხეობა, სადაც ქვაბისმანის მონასტერი მდებარეობს, ყოველთვის სამთავნელის სამწყსო იყო. მართალია, მროველიც VI-VII სს-იდან დასტურდება და სამთავნელის გვერდითაა „ეპისტოლეთა წიგნში“ დასახელებული, მაგრამ ლეხურის ხეობა მისი სამწყსო არასოდეს ყოფილა.

ქვის ეს ფილა, ჯვრის გამოსახულებით და წარწერით, როდესაც პირველად დაფიქსირდა, ეკლესიის საკურთხეველზე იყო შემოდგმული. არ არის გამორიცხული, რომ ეს მისი თავდაპირველი მდებარეობის ადგილი იყო, რადგან: 1) ქვის ფილაზე გამოსახული ასეთი შთამბეჭდავი ჯვარი ეკლესიის სწორედ ყველაზე წმინდა ადგილას, ანუ საკურთხეველში, ტრაპეზზე იქნებოდა აღმართული და 2) წარწერის ტექსტში აღნიშნული აკრძალვების ერთ-ერთ გარანტად თვით ეკლესია და მისი საკურთხეველი იქნებოდა, რაც

ამ წარწერა-საბუთს მეტ იერიდიულ ძალას მატებდა. თუმცა, ძნელია იმის მტკიცებაც, რომ ეს წარწერიანი ქვის ფილა ათი საუკუნე ეკლესიის ტრაპეზზე იყო აღმართული და ის იქ არ შეიტანა, მონასტრის დანგრევის შემდეგ შესანახად, რომელიმე ბერმა ან სხვა ვინმემ ფილის კედლიდან გადმოვარდნის გამო.

ნ ა რ წ ე რ ი ს დ ა თ ა რ ი ღ ე ბ ა. წარწერას თარიღი არ უზის, მაგრამ ერთი გაცნობითვე აშკარაა მისი როგორც ლექსიკის, ისე პალეოგრაფიული ნიშნების არქაულობა. სხვა საშუალებათა არარსებობის გამო, წარწერა პალეოგრაფიულად უნდა დათარიღდეს. ქვემოთ შესადარებლად პარალელურ მასალას მოვიხმობ როგორც წარწერებიდან, ისე ხელნაწერებიდან.

Ⴑა – წარწერაში ის ორი მოხაზულობით გვხვდება – პირველია, განივ ხაზთან უშუალოდ მიერთებული მუცლით და მეორე – როდესაც ასოს მუცელი განივ ხაზთან შეერთებულია დაბალი ყელით. პირველი შემთხვევა საყოველთაოდ გავრცელებულია V-X სს-ში, ხოლო მეორე პირველად გვხვდება სვეტიცხოვლის გალავნის კარიბჭის მელქიზედეკ კათალიკოსისეულ საამშენებლო წარწერაში, რომელიც XI ს-ის დამდეგით თარიღდება [13.136], ხოლო უფრო გამოკვეთით და თანმიმდევრულად სამთავისის 1030 წ. დათარიღებულ წარწერებში [21.185]. ასეთი *ანი* დამახასიათებელია მხოლოდ XI ს-ის ლაპიდარული დამწერლობისათვის. XII ს-იდან *ანი* უკვე სხვა მოხაზულობისაა – ასოს დაგრძელებული ტანი ქვემოდან მომრგვალებულია, ხოლო მას ოდნავ მოცილებული განივი ხაზი მორკალულადაა ზემოდან „გადმომხობილი“ – თიღვის წარწერა 1152 წლისა [18.36-38; 20.443, სურ. 61,62]. ამდენად, *ანი* ქვაბისმანის წარწერაში წარმოდგენილი მოხაზულობით მხოლოდ X-XI სს-ით და უფრო XI ს-ით შეიძლება დათარიღდეს.

Ⴖბ – ექვსჯერ გვხვდება ქვაბისმანის წარწერაში და ყოველთვის მაღალი ტანისაა შედარებით ვიწრო და ბუნს მაღლა მიბმული თავით და მარჯვნივ გაზიდული ტრადიციული ქუსლით, რომელიც მსხვილი წერტილით ბოლოვდება. ასეთი წაგრძელებული *ბანი* არაა დამახასიათებელი V-X სს. წერილობითი ძეგლებისათვის – წარწერების ან ხელნაწერებისათვის [1. გვ. X-XI. განსაკუთრებით *შდრ.* ნიმუში 864 წლის სინური მრავალთავიდან – იქვე, სურ. 4], მაგრამ X-XI სს-ში მაინც გვაქვს ამის მაგალითები ატენის სიონის წარწერა-გრაფიტების, მომლოცველების, ანუ პილიგრიმული წარწერების სახით [24.208-220].

Ⴗგ – წარწერაში არ გვხვდება.

Ⴆდ – გადმოცემულია ორი მოხაზულობით: 1) განივ ხაზს ძალზე დაბალი ყელით, ან უშუალოდ ქვემოდან მიერთებული აქვს წრე, რაც ჩვეულებრივია ამ ასოს მოხაზულობისათვის V-X სს-ში და ცოტა მოგვიანებითაც და 2) ეს წრე ორ შემთხვევაში (ზემო მარჯვენა ბუდის მე-2 და მე-3 სტრიქონები) ქვემოთ წაწვეტებული და ოდნავ დაგრძელებული მოხაზულობისაა. პირველად ასეთი *დონი* დასტურდება ხცისის (1002 წ.) ბაგრატ მეფის წარწერაში [20. სურ. 19] და დამახასიათებელია XI ს-ისათვის (შდრ. ასეთივე მოხაზულობის *დონი* პატარა ონის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის XI ს-ის წარწერებში – 20. სურ. 26-28).

ვფიქრობ, საერთო ტენდენცია ქვაბისმანის წარწერის პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით X-XI სს. დათარიღებისათვის ნათელია, ამიტომ, ქვემოთ დამატებით შევჩერდები პალეოგრაფიულად ღირებული რამდენიმე ასოს შესახებ.

ϗ – წარწერაში გვხვდება ორჯერ, სიტყვაში „მეკარეთა“ და „ებისკოპოზთა“. ორივეჯერ ასოს მუცელს, წრეს მიერთებული მისი ზედა და ქვედა ხაზები მოხრილია და არასწორი, ვერტიკალური ფორმისა, როგორცაა ჩვეულებრივ წარმოდგენილი V-X სს. წარწერებშიც და ხელნაწერებშიც (1. გვ. X). ნიშანდობლივია, რომ *კანი* მოხრილი რკალების სახითაა გადმოცემული პატარა ონის წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის XI ს-ის საამშენებლო წარწერაში [20. სურ. 26, 27].

ϧრ – წარწერაში ყველაზე მეტად, 10-ჯერ გვხვდება და ყველა შემთხვევაში გადმოცემულია ასოს ბუნისათვის მარჯვენა მარყუჟის მაღლა, ტანის შუა ადგილზე უფრო მაღლა მიბმით. სწორედ ასეთი *რაებია* დამახასიათებელი უძველესი წერილობითი ძეგლებისათვის – დაწყებული ბოლნისის სიონის 493 წლის წარწერებიდან [19.69-70, იქვე ტაბულები] და დამთავრებული XI ს-ის 10-იანი წლების ნიკორწმინდის ტაძრის საამშენებლო წარწერით, სადაც ასეთი მოხაზულობის *რაე* ჯერ კიდევ გვხვდება, თანაც 10-ჯერ მაინც [20. სურ. 23, 24], ხოლო შემდეგ ეს მარყუჟი თანდათან დაბლა ჩამოდის, იმდენად, რომ XI ს-ის ანუხვის წარწერაში თითქმის ასოს ძირის დონეზეა [20. სურ. 35-37]; ასევეა ის გადმოცემული ქორეთის ეკლესიის (ზემო იმერეთი) 1000 წლის საამშენებლო წარწერაშიც [20. სურ. 14,15]. *რაე* მაღლა მიბმული მარყუჟით გვხვდება X-XI სს. მთელ რიგ ხელნაწერებში [29.ტაბ. 4:1, 5:8, 7:9, 9:11,12; 10:5].

ϯქ – ეს ასო, როგორც ცნობილია, წარწერებსა და ხელნაწერებში, როგორც წესი, დასტურდება ვერტიკალური ხაზისთვის შუაში ან ოდნავ მაღლა მოკლე განივი ხაზის დასმით. ბაგისმანის წარწერაში ის წარმოდგენილია ვერტიკალური ხაზის შუა ადგილის ქვემოთ და, საერთოდაც, სტრიქონს ქვემოთ მოკლე კიდურწერტილოვანი ხაზით. ეს ამ ასოს უჩვეულო მოხაზულობაა, მაგრამ მას შესანიშნავი ანალოგიები მოეპოვება ნიკორწმინდის ტაძრის XI ს-ის 10-იანი წლების საამშენებლო წარწერაში – აქ ორჯერ, ძირითად ტექსტში (სიტყვა „ქართველთა“) და მაცხოვრის გამოსახულების განმარტებით წარწერაში („იესუქრისტე“) *ქანი* გადმოცემულია ზუსტადისეთივემოხაზულობით, როგორითაც ქვაბისმანის წარწერაშია [20. სურ. 24], რაც ამ უკანასკნელის X-XI სს. დათარიღების კიდევ ერთი არგუმენტია. *ქანი* დაბლა ჩამოწეული განივი ხაზით დასტურდება X-XI სს. ხელნაწერებში [29.1:7,9; 3:6; 6:10].

β – მეტად დამახასიათებელია წარწერის დასაწყისში დასმული *ქანწილის* მოხაზულობა. წარწერის ორი სტრიქონის სიმაღლეზე ძალზეჩამოგრძელებულ ვერტიკალურ ხაზს მაღლა, თავის პატარა მარყუჟის ოდნავ ქვემოთ დასმული აქვს მოკლე განივი ხაზი. ასეთი ნაგრძელებული *ქანწილები* და, საერთოდ, *წილები* დამახასიათებელია ადრეული ხელნაწერებისათვის; მაგ., მსგავსი *ქანწილი* გვხვდება X ს-ის ბოლო მეოთხედით დათარიღებულ მიქაელ

მოდრეკილის იადგარის ხელნაწერში [29. ტაბ. 34], XI ს-ის დასასრულის სვინაქსარში [29. ტაბ. 36]; XI ს-ის ორი ასეთი ქანწილის შესანიშნავი ნიმუში მოყვანილი ჰყავს რ.შმერლინგს [29. 5:2] და სხვა.

მაშასადამე:

1) შიდა ქართლში, ლეხურის ხეობაში, ქვაბისმანის მონასტრის რელიეფური ჯვრისგამოსახულებიან ქვის ფილაზე ამოკვეთილი წარწერა თავისი შინაარსით ეპიგრაფიკული საბუთია – ორი ეპისკოპოსის და მონასტრის ორი მოძღვრის ბრძანებაა მონასტერში უწვერული ყრმის და დედალი სახედრის არშეშვების შესახებ.

2) ბრძანების პირველი ნაწილი მონასტრების ტიპიკონებში სხვაგანაც დასტურდება და ჩვეულებრივი აკრძალვაა, ხოლო მეორე აკრძალვა მხოლოდ ამ წარწერაში გვხვდება.

3) წარწერა როგორც თავისი ლექსიკით და ორთოგრაფიით („ჴრდალი", „ებისკოპოზი"...), ისე პალეოგრაფიული ნიშნებით, არქაულია და X-XI სს-ით თარიღდება.[1]

Valeri Silogava

Kvabismani Inscription on Forbidding a Beardless Youth and a She-Donkey to Enter the Monastery (10th -11th cc.)

Summary

Almost a square-shaped flat stone tile (25-27cm) discovered in Kvabismani Monastery, Lekhura gorge, is kept at the Akhalgori Museum (Shida Kartli). The whole surface of the stone is covered with a square-shaped relief representation of a cross with a rectangular stripe. The spaces between the arms of the cross are filled with 18 short lines of the text carved in capital letter (Asomtavruli) inscription. On the basis of paleographic signs, it was dated to 10th -11th cc.

The text of the inscription reads, " Whoever (inside the monastery) lets a beardless youth stand beside him, (or) the (monastery) guard who lets a she-donkey enter the monastery, must be punished like those who deny God.

(This) was written by the order of two bishops and two confessors – Quemjdomare and Saba."

[1] არსებობს ამ წარწერის ორი პუბლიკაცია: *გ. ოთხმეზური*, ტიპიკონის ერთი მუხლი ეპიგრაფიკული ძეგლის მიხედვით, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის II საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია „შალვა ნუცუბიძე – 120", თბ., 2008, გვ. 263; იგივე, *ისტორიანი*, სამეცნიერო კრებული, მიძღვნილი *როინ მეტრეველის* დაბადების 70 წლისთავისადმი, თბ., 2009, გვ.510-520. პირველში გამოცემულია ნაკლული ტექსტის მოკლე შინაარსი და წარწერა დათარიღებულია XV ს-ით; მეორეში – ნაკლული ტექსტი სტრიქონების არევით, ხოლო წარწერა დათარიღებულია XVII ს-ით.

This inscription is an epigraphic document. It is an order of two bishops and two confessors of the monastery. According to this order a beardless youth and a she-donkey were not permitted to enter the monastery. The parallels of this order are found in the typicon and in the ecclesiastical law books – "Great Nomocanon" and "Small Nomocanon", and also in the 19th century hagiographic writing - " The Life of Ioanne and Ephtvime" by Giorgi Mtatsmindeli.

"The Life of Ioanne and Ephtvime" by Giorgi Mtatsmindeli is a very important monument for studying the monastic life in the Middle Ages.

ლიტერატურა – REFERENCES

1. *აბულაძე ი.*, ქართული წერის ნიმუშები. პალეოგრაფიული ალბომი, მეორე შევსებული გამოცემა, თბ., 1973.
2. *აბულაძე ი.*, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1973.
3. *გაბიძაშვილი ე.*, რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა (ფილოლოგიურ-ტექნოლოგიური გამოკვლევა), თბ., 1978.
4. *გიორგი მთაწმიდელი*, ცხორებაი იოვანესი და ეფთჳმესი. გამოსაცემად მოამზადა *ივ. ჯავახიშვილმა*, თბ., 1946.
5. დიდი სჯულისკანონი. გამოსაცემად მოამზადეს *ე. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ*, თბ., 1975.
6. დიდი სჯულისკანონი, თბ., 2004.
7. ეპისტოლეთა წიგნი. სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებით გამოსცა *ზაზა ალექსიძემ*, თბ., 1968.
8. ვაჰანის ქვაბთა განგება (XIII ს.), გამოსცა *ლ. მუსხელიშვილმა*, ტფ., 1939.
9. *თაყაიშვილი ე.*, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბ., 1960.
10. ივირონის აქტები, I, დაარსებიდან XI საუკუნის შუა წლებამდე, დიპლომატიკური გამოცემა. ჟაკ ლეფორი, ნიკოლაოს იკონომიდისი, დენიზ პაპახრისანთუ, ელენე მეტრეველის თანაავტორობით, თბ., 2008.
11. *იოანე მონა ზონი*, მცირე სჯულისკანონი (შეცოდებულთა კანონები). ბერძნულიდან თარგმნა, ძველქართულ, სლავურ და ლათინურ ტექსტებს შეუჯერა და ქოლიოები დაურთო *ედიშერ ჭელიძემ*, თბ., 2003.
12. *მაკალათია ს.*, ლეხურის ხეობა, თბ., 1964.
13. *მუსხელიშვილი ლ.*, მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის უძველესი წარწერები და მათი დამოკიდებულება მელქიზედეკ კათალიკოსის ანდერძთან, *ქართული ხელოვნება* (*Ars Georgica*), I, თბ., 1962.
14. მცირე სჯულისკანონი. გამოსაცემად მოამზადა *ელგუჯა გიუნაშვილმა*, თბ., 1972.
15. მცხეთური ხელნაწერი (ტობის, ივდითის, ესთერის, იობის წიგნები, ფსალმუნი, იგავთა წიგნი). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო *ელ. დოჩანაშვილმა*, თბ., 1983.
16. *ს.-ს. ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, II. ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო *ილია აბულაძემ*, თბ., 1993.

17. პეტრინონისწესდება, *გეორგიკა*, ბიზანტიელიმწერლებისცნობებისაქართველოს შესახებ, ტომი მეხუთე. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო *სიმონ ყაუხჩიშვილმა*, თბ., 1963.
18. *რჩეულიშვილი ლ.*, თიღვა, შარვანის დედოფლის თამარის აღმშენებლობა (ნარკვევი XII ს. ქართული ხუროთმოძღვრებიდან), თბ., 1960.
19. *სილოგავა ვ.*, ბოლნისის უძველესი ქართული წარწერები, თბ., 1994.
20. *სილოგავა ვ.*, ქართული ეპიგრაფიკული დამწერლობის ისტორიიდან, 1. კიდურწაისრული დამწერლობა, *მრავალთავი*, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, XXI, თბ., 2005, გვ. 434-479.
21. *სოხაშვილი გ.*, სამთავისის ტაძარი (ძეგლის ისტორია ეპიგრაფიკული მასალის შუქზე), *მაცნე*, 3, 1968, გვ. 178-199.
22. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, მთავარი რედაქტორი *არნ. ჩიქობავა*, თბ., 1986.
23. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, *ბატონიშვილი ვახუშტი*, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით *ს. ყაუხჩიშვილის* მიერ, თბ., 1973.
24. ქართული წარწერების კორპუსი, I, ლაპიდარული წარწერები, I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა *ნ. შოშიაშვილმა*, თბ., 1980.
25. ქართული წარწერების კორპუსი, II, დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. I (IX-XIII სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა *ვალერი სილოგავამ*, თბ., 1980.
26. *შანიძე ა.*, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, ტიპიკონის ქართული რედაქცია, თბ., 1971.
27. *ხარაძე კ.*, საქართველოს ისტორიული გეოგრაფია, შიდა ქართლი, თბ., 1992.
28. *ჯავახიშვილი ი.*, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, თხზ., ტომი VII, თბ., 1984.
29. *Шмерлинг Р.*, Художественное оформление грузинской рукописной книги IX-XI вв., Тб.. 1979.

ნანა გელაშვილი

სამხედრო-ფეოდალური მმართველობის – შიოგუნატის ფორმირება იაპონიაში

გამორჩეული და განსაკუთრებული გეოგრაფიულ-ბუნებრივი პირობების გამო იაპონია უაღრესად თვითმყოფად, ზოგ შემთხვევაში უნიკალური მახასიათებლების მქონე ქვეყნად ჩამოყალიბდა. ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი ამ მიმართებით მისი კუნძულოვანი იზოლირებულობაა, რაც საუკუნეთა მანძილზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა იაპონიის პოლიტიკურ-ისტორიულ, ეკონომიკურ, კულტურულ განვითარებაზე და არქიპელაგის მოსახლეობის ცხოვრების წესზე მთლიანად.

ისტორიული განვითარების მანძილზე იაპონიაში არაერთი საინტერესო ფენომენი ჩამოყალიბდა, რომელიც მხოლოდ მისი რეალობისთვის იყო დამახასიათებელი. ამ კუთხით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს იაპონიაში XII საუკუნის მიწურულს წარმოქმნილი სამხედრო-ფეოდალური მმართველობის ახალი სისტემა შიოგუნატის სახელწოდებით (იაპონურად შიოგუნ ნიშნავს „დიდ მთავარსარდალს“).

თუ რამ განაპირობა შიოგუნატის წარმოქმნა იაპონიაში მეორე ხელისუფლების სახით, სადაც უძველესი დროიდან ერთპიროვნული მმართველი იმპერატორი იყო, ამის გასაგებად აუცილებელია მოკლე ისტორიული წიაღსვლის გაკეთება. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ X-XII საუკუნეები ფრიად მნიშვნელოვან პერიოდს წარმოადგენს იაპონიის ისტორიაში. ამ პერიოდში ცალკეულ პროვინციათა სეპარატისტულმა ტენდენციებმა უაღრესად ინტენსიური სახე მიიღო, რაც განპირობებული იყო პერიფერიებში ფეოდალურ საგვარეულოთა გაძლიერებით. ხსენებულ მოვლენათა ეკონომიკურ საფუძველს წარმოადგენდა იაპონიაში იმ ხანად გაბატონებული ფეოდალური მამულების თავისებური სახეობის – შიოენების არსებობა, რომელიც ქვეყნის მთელი მიწის ფონდის 90%-ს მოიცავდა [6,27]. ამგვარი მამული კარჩაკეტილ, იზოლირებულ ნატურალურ მეურნეობას წარმოადგენდა, რომელიც თითქმის სრულად აკმაყოფილებდა მისი მფლობელის ყველა მოთხოვნას. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ადგილობრივ ფეოდალთა ხელში მრავალრიცხოვანი სამხედრო რაზმების კონცენტრაცია, რომლებიც სამურაების სახით ჩამოყალიბდნენ. ტერმინი „სამურაი“ მომდინარეობს იაპონური ზმნიდან „სამურაი“, რაც ნიშნავს – სამსახურს, ემსახურო ბატონს. აქედან გამომდინარე, იაპონიაში სამურაის უწოდებდნენ გამოჩენილი პირის ან დიდი ფეოდალის სამხედრო მოსამსახურეს [2,105]. მართალია, სამურაები გლეხთა ფენიდან იყვნენ გამოსულნი, მაგრამ დროთა ვითარებაში მათი გარკვეული ნაწილი თავად ხდებოდა გავლენიანი ფეოდალი და ექსპლოატაციას უწევდა

თავის უწინდელ თანამოძმეებს – გლეხებს. სამურაის მთავარი საქმიანობა მისი ბატონის (რომლის სამსახურშიც ის იყო) ინტერესების დაცვა იყო ბრძოლაში თუ ომში. ამდენად, რაც უფრო ხშირი იყო ქვეყანაში სამხედრო დაპირისპირება ფეოდალურ საგვარეულოებს შორის, ამის ნაკლებობა კი ნამდვილად არ იყო, მით უფრო მეტად იგრძნობოდა სამურაების საჭიროებაც. სამურაების ქცევის ნორმები თავმოყრილი იყო მორალურ-ეთიკური ნორმების კრებულში „ბუშიდო". ეს სიტყვა სამი იეროგლიფისგან შედგება: ბუ ნიშნავს „შუბის შეჩერებას"; ში – მეომარს, კეთილშობილი ადამიანი, ანუ ბუში – ეს არის ადამიანი, რომელსაც ძალუძს შეინარჩუნოს მშვიდობა როგორც ხელოვნებით, ისე საომარი საშუალებით; დო ნიშნავს გზას [9,10].

ამრიგად, შიოენის და სამურაების ერთგული რაზმების მფლობელ მსხვილ ფეოდალს სულაც სჭირდებოდა ძლიერი ცენტრალიზებული ხელისუფლება და ყველა დონეს მიმართავდა, რათა არ დამორჩილებოდა მას, მით უმეტეს, რომ ეკონომიკური სიძლიერე ფეოდალებს ცენტრალური ხელისუფლების იგნორირების საშუალებასაც კი აძლევდა. შექმნილ ვითარებაში პროვინციებში თანდათან გამოიკვეთა ძლიერი ფეოდალური საგვარეულოები, რომლებმაც ბრძოლა გააჩაღეს ხელისუფლებაში პირველობის მოსაპოვებლად. პირველი ყველაზე მძლავრი შეიარაღებული გამოსვლა იყო 937 წელს – ტაირას ფეოდალური გვარის მიერ ორგანიზებული ამბოხება მასაკადოს მეთაურობით. მოგვიანებით, 1056-1064 წწ. წარმოებულ ბრძოლების შედეგად ტაირამ დაამარცხა იმ პერიოდის იაპონიის ყველაზე გავლენიანი ფუძივარას გვარი [6,27]. საბოლოოდ, XII საუკუნის შუა ხანებიდან ერთმანეთის პირისპირ ორი საგვარეულო აღმოჩნდა – ტაირა და მინამოტო, ამ საომარი დაპირისპირების დამასრულებელ სტადიას 1180-1185 წწ. წარმოადგენდა. გადამწყვეტი ბრძოლა 1185 წლის გაზაფხულზე მოხდა დანოურთან (დღევანდელი სიმონოსეკის ახლოს), რომელიც მინამოტოს გამარჯვებით დასრულდა [7,206-207; 14,83]. ამ ბრძოლებში თავი ისახელა იორიტომომ (1147-1199), რომელიც მალე მინამოტოს გვარის ლიდერად იქცა. იორიტომო 13 წლის ასაკში დაობლდა, მაგრამ ერთგული გარემოცვისა და ნათესავების, ასევე დიდი სამხედრო ნიჭის წყალობით, მისი პოლიტიკური პოზიციები სულ უფრო მტკიცდებოდა. კანტოს რაიონთან სიახლოვემ, ანუ იმ ადგილთან, სადაც მინამოტოს გვარს დიდი ხნის და მყარი მხარდაჭერა ჰქონდა, იორიტომოს მომავალი ბედ-იღბალი განსაზღვრა. კიდევ ერთ, არანაკლებ მნიშვნელოვან ფაქორად იქცა 1177 წელს იორიტომოს დაქორწინება გავლენიანი საგვარეულოს მეთაურის – ჰოძიო ტოკიმასას ქალიშვილზე, მასაკოზე. ხელისუფლების სათავეში მოსვლამდე, იორიტომ საბოლოო სერიოზული დაბრკოლება გადალახა: 1189 წელს მან, ათასი მეომრის თანხლებით, საიმპერატორო კართან დაახლოებულ ფუძივარას გვარის წინააღმდეგ ილაშქრა და ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა; მისი მოლაშქრეები ფუძივარას სამფლობელოს დედაქალაქში – ჰირაუძიმში შეიჭრნენ და ააოხრეს, ხოლო ფუძივარას კუთვნილი პროვინციები მუცუ და დევა იორიტომოს მფლობელობაში გადავიდა [7,225].

შექმნილი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, 1192 წელს იმპერატორმა მინამოტო იორიტომოს შიოგუნის წოდება მიანიჭა. შიოგუნატის სისტემის დაარსებით (რითაც ადრინდელი შუა საუკუნეებიდან განვითარებულ შუა საუკუნეების სტადიაში გადასვლის პროცესი დაიწყო) იაპონიის ფეოდალური სახელმწიფოს პოლიტიკურმა ფორმებმა დასრულებული სახე მიიღეს. მმართველობის ახალი სისტემა წარმოადგენდა პოლიტიკურად, ეკონომიკურად და სამხედრო თვალსაზრისით უძლიერესი ფეოდალური სახლის – მინამოტოს სამხედრო-ფეოდალურ დიქტატურას, რომლის მთავარი საყრდენი ძალა სამურაების ფენა იყო. შიოგუნატის წარმოქმნა ნიშნავდა მინამოტოს ფეოდალური სახლის ოფიციალურად აღიარებას და მისი უზენაესი ძალაუფლების გავრცელებას მთელი ქვეყნის მასშტაბით. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მინამოტოს მიზანი წარმატებით იქნა მიღწეული, რაშიც ლომის წილი სამურაებს მიუძღოდათ. ამიტომაც იყო, რომ ისინი თანდათან მმართველ ფენად იქცნენ და დომინანტური პოზიცია დაიმკვიდრეს ქვეყნის პოლიტიკურ თუ სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში [2,105].

ახალი ხელისუფლების დედაქალაქად კამაკურა გამოცხადდა – ტოკიოსთან ახლოს, კანტოს რაიონში მდებარე ქალაქი. მართალია, საიმპერატორო კარის დედაქალაქად და ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრად ჰეიანი (დღევანდელი კიოტო) რჩებოდა, მაგრამ ახალი დედაქალაქის დაარსებით მინამოტო იორიტომო მიზნად ისახავდა იმპერატორის პოლიტიკური ძალაუფლების შესუსტებას და მისგან დამოუკიდებელი ხელისუფლების შექმნას. იმავდროულად, იორიტომო არ აპირებდა საიმპერატორო ხელისუფლების ლიკვიდაციას. სახელისუფლო სტრუქტურების ამგვარი გაორება იმ რთული პროცესებით იყო განპირობებული, რაც იმჟამინდელ იაპონურ საზოგადოებაში მიმდინარეობდა. უპირველეს ყოვლისა, ახალი ხელისუფლება კარგად აცნობიერებდა, რომ მონარქია ფეოდალური წყობილების და მისი ყველა პოლიტიკური დაჯგუფების იდეოლოგიურ ერთიანობას უზრუნველყოფდა [11,81-85]. მართალია, იორიტომომ იმპერატორისგან შიოგუნის ტიტული მიიღო, მაგრამ მას კიდევ უფრო მეტი ამბიცია ამოძრავებდა. კერძოდ, მისთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო საიმპერატორო კარის იერარქიულ სისტემაში მოქცევა და ამის საფუძველზე, სახელმწიფოში ლეგიტიმურ თანამმართველად გახდომა. 1195 წელს იორიტომომ მოახერხა, რომ თავისი ქალიშვილი იმპერატორ გოტობას (1180-1239) მიათხოვა, მაგრამ მისი ოცნებები განუხორციელებელი დარჩა ქალიშვილის ნაადრევი გარდაცვალების გამო [7,128].

როგორც ზემოთ აღინიშნა, ახალი ხელისუფლების ანუ ბაკუფუს დედაქალაქი კამაკურა გახდა. მისი ადგილმდებარეობა მარჯვედ იყო შერჩეული მტრისაგან თავდასაცავად: სამი მხრიდან მაღალი მთები, მეოთხე მხრიდან კი ზღვა ესაზღვრებოდა. თითქმის 150 წლის მანძილზე კამაკურა შიოგუნთა პირველი დინასტიის – მინამოტოს საგვარეულოს სატახტო ქალაქს წარმოადგენდა (1192-1333) და ის ხანა იაპონიის ისტორიაში „კამაკურას პერიოდის" სახელითაა ცნობილი. 1333 წელს გამწვავებული ფეოდალური შინაომის ქარ-

ცეცხლში ქალაქი დაინვა და ამით დასრულდა კამაკურას და პირველი შიოგუნატის პერიოდიც [1,59]. თავდაპირველად კამაკურა პატარა სოფელი იყო, სადაც მინამოტოს საგვარეულომ ომის ღმერთის – ჰატიმანის სასახლე ააგო, რომელსაც პატივი მიეგებოდა, როგორც მინამოტოს გვარის მფარველ ღვთაებას; შემდეგ იორიტომოს მამამ – იოშიტომომ საგვარეულო ტაძართან ახლოს სასახლე აიშენა, 1180 წელს კი იორიტომომ გადაწყვიტა იქვე დაეფუძნებინა სამხედრო სადგომი (ბაკუფუ), ამიტომაც იქ ინტენსიური აღმშენებლობა გააჩაღა: ააგო ახალი ტაძარი, სასახლე, გზები გაიყვანა და ა.შ. საბოლოოდ, როგორც ზემოთ ითქვა, შიოგუნად გახდომის შემდეგ იოროტომომ კამაკურა სატახტო ქალაქად გამოაცხადა. კამაკურა საკმაოდ კეთილმოწყობილ ქალაქად იქცა, რომელშიც საგანგებო რაიონები სამურაებისთვის იყო განკუთვნილი, გარკვეული რაიონები კი – უბრალო ხალხისთვის. დიდი იყო მისი მნიშვნელობა ასევე, როგორც საზღვაო პორტისა, სადაც მუდამ ასობით სავაჭრო ხომალდი იდგა. ამ მიმართებით კამაკურა კონკურენციას უწევდა ისეთ დიდ სავაჭრო-ეკონომიკურ ცენტრებს, როგორიც იყო ნანივა (დღევანდელი ოსაკა) და ჰაკატა (დღევანდელი ფუკუოკა). გამომდინარე იქიდან, რომ კამაკურა თავისი პოლიტიკური დატვირთვით სამხედრო მმართველობას უკავშირდებოდა, მისი უდიდესი ნაწილი სპორტულ მოედნებს და სტადიონებს ეკავა, სადაც სამურაები ყოველდღიურად ვარჯიშობდნენ ცხენოსნობაში, მშვილდოსნობაში, ფარიკაობაში, ჭიდაობაში და სხვა., რათა მუდამ საბრძოლო მზადყოფნის სათანადო დონეზე ყოფილიყვნენ [5,421].

კამაკურაზე საუბრისას შეუძლებელია გვერდი ავუაროთ მის ისტორიულ ძეგლებს და ნაგებობებს. კამაკურა საერთოდ ტაძრების სიმრავლით გამოირჩევა, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ჰატიმანის შინტოისტური ტაძარი, რომელშიც სამურაების უძვირფასესი აღჭურვილობაა შემონახული; ასევე ბუდისტური ტაძრები, რომელთა რაოდენობა იქ 70-ს აღწევდა. ეს იმით აიხსნება, რომ კამაკურას პერიოდში იაპონიაში ბუდიზმის რამდენიმე მიმდინარეობა გავრცელდა, რომელთა შორის წამყვანი ადგილი ძენ-ბუდიზმს და ნიჩირენს ეჭირა, მათი მიმდევრები უმთავრესად სამურაები იყვნენ. კამაკურაში არსებულ ბუდისტურ გამოსახულებათა შორის ყველაზე მეტად გამორჩეული და ცნობილია 1252 წელს ბრინჯაოში ჩამოსხმული მჯდომარე ბუდას უზარმაზარი ქანდაკება, რომელიც ამაყად გადმოჰყურებს მთელ ქალაქს [1,61-62; 10,352]. დღესდღეობით კამაკურა არა მხოლოდ შესანიშნავი ისტორიული ძეგლებით იზიდავს მნახველებს, ისე მეტად პოპულარული საზღვაო კურორტი და დასასვენებელი ადგილია, განსაკუთრებით ელიტარული საზოგადოებისათვის.

ამრიგად, XII საუკუნის მიწურილიდან იაპონიაში ორი პოლიტიკური და კულტურული ცენტრი არსებობდა: ჰეიანი (დღევანდელი კიოტო), სადაც საიმპერატორო რეზიდენცია იყო და კამაკურა – შიოგუნთა დედაქალაქი. ამ გარემოებამ მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა ქვეყნის შემდგომი ისტორიული განვითარების სპეციფიკა ყველა სფეროში. მართალია, ჰეიანის ძველი არისტოკრატია თავის ავტორიტეტს პოლიტიკურთან ერთად, კულტურის

სფეროშიც ინარჩუნებდა, მაგრამ სულ უფრო ხელშესახები ხდებოდა თვისობრივად ახალი კულტურის ჩამოყალიბება, რომელიც ხალხური ელემენტებით იყო გაჯერებული. ეს, უპირველეს ყოვლისა, განპირობებული იყო სამურაების ფენის აღზევებით და გაძლიერებით, რომელნიც უბრალო ხალხთა მასიდან, უმთავრესად გლეხობიდან იყვნენ გამოსულნი. ცხადია, თავდაპირველად მათ საიმისო ძალა არ შესწევდათ, რომ თავიანთი დამოუკიდებელი კულტურა შეექმნათ, ამიტომაც იძულებულნი იყვნენ ქედი მოეხარათ გაბატონებული არისტოკრატიული კულტურის წინაშე და გაეთავისებინათ ის. თანდათანობით, პოლიტიკურ ძალთა გადანაწილების შესაბამისად, კულტურის სფეროში ორი ძალა შეეჯახა ერთმანეთს: ძველი, ტრადიციული კულტურა და ახალი, ამომავალი კულტურა. ამასთან, ნათლად გამოიკვეთა, რომ კულტურული განვითარების ტენდენცია იმ პერიოდის იაპონიაში ახალი კულტურის პოზიციების განმტკიცებისა და ძველის დასუსტებისათვის იყო მიმართული [8,97-98].

შიოგუნატის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული სისტემა შემდეგ უმთავრეს კომპონენტებს მოიცავდა: 1. სამურაების საქმეთა სამმართველო, რომელიც სამხედრო და პოლიციურ ფუნქციებთან ერთად, მინამოტოს ვასალების – გოკენინების (ანუ მაღალი სტატუსის სამურაების) საქმეებს განაგებდა; 2. იურიდიული უწყება, რომელიც სასამართლო საქმეებს ხელმძღვანელობდა; 3. უწყება, რომელიც პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ საკითხებს წყვეტდა (იაპ. - მანდოკორო). თანდათანობით ერთი საგვარეულო კლანის ამ უწყებებმა სულ უფრო ფართო, სახელმწიფოებრივი მასშტაბებით დაიწყეს საქმიანობა [7,228]. ქვეყნის ყველა პროვინციაში, მინამოტოს დაახლოებულთა რიგებიდან, სამხედრო გუბერნატორები (იაპ. შიუგო) დაინიშნა. მათი მთავარი მოვალეობა იყო კამაკურას რეჟიმის წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი გამოხდომის თავიდან აცილება და ჩახშობა. გუბერნატორები აკონტროლებდნენ, თუ როგორ ასრულებდა მოსახლეობა სამხედრო ვალდებულებას, ასევე ახორციელებდნენ პოლიციურ და სასამართლო ფუნქციებს, ხელმძღვანელობდნენ გარნიზონებს. გარდა ამისა, ყველა მამულში, რომელიც ფეოდალებს ეკუთვნოდა, გამუდმებით იმყოფებოდნენ მთავრობის საგანგებო წარმომადგენლები (იაპ. – ჯიტო). მათ მოვალეობაში შედიოდა ფეოდალურ მამულთა მფლობელებზე თვალყურის დევნება, კონტროლი სამხედრო გადასახადების შეტანაზე და ბრინჯის შეგროვებაზე, მოსახლეობის საკვები პროდუქციით მომარაგებისათვის. ადგილობრივი მმართველობის ამგვარი სისტემა უზრუნველყოფდა მთავრობის მხრიდან სამხედრო და პოლიტიკურ კონტროლს ქვეყნის მოსახლეობის ყველა ფენაზე, აძლიერებდა მინამოტოს სამხედრო-პოლიტიკურ დიქტატურას. ამრიგად, XII საუკუნის ბოლოსათვის, ფაქტობრივად, შიოგუნატის მმართველობის ყველა ძირითადი ინსტიტუტი ფორმირებული იყო.

რაც შეეხება იდეოლოგიას განსახილველ პერიოდში, ჰეიანის ეპოქის (784-1185) მიწურულს იაპონიის რელიგიურ ცხოვრებაში წამყვანი პოზიციები ბუდიზმმა დაიკავა. საზოგადოების ყველა ფენაში ფართოდ გავრცელებისა და განმტკიცების საფუძველზე, XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე ბუდიზმის სხვა-

დასხვა მიმდინარეობა ჩამოყალიბდა, მათგან უმთავრესი იყო: ძენი, ძიოდო, შინშიუ და ნიჩირენი. ძირითადი განსხვავება მათ შორის მდგომარეობდა ყოფიერების პრობლემების გადაჭრისადმი სხვადასხვა მიდგომით [7,244-246; 14,91-93]. მათგან ყველაზე მეტი პოპულარობით კამაკურას ეპოქაში ძენი (ჩინურად – ჩან) სარგებლობდა, რომელმაც XII საუკუნის ბოლოს იაპონიაში ჩინეთიდან შეაღწია და სწრაფად დაიწყო გავრცელება არისტოკრატიაში, ბუდისტურ სამღვდელოებაში, სამურაებში, ხელოვნების მოღვაწეებში და ა.შ. ტერმინი „ძენ“ სანსკრიტული „დჰანადან“ მომდინარეობს და ნიშნავს თვითჩაღრმავებას, მედიტაციას, ყურადღების მოკრებას [4,142-143].

ძენ-ბუდიზმის კონცეფცია და დოქტრინები საოცარი სიზუსტით მიესადაგებოდა სამურაების ცხოვრების წესს, კერძოდ, ძენის ისეთი მოთხოვნებს, როგორიცაა: მკაცრი დისციპლინა, სიმამაცე, სიუზერენისადმი ვასალის უსიტყვო მორჩილება, სისადავე, უბრალოება. კიცხავდა რა წინააღმდეგობას ხელისუფლებასთან მიმართებაში, ძენ-ბუდიზმი ტანჯვისაგან ხსნის გზას მხოლოდ შინაგან გასხივოსნებაში, ამქვეყნიური ყოველდღიური ფუსფუსისაგან განდგომაში ხედავდა [12,395-397]. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ის გარემოება, რომ ძენის თანახმად, ყველა კეთილშობილი მამაკაცის უმთავრესი მოვალეობა სამხედრო საქმე და ომში მონაწილეობა იყო. ძენი ასწავლიდა ადამიანს მტრის პირისპირ აუღელვებელი, თავშეკავებული ყოფილიყო და რკინისებური, ძლიერი ნებისყოფის წყალობით, ნებისმიერი სიძნელის მიუხედავად, ის აუცილებლად მიაღწევდა გამარჯვებას [2,109; 13,36]. ხწორედ ამიტომ მიიზიდა ამ მოძღვრებამ სამურაების სამხედრო ფენა, ის ხომ მეტად ჰგავდა მათ ეთიკურ-მორალურ კოდექსს – ბუშიდოს. ცხადია, ეს ყველაფერი ხელს აძლევდა გაბატონებულ ზედა ფენას, რათა თავისი ძალაუფლება კიდევ უფრო გაეძლიერებინა და განემტკიცებინა, ამიტომაც ძენ-ბუდიზმი, ფაქტობრივად, მმართველი ფეოდალური საგვარეულოს ოფიციალურ იდეოლოგიად იქცა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბუდიზმის სხვადასხვა მიმდინარეობის გავრცელებამ გარკვეული ზეგავლენა მოახდინა იაპონელთა უძველესი ეროვნული რელიგიის – შინტოიზმის თეორიულ საფუძველზე. ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში დაპირისპირება ამ ორ სარწმუნოებას შორის არ შეინიშნებოდა. ბუდიზმის რომელი მიმდინარეობის მიმდევარიც არ უნდა ყოფილიყო იაპონელი, შინტოისტური ტრადიციებისა და ცერემონიების გარეშე წარმოუდგენელი იყო იაპონიის სახელმწიფოებრივი ფუნქციონირება და, საერთოდ, იაპონელთა ცხოვრება, თუმცა ბუდისტურ მოძღვრებებთან მუდმივი თანაარსებობის პირობებში, შინტოიზმი იძულებული იყო ზოგჯერ თვითგამოხატვის ახალი ფორმები ეძებნა. განსახილველ პერიოდში ამგვარ ძიებაში ყველაზე ლოგიკური გზა იყო მსოფლგაგების ბუდისტურ სისტემაში ჩართვა [7,248]. ამის ნათელი დასტურია თუნდაც ის გარემოება, რომ შინტოისტურ ტაძრებში საპატიო ადგილი დაიმკვიდრეს ბუდას და ბუდისტური პანთეონის ღვთაებების გამოსახულებებმა. კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: შინტოისტს სიცოცხლის მანძილზე არ ეკრძალება გახდეს ბუდისტი ან რომელიმე

სხვა სარწმუნოების მიმდევარი, რადგან ყველა იაპონელი მაინც შინტოისტად რჩება, ხოლო სხვა რელიგიასთან ზიარება დროებით მოვლენად აღიქმება [3,22]. საბოლოო ჯამში, კამაკურას ეპოქაში იაპონელთა რელიგიური სამყარო საკმაოდ მრავალფეროვანი იყო, იმავდროულად შინტოისტურ და ბუდისტურ მსოფლმხედველობათა ურთიერთგავლენა უფრო მეტად ხელშესახები გახდა.

XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე იაპონიაში მომხდარმა რადიკალურმა ძვრებმა პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, ფაქტობრივად განსაზღვრა ქვეყნის შემდგომი ისტორიული განვითარების სპეფიციკური თავისებურებანი; კერძოდ, შიოგუნატის ძალაუფლების გაძლიერების პროპორციულად იმპერატორის პოლიტიკური უფლებამოსილება თანდათან იკვეცებოდა. ის მოწყვეტილი აღმოჩნდა რეალური მმართველობისაგან, თუმცა იურიდიულად სახელმწიფოს მეთაურად ითვლებოდა. ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ეს ნებაყოფლობით არ მომხდარა; პერიოდულად ადგილი ჰქონდა მწვავე სამხედრო შეტაკებებს ორ ურთიერთდაპირისპირებულ ხელისუფლებას შორის, მაგრამ საბოლოო ჯამში საიმპერატორო კარი იძულებული იყო შეზღუდული ძალაუფლებით დაკმაყოფილებულიყო, მით უმეტეს რომ ეკონომიურად ის შიოგუნატზე იყო დამოკიდებული. პირველი შიოგუნატის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი იყო სახელისუფლო სისტემის მრავალპოლუსიანობა. ფაქტობრივად, მმართველობის ძირითადი ინსტიტუტების დუბლირება ხდებოდა (მაგალითად, სასამართლო ორგანოების და სხვა), თუმცა XII საუკუნის 60-იანი წლებისათვის გამოიკვეთა სამხედრო სისტემის უპირატესობა საიმპერატორო კართან შედარებით. ეს პროცესი განსაკუთრებით ხელშესახები გახდა შიოგუნატის მეორე დინასტიის – აშიკაგას გვარის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ (1336 წ.) რამდენადაც აშიკაგას დინასტიის ბატონობის ხანა საუბრის ცალკე თემას წარმოადგენს, ამჯერად მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ამიერიდან იაპონიაში ორხელისუფლებიანობა გაქრა და მართვის სადავეები მთლიანად შიოგუნატის ხელში გადავიდა. პოლიტიკურ ცხოვრებაში წინა პლანზე საბოლოოდ დამკვიდრდა სამურაების ფენა, არისტოკრატია კი იმპერატორის მეთაურობით საკრალურ ფუნქციებს ინარჩუნებდა. პირველი შიოგუნატის დამხობით დასრულდა კამაკურას ეპოქაც, ახალი ხელისუფლების რეზიდენციამ კი კიოტოში გადაინაცვლა.

Nana Gelashvili

Formation of the Military-Feudal Authority – Shogunate – in Japan

Summary

From the interesting chronicles of the historic past of Japan, the new system of military-feudal authority known as Shogunate (shogun i.e. commander in chief) formed by the end of XII century deserves special attention. Its founder was Yoritomo - chief of one of the most powerful feudal families – Minamoto. This was the military-feudal dic-

tatorship, main force of which was Samurai army. Since then, there were two authorities: of Emperor and of Shogun. Kamakura was declared as the capital of the new authority. This action was aimed at weakening the political influence of the Emperor residing in the city of Kyoto and establishing independent political structures, which was gradually achieved by the government of Minamoto.

ლიტერატურა – REFERENCES

1. გელაშვილი ნ., იაპონური კულტურა, თბ., 2001.
2. გელაშვილი ნ., სამურაების სამხედრო ფენა შუა საუკუნეების იაპონიაში, ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, IV, თბ., 2005.
3. გელაშვილი ნ., ნარმართობიდან იაპონელთა ეროვნულ რელიგიამდე (შინტოიზმი), ბიბლიური და არქეოლოგიური კვლევის ამერიკულ-ქართული ინსტიტუტის ბიულეტენი, 6, თსუ, კორნელის უნივერსიტეტი, 2008.
4. პრონიკოვი ვ., ლადანოვი ი., იაპონელები, თბ., 1991.
5. Акияма Кензоо. История Нипон. История Японии. М., 2003.
6. История стран зарубежной Азии в средние Века. М.,1970.
7. История Японии. под ред. А.Е. Жукова, I. М., 1999.
8. Исигара Сабуро. История Японской культуры. М., 1972.
9. Кодексы Бушидо. Хагакуре (сокритое в листве), перевод А. Бочешкова. В. Горбатько. М., 2003.
10. Сэнсом Дж. Б., Япония – краткая история культуры. Санкт-Петербург, 1999.
11. Тейлс Ричард. Япония – история страны. М.– СПб, 2009 .
12. Eliot Ch., Japanese Buddhism. London, 1964.
13. Suzuki D.T., Zen and Japanese Buddhism. Tokyo. 1958.
14. Varley H., Paul, Japanese culture. University of Hawaii Press. Honolulu. 1984.

მანანა რუსიეშვილი, ქეთევან ლორთქიფანიძე,
ნათელა მოსიაშვილი

ფერი და მისი მნიშვნელობა ქართულ, ინგლისურ და თურქულ ენებსა და კულტურებში

„ჩვენი ცნობიერება მეტისმეტად შეზღუდულია. ჩვენ საჭიროებისამებრ ვხედავთ მხოლოდ იმას, რასაც პროექტორი მოცემულ მომენტში ანათებს. სამყაროს თითქოს ვიწრო ჭუჭრუტანიდან ვაკვირდებით, საიდანაც მისი მხოლოდ პატარა მონაკვეთი ჩანს. დანარჩენი ყველაფერი წყვდიადშია შთანთქმული და ჩვენი აღქმისათვის მიუწვდომელია. არაცნობიერის სამფლობელო თვალუწვდენელია და უწყვეტი, მაშინ როცა ცნობიერების სამეფო მარად ცვალებადი, წამიერ წვდომათა შემოფარგლულ ველს წააგავს“.

კ.გ. იუნგი

სტატიის მიზანია ინგლისურ, ქართულ და თურქულ ენათა სისტემების რამდენიმე მნიშვნელოვანი ფერის აღმნიშვნელ ლექსიკასა და იმ ფრაზეოლოგიურ ერთეულებზე კულტუროლოგიური და ეთნოლინგვისტური თვალსაზრისით დაკვირვება, რომლებსაც ეს ლექსემები წარმოშობენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გვაინტერესებს, რა ფიქსირებული ვერბალური ემოციები და დამოკიდებულება არსებობს კონკრეტული ფერის მიმართ ერის ცნობიერებაში და როგორ აქტუალიზდება იგი ენის ლექსიკურ თუ ფრაზეოლოგიურ სისტემაში.

ამ მიზნით შევისწავლეთ ინგლისური, ქართული და თურქული ენების მნიშვნელოვანი ფერების (black. შავი, kara. siyah; white,თეთრი, grey.gri kül rengi; red. წითელი, kırmızı, kızıl, al; green,მწვანე, yeşil.) სემანტიკური სტრუქტურის დენოტაციური და კონოტაციური კომპონენტების განაწილება; მათ მიერ წარმოქმნილი პოლისემანტური მოდელების სპეციფიკა და მეტაფორული თუ მეტონომიური გადაზრების ტიპოლოგია.

მეტაფორული გადაზრების კვლევის დროს ვეყრდნობოდით მ. რუსიეშვილის ანდაზის სემანტიკური სტრუქტურის იერარქიულ მოდელს, რომელიც, მართალია, შეიქმნა ანდაზის მეტაფორის საკვლევად, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ასევე მუშაობს ფრაზეოლოგიური მეტაფორის დეკოდირების შემთხვევებშიც [1].

ამ მოდელის მიხედვით, ანდაზის სემანტიკური სტრუქტურა შეიცავს სამ ურთიერთდაკავშირებულ შრეს, რომელთაგან პირველ, ექსპლიციტურ შრეზე ფიქსირდება ანდაზის მეტაფორის პირდაპირი მნიშვნელობა; მეორე, იმპლიციტურ შრეზე ფიქსირდება მისი გადატანითი მნიშვნელობა, ხოლო პრე-

სუპოზიციის დონეზე აქტუალიზდება ფონური, კულტუროლოგიური ცოდნის კონკრეტული მონაკვეთი, რომელიც „ცოცხლდება" კონკრეტულ კონტექსტში. მნიშვნელოვანი განსხვავება ანდაზის მეტაფორასა და სხვა ტიპის მეტაფორას (თუნდაც ფრაზეოლოგიურ მეტაფორას) შორის არის ის, რომ მხოლოდ ანდაზის მეტაფორა შეიცავს ოპოზიციურ აზრობრივ სტრუქტურას, რაც, ამასთანავე, არის ანდაზის, როგორც ვერბალური ფორმის, დიფერენციალური ნიშანი [2, 530-513].

ფერის სიმბოლიკის შესწავლის დროს დადასტურდა, რომ ქართულ, ინგლისურ და თურქულ ენებში თითოეულ ფართოდ გავრცელებულ ფერს აქვს თავისი ფუნქცია.

მაგალითად, შავი, black. kara, siyah აქტუალიზდება როგორც ნეიტრალური, დადებითი, ისე უარყოფითი კონოტაციით. ერთი მხრივ, ის აღნიშნავს ელეგანტურ, ფორმალურ ტანსაცმელს, მეორე მხრივ, მეტაფორულ კოლოკაციებში ლექსემა შავი black, kara, siyah არის გლოვისა და სასოწარკვეთილების სიმბოლო.

ამ ფერის სემანტიკური სტრუქტურა შეიცავს შემდეგ, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვან მომენტებს:

1. შავი, black, kara. siyah (თურქულ ენაში შავი ფერის აღსანიშნავად გამოიყენება ორი ლექსემა: გენეტურად თურქული kara და სპარსული-siyah – ქ.ლ.) ნეიტრალური, არამეტაფორული ხმარება. a black dress – შავი კაბა, siyah elbise; a little black dress. ელეგანტური შავი კაბა, şık siyah elbise(rop).

შავი, black, kara . siyah იხმარება უარყოფითი კონოტაციით. ასეთ შემთხვევებში იგი გვევლინება უკვე ფიქსირებული ფრაზის წევრად და იმპლიციტურ დონეზე შეიცავს შემდეგი სახის კონოტაციებს: ა. უბედური, უიღბლო a black day.kara gün, kara „ბაყრამ" გლოვის დღე „kara gelecek, „შავი, უიღბლო მომავალი"; ბ. შავი ბედი, black fate, kara yazı; გ.ცუდი, უსიამოვნო, black comedy. kara haber „ცუდი ამბავი"; დ. მრისხანება, სიძულვილი black anger. kara çalı ე. მისტიკური, სატანური, black magic, the black arts. kara kuvvetler „შავი ძალები"; ვ. უკანონო, არალეგალური: black market; black economy, kara borsa; ზ. სამარცხვინო, black sheep (ანდაზიდან every family has its black sheep), kara kuzu (თურქულ ენაშიც არსებობს ანდაზა, რომლის მნიშვნელობაც მიახლოებულია ზემომოტანილი ინგლისური ანდაზის მნიშვნელობასთან: ak koyunun da kara kuzusu da olur. – ქ.ლ.)

საინტერესოა, რომ ქართულ კულტურაში არსებული ანალოგიური სემანტიკის ანდაზა ასევე შავთან (კუპრი) ასოცირდება: ყოველ ოჯახში ერთი კუპრის ქოთანი დუღსო.

შავ ფერს უკავშირდება მთელი რიგი ფრაზეოლოგიური შედარებებისა, რომლებიც განსაკუთრებით საინტერესოა კულტუროლოგიური თვალსაზრისით: ყორანივით შავი, black as a crow. kuzgun gibi kara; ყორნის ფრთის ფერი, black as a raven's wing. kuzgun karası (ყორნისფერი); ჯოჯოხეთივით შავი, black as hell, cehennem gibi siyah; ნახშირივით შავი, black as coal, kömür gibi siyah; მე-

ლანივით შავი, black as ink. mürekkep gibi siyah; კუპრივით შავი, black as jet, katran gibi siyah;შუაღამესავით შავი, black as midnight. geceyarısı gibi siyah; ღამესავით შავი, black as night, gece gibi siyah.

როგორც ჩანს, ამ შედარებების უდიდესი ნაწილი ერთი მორფოლოგიური მოდელის თარგზე იჭრება : A –ვით, as, gibi N. გამონაკლისია Black as raven's wing, რომელიც ეყრდნობა მოდელს A as N's N .

ასევე თვალში საცემია, რომ ამ ერთეულების დიდი უმრავლესობა, მათი ფრაზეოლოგიურობიდან გამომდინარე, გაცვეთილ მეტაფორებს წარმოადგენს.

მასალის მიხედვით, ქართველი, ინგლისელი და თურქი შავ ფერს ადარებს ყორანს (ყვავს), crow , ყორანის ფრთას, raven's wing; ნახშირს, coal, kömür; მელანს, ink , mürekkep; და. აშ. თითოეული ერთეულის სემანტიკურ სტრუქტურაში არსებული ფრაზეოლოგიური მეტაფორა ააქტიურებს თავისი შესაბამისი ფონური ცოდნის მონაკვეთს, რომელიც, ერთი მხრივ, ანალოგიის სიცხადისა და, მეორე მხრივ, შედარების ექსპლიციტური ხასიათის წყალობით, ადვილი გასაშიფრია.

2. თეთრი ფერი, white. ak (გენეტურად თურქული ლექსემაა), beyaz (არაბული ნასესხობაა). ქართულ, ინგლისურ და თურქულ კულტურაში მიჩნეულია სიწმინდის, სისპეტაკის, უმანკოების სიმბოლოდ. ამავე კონოტაციით ფიქსირდება იგი, უმეტესად, ამ ენათა სისტემაშიც: თეთრი კედელი, white wall, ak (beyaz) duvar; თეთრი თოვლი, white snow, beyaz kar.

(თოვლის სისპეტაკის აღსანიშნად ინგლისური ენა უპირატესობას ანიჭებს კოლოკაციას virgin snow – ქალწული თოვლი), რომელიც, ასევე, ასოცირდება სიწმინდესთან და უმანკოებასთან. ჩვენს საკვლევ ენებში გვხვდება წყება შეთანხმებებისა, რომლებშიც თეთრი აღნიშნავს არა საკუთრივ თეთრს, არამედ ღია ფერს: თეთრი ღვინო, white wine, beyaz şarap: თეთრი ღამეები, white nights, ak(beyaz)geceler; თეთრი პური, white bread, beyaz ekmek.

თეთრი ფერი ასოცირდება დაცულობასთან, უსაფრთხოებასთან – თეთრი დროშა, white flag,ak bayrak;

საინტერესოა white ლექსემის ხმარება ინგლისელი ხალხისათვის სპეციფიკურ კოლოკაციებში, მაგ., white-bread family – უინტერესო, მეტისმეტად ტრადიციული ოჯახი; white-collar clerk –ოფისში მომუშავე მოხელე, რომელსაც მოეთხოვება თეთრი საყელოთი სიარული.

თეთრი ფერი დომინირებს რამდენიმე ბიბლიურ თუ მითოლოგიურ გამოთქმაში (whited sepulchre, white elephant), რომლებიც ინგლისელმა ხალხმა მიიღო და შეისისხლხორცა. ვფიქრობთ აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ თურქულ სინამდვილეში ak (beyaz) ქალის საკუთარ სახელებადაც გვხვდება [5].

3. ნაცრისფერი, grey, gri, külrengi, აქტუალიზდებიან შემდეგი კონოტაციით: ნაცრისფერი ფერი: ნაცრისფერი, რუხი შარვალი, grey trousers, gri pantolon; შეევრცხლილი, ჭაღარა თმა, grey hair (თურქულ ენაში მსგავს შესიტყვებაში გვაქვს ak. ak saç შეად. aksakal (სიტყვასიტყვ.თეთრი წვერი). თურქულ

ენაში ჩვენი ყურადღება მიიპყრო მეტონიმიის შემდეგმა მაგალითმა: külrengi „გაუნათლებელი ადამიანი“ (შეად.რუსული „серый человек“).

4. მწვანე ფერი. ქართულ, ინგლისურ და თურქულ კულტურაში, ტრადიციულად უკავშირდება სიმწვანეს, გაზაფხულს, აღორძინებას.

ამ ფერის აღმნიშვნელ ლექსემათა სემანტიკის შესწავლამ ეს კანონზომიერება დააფიქსირა, თუმცა გამოავლინა ისიც, რომ ამ ფერს განსხვავებული დატვირთვაც შეიძლება ჰქონდეს. მაგალითად, ა) მწვანე, კვლავ ანალოგიაზე დაფუძნებული გადააზრებით, ნიშნავს უმწიფარს, გამოუცდელს – green fruit. green years. yeşil meyve; ბ) გარდა ამისა, ინგლისურში green ლექსემა ააქტიურებს კულტუროლოგიურ, უარყოფითი კონოტაციის მეტაფორებს green around the gills (შეუძლოდ ყოფნა), green with envy შურით გამწვანება, დაბოღმვა. ეს უკანასკნელი მომდინარეობს ფიქსირებული გადააზრებული ფრაზისაგან: a green-eyed monster – შური. შეად.რუსული: „тоска зелсная.“ თურქულში ამგვარი განწყობა, სულიერი მდგომარეობა გადმოიცემა mosmor sıkıntı-დ, რაც ინტენსიურ იისფერ ფერთან არის დაკავშირებული.

5. წითელი, red; kırmızı, al, kızıl. ქართველი, ინგლისელი და თურქი ხალხის ცნობიერებაში ასოცირდება სიყვარულთან, ვნებასთან. გარდა ამისა, იგი არის სისხლის, ცეცხლის ფერი.

დღეს, წითელი, red, kırmızı, al , kızıl აღნიშნავს: ა. წითელ ფერს red flower; kırmızı. al çiçek. შეად.რუსული: „аленький цветок“; ბ. განგაშს, უსიამოვნო სიტუაციას, უსიამო მომენტს: წითელი ბარათი ფეხბურთში; red card; kırmızı kart. თურქულ ენაში მაგ., kızıl deli (სიტყვასიტყვ. წითელი გიჟი) აღნიშნავს შეურაცხადს, შეად. ქართ. მამალი გიჟი.

როგორც ვხედავთ, ფერის სიმბოლიკის კვლევა საინტერესო მასალას იძლევა როგორც ენობრივი, ისე კულტუროლოგიური თვალსაზრისით.

Manana Rusieshvili, Ketevan Lortkipanidze,
Natela Mosiashvili

Colour and its Meaning in the Georgian, English and Turkish Languages and Cultures

Summary

This article deals with the study of symbolic meanings of frequently used colours (for example black. white, grey. green and red) in the Georgian, English and Turkish cultures and the regularities of their actualisation in the lexical and phraseological systems of the language. The authors argue that in the majority of cases the colour terms retain their symbolic meanings and functions. However. in some cases, lexemes denoting colour can develop meanings different to their symbolic meanings. Arguably, such research reveals anthropological and cultural dimensions, as well as the links between languages and cultures.

ლიტერატურა – REFERENCES

1. რუსიეშვილი მ., ანდაზა (მონოგრაფია), თბ., 2005.
2. რუსიეშვილი მ., ანდაზის სემანტიკური მოდელი, საენათმეცნიერო ძიებანი, VIII, თბ., 1999, გვ. 530-513.
3. Türkçe Sözlük. Ankara,1969.
4. Türkçe' nin Sözlüğü. Istanbul, 2002.
5. Yalçın Toker. Türk İsimleri. İstanbul, 1995.

ვახტანგ გურული, ომარ თუშურაშვილი

დიდი განსაცდელის დასაწყისი

(საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია 1923-1925 წლებში)

ბოლშევიკების ხელისუფლების სათავეში მოსვლის დღიდან (1917 წლის ოქტომბერი) დაიწყო რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის დარბევა. საბჭოთა რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობისთვის იმთავითვე ნათელი იყო, რომ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია, მისი მრავალმილიონიანი მრევლი ვერ შეეგუებოდა პროლეტარიატის დიქტატურას, ე.წ. სოციალისტურ საზოგადოებას, უღმერთოთა საზოგადოებას. ამიტომ იყო, რომ ეკლესიის განადგურება სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად იქცა. ეკლესიის, ღვთისმსახურთა დევნა და შევიწროვება დაიწყო 1917 წლიდან და უწყვეტად გრძელდებოდა 20-30-იან წლებში. არასრული მონაცემებით მხოლოდ 20-იანი წლების შუა ხანებისათვის სიკვდილით იქნა დასჯილი 250 000 ღვთისმსახური. ეკლესიებიდან და მონასტრებიდან გაიტანეს საეკლესიო განძეულობა, ღვთისმსახურებისათვის აუცილებელი ნივთები. მასობრივად განადგურდა წმინდა ხატები და წმინდა წიგნები. ღვთისმსახურება შეწყდა ათასობით ეკლესიაში. 1921 წლიდან ამ პროცესმა საქართველოც მოიცვა. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. ქართველი ბოლშევიკები დიდის გულმოდგინებით ცდილობდნენ არ ჩამორჩენოდნენ რუს თანაპარტიელებს.

საქართველოს ეკლესიის დიდი სისასტიკით დარბევა 1923 წლის დამდეგიდან დაიწყო. 1921 წლამდე საქართველოში 2 000 ეკლესია და მონასტერი არსებობდა. 1923 წლის აპრილისათვის საბჭოთა ხელისუფლებამ 1212 ეკლესია და მონასტერი დახურა. გურიასა და სამეგრელოში არც ერთი მოქმედი ეკლესია აღარ დარჩა. ქუთაისის მაზრაში ორი თვის განმავლობაში 160 ეკლესია დაიხურა, შორაპნისა და სენაკის მაზრაში –148, ოზურგეთის მაზრაში – 130, რაჭაში – 117, გორის მაზრაში – 78, ზუგდიდის მაზრაში – 75, თელავის მაზრაში – 50, თბილისში – 48. ღვთისმსახურება შეწყდა მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარსა და გელათის ტაძარში. დაანგრიეს ქუთაისის საკათედრო ტაძარი.

1921 წლამდე საქართველოში 3000 სასულიერო პირი (მიტროპოლიტი, მთავარეპისკოპოსი, ეპისკოპოსი, არქიმანდრიტი, იღუმენი, მღვდელი, დიაკონი, ბერი, მონაზონი) მოღვაწეობდა. 1923 წლის აპრილისათვის მსახურებას განაგრძობდა 312 სასულიერო პირი. სამწუხარო იყო ის, რომ საბჭოთა ხელისუფლება ეკლესიის დარბევისათვის, ღვთისმსახურთა დევნისა და მკვლელობისათვის მასობრივად იყენებდა ახალგაზრდობას, კომკავშირლებს, რომლებიც ათეიზმის სენით მოწამლა საბჭოთა ხელისუფლებამ. ისტორიამ

მრავალი შემზარავი ფაქტი შემოგვინახა. ზესტაფონში წმიდა მოწამეთა – დავითისა და კონსტანტინეს სახელობის ეკლესიიდან მსახურების დროს კომკავშირლებმა დეკანოზი გიორგი ფერაძე გამოათრიეს და მრევლის წინაშე ღმერთის დაგმობა მოსთხოვეს. მღვდელმა ღმერთი არ დაგმო, ხოლო ძალმომრეებს სატანის მოციქულები უწოდა. დეკანოზი გიორგი ფერაძე მდინარე ყვირილაში ჩააგდეს და ტყვიებით დაცხრილეს, ხოლო ეკლესია დაანგრიეს.

საბჭოთა ხელისუფლებამ დახურულ ეკლესიებში, თეატრებში, სამკითხველოებსა და საწყობებში ავტოფარეხები განათავსა. **თბილისში,** ნაძალადევის რაიონში, ეკლესიაში აბანო გამართეს, დაბა წყნეთში – პურის საცხობი, ახალი ათონის მონასტერში – არასრულწლოვანთა კოლონია. დიღმის ეკლესიაში სასაკლაო მოაწყვეს, სადაც პირუტყვს პირდაპირ საკურთხეველთან ატყავებდნენ.

1922-1923 წლებში საბჭოთა ხელისუფლებამ ეკლესიებიდან, მონასტრებიდან საეკლესიო განძეულობის ამოღება დაიწყო, რომლის დროსაც პირნმინდად გაიძარცვა 600 ეკლესია და მონასტერი.

ქვემოთ გთავაზობთ დოკუმენტებს, რომლებიც ნათელ წარმოდგენას გვიქმნის საქართველოს ეკლესიაში შექმნილი მდგომარეობაზე.

დოკუმენტი №1 წარმოადგენს დასავლეთ საქართველოს პროკურორ ამბერკი ურუშაძის საიდუმლო მოხსენებას საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის 1923 წლის გაზაფხულზე რაჭაში ანტირელიგიური კამპანიის პროცესში მომხდარი ინცინდენტების თაობაზე.

დოკუმენტი №2 წარმოადგენს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული რელიგიის საქმეთა კომისიის სხდომის ოქმს (1923 წლის 30 მაისი). დოკუმენტი საინტერესოა საბჭოთა ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკის თვალსაზრისით.

დოკუმენტი №3 წარმოადგენს ქუთაისის ეპარქიის მმართველი ეპისკოპოს დავით კაჭახიძის მოხსენებას საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მ. ცხაკაიასადმი (1923 წლის 8 მაისი) საქართველოს ეკლესიის საკათალიკოსო საბჭოში შექმნილი მძიმე მდგომარების თაობაზე.

დოკუმენტი №4 წარმოადგენს ქუთაისის ეპარქიის მმართველი ეპისკოპოს დავით კაჭახიძის მოხსენებას (1923 წლის ივნისი) საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მიხა ცხაკაიასადმი, რომელიც წარმოდგენას გვიქმნის ქუთაისის ეპარქიაში საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებული ანტირელიგიური ღონისძიებების შედეგად შექმნილ მძიმე მდგომარეობაზე.

დოკუმენტი №5 წარმოადგენს საქართველოს ეკლესიის საკათალიკოსო საბჭოს კანცელარიის გამგის თანაშემწის, დეკანოზ ი. ქავჟარაძისა და თანაშემწის მოვალეობის აღმსრულებლის, დიაკვან ს. მონასელიძის მოხსენებას (1923 წ.) საკათალიკოსო საბჭოს სამეურნეო გამგეობის მიერ საქართველოში დამშეულთა დასახმარებლად შეწირულობათა შეგროვების თაობაზე.

დოკუმენტი №6 წარმოადგენს საქართველოს საგანგებო კომისიის ქუთაისის მაზრის განყოფილების (ქუთაისის პოლიტბიუროს) 1924 წლის 1 სექტემბრის სხდომის ოქმიდან ამონაწერს მიტროპოლიტ ნაზარის (ლეჟავას) და სხვა სასულიერო პირთა დახვრეტის თაობაზე.

დოკუმენტი №7 წარმოადგენს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) თბილისის სამაზრო კომიტეტის მოხსენებას (1924 წ.) საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის საინფორმაციო-სტატისტიკური განყოფილების მაზრაში ეკლესიებისა და მონასტრების მდგომარეობის თაობაზე.

დოკუმენტი №8 წარმოადგენს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ქუთაისის სამაზრო კომიტეტის საიდუმლო მოხსენებას (1925 წ.) – საქართველოს კპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს ქუთაისის მაზრაში ეკლესიებისა და მონასტრების მდგომარეობის თაობაზე.

გამოსაქვეყნებლად მომზადებისას ***უცვლელად დავტოვეთ დედნის სტილი, გავასწორეთ მხოლოდ კორექტურა და პუნქტუაცია.*** ზოგიერთი საკუთარი სახელი (პირთა და გეოგრაფიული) ბოლდით გამოვყავით. ორგანიზაციათა და დაწესებულებათა სახელწოდებები, რომელიც დედანში შემოკლებით იყო წარმოდგენილი, სქოლიოში სრული სახით გავიტანეთ.

№1

ფრიად საიდუმლო. სასწრაფო.

საქ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს

დასავლეთ საქართველოს პროკურორის
ამბერკი ურუშაძისაგან

ანტირელიგიური კამპანიის გატარების დროს **რაჭის მაზრაში,** სოფელ **ბუგეულში** მოხდა მკვლელობა. რესპუბლიკის პროკურორის განკარგულებით, საქმის გამოსაძიებლად გაგზავნილი იყო ამხ. ახმეტელი და გამოძიებას დავესწარი მეც. ამ საქმის გამო ადგილობრივ პარტკომს[1] გამოუყვია კომისია, რომლისთვისაც მიუციათ დირექტივები, რომ მკვლელობაში უსათუოდ უნდა დაედანაშაულებინათ მღვდლები, კომისიას ეწარმოებინა ძიება და დაეტუსაღებინა რამდენიმე მღვდელი, ხოლო ნამდვილი მკვლელები **ბობოხიძე** (აღმასკომის თავმჯდომარე თემის, კომუნისტი), **ჭელიძე** და სხვები სრულიად უყურადღებოდ დაეტოვებინათ. ჩვენ მიერ ნანარმოებმა კვლევა-ძიებამ დაამტკიცა, რომ ბობოხიძე, ჭელიძე და სხვები, როგორც მკვლელები, უნდა ყოფილიყვნენ პასუხისგებაში და აღკვეთითი ზომა მათ შესახებ მიღებულ იქნა მათი დატუსაღება. იქვე მიეცა წერილობითი წინადადება მაზრის პოლიციას, რათა მას მოეყვანა სისრულეში ბობოხიძის და ჭელიძის დატუსაღება

[1] პარტიულ კომიტეტს

და გადაერიცხა დასავლეთ საქართველოს რევტრიბუნალის გამომძიებელზე, ვინაიდან საქმე გამოძიებით კიდევ არ იყო დამთავრებული და გამოძიებას კი დაამთავრებდა სხენებული ტრიბუნალის გამომძიებელი თანახმად დადგენილებისა.

მიუხედავად იმისა, რომ მოვალენი იყვნენ ამ საქმეში პასუხისგებაში მიცემულნი და დატუსაღებულნი, ჩვენ მაინც დავტოვეთ ეს გარემოება უცვლელად. ეს იმიტომ, რომ იმჟამად, გააფთრებული ანტირელიგიური კამპანია წარმოებდა სახელმწიფოს მასშტაბში და ცენტრიდან მისული პირების მიერ მღვდლების იმ წამსვე განთავისუფლება და კომუნისტების დატუსაღება საზოგადოებრივ აზრში შექმნიდა უარყოფით მოვლენას, რომელიც ხელს შეუშლიდა კამპანიის ჩატარებას. აი, ამ მოსაზრებით დავტოვეთ მღვდლები დატუსაღებულნი და იმათთან დავატუსაღეთ კომუნისტებიც. უნდა აღვნიშნო, რომ ასეთი ჩვენი მოქმედებით ძლიერ უკმაყოფილონი დარჩნენ სამკომის[1] მდივანი და წევრები, რომლებიც იმჟამად იქ იყვნენ (ბუგეულში).

მიწერილობა მილიციაზე ბობოხიძის და ჭელიძის დატუსაღების და მათი ქუთგამასწორებელ[2] სახლში გადმოგზავნის შესახებ არ არის შესრულებული. ეს იმიტომ, რომ საქმეში ჩარევია მაზრის პარტკომი და 20 აპრილს თავისი დადგენილების თანახმად წინადადება მიუცია მილიციაზე, რათა ისინი გაეშვათ თავდებქვეშ.

ჯერ ის, რომ 9 აპრილს[3] მოწერილობა პოლიციამ არ შეასრულა სრულიად და მეორე ის, რომ სამაზრო პარტკომის[4] წინადადებით თავდებში გაუშვა ის ტუსაღები (ვითომდაც), რომლების გამოშვება შეეძლო მხოლოდ ტრიბუნალს და არავის სხვას. ამავე დროს კი მღვდლები გადააგზავნეს ქუთაისის გამასწორებელ სახლში.

ეს გარემოება აშკარად ყოფს იმას, რომ სამაზრო პარტკომი, როგორც დაინტერესებული თავიდანვე ამ საქმით, მოქმედებს ისე, როგორც მას სურს და სრულიად არ აპყრობს ყურადღებას ცენტრის განკარგულებას და ერევა როგორც ადმინისტრაციულ, ისე სასამართლოს საქმეებში.

20 აპრილს იგივე ანტირელიგიოზური კამპანიის გატარების დროს **ონში** მომხდარა მასიური გალახვა ებრაელების.

მე უფლებას მაძლევს აგრეთვე ვუწოდო ამ მოვლენას შემდეგი გარემოება:

როდესაც ჩვენ ჩავედით ონში (**правительственная комиссия**) და გავიარეთ ებრაელების უბანში, ებრაელებმა დაგვიწყეს მიპატიჟება თავ-თავიანთ სახლებში. ჩვენ შევდიოდით და ვნახულობდით ლოგინზე მწოლიარე ქალებს, რომლებს ზოგს გული ჰქონდა შეხვეული, პატარა ბავშვებს თვალი ამოლილავებული და სხვა. მე მეგონა, რომ ეს შეიძლება სიმულაცია იყოს-თქო, ვინაიდან ებრაელებმა ძალზე გადაჭარბება იციან და მეტადრე მაშინ, როდესაც მათ რელიგიის საქმეებს ეხებით. ერთ-ერთ ოჯახში ვინახულეთ ლოგინზე

[1] სამაზრო კომიტეტი – საქართველოს კპ(ბ) რაჭის სამაზრო კომიტეტი.

[2] ქუთაისის გამასწორებელი სახლი (სატუსაღო ციხე).

[3] 1923 წლის.

[4] საქართველოს კპ(ბ) რაჭის მაზრის პარტიული კომიტეტი.

50 წლის დედაბერი, რომელმაც მიამბო, რომ მას სცემეს, გული ნაუვიდა და შემდეგ, როდესაც გონზე მოვიდა, აღმოჩნდა ადგილობრივ საავადმყოფოში. ეს ფაქტი ჩვენ გამოვარკვიეთ და მართალი აღმოჩნდა (ასევე ვადგენ საავადმყოფოს უფროსი ექიმის ჩვენებას). მართლაც უცემიათ და შემდეგ მილიციონერებს „ნასილკით" მიუტანიათ საავადმყოფოში. ექიმებს კანში გაუკეთებიათ „კოფეინი" და შემდეგ მოსულა გრძნობაზე. ეს ყოველივე ხდებოდა დღითი და შუა ქალაქში. ამას უცქერდა საზოგადოება. საქმეს ესაჭიროება გამოძიება, მაგრამ თუ ამჟამად არსებული ადმინისტრაცია და პარტკომი[1] დარჩება იქ საქმის გამოძიების დროს, ყოვლად შეუძლებელი გახდება სინამდვილის გამორკვევა და რაიმე ზომების მიღება. ამას ნათლად გვიმტკიცებს სოფელ ბუგეულში (იმავე მაზრის) მომხდარი მკვლელობა და ადგილობრივი ხელისუფლების ქცევა ამ საქმეში, რომელიც არამცთუ თვითონ ღებულობს სასწრაფო საჭირო ზომებს, რომ არ დაეცეს ჩვენი პრესტიჟი, არამედ არ ასრულებს ცენტრალური ხელისუფლების კანონიერ განკარგულებასაც და ამით ყოველმხრივ დიდ ზიანს აყენებს საერთო საქმეს. ჩემი აზრით, საჭიროა ზემოაღნიშნულ მოვლენებს მიეპყრას ჯეროვანი ყურადღება, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია ხალხის უკმაყოფილება, მიიღოს არასასურველი ხასიათი და ისიც რელიგიის საკითხზე.

დასავლეთ საქართველოს პროკურორი: *ა. ურუშაძე* (ხელმოწერა)
[1923 წლის 20 აპრილის შემდეგ]

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (III), ფონდი 14, აღწერა 1, საქმე 830, ფურცელი 5-6.

№2

ПРОТОКОЛ №1

комиссии по делам религии[2]

30 мая 1923 года

Присутствуют члены комиссии: Картвелишвили, Муравьев и т. т., Ломинадзе, Кванталиани, Канделаки, Вашадзе и зав. отд. по борьбе с духовенством при ЧК.

Постановили:

а) Поголовное закрытие церквей приостановить. В отсталых же уголках, где явится необходимость в открытии церкви, открыть.

б) Просить Президиум ЦК приурочить созыв совещания секретарей для инструктирования их о плане и способах дальнейшего ведения антирелигиозной пропаганды.

[1] რაჭის მაზრის პარტიული და საბჭოთა ორგანოები – საქართველოს კპ(ბ) რაჭის პარტიული კომიტეტი და რაჭის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტი.

[2] საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის რელიგიის საქმეთა კომისია.

в) Поручить т. Кванталиани детально ознакомиться с имеющимися материалами в ЧК о «живой церкви» и сделать доклад по этому поводу на следующем заседании комиссии по делам религии.

г) 2 К° журнала антирелигиозной пропаганды не издавать. Поручить ред. «Мицис Муша» систематически вести антирелигиозную пропаганду в своей страничке.

Председатель комиссии Л. Картвелишвили (подпись)
Секратарь заседания (подпись)

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (III), ფონდი 14, აღწერა 1, საქმე 830, ფურცელი 12.

№3

საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური კომიტეტის[1]
თავმჯდომარეს ბ-ნ მიხაილ ცხაკაიას

მაპატიეთ, რო გაწუხებთ.

ქუთაისის ადგილობრივმა საერო მთავრობამ: 1) დახურა ქუთაისის საეპარქიო ქარხანა და საწყობი და ნაიღო საეკლესიო სანთლის გაყიდვისაგან შემოსული ფული და ამით დიდ ნივთიერ გაჭირვებაში ჩააგდო საეპარქიო დანესებულებათა მსახურნი და 2) დაუბეჭდია მღვდელმთავრის სახლი, ალბათ სურს მისი ჩამორთმევა.

გთხოვთ, განსარინებლად მორწმუნე ერის დაკმაყოფილებისა, მოახდინოთ განკარგულება, დაუბრუნონ ეკლესიას ზემოხსენებული სანთლის ქარხანა და ფული და მღვდელმთავრის ბინა.

აგრეთვე გთხოვთ გასცეთ ბრძანება, მისცენ ქუთაისის საეპარქიო მთავრობას დაკეტილ საკათედრო ტაძრის ქონებიდან სრული სამღვდელმთავრო სამოსელი და სამკაულები, ერთი ხელი მაინც, რადგანაც მრავალთა მორწმუნეთა რელიგიოზურად განწყობილი გული მოითხოვს მღვდელმთავრის მსახურებასა.

ამ შინაარსის ქაღალდი შევიტანე ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში 29 მაისს.

გთხოვთ დაცულ იქმნას მართლმსაჯულება.

ქუთაისის ეპარქიის დროებითი მმართველი, ეპისკოპოზი დავით კაჭახიძე
ივნისსა 1923 წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (III), ფონდი 14, აღწერა 1, საქმე 830, ფურცელი 13.

[1] საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის რელიგიის საქმეთა კომისია.

№4

საქართველოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს[1]
მიხაილ ცხაკაიას

ეპისკოპოზ დავით კაჭახიძისაგან

თხოვნა

საქართველოს საკათოლიკოზო საბჭო აგერ ოთხი თვეა, რაც არ მოქმედობს და ამის გამო შეჩერებულია საეკლესიო საქმეების განხილვა, ხოლო ამ საქმეების გარჩევა აუცილებლად საჭიროა მოხდეს დროზედვე, კერძოთ, რეფორმების დამუშავება და გატარება საეკლესიო ცხოვრებაში ფართო მასშტაბით, რაც განზრახული იყო საკათალიკოზო საბჭოს მიერ ჯერ კიდევ წარსულ წლის ნოემბერში.

რადგანაც ჩვენ არ ვიცით, თუ რა მოელისთ საკათ. საბჭოს ახლანდელ წევრებს, რომლებიც დღეს დატუსაღებულნი არიან, ამიტომ გთხოვთ ნება დაგვრთოთ მოვიწვიოთ ახალი წევრები საკათ. საბჭოსა იმ პირთაგან, რომელნიც დასახელებულნი არიამ მესამე საკათ. კრების მიერ საკათ. საბჭოს წევრების კანდიდატებად, აგრეთვე სხვათაგანიცა, რომ შესდგეს კანონიერი რიცხვი საკათ. საბჭოს წევრებისა – ექვსი. და ამგვარად საკათ. საბჭომ დაიწყოს მუშაობა.

სამეგრელოს, იმერეთის და ქართლ-კახეთის ეპარქიების დროებითი მმართველი და საკათალიკოზო საბჭოს წევრი ბათომიშემოქმედელი
ეპისკოპოზი დავით კაჭახიძე

8 მაისსა,
1923 წ.

მისამართი: ქაშვეთის ეკლესია

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (III), ფონდი 14, აღნერა 1, საქმე 830, ფურცელი 80.

[1] საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი – უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო.

№6

საბჭოს სამ. გამგეობას[1]

საკ. საბჭომ,[2] მოისმინა რა მისი უწმიდესობის წინადადება საქართველოს დამშეულთათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ, 28 გასულ მარტს გამოუტანა შემდეგი განაჩენი: „1. საქართველოს დამშეულთა დასახმარებლად შეგროვილ იქმნას საკათოლიკოზოს მორწმუნეთა შორის შეწირულება; 2. შეწირულებათა დაგროვების და დამშეულთათვის მიწვდის გაძღოლა დაევალოს ტფილისში საბჭოს სამეურნეო გამგეობას, გაძლიერებულ ტფილისის სამრევლო საბჭოთა წარმომადგენლებით, ხოლო ეპარქიებში განსაკუთრებულ კომიტეტებს, რომელთა დაარსებისათვის მიიღებენ შესაფერ ზომებს ადგილობრივი მღვდელმთავრები; 3. დაევალოთ ეპარქიათა მღვდელმთავართ მიმართონ სამრ. საბჭოებს წინადადებით, გაიღონ საქართველოს დამშეულთა დასარიგებლად შეწირულება როგორც ფულით, ისე იმ ზედმეტი ძვირფასი საეკლესიო ნივთებით, რომელთაც არ აქვთ მნიშვნელობა კულტურისა, არქეოლოგიურ ხელოვნებისა და ისტორიისათვის; 4. დაევალოთ სამრევლოთა წინამძღვრებს, შეაგროვონ წირვა-ლოცვის დროს შეწირულებანი საქ. დამშეულთა დასახმარებლად და წარიგზავნონ ეპარქიათა კომიტეტებს; 5. დაევალოს უკანასკნელთ თავის მოქმედების ანგარიშები ან და შეგროვილი შეწირულება წარმოუდგინოს საკ. საბჭოს ორ კვირაში ერთხელ და 6. ყოველივე ზემო აღნიშნული ეცნობოს ტფილისში მომქმედ საქართვ. დამშეულთა დამხმარე კომიტეტებს და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას, რაზედაც საკ. საბჭოს კანცელარია აცნობებს საკ. სამეურნეო გამგეობას“.

ხელს აწერენ: საკ. საბჭოს კანცელარიის გამგის თანაშემწე დეკ. *ი. ქავჭარაძე*; თანაშემწის მაგიერ დიაკ. *ს. მონასელიძე*

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (III), ფონდი 14, აღწერა 1, საქმე 830, ფურცელი 140.

[1] საქართველოს ეკლესიის საკათალიკოსო საბჭოს სამეურნეო გამგეობა.

[2] საქართველოს ეკლესიის საკათალიკოსო საბჭო.

№9

Выписка
Из протокола засидания чрезвычайной тройки при кут. полит-бюро от сентября 1 дня 1924 года

СЛУШАЛИ	ПОСТАНОВИЛИ
Дело за №590 по обвинению 1. Лежави Назария Андреевича, Кутаисского митрополита, 56 лет, из духовенства, образование высшее, был под судом 23 г. за похищении и скрытие церковных вещей, жит. г. Кутаиса. 2. Протоирея Джаджанидзе Германа Виссарионовича, 56 лет, из духовенства, обр. среднее, был под судом 23 г. за активную борьбу против проведения новой церковн. реформы, жит. г. Кутаиса. 3. Прот. Николадзе Иретеоза Андреевича, 59 лет, из духовен., образование среднее, был под судом и следствием в 23 г. за активную борьбу против проведения церковн. реформ, жит. г. Кутаиса. 4. Священ. Мчедлидзе Симеон Михайлович, 60 лет, из духовен., образован. среднее, под судом не был, жит. сел. Свири Кут. уезда. 5) Протодиакон Кухианидзе Виссарион Софромович, 53 л., из духов., ср. учеб. зав., под судом не был, жит. г. Кутаиса – в контр-революционной цели нелегального собрания и сопротивления местной власти Свирскаго района.	В отношении обвиняемых 1. Лежава Назария Андреевича, 2. Джаджанидзе Германа Виссарионовича, 3. Николадзе Иретеоза Андреевича, 4. Мчедлидзе Симеона Михайловича, 5. Кухианидзе Виссариона Софромовича – факт преступления выразившийся в контр-революционной цели нелегального собрания и сопротивления местной власти Свирского Района, считать доказанным, применив в отношении их высшую меру наказания – **Растрелять.**

СЕКРЕТАРЬ КУТ. ПОЛІТ-БІОРО

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (III), ფონდი 6, საქმე 2458, ფურცელი 101.

№11

В Информстат ЦК КП(б) Грузии,[1]
Копия в заккрайном РКП (б)

В ответ на ваш циркуляр о закрытии церквей, Информстат ТК[2] сообщает, что по Тифлисскому уезду мы имеем следующую картину:

1. По городу из 75 церквей было закрыто 38; из них совершенно разрушено 10, открыто 17.

2. Всего по Тифлисскому уезду было закрыто 38 церквей, при чем эта цифра падает, главным образом, на Гарс-Кахетинский район, где из 40 церквей было закрыто 27 церквей.

Что касается остальных районов, то

а) в Манглиси закрыт один временный собор,

б) в Ахбулахе – 3 церкви, из коих один временный собор (а Ахбулахе, Дагет-Хаченах и Самшвилдо).

в) в Цалках была закрыта одна церковь.

г) в Эрцо церкви вовсе не закрывались.

д) в Ассурстах закрыта одна церковь,

е) в Каранзах закрыто 3 церкви,

ж) в Авчалах закрыто 2 церкви.

3. Из ранее закрытых церквей сейчас открыты и передаются верующим:

а) в Гарс-Кахетинском районе – 6 церквей,

б) в Ассуретском районе – одна церковь,

г) в Цалкинском районе – одна церковь,

д) в Авчальском районе – две церкви.

4. Передачи верующим церквей, отведенных под клубы, пока не было.

5. В Ахбулахском районе церкви не открывались, т. к. со стороны населения заявлений не было.

6. В Эрцейском районе церкви хотя и не закрывались, но фактически они никем не посещаются, т. к. священники все остриглись.

7. Открытие церквей проводится в порядке установленном постановлением ЦИК[3] (если 3-10 крестьянами подаётся заявление об открытии церкви, церковь открывается).

8. Заявлений об открытии монастырей не поступило.

9. Строительство молитвенных домов в районах не ведётся.

10. Антирелигиозную пропаганду райкомы не ведут.

Секретарь ТК Сванидзе (подпись)
Завинформстат Лнознанская (подпись)

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (III), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 643, ფურცელი 10.

---

[1] საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის საინფორმაციო-სტატისტიკური ბიურო.

[2] საქართველოს კპ(ბ) თბილისის კომიტეტი.

[3] Центральный Исполнительный Комитет - ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

Vakhtang Guruli
Omar Tushurashvili

The Beginning of the Great Ordeal
(Georgian Apostolic Ortodox Church in 1923-1925)

Summary

The archival materials depicting the situation existing in the Georgian church in the 1920s are published for the first time. They bring to light all the atrocities committed against the Georgian clergymen. Despite the fact that the Soviet constitution did not forbid the Divine service. vast majority of churches were closed down and members of the clergy were severely persecuted.

თინა აბულაშვილი, დიმიტრი ახვლედიანი, ვახტანგ გურული

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში 1934 და 1941 წლებში მოწყობილი არქეოლოგიური გამოფენები

ჩვენი სტატიის მიზანია, წარმოვაჩინოთ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში 1934 და 1941 წლებში მოწყობილი არქეოლოგიური გამოფენები. როგორც ცნობილია, ექსპოზიციის ჩამოყალიბებაზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას, მაგრამ აქედან უმნიშვნელოვანესია ექსპოზიციის მიზანი და საექსპოზიციო მასალა. 1934 და 1941 წლებში მოწყობილი ექსპოზიციების მიზნის განსაზღვრაში მნიშვნელოვან როლს ის ცვალებადი იდეოლოგიური ფონი ასრულებდა, რომელიც იმ პერიოდში საბჭოთა კავშირში არსებობდა. შესაბამისად, გამოფენების მიზნები რადიკალურად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. თუკი 1934 წლის გამოფენა მიზნად ისახავდა არქეოლოგიური მასალის საშუალებით მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების პროპაგანდას, 1941 წლის ექსპოზიცია უკვე წარმოაჩენდა საქართველოს უძველეს კულტურას.

მუზეუმში დაცული არქეოლოგიური ფონდების შესწავლის საფუძველზე 1934 წელს ივანე ჯავახიშვილის ხელშეწყობით, გიორგი ნიორაძის ხელმძღვანელობით და ბორის კუფტინის უშუალო მონაწილეობით პირველად მოეწყო „წინაკლასობრივი“ საზოგადოების ამსახველი გამოფენა. ექსპოზიცია აგებული იყო ქრონოლოგიურ პრინციპზე. მასში არქეოლოგიური მასალები საქართველოში პირველად იყო განლაგებული საზოგადოების სამეურნეო, სოციალური და კულტურული განვითარების, ე.ი. ისტორიული პროცესის წარმოსაჩენად [3,156]. ეს გამოფენა მთელ კავკასიას მოიცავდა, რის საშუალებასაც აქ დაცული კოლექციები იძლეოდა. ამ პერიოდში საბჭოთა სინამდვილე მთავარ პრიორიტეტად სოციალური ცხოვრების და კლასობრივი ბრძოლის ასახვას მიიჩნევდა. ეს ჩანდა ექსპოზიციის დასახელებაშიც, რომელსაც ეწოდებოდა „Выставка доклассового общества на Кавказе по материалам археологического отдела музея Грузии“. გამოფენა მიზნად ისახავდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული არქეოლოგიური კოლექციების საფუძველზე პროპაგანდა გაეწია მარქსისტულ-ლენინური თეორიისათვის. Цель выставки – служить политико-просветительным задачам и способствовать делу культурной революции и социалистического строительства [2,47]. რუსულენოვანი თემატური გეგმა, რომელიც ბორის კუფტინმა შეიმუშავა, შედგებოდა განყოფილებებისა და თემებისაგან, სათანადო ექსპონატების ჩვენებით. თითოეულ თემაზე არსებობდა სათანადო სტენდი, ლოზუნგებითა და სათაურებით, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ციტატებით იყო შევსებული. არტეფაქტებთან და ეკოფაქტებთან ერთად წარმოდგენილი იყო დამხმარე მასალებიც – ნახატები, ნახაზები, სქემები, რუკები, ტაბულები, რაც ხელს

უნყობდა მასალის შემეცნებასა და განმარტებას. თემებს წინ უსწრებდა წამყვანი, ძირითადი და სათაური ტექსტები.

გამოფენა სამ ძირითად ნაწილად დაიყო – ქვის ხანა, ბრინჯაოს ხანა და რკინის ხანა [5,64]. გეგმა გათვალისწინებული იყო ორი დარბაზისათვის. პირველ დარბაზში გამოფენილი მასალა წარმოაჩენდა წინაგვაროვნულ კომუნას და შედგებოდა ოთხი თემისაგან [1,93]. ეს განყოფილება მთლიანად გ. ნიორაძის მიერ მოპოვებულ და შესწავლილ ახალ მასალაზე იყო დაფუძნებული. პირველ დარბაზში, ვრცელ სივრცეში მოთავსებულ მინის დიდ ვიტრინებში არქეოლოგიური ნივთები სიმეტრიულად იყო განაწილებული. აქ გამოფენილი იყო ქვის იარაღები, განმარხებული ცხოველების ნაშთები, ფერწერული პანოები ქვის ხანის ადამიანის ნადირობის სცენებით, ლაკონიური წარწერები, „დევისხვრელის“ მაკეტი გამოქვაბულის შესასვლელთან ხვლიკზე მონადირე ბიჭით, ვასილ ვატაგინის ნახატებში გაცოცხლებული ფაუნა [5,66]. აქვე იყო გვარჯილას კლდის მასალაც. მეორე დარბაზში გამოფენილი მასალა ასახავდა გვაროვნულ კომუნას, რომელიც შედგებოდა თოთხმეტი თემისაგან და ძირითადად მუზეუმში არსებულ საფონდო კოლექციებს ემყარებოდა. გამოფენილი იყო ცალკეული არტეფაქტები და კომპლექსები სამთავროდან, ყობანიდან, ეშერიდან, ნახიჩევანიდან, კუშჩიდან, ყაზბეგის განძიდან, ყარაბახიდან და სხვა. დარბაზის ცენტრში მოთავსებული იყო მინიანად ამოჭრილი ზემო ავჭალის სამარხი.

გეგმის ნაბეჭდი ტექსტი, რომელიც ინახება ეროვნული მუზეუმის არქივში, შედგება 26 გვერდისაგან და ბ. კუფტინის ხელით შესრულებული 18 ჩანახატისაგან. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ექსპოზიციის მხატვრულ გაფორმებას, რომელიც ნაწილობრივ აგრძელებდა ძველ ტრადიციებს (დიორამა) და ამავე დროს შეიცავდა ახალ ელემენტებს. მხატვრებად მონვეულნი იყვნენ: პროფ. ი. შარლემანი, ცნობილი ანიმალისტი ვ. ვატაგინი და დ. ციციშვილი [3,166]. სპეციალურად ამ ექსპოზიციისათვის, უმდიდრესი არქეოლოგიური მასალის ბაზაზე, პირველად იყო ათვისებული კერამიკის შეწებების და რესტავრაციის ახალი მეთოდები [2,49], რამაც გარკვეულწილად საფუძველი ჩაუყარა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში რესტავრაციის განყოფილების შექმნას.

შემდგომ წლებში შედარებით დიდი მასშტაბის არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად შესაძლებელი გახდა რიგი კარდინალური საკითხის ახლებურად გაშუქება. ამას ხელი შეუწყო ახალმა აღმოჩენებმა თრიალეთში, მცხეთაში. 1941 წლისათვის მუზეუმის ფონდებში უკვე 700000 ექსპონატი ირიცხებოდა [6,111], რაც საშუალებას იძლეოდა მომხდარიყო ქართული კულტურის მდიდარი მემკვიდრეობის პოპულარიზაცია. წინა გამოფენისაგან განსხვავებით, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდას ისახავდა მიზნად, ამ გამოფენის ძირითადი მიზანი, საზოგადოებისათვის საქართველოს უძველესი კულტურის გაცნობა იყო.

1941 წელს გაიხსნა არქეოლოგიური გამოფენა „ქართული კულტურის უძველესი კერები – თრიალეთი და მცხეთა“, რომელიც ორგანიზებული იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ის-

ტორიის ინსტიტუტთან ერთად [3,167]. ექსპოზიცია ასახავდა ქართული კულტურის განვითარების ორ უძველეს პერიოდს – ბრინჯაოს ხანას, თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მონაპოვრის საფუძველზე და ანტიკურ ხანას – მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მონაპოვრის მიხედვით. ამ ექსპოზიციას უდიდესი საეტაპო მნიშვნელობა ჰქონდა. აქ ნათლად წარმოგვიდგა საქართველოს ისტორიის მეტ-ნაკლებად ერთიანი სურათი უძველესი დროიდან ახალი ერის V-VI საუკუნეებამდე [2,50].

თრიალეთის განყოფილების საექსპოზიციო გეგმა შეიმუშავა ბ. კუფტინმა, რომელიც 8 ნაბეჭდი გვერდისაგან შედგებოდა და ასევე რუსულენოვანი იყო „Триалети – древний культурный очаг Грузии эпохи бронзы". გეგმა გათვალისწინებული იყო ორი დარბაზისათვის. აქ გამოფენილი იყო ბორის კუფტინის მიერ ნალკის რაიონში 1936-1940 წლებში ჩატარებული გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა. საექსპოზიციო ნივთები კარადებში იყო განაწილებული, დართული ჰქონდა განმარტებითი ტექსტები და სათაური ტექსტები. პირველ დარბაზში გამოფენილი იყო ენეოლითური ხანის მასალა ბეშთაშენის ნამოსახლარის ქვედა კულტურული ფენიდან და ადრეული ყორღანების მასალა. მეორე დარბაზის ცენტრალურ ნაწილში გამოფენილი მასალა ასახავდა თრიალეთის ყორღანების ბრწყინვალე კულტურას; კედელზე ვერცხლის თასის საკულტო სცენის და ვერცხლის სარნყულზე ასახული ცხოველების ფოტოები იყო წარმოდგენილი. დარბაზის მარჯვენა მხარე გვიანბრინჯაოს, ხოლო მარცხენა – რკინის ხანას ასახავდა [2,51].

მცხეთის განყოფილების ქართულენოვანი გეგმა შემუშავდა სიმონ ჯანაშიას ხელმძღვანელობით. მცხეთის განყოფილება ორ ნაწილად იყო გაყოფილი. პირველ ნაწილში გამოფენილი იყო გათხრების შედეგად მოპოვებული არტეფაქტები, მეორეში კი ნახატები, ნახაზები, ფოტოგრაფიები, წარწერები და ექსპლიკაციები [4].

პირველი ნაწილი შედგებოდა ექვსი განყოფილებისაგან:

1. მცხეთა გვიანბრინჯაოს ხანაში – ნარეკვავში და სამთავროში აღმოჩენილი მასალა (კერამიკა, ბრინჯაოს ნივთები, ბრინჯაოს სკულპტურები, მწყემსის სამარხის და შპაგიანი სამარხის კომპლექსები. 1940 წელს გათხრილი წარჩინებული მეომრის სამარხი 208 მთლიანად იყო ამოკვეთილი და ჩამოტანილი).

2. მცხეთა ადრერკინის ხანაში – წარმოდგენილი იყო თიხის ჭურჭლის ძირითადი ტიპები, ერთი ხელი იარაღი, სამკაული და საპირფარეშო ნივთები, მეომრის სამარხის კომპლექსი.

3. მცხეთა ძვ.წ. უკანასკნელ საუკუნეებში – თიხის ჭურჭელი, ქვეერში დამარხული მიცვალებული, სამარხად გამოყენებული ქოცო, სამკაულები.

4. მცხეთა ახ.წ. I-III საუკუნეებში – მინის ჭურჭელი, კრამიტით ნაგები სამარხი, კრამიტის სახურავი, ორფერდა ქვაყუთის და მდიდრული კრამიტყუთის კომპლექსები – ვერცხლის და ბრინჯაოს ნივთები, ვერცხლის ფული.

5. მცხეთა ახ.წ. IV-VI საუკუნეებში – სამკაული, საყოფაცხოვრებო და საპირფარეშო ნივთები, მინის ჭურჭელი.

6. ნუმიზმატიკა და სფრაგისტიკა – რომაული ვერცხლის დენარები, ბიზანტიური ვერცხლის ფული, ქართული ვერცხლის დრაქმა, სასანური ვერცხლის დირჰემი, კოლხური ფულის მულაჟები, ბერძნული სპილენძის ფული, თაბაშირზე გადაღებული გემების და კამეების ანაბეჭდები, წარწერიანი ქვები (ბოლნისის ქართული წარწერიანი ქვა, არმაზის სტელა არამეული წარწერით, სამთავროში ნაპოვნი სტელა ბერძნული წარწერით; აქვე ნაპოვნი ებრაელის სამარხის სტელა არამეული წარწერით; ბარტოლომეის მიერ ნაქულბაქევთან ნაპოვნი სტელა ბერძნული წარწერით.

მეორე ნაწილი შედგებოდა თერთმეტი განყოფილებისგან:

1. მცხეთა გვიანბრინჯაოს ხანაში – წარმოდგენილი იყო სამთავროს ტოპოგრაფიული გეგმა, ნივთების ტაბულები, ნარეკვავის კოლხური ცული.

2. მცხეთა ადრინდელ რკინის ხანაში – კერამიკის და ბრინჯაოს ნივთების ტაბულები, ცალკეული სამარხების ტაბულები, აკვარელით შესრულებული აღჭურვილი მეომარის ნახატი.

3. მცხეთა უკანასკნელ საუკუნეებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე – აკვარელით დახატული სამარხი-ქვევრები, ტუშით დახატული ასოთა მსგავსი ნიშნები.

4. მცხეთა ახ.წ. I-III საუკუნეებში – აკვარელში ნახატი ორფერდა ქვაყუთი და კრამიტის ყუთი გახსნის შემდეგ.

5. მცხეთა ახ.წ. IV-VI საუკუნეებში – აკვარელით ნახატი მძივ-საკიდების ტაბულები, ქვაზე ამოკვეთილი ასოთა მსგავსი ნიშნები, ფიბულათა ტაბულები, საკინძთა, სამაჯურების ტაბულები.

6. წარწერიანი ქვების ჯგუფი – არმაზში ნაპოვნი სტელის ქართულ-რუსული ექსპლიკაცია, არმაზში ნაპოვნი სერაპიტას სამარხის ორენოვანი სტელის ქართულ-რუსული ექსპლიკაცია, ბოლნისის წარწერის ქართულ-რუსული ექსპლიკაციები.

7. მთლიანად გადმოტანილი იყო სამარხი. ქართულ-რუსული წარწერა.

8. ჰეროდოტეს, სტრაბონის, იული კაპიტოლიანის, აგათია სქოლასტიკოსის ციტატები (ქართულ-რუსულად).

9. ფერადი რუკები – საქართველოში სავაჭრო გზების, ფულის გავრცელების. საქართველოს I-V სს-ის დიდი რუკა.

10. არმაზი – საერთო გეგმა 1937-1940 წწ-ის გათხრებისა, აბანოს გეგმები, ჭრილები, ოქროს ნივთების ტაბულა, აკვარელით ნახატი ბარელიეფები, სამარხების და არტეფაქტების ფოტოგრაფიები.

11. ნუმიზმატიკა და სფრაგისტიკა – ფულის, გემების და სხვა სამკაულების ფოტოსურათები.

ამ ექსპოზიციებმა ბრწყინვალედ გაუძლეს დროის გამოცდას და საფუძველი ჩაუყარეს შემდგომ საქართველოში ფართო საექსპოზიციო სამუშაოებს.

პირველი ექსპოზიცია უკავშირდება იმ პერიოდს, როდესაც საბჭოთა კავშირში, და მათ შორის საქართველოში, ხელისუფლება იწყებს ისტორიოგრაფიაში მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგიის დამკვიდრებისათვის ბრძოლას. ეს ამავე დროს ნიშნავდა ქართული ისტორიოგრაფიის უდიდესი ნარმომადგენლის – ივანე ჯავახიშვილის შეხედულებათა კრიტიკას. ივანე ჯავახიშვილის და მისი სკოლის დასამარების მიზნით 1930 წელსა და 1936 წელს გაიმართა ორი დისკუსია. აქამდე არსებულ ქართულ ისტორიოგრაფიას „მცოცავი ემპირიზმი" ეწოდა და ძირითად ნაკლად ისტორიის კვლევისას სოციალური ფაქტორის გაუთვალისწინებლობა ეთვლებოდა. ზემოაღნიშნული ექსპოზიციაც სწორედ ამ ვითარების ამსახველი იყო.

რაც შეეხება მეორე ექსპოზიციას, რომელიც რადიკალურად იყო განსხვავებული პირველისაგან, განპირობებული იყო იმ ვითარებით, რომ XX საუკუნის 20-იანი წლების მეორე ნახევარსა და 30-იანი წლების დამდეგს უკიდურესად გამწვავდა დაპირისპირება საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში. საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა (იოსებ სტალინი, ლევ ტროცკი, ლევ კამენევი, გრიგოლ ზინოვიევი და სხვა) ძალაუფლების შენარჩუნებისათვის ბრძოლაში ყველაფერზე მიდიოდნენ, ერთმანეთს არ ინდობდნენ. ი. სტალინის პოლიტიკური ოპონენტები, საბჭოთა კავშირში მყოფნი და საზღვარგარეთ გადახვენილნი, ხმებს ავრცელებდნენ, რომ იოსებ სტალინი ველური ხალხის შვილია და რომ მას გაპირველების პრეტენზია არ უნდა ჰქონდესო.

გარკვეულ პერიოდამდე ი. სტალინი ოპონენტებს არ პასუხობდა, თუმცა პასუხზე დიდხანს და სერიოზულად ფიქრობდა. ი. სტალინმა ჩაიფიქრა და განახორციელა ღონისძიებათა მთელი ციკლი. ფორმალურად იოსებ სტალინი არსად არ ჩანდა, გეგმის განხორციელება მინდობილი ჰქონდა ლავრენტი ბერიას. ბერიამ ი.სტალინის ნდობა გაამართლა. ი. სტალინის გეგმით შემდეგი ღონისძიებები გატარდა: პირველი – 1934 წელს გაიმართა საბჭოთა კავშირის მწერალთა პირველი ყრილობა. სხვა რესპუბლიკების მწერალთა კავშირების თავმჯდომარეებთან ერთად ყრილობაზე ვრცელი მოხსენებით გამოვიდა მალაქია ტროშელიძე. მ. ტროშელიძის პირველი, გაცილებით მოკლე ვარიანტი ი. სტალინმა დაიწუნა. მეორე ვარიანტი ი. სტალინის გეგმითა და მის მიერ ნაკარნახევი დასკვნების საფუძველზე დაიწერა. საბოლოოდ მ. ტროშელიძის მოხსენებაში კარგად წარმოჩინდა ქართული მწერლობის ისტორია იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამებიდან" XX საუკუნის დამდეგამდე. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო შოთა რუსთაველის, დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას. მ. ტროშელიძის მოხსენება მალე მოსკოვში ცალკე წიგნად გამოიცა რუსულ ენაზე [7, дн.]. მეორე – 1937 წელს მოსკოვში გაიმართა ქართული კულტურის დეკადა. დეკადამ ტრიუმფით ჩაიარა. დეკადის მიმდინარეობას ფართოდ აშუქებდა ოფიციოზი (გაზ. „პრავდა", „იზვესტია"). მესამე – 1937 წელს მთელს საბჭოთა კავშირში ფართოდ აღინიშნა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" დაწერიდან 750 წლის იუბილე. ეს მოვლენაც საგანგებოდ გაშუქდა სსრკ ცენტრალურ

პრესაში. მეოთხე – 1937 წელს აღინიშნა ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 100 წლისთავი. თბილისის გარდა საიუბილეო ღონისძიებები გაიმართა მოსკოვში, ლენინგრადში და სხვა ქალაქებში. ილიას იუბილეს გამოეხმაურნენ ცნობილი რუსი მწერლები და ლიტერატურათმცოდნეები. მეხუთე – იოსებ სტალინის დავალებით ივანე ჯავახიშვილმა, ნიკო ბერძენიშვილმა და სიმონ ჯანაშიამ დაწერეს „საქართველოს ისტორია“. ამ წიგნის მაკეტი ცოტა მოგვიანებით 1943 წელს გამოიცა.

ზემოხსენებული ღონისძიებების გაგრძელებას წარმოადგენდა ბორის კუფტინის მიერ მომზადებული ექსპოზიციაც. მისი მიზანიც ბელადის სამშობლოს უნიკალური კულტურის წარმოჩენა იყო.

1934 და 1941 წლებში საქართველოს ისტორიის, ქართული კულტურის წარმოჩენისა და პოპულარიზაციის მიზნით გატარებულმა ღონისძიებებმა, იოსებ სტალინის ოპონენტების მტკიცებას, რომ იგი ველური ხალხის შვილი იყო, ნიადაგი გამოაცალა. ი. სტალინს უკვე შეეძლო ზემოდან დაეხედა თავისი პოლიტიკური ოპონენტებისათვის და ამაყად ეთქვა: „რამეთუ მრავალ არიან ჩინებულნი და მცირედ – რჩეულნი“ (მათე, 22:14).

ქვემოთ მოგვყავს ბ. კუფტინის ხელით შესრულებული 1934 წლის არქეოლოგიური გამოფენის ესკიზების ამსახველი მასალა და ფოტოები, ასევე 1941 წლის გამოფენის ფოტომასალა.

Tina Abulashvili, Dimitri Akhvlediani,
Vakhtang Guruli

Archaeological Exhibitions at the State Museum of Georgia in 1934 and 1941

Summary

The aims of the archaeological exhibitions held at the State Museum of Georgia in 1934 and 1941 were greatly defined by varied idcological backgrounds existing at that time in the Soviet Union. Accordingly, the goals of these two displays drastically differed from each other. The exhibition of 1934 was aimed to propagandize the ideas of Marxism-Leninism, while that of 1941 was organized to demonstrate the ancient culture of Georgia.

ლიტერატურა – REFERENCES

1. აბულაშვილი თ., ბორის კუფტინი - მასალები 1934 წლის არქეოლოგიური ექსპოზიციისათვის, თბ., 2002, ჟურ.: „ძიებანი“, 10, გვ. 92-97.
2. აბულაშვილი თ., ბორის კუფტინი და საქართველოს არქეოლოგია, თბ., 2009.
3. ბოლქვაძე ს., აკად. ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის ექსპონატები, თბ., 1974, ჟურ.: საქ. მუზეუმის მოამბე, XXX-B. გვ. 154-184.
4. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის 1941 წლის არქეოლოგიური გამოფენის


„საქართველოს უძველესი კერები: მცხეთა-თრიალეთი" – მცხეთის განყოფილების მასალათა სია, 1941, თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქივი, ფონდი 15, გვ. 1-72.

5. ჯავახიშვილი ალ., გიორგი ნიორაძე და საქართველოს სახ. მუზეუმი, გიორგი ნიორაძე, ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 1989, გვ. 60-68.
6. Джавахишвили А., Краткий обзор прошлой и будушей деятельности Государственного Музея Грузии им акад. С. Н. Джанашия. Отдельный оттиск из «Известий Академии Наук Армянской ССР», №8, Ереван, 1950.
7. Торошелидзе М., Грузинская литература, М., 1934.

ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I-VII - 1934 წლის გამოფენა. ექსპოზიციის ფოტოები და ბ. კუფტინის მიერ შედგენილი ესკიზები.
ტაბ. VIII-X - 1941 წლის ექსპოზიციის ფოტოები.
I. 1934 წლის გამოფენის საერთო ხედი
II. რელიგიური წარმოდგენები და კულტი გვაროვნული საზოგადოების დაშლის საწყის ეტაპზე
III. ხელოსნური წარმოების ნიმუშები ძველი ალბანეთის ტერიტორიიდან
IV. ამიერკავკასიის ტერიტორიაზე აღმოჩენილი სპილენძისა და ბრინჯაოს ნივთები, კერამიკული ნაწარმი
V. მინათმოქმედება და მეცხოველეობა გვაროვნულ საზოგადოებაში
VI. საბრძოლო იარაღების სახეობები გვაროვნულ საზოგადოებაში
VII. სამარხეული ინვენტარი (1934 წლის გამოფენა)
VIII. სამეურნეო ჭურჭელი ძვ.წ. II-I საუკუნეების საქართველოში
IX. თიხის ჭურჭლის ძირითადი ტიპები
X. სანელსაცხებლები

ტაბულა I





ტაბულა II





ტაბულა III







ტაბულა IV







ტაბულა V






ტაბულა VI





ტაბულა VII






ტაბულა VIII



ტაბულა IX



ტაბულა X



მერაბ კალანდაძე

„ანალების“ სკოლა ისტორიულ ლიტერატურაში

ევროპული ისტორიოგრაფიის მიღწევებისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება, რომელიც დომინირებდა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში, დღეს წარსულს ჩაბარდა და ისტორიოგრაფიის განვლილ ეტაპს წარმოადგენს. თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია ყურადღებას მიაპყრობს და დაინტერესებულია ევროპული ისტორიოგრაფიის პოზიტიური გამოცდილებით. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და მისასალმებელი უნდა იყოს.

XX საუკუნის ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსის - ლოურენს სტოუნის თქმით, პერიოდი პირველ მსოფლიო ომამდე და ორ მსოფლიო ომს შორის მონაკვეთი არის „ისტორიოგრაფიის ოქროს ხანა“. ამ ეპოქის ისტორიული აზროვნების ორ თვალშეუვლებელ მწვერვალად ნეოკანტიანელების ეპისტემიოლოგია და „ანალების“ სკოლის ისტორიული ძიებანი შეიძლება მივიჩნიოთ.

XX საუკუნის დასაწყისში ევროპული ისტორიოგრაფია, უმთავრესად პოზიტივისტების ძალისხმევით, ჩიხში აღმოჩნდა. საჭირო იყო ამ რთული სიტუაციიდან გამოსავლის მოძებნა. რა თქმა უნდა, ეს არ იქნებოდა ადვილი საქმე. ფრანგი ისტორიკოს ჟორჟ ბურჟენის თქმით: „ისტორიკოსი აღმოჩნდა იმ ღვთისმოსავის როლში, რომელმაც რწმენა დაკარგა“.

ერთ-ერთი ასეთი რეალური გზის მოძებნა სცადეს „ანალების“ სკოლის ისტორიკოსებმა, პირველ რიგში კი მათმა დამაარსებელმა ლუსიენ ფევრმა და მარკ ბლოკმა. სწორედ მათ სახელს უკავშირდება „კოპერნიკისეული გადატრიალება“ ისტორიკოსის პროფესიაში. „ახალი ისტორიული მეცნიერების“ დაბადება. იმდროინდელი ისტორიული მეცნიერების ფონზე იყო თვისობრივად წინგადადგმული ნაბიჯი, ახალი სიტყვა, ისტორიული მეცნიერების ხვალინდელი დღე. ამიტომ, სწორი არ იქნება ისტორიული მეცნიერების კრიზისში ბრალი დავდოთ „ანალების“ სკოლას, როგორც ამას მისი მონინააღმდეგეები სჩადიან.

წინამდებარე ნაშრომი ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს და მიზნად ისახავს ძალიან მოკლედ, სულ ორიოდე სიტყვით, თვალი გადაავლოს და ქართველ საზოგადოებას საერთო წარმოდგენა შეუქმნას იმ ძირითად ტენდენციებზე, რომელიც „ანალების“ სკოლის საქმიანობის შეფასების დროს არსებობს.

აღნიშნული პრობლემა აშკარად სცილდება ერთი ჩვეულებრივი სამეცნიერო ნაშრომის ფარგლებს და მას, ალბათ, ერთი დიდი მონოგრაფია შეიძლება მიეძღვნას. ნაშრომის შეზღუდული ფორმატი მსჯელობის ფართოდ გაშლის საშუალებას ნაკლებად იძლევა და ამიტომ საკითხის გადმოცემისას მოკლედ თეზისების სახით შევეცდებით. განსაკუთრებულ აქცენტს გავაკეთებთ

აღნიშნული პრობლემით დაინტერესებაზე საქართველოში. ეს ნაშრომს შეამეცნებით დატვირთვასთან ერთად მეცნიერული კვლევის ელფერს შესძენს.

1. აღნიშნული საკითხის შესახებ არსებობს უზარმაზარი ლიტერატურა. წინამდებარე ნაშრომს ამ პრობლემის სრულყოფილად განხილვის პრეტენზია არ აქვს და ზოგიერთი საკითხის მოკლე მიმოხილვით შემოიფარგლება. ამ თემაზე სიტყვის თქმას ძირითადად ის გარემოება გვაბედინებს, რომ მის შესახებ ქართულ ენაზე დღემდე არაფერი დაწერილა. ნაშრომში აქცენტი კეთდება აღნიშნული პრობლემით დაინტერესებაზე ქართულ ისტორიოგრაფიაში.

2. ისტორიულ-სამეცნიერო ლიტერატურაში ისტორიული მეცნიერების წინაშე „ანალების“ ისტორიკოსთა ღვაწლზე დიამეტრალურად განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული. ისინი პირობით ორ ჯგუფად შეიძლება გავყოთ: ანალისტები და ანტიანალისტები. ერთნი დიდ პატივს მიაგებენ „ანალების“ სკოლას და მათ მიდგომას ლამის ჭეშმარიტების უკანასკნელ ინსტანციად მიიჩნევენ; მეორენი კი, პირიქით, მეტად ჰიპერკრიტიკულად არიან განწყობილნი და „ანალების“ სკოლას პირდაპირ მიწასთან ასწორებენ, ათასგვარ ცოდვაში სდებენ ბრალს. გერმანელი ისტორიკოსი გერჰარდ რიტერი ირწმუნებოდა, რომ „ანალების“ სკოლა მარქსიზმით იყო დაავადებული“. მოწინააღმდეგეების ერთმა ნაწილმა იმდენად შორს შეტოპა, რომ ისტორიული მეცნიერების კრიზისში ბრალი „ანალების“ სკოლის ისტორიკოსებს დასდო. უფრო აბსურდული ბრალდება, ალბათ, ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა.

3. საინტერესოა „ანალების“ სკოლის ისტორიკოსებისადმი საბჭოთა ისტორიოგრაფიის დამოკიდებულება. ისინი „ანალების“ სკოლისადმი კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას ამჟღავნებდნენ, რაც უმთავრესად იმით აიხსნებოდა, რომ ეს ისტორიოგრაფიული მიმდინარეობა გაცილებით უფრო ახლოს იდგა მარქსიზმთან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, „ანალების“ სკოლის ისტორიკოსების ისტორიული კონცეფცია მათთვის სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა. აკად. ა. ნაროჩნიცკის თქმით: „მ. ბლოკის წიგნის „ისტორიის აპოლოგია“ რუსულ ენაზე თარგმნა და გამოცემა იყო დიდი პოლიტიკური შეცდომა“. აქ, ვფიქრობთ, ყოველგვარი კომენტარი ზედმეტია. ამ ფონზე ბედნიერ გამონაკლისად უნდა მივიჩნიოთ პროფ. ა. გუროვიჩის შრომები, რომელიც უპირატესად მეცნიერულ ღირებულებაზეა უფრო ორიენტირებული.

უახლეს რუსულ ისტორიოგრაფიაში სულ სხვა სურათია, რაც, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური კატაკლიზმებით იყო განპირობებული. რუსული ისტორიოგრაფია გათავისუფლდა ერთი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლიისაგან და შვებით ამოისუნთქა. პარტიულ-სახელმწიფო ინკვიზიტორთა კონტროლის ხანა უკან დარჩა. პრობლემისადმი მიდგომა უფრო კონსტრუქციული ხდება. განმაქიქებელ-კრიტიკული პათოსი ჩაანაცვლა მეცნიერულმა მიდგომამ. ეს იმით გამოიხატა, რომ აქ-

ცენტები კეთდება არა მათ მიერ დაშვებულ მეთოდოლოგიურ შეცდომებზე, არამედ ისტორიულ მეცნიერებაში მათ პოზიტიურ წვლილზე. ეს უკვე სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯია.

4. „ანალების" სკოლის ფრანგი ისტორიკოსების შემოქმედებით დაინტერესებას თავისი ტრადიცია გააჩნია საქართველოში. ამიტომ, ალბათ, ინტერესს მოკლებული არ იქნება განვიხილოთ აღნიშნული თემის დამუშავება ქართულ ისტორიოგრაფიაში. ამ შრომების მეცნიერულ მნიშვნელობას უპირატესად განსაზღვრავს მისი შემეცნებითი დატვირთვა. უნდა ითქვას, რომ ამ კულტურტრეგერულ მისიას ქართულმა ისტორიოგრაფიამ ურიგოდ როდი გაართვა თავი.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ პრობლემით დაინტერესებას ორი მკვეთრად გამოკვეთილი პერიოდი გააჩნია: საბჭოთა ეპოქა, როდესაც შეიძლებოდა ამ საკითხის მხოლოდ მარქსისტული თვალსაზრისით განხილვა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როდესაც თავი იჩინა აღნიშნული პრობლემისადმი მრავალვარიანტული მიდგომის პირველმა სიმპტომებმა.

საქართველოში ამ საკითხით დაინტერესების ინიციატორად პროფ. გივი კილურიძე მიგვაჩნია. მისი მიდგომა ამ თემისადმი მეცნიერულია, მაგრამ იგი იძულებულია ანგარიში გაუწიოს გაბატონებული მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის დიქტატს და „ანალების" სკოლის ისტორიკოსების მარქსისტული შეფასება მოგვცეს. ამის გამო მისი მკაცრად განსჯა მართებული არ უნდა იყოს. ეს ადვილი გზით სიარული იქნებოდა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მაშინ სხვა არჩევანი ფაქტობრივად არ არსებობდა. „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული".

5. მკვეთრად შეიცვალა ვითარება საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. ქართული ისტორიოგრაფია გათავისუფლდა მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მძლავრი ზეწოლისაგან. მას შეეძლო დამოუკიდებელი არჩევანი გაეკეთებინა. ეს სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი იყო.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია ამ პრობლემას სხვადასხვა ასპექტში განიხილავს და მრავალფეროვნად უდგება: ისტორიოგრაფია, ისტორიის მეთოდოლოგია, სოციოლოგია, კულტუროლოგია. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს როინ მეტრეველის, ნინო ჩიქოვანის, მერაბ კალანდაძის, რუსუდან ლაბაძის, ნინო ლაშხის, მიხეილ ქართველიშვილის საინტერესო გამოკვლევები. ცხადია, ამ შრომების მეცნიერული ღირებულება სხვადასხვაგვარია.

უახლესი ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს „ანალების" სკოლის ისტორიკოსების მარქსისტული შეფასებისაგან გათავისუფლდეს. ეს თვისობრივი სიახლეა. ეს გამოკვლევები ევროპული ისტორიული აზროვნების კორიფეების შეხედულებების განხილვის ნორმალურ მეცნიერულ კალაპოტში დაბრუნების გზაზე გადადგმულ პირველ მოკრძალებულ ნაბიჯად შეიძლება მივიჩნიოთ. რა თქმა უნდა, გასაკეთებელი ჯერ კიდევ ძალიან ბევრია.

თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიისათვის დამახასიათებელია ორი მიდგომა: შემოქმედებითი და მიმბაძველი. პირველი მეცნიერულად სწო-

რია და პერსპექტიული ჩანს, ხოლო მეორეს ბოლოს და ბოლოს ჩიხში მივყავართ, უპერსპექტივოა.

განსაკუთრებით მისასალმებელი უნდა იყოს ამ რთული პრობლემით ახალგაზრდა ისტორიკოსთა დაინტერესება. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. ისინი არ გაურბიან სიძნელეებს და იოლი გზით სიარულის მოტრფიალენი არ არიან. ამგვარი ისტორიოგრაფიული ხასიათის ნაშრომებით ქართული ისტორიოგრაფია არასოდეს არ ყოფილა განებივრებული. ეს ძალიან კარგია. ჩვენი აზრით, ზოგიერთი ნაშრომი სუსტია, პრეტენზიულია. უნდა შევარჩიოთ ისეთი პრობლემები, რომელთაც დავძლევთ. ზედმეტი ამბიციები არ ვარგა.

რა თქმა უნდა, ძალიან კარგია ქართულ ენაზე „ანალების“ სკოლის ისტორიკოსების წიგნების თარგმნა. ამ მიმართულებით მუშაობა უნდა გაგრძელდეს.

Merab Kalandadze

The Annales School in Historical Literature

Summary

The article deals with the evolution of the Annales School in foreign historical literature. The study of this issue has mainly a cognitive loading. The paper focuses on the works of Georgian historians concerning the school of "Annales", and stresses that their significance is based on their cognitive importance.

In Georgian historiography the study of the views of the Annales School is divided into two periods – Soviet and post-Soviet. During Soviet times Georgian historiography considered them from Marxist positions. However, after the collapse of the Soviet Union the situation has changed considerably. In addition, special attention is paid to the positive experience accumulated by the historians of the Annales School. Presently Georgian scholars are trying to use this knowledge while studying the history of Georgia. Practically this is the beginning of a new stage.

ლიტერატურა – REFERENCES

1. ანთაძე კ., კალანდაძე მ., საინტერესო ნაშრომი ფრანგი ისტორიკოსის ჟაკ ლე გოფის ნიგნზე, ლიტერატურული საქართველო, 17 ივნისი, 2005.
2. კალანდაძე მ., „კოპერნიკისეული გადატრიალება“ ისტორიკოსის პროფესიაში, კლიო, 14, 2002.
3. კალანდაძე მ., წიგნი – მანიფესტი (ფერნან ბროდელი), ცისკარი, 8, 1992.
4. კალანდაძე მ., მარკ ბლოკის წიგნი „ფეოდალური საზოგადოება“, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, ნაწ. 2, თბ., 2007.

5. კალანდაძე მ., ისტორიის კვლევის მეთოდების ევოლუცია, პროფ. ნ. შენგელიას დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 2008.
6. კალანდაძე მ., ლუსიენ ფევრის წიგნი „ბრძოლა ისტორიისათვის" - სალიტერატურო გაზეთი, 9 ნოემბერი, 1997.
7. კალანდაძე მ., პიერ შონიუს „კლასიკური ევროპის ცივილიზაცია", გაზ. „ახალი 7 დღე" – 11-17 აგვისტო, 2006.
8. კალანდაძე მ., ჟორჟ დიუბის წიგნი, „რაინდი, მღვდელი, ქალი" ქართულად, გაზ. „ახალი 7 დღე", 2-8 თებერვალი, 2007.
9. კილურიძე გ., ახალი ისტორია, ნაწ. 1, თბ., 1970.
10. ლაბაძე რ., მენტალიტეტის კვლევის თანამედროვე მეთოდები მონტაიუს მაგალითზე – უნივერსიტეტის შრომები, ისტორიის სერია, ტ. 328, თბ., 1999.
11. ლაბაძე რ., ცოდვა და შიში შუა საუკუნეებში, ქართული მენტალური მოდელის ორი ასპექტი (საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი), თბ., 2005.
12. ლაშხი ნ., ინტერდისციპლინარული კვლევის საკითხები „ანალების" სკოლის წარმომადგენლებთან (ლუსიენ ფევრი, ფერნან ბროდელი, ჟაკ ლე გოფი), კრებ.: „ეთნოლოგია, სოციოლოგია, კულტუროლოგია – ინტერესთა ურთიერთგადაკვეთა და ინტეგრაციის პერსპექტივები", თბ., 2004.
13. მეტრეველი რ., მცირე განსჯა ჟაკ ლე გოფის წიგნის „წარმოსახვითის შუასაუკუნეებრივი სამყარო" ნაკითხვის შემდეგ, თბ., 2005.
14. მეტრეველი რ., კლიოს მფარველობის ქვეშ, მაცნე, ისტორიის სერია, 4. 1990.
15. მეტრეველი რ., გლობალიზაციის პერსპექტივა და ისტორიოგრაფიის პრობლემები, ქართული დიპლომატია, წელინდეული 12, თბ., 2005.
16. ქართველიშვილი მ., ფერნან ბროდელი (შტრიხი მეთოდოლოგიური პორტრეტისათვის), კრებ.: მიძღვნილი ვლადიმერ ივანოვის და რევაზ ლასკარის ხსოვნისადმი, თბ., 2007.
17. ქართველიშვილი მ., ცივილიზაციის შესწავლის საკითხები ფერნან ბროდელის „ცივილიზაციათა გრამატიკის" მიხედვით, საისტორიო ძიებანი, X – XI, თბ., 2008.
18. ჩიქოვანი ნ., „ანალების" სკოლა და ისტორიის ცივილიზაციური ხედვის საკითხები, კრებ.: „კულტურის ისტორიის საკითხები", VI, თბ., 1999.
19. Гуревич А.. Медиевистика XX века в изображении американского историка Н. Кантора, «Новая и новейшая история». №6, 1993.
20. Гуревич А.. «Новая историческая наука» во Франции: достижение и трудности (критические заметки медиевиста) – история и историки 1981. М., 1985.
21. Гуревич А., Проблема Ментальности в современной историографии – Всеобщая история, дискуссии. новые подходы. Вып. 1. М., 1989.
22. Жодонов А.. М. Блок в советской историографии в кн. «Вопросы всеобщей истории и историографии». Томск, 1982.
23. Сестан Э.. История событий и история структур. М., 1970.
24. Burke P., The French Historical Revolution. The Annales School, 1929-1989. Cumbridge, 1989.
25. Dumoulin D., Mark Bloch. Le Soldat et La Citouen. Paris, 2000.
26. Fink G.. Mark Bloch: A Life in History. Cambridge, 1989.
27. Stoianovich T., French Historical Method. The Annales Paradigm. London, 1976.

ვახტანგ ლიჩელი

საქართველოს არქეოლოგიის მენეჯმენტის საკითხები

ზოგადი სიტუაცია

ცნობილია, რომ არქეოლოგია დღეს მეცნიერების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და სწრაფად განვითარებადი დარგია. ეს გამონვეულია რამდენიმე მიზეზით: პირველი და უმთავრესი გახლავთ ის, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ არქეოლოგიური კვლევა გაცილებით მეტად დაუახლოვა ზუსტ მეცნიერებებს, ვიდრე ნებისმიერი სხვა ჰუმანიტარული მიმართულება. გარდა ამისა, არქეოლოგიამ შეიძინა უაღრესად პრაგმატული ხასიათი როგორც რიგი სამეცნიერო, ისე პრაქტიკული სახის საქმიანობის სფეროში. ამ მხრივ, გარკვეული თვალსაზრისით, შეიძლებოდა პარალელი გაგვეველო XIX საუკუნის შუახანებთან, როდესაც კაპიტალიზმის სწრაფმა განვითარებამ გარკვეული ბიძგი მისცა საბუნებისმეტყველო დარგების გამოცოცხლებას და, უნებლიედ, ეს ბიძგი დიდი სტიმული აღმოჩნდა არქეოლოგიის განვითარებისათვისაც. ამჟამად მოწმენი ვართ ზუსტ მეცნიერებათა უპრეცედენტო განვითარებისა, რასაც უკვე ლოგიკურად მოსდევს არქეოლოგიის, როგორც ზუსტ მეცნიერებებთან ყველაზე მეტად დაახლოებული დარგის, წინსვლაც. ყოველივე ამისი შედეგია თვისებრივად ახალი აღმოჩენები, რომლებიც არა მხოლოდ არქეოლოგიური გათხრებით, არამედ, უპირატესად, ლაბორატორიული კვლევებითაა მიღებული.

თანამედროვე არქეოლოგიური კვლევის პროცესში, სხვა მიმართულებებთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საზოგადოების აზროვნების განვითარების კვლევას, რამაც იმდენად დიდი მნიშვნელობა შეიძინა, რომ უკვე კარგა ხანია არსებობს არქეოლოგიის სრულიად კონკრეტული მიმართულება – ე.წ. „ქცევითი არქეოლოგია". არქეოლოგიური კვლევების მნიშვნელობისა და ამ დარგის განვითარების ინდიკატორია ის ცალკეული მიმდინარეობები, რომლებიც დღევანდელ არქეოლოგიაში არსებობს. მაგალითისათვის საკმარისია დავასახელოთ თუნდაც: დაავადებათა არქეოლოგია, ეკოლოგიური არქეოლოგია, ეკონომიკური არქეოლოგია, კოგნიტური არქეოლოგია, საკონსულტაციო არქეოლოგია, ექსპერიმენტული არქეოლოგია, ოკეანის დიდი სიღრმეების არქეოლოგია, ევოლუციური არქეოლოგია, ბიოარქეოლოგია და მრავალი სხვა. აქვე ორიოდ სიტყვით გავუსვამდი ხაზს იმას, რომ არქეოლოგიის განვითარების დღევანდელ ეტაპზე ამ თვალსაზრისით აშკარაა ქართული არქეოლოგიის ჩამორჩენა. მაგრამ ამ მოვლენას აქვს ობიექტური მიზეზები და იგი არაა მანიშნებელი ქართველი არქეოლოგების დაბალი კვალიფიკაციისა ან ჩვენი არქეოლოგიის უუნარობისა საზოგადოდ,

რადგან ეს ჩამორჩენა განპირობებულია სამი მიზეზით: 1. საქართველო უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე უკიდურესად მძიმე პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარემოში ვითარდებოდა, ხოლო ზემოთ აღნიშნული მიმართულებების განვითარებას კი სოლიდური ფინანსური და ტექნოლოგიური მხარდაჭერა სჭირდება. უფრო მეტიც – ამ დონეზეც რომ მოაღწია ქართულმა არქეოლოგიამ, ეს სწორედ 70-90-იან წლებში მოღვაწე ქართველ არქეოლოგთა დიდი დამსახურებაა; 2. კარგადაა ცნობილი, რომ ასეთი კვლევები ვითარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩნდება ობიექტური მოთხოვნილება არქეოლოგიის ამა თუ იმ მიმართულების განვითარებისა ამა თუ იმ ქვეყანაში; 3. არ არსებობს ქვეყანა, სადაც ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ანუ სხვადასხვა მიმართულება ერთადაა განვითარებული.

გავიმეორებ ცნობილ ფაქტს – დღეს არქეოლოგიას აქვს არა მხოლოდ ჰუმანიტარული, არამედ, ზოგადად, ბუნების განვითარების ზოგიერთი ასპექტის კვლევის ამოცანაც, რადგან იგი არის მეცნიერების ის დარგი, რომელსაც აქვს უნიკალური შესაძლებლობები, მოიპოვოს ინფორმაცია ისეთი საბუნებისმეტყველო პრობლემების კვლევისათვის, როგორიცაა დედამიწის მაგნეტიზმი, ფლორისა და ფაუნის ევოლუცია, პალეოკლიმატი, პალეოდაავადებათა გენეტიკა და სტატისტიკა და მრავალი სხვა. ამასთან, არქეოლოგიის სპეციფიკიდან გამომდინარე, როგორც ცნობილია, იგი თავის კვლევაში იყენებს სხვადასხვა სახის ტექნიკურ მეთოდებს, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს დედამიწის დისტანციურ კვლევას (ზონდირებას), გეოფიზიკურ ძიებას, მრავალგვარ ქიმიურ და ფიზიკურ ანალიზს, ჰიდროქიმიურ და გეოქიმიურ შედარებით ანალიზს, სამედიცინო-მოლეკულურ კვლევას, სტატისტიკურ-მათემატიკურ მეთოდებს, დეზოქსირიბონუკლეინის მჟავის ანალიზს.

სრულიად განსაკუთრებული პერსპექტივები აქვს არქეოლოგიას თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების თვალსაზრისით და ვფიქრობ, რომ მალე საქართველოშიც დაიწყება ამგვარი სამუშაოები (სიამოვნებით მინდა აღვნიშნო, რომ ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე დავიწყეთ ექსპერიმენტები დათარიღების ახალი მეთოდების დასამუშავებლად).

ამდენად, ჰუმანიტარული მეცნიერების ეს დარგი როგორც თავისი შინაარსით, ისე ამოცანებითა და კვლევის მეთოდებით, წარმოადგენს ინტერდისციპლინარული გამოკვლევების განსაკუთრებულ ასპარეზს.

სწორედ ამ მიზეზების გამო არქეოლოგიურ გამოკვლევებს აქვს განსაკუთრებული მოთხოვნები და სტანდარტები, რომლებიც მეცნიერების ამ დარგის სპეციფიკურ მენეჯმენტს მოითხოვს.

საქართველო თვისებრივად ახალ სამყაროში აღმოჩნდა მას შემდეგ, რაც დამოუკიდებლობა მოიპოვა. ამავე დროს საზოგადოების დიდი ნაწილისათვის ჯერ კიდევ უცხოა ის სოციალური და ეკონომიკური ურთიერთობები, რომელიც ევროპისა და ამერიკის თანამედროვე დემოკრატიული ქვეყნებისათვის უკვე ისტორიული რეალობაა. ამ მოვლენამ ბუნებრივი გავლენა მოახ-

დინა ქვეყნის განვითარების ყველა მიმართულებაზე. შესაბამისად, ქართული არქეოლოგიის განვითარების ტენდენციიდან გამომდინარე, იგი აღმოჩნდა არქეოლოგიის მართვის ელემენტარული ნორმების შემუშავებისა და გამოყენების წინაშე.

საქმე იმაშია, რომ თანამედროვე საზოგადოებრივი ურთიერთობები საზოგადოდ მკვლევრის და, მით უფრო, არქეოლოგის წინაშე აყენებს საკუთარი დარგის სრულიად ახლებური ხედვის შემუშავების აუცილებლობას. ეს ხედვა ორი ტოლფასოვანი ამოცანისაგან შედგება: პირველი – წმინდა მეცნიერული კვლევების გაგრძელება და თვისებრივად ახალ დონეზე აყვანა; მეორე – მეცნიერული კვლევისათვის აუცილებელი პირობების შექმნა ანუ მეცნიერების კონკრეტული დარგის მენეჯმენტი. თანამედროვე სოციალური და ეკონომიკური გარემო, რომელშიც ურთიერთობათა ახალი იურიდიული და ეკონომიკური ნორმები ყალიბდება, არქეოლოგიის წინაშე სწორედ ამგვარ ამოცანას სახავს.

მენეჯმენტის პრობლემების მოკლე მიმოხილვა

არქეოლოგიური ძეგლებისა და, საზოგადოდ, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისადმი დამოკიდებულება, ჩემი აზრით, ემყარება რამდენიმე ძირითად პოსტულატს, რომელიც მე ექვსი წლის წინ გამოვაქვეყნე და რომელიც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო კონცეფციის ძირითად საფუძველს უნდა წარმოადგენდეს:

1. ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის შეფასება, როგორც **ეკონომიკური ფენომენის** ანუ მატერიალური კულტურა, როგორც კონკრეტული დარგის შენარჩუნებისა და თვითგანვითარების თუნდაც მცირე, მაგრამ მაინც გარკვეული რესურსი. მე ვეთანხმები იმ პოზიციას, რომლის მიხედვითაც პირველადი აქცენტი უნდა გავაკეთოთ იმ ძეგლებზე, რომელსაც მეტი კომერციული პოტენციალი აქვს და, შესაბამისად, შეიძლება ისეთ ობიექტებად ვაქციოთ (ანუ მივცეთ კულტურული კაპიტალის სახე), რომელიც შედარებით მარტივად და უმნიშვნელო დანახარჯებით მიიზიდავს საზოგადოებას და შექმნის შემოსავლების მიღების პერსპექტივას. ეს საყოველთაოდ მიღებული სისტემაა – ვენეციაში ყოველწლიურად 3 მილიონი ტურისტი ჩადის, სხვა მონაცემებით, კიდევ უფრო მეტიც (თუმცა, ამ შემოსავლებიდან თვით ვენეციას, როგორც ძეგლს, ხმარდება მხოლოდ 3 პროცენტი); ასევეა ბრიუგეში, სადაც წელიწადში 4 მილიონზე მეტი სტუმარი ჩადის.

2. უძრავი ძეგლების, როგორც კულტურული კაპიტალის შეფასება. მიუხედავად იმისა, რომ კულტურული მემკვიდრეობის აღრიცხვა ამ ბოლო ხანებში აქტიურად მიმდინარეობს, ძეგლების მრავალფეროვნებისა და სიმრავლის გამო, ჯერ ჩვენ კიდევ არ ვიცით, თუ რა რეალური **კულტურული კაპიტალის**

პატრონები ვართ, რაც, ბუნებრივია, არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს მხოლოდ არქეოლოგიურ ძეგლებს. შესაძლოა, სწორედ ეს – კულტურული მემკვიდრეობის, როგორც კაპიტალის, შეფასება – არის ამ სფეროში განხორციელებული მენეჯმენტის პირველი ნაბიჯი და ამის საფუძველზე უნდა მოხდეს პრიორიტეტების გადანაწილება. მე, რა თქმა უნდა, არა მაქვს იმისი ილუზია, რომ ასეთი მიდგომა უმალვე გადაწყვეტს ყველა პრობლემას, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ასეთი პოზიცია მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს ძეგლებისადმი დამოკიდებულებას და ასევე, გარკვეულწილად, ამ ძეგლებისათვის გამოზნული ბიუჯეტის მდგომარეობას. თუმცა, გარკვეულ შემთხვევაში სახელმწიფოს შეიძლება მაინც დასჭირდეს დოტაციის განხორციელება. იტალიაშიც კი, სადაც უძრავ ძეგლთა მენეჯმენტი სანიმუშო დონეზეა აყვანილი, სახელმწიფოს უხდება ხოლმე გარკვეული თანხის გამოყოფა. მაგალითად, ამჟამად პიემონტის მხარეში, ტურინთან ახლოს, თითქმის დასრულდა XVII საუკუნის სამეფო სასახლის „ლა ვენარია რეალეს“ რესტავრაცია, რომლის ბიუჯეტი შეადგენს 200 მილიონ ევროს. აქედან 100 მილიონი ევრო გაიღო ევროსაბჭომ, ხოლო 50-50 მილიონის გაღება მოუწიათ იტალიის ცენტრალურ ხელისუფლებასა და პიემონტის სამხარეო ადმინისტრაციას.

3. უძრავ არქეოლოგიურ ძეგლთა გადარჩენისათვის აუცილებელი **პრიორიტეტების განსაზღვრა** მათი ეკონომიკური პოტენციალის მიხედვით. საქართველო თავისი ძეგლების სიმრავლით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვეყანაა. მაგრამ დღემდე ზუსტად არავინ იცის ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული არქეოლოგიური ძეგლების რიცხვი (ისევ იტალიას დავასახელებ, სადაც, მაგალითად, 40.000 ციხესიმაგრეა; 30.000 ისტორიული ადგილი; 4.000 ისტორიული ბაღი; 900 ისტორიული საქალაქო ცენტრი; 40.000 საეკლესიო არქივი; 6.000 ისტორიული ბიბლიოთეკა; 4.144 მუზეუმი და ა.შ.). ამ სიმდიდრის ნაწილი საქართველოშიც არის აღრიცხული და როგორც აღვნიშნეთ, ეს პროცესი დაწყებულია. მაგრამ კრიტიკული მდგომარეობაა უძრავი არქეოლოგიური ძეგლების აღრიცხვის თვალსაზრისით.

4. **საერთაშორისო სისტემაში ინტენსიური ინტეგრირება,** რაც უზრუნველყოფს კულტურის დაცვის დონის **დაცვის კულტურამდე ამაღლებას**. ეს რთული პროცესია და არ გულისხმობს მხოლოდ ახალი ტექნოლოგიების იმპორტსა და უცხოელი სპეციალისტების საქართველოში მოწვევას. ინტეგრაციის პროცესი მუდმივად უნდა იყოს აქცენტირებული რაც შეიძლება დიდი რაოდენობის ქართველი სპეციალისტების საერთაშორისო ურთიერთობაში ჩაბმაზე. დღეს ქართული არქეოლოგიის ინტეგრირების პროცესი მიმდინარეობს ერთობლივი ექსპედიციებისა და მოპოვებული მასალის უცხოურ ლაბორატორიებში ანალიზის ორგანიზებით და ჯერჯერობით არცთუ დიდი რაოდენობის ახალგაზრდების უცხოურ სასწავლებლებში და ექსპედიციებში მივლინების გზით. თანამედროვე პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, ცხადია, ეს პროცესი ბევრად უფრო აქტიურად ხორციელდება, ვიდრე ეს 80-

90-იან წლებში იყო, მაგრამ ამ შემთხვევაში მე სხვა მომენტს მინდა გავუსვა ხაზი. ბუნებრივია, საერთაშორისო სისტემებში ჩართვა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ აქცენტი მხოლოდ ზემოაღნიშნულ დეტალებზე გავაკეთოთ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ქვეყნის ტერიტორიაზე საერთაშორისო ინვესტიციებით უზრუნველყოფილი იმდენი მსხვილმასშტაბიანი მშენებლობა მიმდინარეობს, რომ მრავალი არქეოლოგიური ძეგლის გადარჩენის საკითხი ადგილობრივ შეიძლება გადაიჭრას. ამ მიმართულებით კულტურული მემკვიდრეობის მართვის ხანგრძლივი გამოცდილება უფლებას მაძლევს განვაცხადო, რომ მსხვილი ინვესტიციებით ქვეყანაში შემოსული კომპანიები, სწორი მენეჯმენტის შემთხვევაში, უამრავ „გვერდით" პრობლემას წყვეტენ. ამისი საუკეთესო მაგალითია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობა, რომლის კულტურული მემკვიდრეობის სრული მენეჯმენტი სამუშაოთა ეტაპებისა და მოცულობების, ურთიერთობათა ფორმებისა და ბიუჯეტის განსაზღვრის ჩათვლით, ჩემი დამუშავებული და დანერგილია. შედეგად არა მხოლოდ ქართველი სპეციალისტების მიერ წარმოებული სამუშაოების ანაზღაურება მიუახლოვდა ევროპულ სტანდარტებს, არამედ ამ სფეროში „ბრითიშ პეტროლეუმის" მიერ გაღებულმა თანხამ მანამდე არნახულ მასშტაბებს მაღწია. რაც მთავარია, გადარჩენილი, შესწავლილი და აღრიცხულია მილსადენის მშენებლობის ზონაში მოქცეული ასეულობით ხუროთმოძღვრული და არქეოლოგიური ძეგლი. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ „ბრითიშ პეტროლეუმი" საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან კოოპერირებით კვლავ აგრძელებს საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვას და ამ დამოკიდებულების შესანიშნავი მაგალითია ახლახან ახალციხეში გახსნილი არქეოლოგიური ექსპოზიცია.

აქვე მინდა შევნიშნო, რომ, როგორც მრავალწლიანმა პრაქტიკამ გვიჩვენა, ამგვარი (ანუ გადარჩენითი) არქეოლოგიური სამუშაოების მართვის მხრივ უთუოდ (და რაც შეიძლება მოკლე დროში!) **დასახვეწია მოქმედი კანონმდებლობა.** იგი, მართალია, თუნდაც 1999 წლის ნორმებთან შედარებითაც კი მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია და ამ ეტაპზე ქმნის ობიექტური კონკურენციის პირობებს (რაც, ცხადია, უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტორია), მაგრამ, მეორე მხრივ, წარმოშობს არქეოლოგიური ძეგლებისადმი არაკორექტული და არაკვალიფიციური მიდგომის საშიშროებას, რადგან მასში არ არის ჩადებული ფინანსური ურთიერთობების რეგულაციის მექანიზმი. საბედნიეროდ, მრავალ ქვეყანაში არსებობს ამ პრობლემის მოგვარების პრაქტიკა, რომელიც ერთდროულად უზრუნველყოფს როგორც ჯანსაღი კონკურენციის არსებობას, ისე დამკვეთისაგან ობიექტური ფინანსური უზრუნველყოფის მოთხოვნას.

5. **შემუშავება სახელმწიფო კონცეფციისა,** რომლის ქვაკუთხედად უნდა იქცეს ეროვნული მემკვიდრეობის უსაფრთხოების იდეა.ეს ტერმინი აქტიურად უნდა დაინერგოს ყოფაში და გარანტი ამ იდეის დაცვისა უნდა გახდეს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინ-

ისტრო და საქართველოს კულტურის მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, რადგან ამ მხრივ არსებობს ორი სახის საშიშროება: 1. გარე ფაქტორი, რაც გულისხმობს კულტურული მეკვიდრეობის განადგურებას გარე ზემოქმედების პირობებში (მაგ. ომი, რასაც, სამწუხაროდ, უკვე ჰქონდა ადგილი – 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯგუფმა ინახულა ყველა რუსული ბომბის ჩამოვარდნის კონკრეტული ადგილი და დაადასტურა ოთხი არქეოლოგიური ძეგლის დაზიანება. აღარაფერს ვამბობ იგოეთში, გარკლიან გორაზე, სადაც რუსული არმიის სანგრები უშუალოდ ჩემი ექსპედიციის მიერ გაჭრილ არქეოლოგიურ თხრილებში, ძვ.წ. VIII საუკუნის კულტურულ ფენებზე იყო გამართული); 2. შიდა ფაქტორი – კულტურის ძეგლების დაზიანება ადგილობრივი მოსახლეობის მიერ. სწორედ ამის გამო არის საჭირო მოსახლეობისათვის მუდმივი დამატებითი ინფორმაციის მიწოდება ამ მიმართულებით.

6. **კულტურული (ამ შემთხვევაში – არქეოლოგიური) მემკვიდრეობის პოპულარიზაცია** არა მხოლოდ საქართველოს ფარგლებს გარეთ და თბილისში, არამედ **რაიონულ ცენტრებში** მოსახლეობისათვის სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებისა და მათთვის ტერიტორიულად ახლობელი კულტურის ძეგლების მნიშვნელობის აქცენტირებით. ამ მხრივ, სრულიად გამოუყენებელია ადგილობრივი მუზეუმების პოტენციალი.

ბუნებრივია, საქართველოში მოპოვებული არქეოლოგიური მასალის უცხოეთში პოპულარიზაცია უაღრესად მნიშვნელოვანი საქმეა და ამ მხრივ, ცხადია, სამაგალითოა ძველი ქართული ოქრომჭედლობის საუკეთესო ნიმუშების ექსპონირება ამერიკისა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნის მუზეუმებში, რომელიც განახორციელა საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა.

7. **ურთიერთობები მეზობელ სახელმწიფოებთან**. ამ შემთხვევაში იგულისხმება უცხო ქვეყნების ტერიტორიაზე არსებულ ქართული კულტურის ძეგლებზე ზრუნვა (არ შეიძლება არ აღინიშნოს კ. კვიპროსზე მიმდინარე სამუშაოების განსაკუთრებული მნიშვნელობა, თუმცა ამ მიმართულებით არანაკლები – მეტი თუ არა – ეროვნული დატვირთვა აქვს სხვა სახელმწიფოებში არსებული არქეოლოგიური ძეგლების კრიტიკულ მდგომარეობასაც). ამ მიმართულებით ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს არქეოლოგიური ძეგლების მენეჯმენტის სრული პაკეტი.

დასკვნა

ზოგადი სიტუაციისა და ზემოაღნიშნული დებულებების ფონზე აშკარაა, რომ საქართველოს არქეოლოგიის მენეჯმენტის გაუმჯობესების თვალსაზრისით გასატარებელია პრინციპული მნიშვნელობის ცვლილებები, რომლებიც ერთნაირად ეხება როგორც მოძრავ, ისე უძრავ არქეოლოგიურ

ძეგლებს. მიუხედავად გარკვეული და აშკარად პოზიტიური ცვლილებებისა, ქართული არქეოლოგიის „მენეჯმენტის“ ქვაკუთხედი ჯერ კიდევ საბჭოურია (მთლიანადაა შესაცვლელი ქართული არქეოლოგიის მართვის პროცედურა). მოქმედი სისტემა ახალ ეკონომიკურ და პოლიტიკურ გარემოში, ცხადია, ამუხრუჭებს მეცნიერების ამ დარგის განვითარებას.

ეს პრობლემები, ცხადია, მოგვარდება, თუმცა შესაძლოა, მას გარკვეული დრო დასჭირდეს. ამდენად, მე მაინც ოპტიმისტურად ვუყურებ დღევანდელ სიტუაციას და დარწმუნებული ვარ, რომ ამჟამად აქტიურად მოქმედ თუ არა, მომავალ თაობას მაინც (რომელიც ახლა მოდის ქართულ არქეოლოგიაში) ექნება როგორც ობიექტური პირობები, ისე სათანადო ნება იმისათვის, რომ საქართველოში შექმნას არქეოლოგიის მენეჯმენტის ახალი სტანდარტების შესაბამისი სისტემა და განავითაროს სხვადასხვა, ჩვენი არქეოლოგიის სპეციფიკიდან გამომდინარე, კონკრეტული მიმართულება.

Vakhtang Licheli

Problems of Archaeology Management in Georgia

Summary

There are. in my opinion, some points which might be the major basis for National Conception of Cultural Heritage Protection (in this case. first of all. archaeological sites):

1. Estimation of the country's Cultural Heritage as an economic phenomenon .
2. Determination of main priorities for the protection and use of Cultural Heritage Sites.
3. Estimation of Cultural Heritage Sites as a cultural capital.
4. Intensive integration into international system. This will guarantee the increase of Cultural Heritage protection level.
5. establishment of a national conception. Its' main aim must be not only protection, but Safety of Cultural Heritage. Otherwise we have to face two kinds of danger: 1. the external factor which threatens to destroy the cultural heritage during the war. Unfortunately, we have already faced this problem. 2.the internal factor _ the damage to cultural heritage sites caused by local inhabitants.
6. Popularization of Cultural Heritage Sites not only in foreign countries and in Tbilisi, but also in regional centres of Georgia with the purpose of giving information to the local inhabitants.
7. Interrelations with neighbouring countries. In this case I mean protection of the Georgian Cultural Heritage Sites located in foreign countries

გამომცემლობის რედაქტორები: მარინე ვარამაშვილი
ნანა კაჭაბავა
გარეკანის დიზაინი თინათინ ჩირინაშვილი
დაკაბადონება ნათია დვალი

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14 Ilia Chavchavadze Avenue, Tbilisi 0179
Tel 995 (32) 25 14 32
www.press.tsu.ge